პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების).
კომუნისტურ ინტერნაციონალის სექცია.

მე-V-ე სერია

ეროვნული კითხვა

(გამოცემა მე-4-ე წიგნისა).

ნ. ყორდანია.

მისი ნაწერების კრებული ეროვნული საკითხების შესახებ.

გამოცემა რუს. კომუნისტ. პარტიის
ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა

თფილისი 1922 წ.

ნაწერები ეროვნულ საკითხის შესახებ.

წინასიტყვაობა

ჩვენ აქ არ ვწერთ ნ. ჟორდანიას წიგნის წინასიტყვაობას. ეს განზრახვა რომ გვქონებოდა, მაშინ ჩვენს სხარტულად მაინც შევეხებოდით მის დებულებების ძარღვს და მკითხველს მივცემდით ჩვენი შეშეცნების კლიტეს, რომ ის სწორი გზით წასულიყო ეროვნულ საკითხების გულში. ეს კი ამ წინასიტყვაობას გაზდიდა, მასთან ამნაირი გეგმაც არა გვაქვს აქ. ის შესრულებულ იქნება, მხოლოდ სხვა დროს და სხვა ადგილას უფრო ვრცლად.

მკითხველი შეცთომაში რომ არ შეიდეს, ამიტომ საჭიროა მივცეთ მას ფაქტიური განმარტება: ნ. ჟორდანიას წიგნის რამდენიმე თავიდან ამოღებულია ისეთი ადგილები, რომლებიც სრულიად არ შეეხებოდენ ეროვნულ საკითხს. ის იქ ეხებოდა საარჩევნო კამპანიას. სახ. სათათბიროს არჩევნებს და სხვა ამ გვარ კითხვებს, ამიტომ საინტერესო არ იყო წამოეუნებულ კითხვისათვის. ამოღებულ ნაწილების სანაცვლოდ დასმულია მრავალი წერტილი.

მკითხველს, ხოლო უწინარეს ყოვლისა მუშა და გლეხს, უნდა გავაცნოთ ის ძირითადი მიზეზი, რამაც იქამდის მიგვიყვანა, რომ გამოგვეცა კრებულები ამხ. ლენინის და სტალინისა, აგრეთვე ნ. ჟორდანიასი და კაუტკისა, ეროვნულ საკითხების შესახებ. ყველამ კარგათ იცის თუ რა ცუდია ეროვნულ ნიადაგზე ამოტივტივებული გაუგებრობა, რაც ხშირათ უსაბუთოთ შეაძრ-შეაშოშმინებს ხალხს, რაც ხშირი მოვლენაა ბურჟუაზიულ ხანაში. აი ეს მხარე რომ ბნელში არ დაგვირჩეს, ამიტომ ვიფიქრეთ ამ თხზულებების გამოცემით მოვფინოთ ზედ ნათელი.

ამის შემდეგ ორიოდე სიტყვით მაინც უნდა ვთქვა, თუ რაგვარი გადასხვაფერება განიცადა ნ. ჟორდანიამ ეროვნულ საკითხში. ასე ვთქვათ, დაიწყო სადღეგრძელოთი და გათავა შესანდობელით. ის არკვევს: „უკანასკნელი ასი წლის ადმინისტრატიულ გაერთიანე-

ბამ და კაპიტალისტური პროცესის გაშლამ დაანგრია ძველი ეკონო-
მიური სიფუძველი და ეტნოგრაფიული მიჯნები და გამოკვეთა ერთი
მთლიანი საალებ-მიტეში ასპარეზი შესაფერი გეოგრაფიული საზღვ-
რებით — ახლა ის ერთი მთლიანი ტერიტორიალური ერთეულია და
მისი ხელახლა ძველ კარჩაკეტილ ნიფთიერ ურთიერთობაში ჩაწერა
უტოპიაა, უტოპია რეაქციონური" — (264), ამიტომ მიზანშეწონილათ
მიიმჩნია: „რუსეთის სახელმწიფოს ძირითადი კანონებით დადგენილ
იქნას სახელმწიფო წყობილების სრული დემოკრატიზაცია და ყველა
ერის სრული პოლიტიკური და მოქალაქობრივი თანასწორობა," (80).
კერძოთ საქართველოზე ამბობს: „საქართველოს ეკონომიური გან-
ვითარება ყოველად შეუძლებელია ამიერ-კავკასიის ჩარჩოების გარეშე. —
და თუ ეს ასეა, ეს გარემოება გვიკარნახებს ერთ საერთო თვითმარ-
თველ ერთეულს და არა ერთი კეთილის გამოყოფას და სხვების ძვე-
ლებურ მდგომარეობაში ჩატოვებას". (227). აქედან იმ საორგანი-
ზაციო დასკვნამდის მიდის, რომ: „კავკასია უნდა დაიყოს ტერიტო-
რიალურ ოლქებათ ისე, რომ თვითეული ოლქი წარმოადგენდეს, რო-
გორც ეკონომიურს ისე ნაციონალურს ერთეულს". (242). აქედან
მისი ლოზუნგია: „მთლიანი ამიერ-კავკასია მთლიან რუსეთში, რო-
გორც ერთი ეკონომიური სარბიელი და ნაციონალური მთავრობა,
საგანებით დაკმაყოფილებს ბურჟუაზიას. ეი აქ შეიძლება დემოკრატი-
ის ინტერესის მოთანხმებაც," (259). „ქართველ, სომეხ და თა-
თართა გლეხობა და მუშა სალხს არა აქვთ რა ერთმანეთშორის სა-
ღავო და გასაყოფი", (262), დაუფარავებით ამბობს იგი.

ასეთია ნ. ჟორდანიას ეკონომიური, ისტორიული და სოციო-
ლოგიური საბუთები ეროვნული კითხვის რეგვევაში ნახმარი. ის ამ
იარაღით ებრძოდა ნაციონალ-დემოკრატებს, ფედერალისტებს, ესე-
რებს და სხვებს. ნაციონალ-დემოკრატების დამოუკიდებლობაში პო-
ულობდა შეუწყნარებელ „რეაქციას". ფედერალისტების ფედერაცი-
აში პოულობდა „კარჩაკეტილობას — უტოპიას" და ასე შემდეგ. ამ-
ნაირ ბრძოლის და რეფეგა ძიების გზით დაბოლოს ის შეიქნა ოტტო
ბაუერის და შპრინგერის კულტურულ ავტონომიის მოტრფიალე ეროვ-
ნულ საკითხში: კულტურული ავტონომიური კანტონები, და ტერი-

ტორიალურ-კულტურული, ავტონომიური კანტონები, ეი ეს იყო მისი უკანასკნელი აღმოჩენა 1917/18 წლებში, რომელშიაც, შესაძლებლად მიაჩნდა ორი მოწინააღმდეგე კლასის, ბურჟუაზიის და დემოკრატიის „მორიგება კავკასიის კონკრეტიულ პირობებში", (259). ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კულტურულ ავტონომიიდან ის გადახტა სრულს დამოუკიდებლობამდის, იგემა 26 მაისი, და ვითომც აქ არაფერი მომხთარიყოს, მთლად ერთიანათ წაშალა თავის ისტორიულ-ეკონომიური საბუთები, რომლების მეოხებითაც ის ასე მკაცრად ებრძოდა ნ-დემოკრატებს, ფედერალისტებს, ესერებს და სხვებს. ამსაირათ, თვით შეიქნა თავის საბუთების მსხვერპლი. ე. ი. განაცონალისტდა, და ისე, როგორც ოტტო ბაუერი და შპრინგერი გლოვობენ დღეს „თავის გატეხილ კოკას", სწორეთ იმავე მიზეზის გამო ვხედავთ ნ. ჟორდანიას გადასროლილს მარქსიზმიდან ნაციონალიზმში.

მიუხედავათ ამისა, ნ. ჟორდანიას ნაწერები დღესაც საინტერესოა ისტორიულ-ეკონომიური საბუთების მხრით და მკითხველს, რომელსაც სურს ნაციონალური კითხვის შესწავლა, ვურჩევთ გულდასმით შეისწავლოს ეს წიგნი და შეადაროს ჟორდანია—მარქსისტი (1918 წლამდის) ჟორდანია -- ნაციონალისტს (1918 წლის შემდეგ).

ი. კაკაბაძე.

ეკონომიური წარმატება

და

ე რ ო ვ ნ ო ბ ა

(1894)

I

,,ისტორია განვითარებული ადამიანისთვის ტრაგედიაა, განუვითარებლისთვის კი კომედიაო“—ამბობს ბრძენი. მართლაც, თუ ღრმად დავუკვირდებით ისტორიულ ცხოვრებას, დავინახავთ, რომ სამწუხარო და კაცის დამამცირებელი მოვლენანი ბევრი და მრავალგვარია. ხშირათ ერთი ბიჯი რომ წინ გადადგმულა კაცობრიობის საბედნიეროთ, ათი და ოცი უკან და გვერდზე გადახვეულა. ცხოვრება დაუდგრომელ დუღილშია, მუდამ ღელავს და ირყევა, ის წააგავს იმ გრძნობიერ სასწორს, რომელიც მცირე ნიავისაგანაც კი მოძრაობაში მოდის და ხან ერთი მხრისაკენ გადაიხრება, ხან მეორესაკენ. ცხოვრებამ არ იცის არჩეული პირები: ვინც დღეს ფეხზე წამოყენებული და წელში გამაგრებულია, ვინც ცხოვრების ავან-ჩავანი იცის და მით ხერხიანათ სარგებლობს, ის ხვალ, თავდაყირა გადატრიალებული, უცებ ვარდება უბედურობის მორევში და ეს, ერთხელ სახელოვანი ამა სოფლისა, ცხოვრების უფსკრულში სამუდამოთ ინთქება. ასევე ხდება მთელი ერის ცხოვრებაში: წინსვლა ერთი ერისა, ჩამორჩენა მეორისა, ერთ წერტილზე შეჩერება მესამისა, სრულიათ ამოჟლეტა და განადგურება მეოთხისა, გადაშენება მეხუთისა, რევოლიუციები, კრიზისები და სხ. და სხ.,—აი რა შეადგენს საერთოთ ის-

ტორიას. ამნაირათ ცხოვრება ზოგს ანიჭებს სიხარულს და სიამოვნებას, ზოგს კი—ცრემლთა დენას და მწუხარებას. იფარავს და აჯილდოვებს ერთს, სასტიკათ სჯის და სდევნის მეორეს.

რა ამოძრავებს ისტორიას? ვის უჭირავს ამ მოძრაობის ჩარხის ტარი? რაში მდგომარეობს ცხოვრების დედა-ძარღვი? ერთი სიტყვით, რა მოქმედებს ისტორიაში? აქ მხოლოთ ერთი პასუხი შეიძლება: **ადამიანი და მისი ინტერესები**—აი სად არის მოგროვილი და გამონასკული ცხოვრების ძაფები, მისი ძალა თუ უძლურება, სიკეთე თუ ბოროტება. თუ რაიმე მოძრაობს ცხოვრებაში, ამ მოძრაობის ჩარხს უსათუოდ ადამიანი აბრუნებს; თუ ცხოვრება სადმე დუღს ან შიშინებს, ამ შიშინის ხმაურობა მხოლოდ ადამიანში იხატება. ერთი სიტყვით, ცხოვრების ბურჯი, ისტორიის შემომქმედი—ადამიანია. მაგრამ ამით კიდევ არ ირკვევა, ისტორიაში ადამიანები ცალ-ცალკე იღებენ მონაწილეობას, თუ ჯგუფ-ჯგუფათ. შეიძლება ცხოვრებაში მოხდენ იმისთანა მოვლენანი, რომელნიც მხოლოდ ერთის ადამიანის ინტერესს ეხებოდენ? არა, არ შეიძლება. საზოგადოებრივი ურთიერთობა იმდენათ რთული და განვითარებულია, რომ ყოვლათ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ პიროვნება სხვისაგან დამოუკიდებლათ. „ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია“-ო—ამბობენ მეცნიერნი. ამისათვის ის მუდამ საზოგადოებაში ცხოვრობს; ის, საზოგადოებასთან ერთათ, ერთ ისტორიულ ულელში არის შებმული, ერთათ იბრძვის, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინშია გამოტარებული. მაშასადამე, ისტორიის შემომქმედი არის არა პიროვნება, არამედ პიროვნებათა გუნდი.

ახლა ვიკითხოთ, რა აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანებს არსებობისთვის ბრძოლის დროს? უეჭველია, საერთო ინტერესები. ავიღოთ, მაგალითად, ოჯახი, ეს ელემენტარული ტიპი საზოგადოებისა. ოჯახის ყველა წევრი დღე-მუდამ იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, თუ როგორ წასწიოს წინ, როგორ დააყენოს

ფეხზე თავისი ოჯახი. ის დაუღალავათ იბრძვის, შრომობს, წელებზე ფეხს იდგამს მხოლოდ იმისთვის, რომ ოჯახი განაკარგოს, რიგიანათ მოაწყოს და მით თვითონაც ისიამოვნოს. ამნაირათ, აქ საერთო ინტერესები ამოქმედებენ ერთათ ოჯახის წევრთ. ესენი ერთი და იმავე ოჯახის უღელს ეწევიან.— შესდგა ამხანაგობა რაიმე საქმის საწარმოებლათ. რა ამოქმედებს ამ ამხანაგობის წევრთ? იგივე საერთო ინტერესები: სარგებლობა, რასაც თვითეული მათგანი მოელის საქმის რიგიანათ დაგვირგვინებისაგან. ესენი ერთათ ეწევიან ამხანაგობის უღელს.—ასტყდა ომი! ომი სისხლის ღვრაა, უბედურებაა, დამნთქველია კაცის სიცოცხლისა, მისი ღვაწლისა და მონაგარისა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ რა რიგ მედიდურ სანახაობას წარმოადგენს ხოლმე ის სურათი, როცა თავ-განწირული ერი აზღვაებულა, ამხედრებულა თავისი ვინაობის და ღირსების დასაცველათ. რა ავიწყებს იმათ სიკვდილის მეხს და სიცოცხლის სიტკბოებას? რა აერთებს ასე მჭიდროთ მხედართ? ცხადია, ერში სუფევს რაიმე იდუმალი მიზიდულობა, მიმალული კავშირი, რომლის გამოაშკარავებისათვის საჭიროა მცირე შემთხვევა, რათა დაძინებულმა ერთ-სულობამ იფეთქოს და თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ ნიადაგზე არის აღმოცენებული და შეგნებული ის საერთო ინტერესები, რომლის ძალითაც ადამიანთა კრებული ერთათ მოღვაწეობს, ერთათ იბრძვის თვით-არსებობისათვის.

რა ასაზრდოვებს და აღონიერებს ამ ნიადაგს? რა ჰქმნის მას? სად იმალება ის სათავე, რომელიც დაქსაქსულ გუნდს ადამიანებისას აერთებს და გამოჰყავს იგი ისტორიულ ასპარეზზე? ამბობენ: ეს სათავე **გვარ-ტომობაა**. ერს, ერთის სისხლის მექონეს, ერთის წინაპრის ჩამომავალს, მიდრეკილება აქვს ყოველთვის ერთათ იცხოვროსო. მაგრამ თუ ისტორიას დავაკვირდებით, ცხადათ დავინახავთ, რომ საგვარტომო მიდრეკილება იმდენად მძლავრი არ არის, რომ თავისთავათ აწარმოოს მძიმე ცვლილება ცხოვრებაში. მარტო საგვარ-ტომო

მიდრეკილების ძალით ორი რომელიმე ტომის ნაწილი არ შეერთებულა ერთათ ან ერთი რომელიმე სამეფო არ დარღვეულა ორათ. მაგალითად, ჰოლანდიას და ავსტრიას არავითარი მიდრეკილება არ აქვთ შეუერთდენ გერმანიას; არც შვეიცარიის ფრანგებს მისწევთ გული საფრანგეთისაკენ და იტალიელებს — იტალიისკენ. სლავიანთა ერები ერთი გვარ-ტომისანი არიან, მაგრამ ისტორიამ არ იცის მათი ერთათ, ერთ წესწყობილების ქვეშ ცხოვრება; არც პორტუგალია შეერთებია ისპანიას. ზოგი ამბობს: ენა არის ის დედა-ბოძი, რომელზედაც აშენებულია ერის ერთობაო. ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ერთმანეთს უახლოვდებიან საერთო ცხოვრებისათვისო. მართალია, ენას დიდი ალაგი უჭირავს ერის ცხოვრებაში, ენა არის უპირველესი ნიშანი ეროვნობისა, ამით შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომელი ხალხი რომელ ერს ეკუთვნის, მაგრამ ენა მაინც ვერ წარმოადგენს იმ ძლიერ ძალას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი ხალხი შეერთდეს და ერთად იცხოვროს. ენა არის მხოლოდ საშუალება სალიტერატურო და საზოგადოებრივი ერთობისა და არა თვითონ ერთობა, ის იარაღია ცხოვრებაში და არა თვითონ ცხოვრება. უმრავლესობას ყველგან ერთი და იგივე ჭირი აწუხებს; ყველგან და ყველანი ცდილობენ გამოვიდენ ამ მწუხარებისაგან. ამ ცდაში ენას და გვარ-ტომობას მცირე ალაგი უპყრია... თუ ხალხი მშიერია, ლუკმა-პურს დაეძებს, ამისათვის შეიძლება ის შეუერთდეს თავის ტომის ხალხს, მაგრამ თუ კი ამ შეერთებით უაერესი შიმშილი მოელის, არა მგონია ეს შეერთება მოინდომოს. ამის დასამტკიცებელი მაგალითები ურიცხვია დღევანდელ ცხოვრებაში. რამ. დენი ადამიანი სტოვებს სამუდამოთ თავის სამშობლოს და მიდის უცხო ქვეყანაში ლუკმა-პურის მოსაპოვებლათ! 1820—1892 წ.წ. ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლებულა 15.490,654 კაცი. განა ეს არ მოწმობს იმას, რომ ადამიანი შიმშილ-წყურვილის საქმეს ყველაზე მაღლა აყენებს!

ენა და გვარტომობა შეადგენენ მხოლოდ იმ საფუძველს, რომელზედაც შენდება კედელი ეროვნობისა. ეროვნული ცხოვრება ერის გარეშე შეუძლებელია. თვით ეროვნობის დედი-აზრი მოითხოვს საერთო ენას. თუ კი ადამიანთ არა გაეგებათ რა ერთმანეთისა, იქ, რასაკვირველია, ვერავითარი ერთობა ვერ დამყარდება. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთ ენაზე მოლაპარაკე უთუოთ ერთათ ცხოვრობდეს, ეროვნულ უღელს ერთათ ეწეოდეს, აქ უფრო რთული პირობები იმალებიან და ცხოვრებას ამა თუ იმ კალაპოტში აყენებენ. განვიხილოთ ეს პირობები.

ომი, ბუნების ძალა და აღებ-მიცემობა ანუ ვაჭრობა— აი ეს მოვლენანი მოქმედებენ საზოგადოებაში, როგორც ადამიანთა შემაერთებელნი და შემაკავშირებელნი. ამათი გავლენა ერის ცხოვრებაზე თუმცა ძლიერია, მაგრამ თანასწორი კი არ არის. ერის განვითარებას ესენი სხვა-და-სხვა ნაირათ უწყობენ ხელს, მეტ-ნაკლებათ უმაგრებენ ძირს. საერთო მტერმა, თათრებმა, შეაერთა XV—XVII საუკუნეებში სხვა-დასხვა ტომის ერნი: უნგრელნი, ჩეხნი, გერმანელნი, სამხრეთის სლავიანები და სხ. და დაუმორჩილა ჰაბსბურგთა სამეფოს, მაგრამ როგორც კი მოსცილდა გარეშე მტერი და გაქრა საერთო საფრთხე, ამ სახელმწიფომ მაშინვე დარღვევა იწყო. ომის წყალობით დაარსეს უდიდესი სამეფოები კვიროსმა, ალექსანდრე მაკედონელმა, კარლოს დიდმა და სხ., მაგრამ იმ შეერთებული სამეფოების არსებობა ხან-მოკლე იყო. რატომ? იმიტომ, რომ იგი სამეფოები გარეგნობით, მექანიკურათ იყვნენ გაერთიანებულნი, მათი სიდიადე ძალაზე იყო დამყარებული და არა ერთა ისტორიულ განვითარებაზე. **საზოგადოება რაც უფრო ჩვილი, ერთგვარი და განუვითარებულია, რაც უფრო დაბლა დგას ისტორიის საფეხურზე, მით უფრო ადვილათ შეიძლება ომის და ძალმომრეობის წყალობით მისი გადაგვარება, გადაშენება და ნორმალურ ცხოვრების არევ-დარევა.** მაგრამ რაკი კაცობრიობამ თავი

დააღწია ველურ მდგომარეობას, დაიყო ერებათ და დაადგა წარმატების გზას, სამხედრო ძალასაც დაეკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ჩვენ ვხედავთ, რომ ომის მეოხებით ერთდება ერთ და იმავე ენაზე მოლაპარაკე ხალხი, უკავშირდებიან ერთმანეთს სხვა და სხვა ერნი, მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე ჩქარა ირღვევა და ნაწილდება. თავისუფლება ერისა, განვითარება თანახმათ მისი განსაკუთრებული პირობებისა—აი რა დასკვნას მიადგა ისტორიული მიმდინარეობა. თუ კი დღეს ეს დედა პრინციპი ხშირათ ილახება და ფეხ-ქვეშ ითელება, ეს მხოლოთ წარმავალია და დროებითი. კაცობრიობა ვერ ასცდება ერთა თავისუფლებას. ასე თუ ისე, ომი, სამხედრო ძლიერება ვერ ჩაითვლება თანამედროვე ცხოვრებაში ერთობის უმთავრეს მიზეზათ.

თუ გეოგრაფიული პირობები ქვეყნისა იმნაირია, რომ ადამიანს ცალ-ცალკე არ ძალუძს საზრდოს მოპოვება, მაშინ, რასაკვირველია, ის უნდა შეუერთდეს თავის მოძმეს და საერთო ძალ-ღონით გამოსტაცოს ძუნწ ბუნებას რაიმე ნაყოფი. მაგ., მდინარე ნილოსის ჭალები შეადგენდენ ერთათ-ერთ საცხოვრებელ საუნჯეს ძველ ეგვიპტელებისას. ამისათვის ამ ჭალების დაცვა ნილოსის წალეკვის და აოხრებისაგან შეიქმნა უმთავრესს საზრუნავათ. ხალხი შეერთდა და სისტემატიური შრომით დაიწყო ნაპირების გამაგრება. ლ. მეჩნიკოვის აზრით, ამნაირივე მნიშვნელობა ჰქონდათ მდ. ევფრატს, ტიგროსს, კიანგას და გოანგოს. ორ უკანასკნელთა მიდამოებში (ჩინეთში) „ჩვენ შეეხვდებით იმგვარ ბუნებას, რომელიც კაცის შრომას უხვათ აჯილდოებს, მხოლოთ ამისათვის ის მოითხოვს მუშაკთა სრულს თანხმობას, სასტიკ და მუდმივ დისციპლინას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე ბუნება ადამიანს უქადის აღგვას დედამიწის ზურგიდან“ [1]). აქედან წარ-

---

[1]) „La civiliasation et les grands fleuves historiques“ par Léon Metchnicoff. Paris 1889. 353—354 გვ.

მოსდგა აღმოსავლეთის მეფეთა დესპოტიზმი, ვინაიდან მარტო ამ სახის მთავრობას შეეძლო დაემყარებინა ხალხში ერთობა და კავშირი. მაშასადამე, ამათ პოლიტიკურ წყობილებას სარჩულათ დაედვა ეკონომიური მოთხოვნილება. ამგვარათ, ბუნების ძალა აიძულებს ადამიანთა გუნდს ერთმანეთს შეუერთდენ, და არსდება ეგრეთ წოდებული „მდინარეთა ცივილიზაცია“. აქ ერი ვითარდება, მაგრამ ეს განვითარება ძალ-დატანებითია, მას არ აქვს გადგმული ფესვები ხალხის სოციალურ პირობებში; იგი გამოიწვიეს მხოლოთ ბუნების განსაკუთრებულ თვისებებმა. მოსპეთ ეს მიზეზი და მაშინვე დაირღვევა ზედ ამართული წყობილება, ხალხი ისევ ძველებურათ დანაწილდება. აშკარაა, აქ თვით ცხოვრებაც ვიწრო რკალით არის შემოზღუდული და თავის წარმატებას უდებს საზღვარს. მეორეთ, აქ ეროვნული ცივილიზაცია მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყნისაგან, ის განკერძოებული, კარ-ჩაკეტილია, ასე რომ სხვა-და სხვა ერთა შორის არავითარი კავშირი და მიმოსვლა არ არსებობს. კაცობრიობა დაადგა ერთობის გზას და მით გამოეთხარა ძირი განკერძოებულ ეროვნულ ცივილიზაციას. იგი დაირღვა; მის ნანგრევზე აშენდა ახალი ცხოვრება, რომელსაც საფუძვლათ დაედვა **აღებ-მიცემობა, ვაჭრობა, მისვლა-მოსვლა.**

ამ სახით საზოგადოება რაც უფრო განმარტოებული და კარ-ჩაკეტილია, რაც უფრო დაბლა დგას კულტურით და განათლებით, მით უფრო ძლიერი გავლენა აქვს მასზე ბუნებას, მით უფრო ის ბუნების მონა-მორჩილია.

რაკი საკაცობრიო განვითარებამ უარჰყო ძველი განკერძოებული ერთა ცხოვრება, ამით მოსალოდნელი იყო ეროვნობის მოუძლურება. მაგრამ ცხოველ-მყოფელი ძალა ახალი ხანის იმაში გამოიხატა, რომ ეს ორი, წინათ შეურიგებელი ძალა—ერი და კაცობრიობა—ერთმანეთს დაუკავშირა, ნაწილი შეუერთა მთელს, ერი და კაცობრიობა ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოვიდენ ისტორიულ ასპარეზზე.

ამ ჟამათ კაცობრიობა საშინელის სიჩქარით მიისწრაფება ერთობისაკენ. ის შემოზღუდულია ერთი გალავნით, რომლის საფუძველი ღრმათ არის ჩაფლული და ფესვებ-გადგმული ნივთიერ ურთიერთობაში. კაცობრიობის ნაწილთა შორის იყოფა შრომა ეკონომიურათ და მით ნივთიერათ ერთი-მეორისაგან დამოკიდებულნი ხდებიან. ევროპა იზიდავს თავისკენ სხვა-და სხვა საქონელს აზიისას, ამერიკისას, ავსტრალიისას და აფრიკისას, სამაგიეროთ უკუზავნის თავისას. მაგ., 1860 წ. ასტყდა ომი შეერთებულ შტატებში. ამის მიზეზით შეჩერდა ბამბის გადმოტანა ამერიკიდან ინგლისში. მაშინ ინგლისის მრეწველობაში ჩამოვარდა კრიზისი. დაიკეტა ქარხნები, გაკოტრდენ ფულის პატრონნი, აუარებელი მუშა ხალხი დარჩა უსაქმოთ და გაღატაკდა, დაიმშა და სხ.. რაც ჩრდილოეთ ქვეყნებში ხეირობს, იმას სამხრეთის ბუნება არ უწყობს ხელს. ერთ ქვეყანაში წარმოების ერთი დარგი უფრო განვითარებულია, მეორეში მეორე და სხ. ამისათვის იგი ქვეყნები იძულებულნი არიან ერთმანეთ შორის მისვლა-მოსვლა იქონიონ, საქონელი გაცვალ გამოცვალონ. რა მდგომარეობაშია ამ დროს ერის შინაური ცხოვრება? მისუსტდა ამით ეროვნობა? სრულიათაც არა. ერი საკვირველის ძლიერებით ისხამს ფრთებს და ადგება განვითარების გზას. ის თანდათან იყოფა რამდენ ამე ეკონომიურ ნაწილათ. ერთი კუთხე მოკლებულია იმას, რაც მოდის და წარმოებს მეორეში, ამით ისინი ნივთიერათ უკავშირდებიან ერთმანეთს. მაგ., ლიონში და მის მიდამოებში აბრეშუმეულის წარმოებაა, რუანში—მატყლისა, ბოსში—ხორბლისა, ლუარაში და პადეკალეში—ნახშირისა, ბორდოში—ღვინისა და სხ.. მთელი საფრანგეთი ისე არის დანაწილებული ეკონომიურათ, რომ ამ ნაწილებს ერთ დღესაც არ შეუძლიათ უერთმანეთოთ ცხოვრება. ერი გაერთიანებული ნივთიერათ—გაერთიანებულია იდეებითაც. ყველას სურს განავითაროს ეროვნული შრომა, გააღონიეროს ერი. სუსტი ერის საქონელი ხშირათ იჩაგრება მსოფლიო ბაზარზე. რაც

უფრო გაძლიერებულია ხალხში აღებ-მიცემობა, რაც უფრო მეტი საქონელი გააქვთ საზღვარ-გარეთ, რაც უფრო სასარგებლოა საერთაშორისო სავაჭრო ხელ-შეკრულობა და სხ., მით მეტი მოთხოვნილებაა დასამუშავებელ მასალისა და მუშათა ხელისა. ამ შემთხვევაში მეტათ ფასობს როგორც გლეხის ნამუშავარი, ისე მუშის დღიური ფასი. ამნაირათ, ერის სიდიადეში დაინტერესებულია, როგორც ბურჟუა-ვაჭარი, ისე გლეხი-მუშა. აქ ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულათ ეწევა, როგორც უდიდესი საპოლიტიკო მოღვაწე, ისე უბრალო სოფლელი.

ნივთიერმა საჭიროებამ ისე გადააჯაჭვა ერის ყველა წევრი ერთმანეთთან, რომ ამის დარღვევა აუცილებლივ თვით ერის სიკვდილს მოასწავებს. აქ ერთობა ნაყოფია ნივთიერი განვითარებისა და სრულიათ დამყარებულია ცხოვრებაზე. თანახმათ ამისა შენდება და იცვლება ერის პოლიტიკური ფორმები და ისტორიას ეძლევა ეს თუ ის მიმართულება. ამის თვალსაჩინო მაგალითს გერმანიის ისტორია წარმოადგენს. მე-XV საუკ. აღმოაჩინეს ამერიკა და ოსტ-ინდოეთში მისავალი გზა აფრიკის გარეშემო. ამისათვის ვაჭრობა ხმელთა-შუა ზღვიდან გადავიდა ატლანტიის ოკეანის ნაპირებზე. გერმანიის და იტალიის ადგილი აღებ-მიცემობაში დაიჭირეს პორტუგალიამ, ისპანიამ, ინგლისმა და ჩრდილო საფრანგეთმა. ეკონომიური განვითარება გერმანიისა დაეცა, გათახსირდა. ამას მოჰყვა ეროვნული გრძნობის მისუსტება და ერის დაქუცმაცება. გერმანია (აგრეთვე იტალია) დანაწილდა წვრილ-წვრილათ, აღვირ-წახსნილ სამეფოებათ. აქ გამეფდა პატრიარქალური წეს-წყობილება, ინგლისში კი განვითარდა კაპიტალი. ამ მდგომარეობაში დარჩა გერმანია ამ საუკუნის ნახევრამდი. ამ საუკუნეში ხელ-ახლა აიდგა ფეხი წარმოებამ და უმაღლეს წერტილამდე მივიდა 1860—1870 წ. ამ დროს აღორძინდა წარმოების მრავალი ახალი დარგი და გერმანიამ დაიპყრო დიდი ბაზარი[1]). ერი გაერთიანდა

[1]) ამგვარი ფაქტები მრავალია მოყვანილი გერმანულ წიგნში: „Handworterbuche dez Staatswissenschaften“, 93 წ. ბერლინი.

ნივთიერათ და ამას ზედ მოჰყვა პოლიტიკური გაერთიანებაც. გერმანიამ კვლავ დაიპირა საპატიო ალაგი ევროპაში.

ამნაირათ, საკაცობრიო და საგვარტომო გაერთიანება შესაძლებლათ ხდება ნივთიერ ნიადაგზე, როცა ეკონომიური განვითარება იქამდინ მიდის, რომ შრომა ნაწილდება, როგორც სხვა-და-სხვა ერთა, ისე ერთსა და იმავე ერის ნაწილთა შორის, თანახმათ კულტურისა, ნიადაგისა და ჰავის თვისებათა. ამით მკვიდრდება ნივთიერი საფუძველი ერთობისა და იბადება მტკიცე ეროვნული ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ პოლიტიკო-ეკონომიური პირობანი არ აჩვევს ერთათ ცხოვრებას, თუ ცხოვრება და კულტურა არ აერთებს და არ აკავშირებს ადამიანთა ჯგუფს ერთი-მეორესთან, ისე არავითარ გარემოებას არ ძალუძს ისტორიული მღელვარებით დაქსაქსული–ერი ერთ უღელში შეაბას, ცხოვრების ჭაპანი ერთათ გააწევინოს...

II

აი, ეს აზრი წავიმძღვაროთ წინ და ამ მხრივ დავაკვირდეთ ქართველ ტომის ხალხთა მდგომარეობას; ვნახოთ, რა სურათს წარმოგვიდგენს ის დღეს ან რა იყო წარსულში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველები ერთ ერს შეადგენენ, საერთო ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულათ ეწევიან? თუ ეს მხოლოდ გაკრიალებული ფრაზები, ოცნების ნაყოფია, დაფუძნებული ზოგიერთა პირის სურვილზე და არა თანამედროვე ნამდვილ ცხოვრებაზე?

ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წეს რიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის-თავს ერთ ერათ, ჭირში და ლხინში განუყრელათ, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე“-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ., ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი

თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაუღალავათ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით-არსებობას განსაცდელი რამ მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას აღგვას უპირებს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით. ახლა ვიკითხოთ: ქართველობამ ეს ხანა გაიარა, თუ ამ ხანის კარებთან არის გაჩერებული?

საქართველოს ნაწილებს შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, მესხეთი, აჭარა-ქობულეთი, სამეგრელო, სვანეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი და საინგილო. საქართველოს ყველა ქვეყნებში, რომელნიც ეხლა ჩამოვთვალეთ, ცხოვრობენ ქართველები, რომელნიც ერთის ტომის, ერთის შთამომავლობის, ერთის სისხლის და ხორცისანი არიან... ყველა იმათ ჰქონდათ და აქვთ ერთი და იგივე ენა, ერთი და იგივე ზნე-ჩვეულება, ერთი და იგივე მწერლობა. ეს სახელწოდებათა უმრავლესობა გვიხატავს არა მარტო ადგილთ-მდებარეობას, არამედ იმ ჯგუფთ ქართველის ტომისას, რომელნიც ბინადრობენ ამა თუ იმ მხარეში. როდესაც ჩვენ ვამბობთ: გურული, მეგრელი, კახელი და სხ., მაშინვე თვალ-წინ გვეხატება ის განსაკუთრებითი თვისებანი, რითაც ისინი განირჩევიან ერთი-მეორისაგან. თვითეული ჯგუფი წარმოადგენს ერთ მთელს: ზნით, ხასიათით, ბუნებრივი ნიჭით, ტემპერამენტით, მოქმედებით და სხ., ასე რომ არც ერთი მხარე ცხოვრებისა ნათლათ არ გვიჩვენებს ურთიერთს შორის ეროვნულ დამოკიდებულებას. მხოლოდ ენა და გვარტომობა გვეუბნება, სუყველა

ქართველები ხართ. მაგრამ ამ დასკვნამდინ ჩვენი ერი ჯერ ვერ მისულა, ეს თავის-თავად მარტივი ჭეშმარიტება ჯერ შეგნებული არ არის. განა ინგილოელს და მეგრელს შეუძლიათ წარმოიდგინონ ურთიერთშორისი დამოკიდებულება და ერთობა? ან რა აქვთ საერთო, მაგ. სვანს და აჭარელს, სამურზაყანოელს და კახელს, ჭანელს და მთიულს, გურულს და ხევსურს? ესენი განა გრძნობენ თავის თავს ერთ ერათ? ამათ აღელვებთ საერთო ინტერესები, საერთო ჭირი და ლხინი? საქართველოს ნაწილები გრძნობენ უფრო განსხვავებას, ვიდრე ერთობას[1]). „ენტოგრაფიული კრებული შეიძლება საუბრობდეს ერთ ენაზე, მაგრამ ეროვნობას არ შეადგენდეს"—ამბობს პროფ. კარეევი. „ეროვნობას შეგნება ჰქმნის"-ო. დასძენს იგივე[2]). სწორეთ ეს შეგნება აკლია ქართველ ხალხს. ამისათვის, სადაც ეროვნული შეგნება არ სუფევს, იქ არც ეროვნობა არსებობს. იქ მხოლოდ ადამიანთა გუნდია, ენტოგრაფიული კრებულია.

ერს ვერც შეჰქმნის და ვერც დაარღვევს სურვილი დიდებულთა და მეცნიერთა. ის არის ნაყოფი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრებისა. თუ ჩვენ დღეს დაქსაქსულნი და უძლურნი ვართ, თუ ჩვენ შორის განხეთქილება და უთანხმოება არის, ერთი სიტყვით, თუ ქართველობა არ წარმოადგენს ერთს ცნობიერათ გაერთიანებულ ერს, ეს მხოლოდ შედეგია ისტორიულ წარსულისა და ამასთანავე უმთავრესი მიზეზია ერის მისუსტებისა. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ლოლიკური დასკვნაა წარსულისა. ამისათვის თუ პირველის ახსნა გვსურს, ჯერ უკანასკნელი უნდა გავიგოთ.

III

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ ერის შეგნებულათ გაერთიანებას წინ მიუძღვის ნივთიერი გაერთიანება, ესე იგი, იბა-

---

[1]) ამგვარ პროვინციალურ განკერძოებას ბანს აძლევს და ტაშს უკრავს თფილისის დარბაისელი აზნაურთა კრება. იხილეთ მეთაური წერილი „ივერიისა" 93, 1893 წ.

[2]) „Основные Вопросы Фил. Истории" ტ. 114 გვ.

დებიან იმისთანა საეკონომიო პირობები, რომელნიც ძალაუნებურათ აკავშირებენ ერის ნაწილებს და გაჰმოყავთ ერთობის გზაზე. ამ გვარათ მომზადებულ ნივთიერ საფუძველზე შენდება შესაფერი პოლიტიკური, გონებრივი და ზნეობრივი მხარეები. თუ ამ თვალთა-ხედვის ისარს მოვიმარჯვებთ და ამ მხრივ გადავხედავთ წარსულს, მაშინ ნათლად გამოვარკვევთ ისტორიის იმ დედა-ძარღვს, რომელიც მთელ ამ ისტორიის არსებობას ამოძრავებს.

გეოგრაფიულის მხრივ საქართველო წარმოადგენს საკვირველ სხვა-და-სხვაობას. მას ლიხის მთა ჰყოფს ორ დიდ ნაწილათ: ამერეთათ და იმერეთათ. ეს ორი მხარე მეტათ გაირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც მდებარეობით, ისე ბუნების თვისებებით: ნიადაგით, ჰავით, მცენარეულობით და სხვ. ამნაირათ ერთი ერი ბუნებამ გაჰყო ორათ და ცხოვრებას მიეცა ორი ბუნებრივი კალაპოტი. ამასთანავე, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო იმავე ბუნების წყალობით ნაწილდება რამდენსამე კუთხეთ. თვითეული კუთხე ბუნების ძალით და ნაყოფიერებით სხვებს არ ემსგავსება. ამასთანავე ყოველი გეოგრაფიული კუთხე, თანახმათ თავის ბუნებისა, ეკონომიურათ ერთ მთელს წარმოადგენდა: აქ მოდიოდა ყველაფერი, რაც კი მკვიდრის მოთხოვნილებას შეადგენდა. ამგვარათ, ერთი მხრით საქართველო გეოგრაფიულათ განიყო რამდენსამე მხარეებათ და ყოველი მხარე გარშემორტყმული იყო ურთიერთისაგან განსხვავებული მთა-გორებით, მდინარეებით, მიუვალი ტყეებით და სხ., მეორე მხრით ამ თვითეულ ფარგალში მყოფ მხარეს ბუნება ლმობიერათ ეპყრობა ადამიანს და მისს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მოთხოვნილებაც მცირე და ადგილობრივი ნიადაგის შესაფერი უნდა ყოფილიყო. „სადილი აზნაურისა, თავადისა და მთავრისა არაფრით განირჩოდა ერთმანეთისაგან... ცხოვრება იმდენათ სადა იყო, რომ მთავარი ხშირათ ბინავდებოდა უიატაკო ქოხში... მეფე, რომელიც ერთი ბრძანებით უსწრაფებდა

სიცოცოლეს ქვეშემრდომს, ომის დროს ნაკლებათ განირჩეოდ› იმათგან: ყველასთვის სადილი და ქვეშსაგები ერთი და იგივე იყო, მხოლოდ გლეხი ემსახურებოდა აზნაურს, აზნაური თავადს და თავადი მეფეს... მკვიდრნი სარგებლობდენ ადგილობრივი ბუნების ნაყოფით, შორიდან საზრდოს გადმოტანისთვის არ ზრუნავდენ, კმაყოფილდებოდენ იმითაც, რაც ხელთა ჰქონდათ“ [1]). ამგვარათ ხალხს მეტათ განსაზღვრული მოთხოვნილება აქვს; ის არ ცდილობს ბუნების დამორჩილებას და ცხოვრების გაფართოებას. პირიქით, თვითონ ეკედლება ბუნებას და ყმაწვილივით სწოვს იმის ნაყოფიერ ძუძუს. მაგ., „დადიანი თევზაობის დროს ცხოვრობდა რიონთან ახლოს; ჯიხვზე, ირემზე და ღორზე ნადირობის დროს ცხოვრობდა ოდიშში, სადაც გროვდებოდნენ გარეული ცხოველები; ზაფხულობით კი ლეჩხუმში იყო ხოლმე, სადაც მიირთმევდა პურს და არა ღომს“ [2]).

მართალია, ზოგ ალაგას ბუნება ძლიერ ძუნწობს, მაგრამ ადამიანი აქაც ბუნების მორჩილებაშია და თავის ცხოვრებას ამის შესაფერათ აშენებს. რა კი ქვეყანა დანაწილებულია იმ გვარ კუთხეებათ, რომ თვითოული მათგანი წარმოადგენს ეკონომიურათ განსაკუთრებულ საზოგადოებას, რიღასთვის უნდა სუფევდეს ერთობა და კავშირი? ყველა ნაწილს აქვს, რაც საჭიროა ცხოვრებაში: სასმელი, საჭმელი, ტანისამოსი და სხ. ამით ისპობა გაცვლა-გამოცვლის, ვაჭრობის ნიადაგი. ეხლაც ბევრი მაზრებია ჩვენში ამგვარ ნივთიერ პირობებში დარჩენილი. აი რას მოგვითხრობს თანამედროვე მოგზაური სვანების შესახებ: „სვანებს აქვთ ყველაფერი რაც სჭირდებათ ცხოვრებაში, ტან-საცმელს თვითონ ქსოვენ, იარაღს თვითონ აკეთებენ, თო-

---

[1]) И. Дубровин—История войн и владычества русск. на Кавказе. 258—259 გვ. ამასვე მოწმობს ლიტვინოვი: „Описание Мингрелии и Имеретии“. სუყველა ეს ცნობები შეეხება ამ საუკუნის დასაწყისს.

[2]) Ib. 1803—1806 წ. 143 გვ.

ფის წამალსაც, ვერცხლეულობასაც, ხან-და-ხან ოქროთ მოჭედილსაც თვითონვე სჭედენ. ერთი სიტყვით, სვანებს ყველაფერი საკუთარი აქვთ, ასე რომ სხვა მაზრებიდან აქ არაფერი მოდის“ [1]). ამნაირ მდგომარეობაში იყო 30—40 წლის წინათ არა მარტო სვანეთი, არამედ მთელი საქართველო. თვითეული პროვინცია, თვითეული კუთხე, თვითეული სოფელი და ოჯახი თვითონ იმზადებდა თავისათვის ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო, პური სადაც მოდიოდა, იქვე იფქვებოდა და იხარჯებოდა; მატყლი და ბამბა ადგილობრივ იქსოვებოდა და იცვეთებოდა [2]).

ამნაირათ ხალხის შემაერთებელი ძალა მისუსტებული, მიმქრალი იყო. ნივთიერი საჭიროება არავის ძალას არ ატანდა ვისმეს შეერთებოდა და მისვლა მოსვლა გაემართა. ყველა კუთხე ეკონომიურათ კარ-ჩაკეტილი დარჩა. ამისათვის აქ ვერ ვხედავთ რიგიან გზებს, ბოგირებს და სხვ. საქართველოს ორი დიდი ნაწილი, იმერეთი და ამერეთი, ვერ იყო შეერთებული ადვილათ მისავალ მოსავალი გზით. მე-XVII საუკუნეში ქართლიდან იმერეთში გადასასვლელი გზები მეტათ საშიშარნი იყვნენ, რადგანაც ტყე გაუტეხარი, გზა გაუკეთებელი, მთები ვიწრო და გაუვალი [3]). ამ საუკუნის დამდეგს თ. ციციანოვს გაჰყავს გზა სურამსა და ქუთაისს შუა. „ამ გზის საშვალებით შესაძლებელი გახდა თავისუფალი მიმოსვლა იმერეთ-სამეგრელოსთან“. წინადაც ყოფილა გზები, მაგრამ მთები, ხეობები, გაუტეხარი ტყე შესაძლებლათ ხდიდენ მოგზაურობას მხოლოდ ქვეითათ და ცხენით მიმავალთათვის. ეს უგზო-უკვლოობა იყო მიზეზი, რომ იმერეთს მტერი ხშირათ არ შეესევოდა ხოლმე [4]). ამ-

---

[1]) „ივერია“ 1877 წ. № 25 და სხვ. შესანიშნავი წერილი სვანეთის შესახებ.

[2]) Дубр. id.

[3]) „ბრძოლა საქართველოს მოსპობაზე“, ან. ფურცელაძისა 176 გვერ.

[4]) „Закавказье“, Дубр. 196—198 გვ.

ნაირსავე სურათს წარმოგვიდგენს თვითეული პროვინცია ცალ-ცალკე. მაგ., ხევსურეთში ზამთრობით მოგზაურობა სრულიათ მოუხერხებელი იყო[1]). „თუშეთში უგზოობის გამო ზაფ-ხულში მისვლა-მოსვლა საძნელოა, ზამთრობით კი სრულიათ ისპობა“[2]). ასევე იყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, რაჭაში და სხვა.

ამნაირ ნიადაგზე, რასაკვირველია, ვაჭრობა ვერ აღორ-ძინდებოდა. ამისათვის ის მისუსტებული, მიმქრალ იყო. მარ-თალია ხან და ხან თავს წომოჰყობდა, წელში გამართვას დააპი-პირებდა, მაგრამ ამ ცხოვრების მეტ ხორცს ჩქარა ეთხრებოდა ორმო და ქრებოდა. ჩვენს ისტორიაში ვხედავთ, რომ აღებ-მიცემობა უცხოელებთან მხოლოდ შავი ზღვის პირას იყო გა-მართული (ფაზისი, დიოსკურია) და ისიც დრო-გამოშვებით. მე-XIV საუკუნის შემდეგ იქაც სუსტდება. მეორე მხრით თფი-ლისი იღებდა ზოგ საქონელს თავრიზიდან, მაგ., ფარჩას, აბ-რეშუმს, მარილს, რკინას, ერბოს, მატყლს და სხვა[3]). ქარ-თველებს ეს ხელობა (ვაჭრობა) ისე სამარცხვინოთ მიაჩნდათ, რომ თვითონ თაკილობდენ და სხვა ტომის, ურიებს და სომ-ხებს, ახვევდენ თავზე.

თუმცა მეფეები ვაჭრობას დიდ მფარველობას უწევდენ, მაგრამ ფეხი მაინც ვერ მოიკიდა; თფილისში ვერც ერთს სამ-რეწველო ქარხანას ვერ ვხედავთ. თ. ციციანოვი სწუხს, რომ თფილისში არავითარი ქარხნეულობა არ არის და სთხოვს მთავრობას ტყავის და მაუდის (სალდათების ჩასაცმელათ) ქარხნის გამართვას[4]). რაც შეეხება საქართველოს ნაწილთა შორის აღებ-მიცემობას, ეს სრულიათ არა სჩანს. ქართველთ არა ჰქონდათ-რა ერთი ერთმანეთში გასაცვლელი. ამ საუკუნის დამდეგს ლეჩხუმში ყოფილა რამოდენიმე ვაჭარი. იმათი საქმე

---

[1]) Ист. Войн на Кавк., 260 გვ.

[2]) id.

[3]) „დასტურლამალი“ გვ. 100.

[4]) „Закавказье“, Дубр. 123 გვ.

ისე ცუდათ წასულა, რომ თავიანთ ოჯახსაც ვერ ინახავდენ[1]). ზოგიერთ კუთხეში ვაჭრობა ახლაც ვერ დამკვიდრებულა. სვანეთში ვაჭრობა სრულებით არ არის: ვაჭრობის მნიშვნელობა სვანებს ჯერაც ვერ შეუგნიათ. სვანეთში ვაჭარ ხალხს არავითარი პატივისცემა არა აქვს". სვანები ფულზე კი არ ჰყიდიან, არამედ სცვლიან ერთმანეთში საჭირო საქონელს. „ერთი სიტყვით, ფული ვაჭრობაში არ ტრიალებს. მხოლოდ გაცვლა-გამოცვლა აქვთ საქონლისა"[2]). მთელ სვანეთში ერთი ვაჭარი არ არის. „არც ერთი დუქანი, არც ერთი ბაზარი, ერთი სიტყვით, არაფერი ვაჭრობისა, როგორც რიგია და როგორც კავკასიის სხვა მაზრებში იციან, არ არის ამ ქვეყანაში[3]). თუ კი საქართველოს ერთი ნაწილი ასე არის დღეს, დანარჩენი ნაწილები რაღა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ისტორიულ წარსულში?

ჩვენ ვამბობთ, ყოველი კუთხე საქართველოისა წარმოადგენდა ეკონომიურათ განკერძოებულ ადგილს; შრომის განაწილება, აღებ-მიცემობა, წარმოება თითქმის სრულებით არ არსებობდა და თუ ხან და ხან აქა-იქა თავს იჩენდა, ისიც ისე ხან-მოკლეთ და სუსტათ, რომ ცხოვრების მიმდინარეობაზე არავითარი გავლენა არ ჰქონდა. ამ გარემოებამ დაბადა კარჩაკეტილი ცხოვრება ქალაქებისა, პროვინციებისა და სოფლებისა. აღორძინდენ და განვითარდენ იმგვარი ეროვნული თვისებანი, რომელნიც აშორებენ, აცალკევებენ სხვა-და-სხვა ჯგუფთ ქართველის ტომისას. პირველათ ენა ითვისებს მრავალნაირ კილოს (გურული, რაჭული, მთიული და სხვ.) და იცვლება თვითვე (მეგრული, ჭანური, სვანური და სხვა). მტკიცდება განსხვავებული ზნე-ჩვეულება, ხასიათი, შეხედულობა და სხვა.

ახლა ვიკითხოთ, რა გავლენა ჰქონდა ამ საეკონომიო

---

[1]) ib.

[2]) „ივერია 1877 წ. სვანეთის შესახებ.

[3]) ib. იხ. ამის შესახებ გაკვრით „ივერია" 1893 წ. № 212; „სვანეთი"

პირობებს პოლიტიკურ წესწყობილებაზე? შეეძლოთ ნიეთიერათ გაცალკევებულ ნაწილებს პოლიტიკურათ გაერთიანება?

IV

ჩვენს ისტორიას თან დაჰყვა ერთი ძალა, რომელიც მატლივით ჩაჯდა ცხოვრების სათავეში და დაუწყო ღრღნა ქართველთ ერთობას. ეს იყო საქართველოს მიდრეკილება **დანაწილებისადმი**.

პოლიტიკური დანაწილება ანუ დაყოფა ერისა არის აშენებული და გამაგრებული ეკონომიურ განცალკევებაზე და დამოუკიდებლობაზე. რაკი რომელიმე მხარე ნივთიერად კარჩაკეტილია, ამით, აშკარაა, იმას ერთმევა ერთი უძლიერესი დედა-ძარღვი დანარჩენ ქვეყანასთან მისვლა-მოსვლისა და ერთობისა. ამ შემთხვევაში ერში ბატონობს ფეოდალური წესწყობილება. ამნაირ წყობილებას ბოლო აღარ ექნებოდა, რომ მის გვერდით არ დაბადებულიყო მეორე ძალა სრულიად წინააღმდეგი პირველისა. მე-XIV—XV საუკუნეებში ევროპამ გაიცნო ახლად აღმოჩენილი ქვეყნები და გაიტაცა გამდიდრების, ოქრო-ვერცხლის შეძენის სურვილმა. აი ამ გზაზე დაიძრა ევროპის ხალხი, გაიმართა მისვლა-მოსვლა ახალ ქვეყნებში, მოთხოვნილებაც თანდათან გაფართოვდა და გამრავლდა. ამან გამოიწვია შრომის დანაწილება და ვაჭრობა. ამ გვარ მიდრეკილებამ პირველად ქალაქებში იჩინა თავი. აქ მოგროვდა სავაჭრო საქონელი, როგორც საზღვარ-გარეთ გასატანი ისე შემოსატანი. ქალაქი ნელნელა გახდა ეკონომიურ შუაგულ ადგილად. ახალ საქმეს დასჭირდა განსაკუთრებული მფარველობა, ხელის შეწყობა, და აი გაჩნდა ძლიერი პოლიტიკური ძალა, ქალაქში გამოიკვანძა ყველა ძაფები პოლიტიკური ცენტრისა. ამ სახით, აქ ვხედავთ ჩვენ ორ ძალას, ორ დედა-აზრს: ერთი არის დამყარებული შრომის ერთ-გვარობაზე და ნივთიერ განკერძოებაზე (ფეოდალიზმი), მეორე კი შრომის ეკონომიურად

დანაწილებაზე და ნივთიერ გაერთიანებაზე (ბურჟუაზია); პირველის ბუდე-სიმაგრე სოფელი და კოშკია, მეორისა ქალაქი და დუქანი; პირველია აღჭურვილი ხმალ-ხანჯლით, მეორე ოქროვერცხლით ანუ ფულით. ასტყდა ხანგრძლივი ბრძოლა ამ ორ მოვლენათა შორის. ცხოვრება დაადგა ახალ გზას და მით ორმო გამოეთხარა ფეოდალიზმს. ფეოდალი, მეფეთა მიერ დაუმორჩილებელი, დაიმორჩილა ვაჭარმა; ქედი მოიხარა ფულის წინაშე. დაიწყო ერთა გაერთიანება და ერთმთავრობის დამყარება. ასე მოხდა ევროპაში. ჩვენში კი სხვანაირათ დატრიალდა ისტორიის ჩარხი. საქართველოს ამოხდა სული (პოლიტიკურათ) შუა გზაზე, თუ შეიძლება ასე ითქვას: ესე იგი გაიმარჯვა და დამკვიდრდა ფეოდალიზმი და ბოლო მოეღო ქართველთ ერთობას.

„ქართლის-ცხოვრების“ თქმით, საქართველოს საერისთავოებად დაყოფა იწყება მეფე ფარნაოზის დროს (III საუკ. ქრისტეს წინ) და თავდება მე-XVIII საუკუნით. ცხრამეტ საუკუნის განმავლობაში (გამოკლებულია დავით აღმაშენებელის და თამარ მეფის დრო) ქართველობა წარმოადგენდა არა ერთ მთელ ერს, არამედ რამდენსამე დანაწილებულ ჯგუფს, რომელნიც ცხოვრობენ სხვა და სხვა გეოგრაფიულ და ეკონომიურ პირობებში; გარშემო სხვა და სხვა ხალხი არტყიათ, მტერთან ცალ-ცალკე იბრძვიან და შინაური მართვა-გამგეობა სხვა და სხვა გვარად აქვთ მოწყობილი. ამისათვის თვითეულ ნაწილს ჰქონდა და აქვთ თავისი ისტორია, თავისი ცხოვრების საკუთარი წეს-რიგი. რაც დრო მიდიოდა, მით უფრო სუსტდებოდა ერთობა, სამაგიეროთ შუღლი, ქიშპობა და განხეთქილება თან-და-თან მატულობდა და ფესვს იდგამდა ცხოვრებაში. მიდრეკილება დანაწილებისადმი ისეთი ძლიერი იყო, რომ თვით ეგრე წოდებულ „ოქროს საუკუნემაც“ კი ვერ შეაყენა და რამდენადმე მაინც ვერ შეასუსტა. მართალია, დავით აღმაშენებელის და თამარ მეფის დროს საქართველო ერთი პოლიტიკური ცხოვრებით სტკბებოდა, საერთო ისტორიულ უღელს

სწევდა, მტერს ერთად მტრობას უწევდა და მოყვარეს მოყვრობას. მაგრამ სუყველა ეს დროებითი, წარმავალი იყო. ეს არ იყო შედეგი და დასკვნა ერის ეკონომიური განვითარებისა, არ იყო ქვეყნის გულიდან წარმოშობილი[1]). მხოლოდ იმისთანა მშრომელ, მხნე და გამჭრიახ მეფეთ, როგორიც იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარი, შეეძლოთ დროებით მაინც შეერთებინათ მთელი ქართველობა. მოშორდენ თუ არა ისინი ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, მაშინვე დაირღვა ერთობა და გაჰქრენ საქმენი მათ მიერ დაწყებულნი[2]). საქართველო დაიყო ერთი მეორის მოწინააღმდეგე ნაწილებათ. ქართლ-კახეთ-სამცხე-იმერეთად და წვრილ სამთავროებათ. ამ დროს გარეშე მტერთა შორის მოხთა შესამჩნევი ცვლილება: სპარსთა მიიღეს განსხვავებული სჯული („შიიტობა") და მტრათ გაუხდენ ოსმალებს („სუნიტებს"). ამ ორ ბანაკთა შორის ასტყდა ხან-გრძლივი ბრძოლა იმაზე, თუ ვის უნდა რგებოდა საქართველო. იმერეთი იმყოფებოდა ოსმალეთის გავლენის ქვეშ, ქართლ-კახეთი—სპარსეთისა. ერთი მხრით ამ გარეშე მტერთა მეოხებით, მეორე მხრით ბუნებრივი (ესე იგი გეოგრაფიული) და ეკონომიური მიზეზებით საქართველოს ნაწილები სრულიად არ მიისწრაფოდენ ერთი რომელიმე ცენტრისაკენ, ერთ მეფობისკენ. მართალია ამ ნაირი მიდრეკილება სუფევდა, მაგრამ არა ერში, არამედ თითო-ოროლა შორს მჭვრე-

---

[1]) ეს მტკიცდება შემდეგი ფაქტით: თამარ მეფის ქმარი გიორგი თავისი უშვერი ყოფაქცევის გამო განდევნილ იქმნა საქართველოდან. იგი წავიდა სტამბოლს; გამოსთხოვა ჯარი ბერძენთ მეფეს და შემოვიდა საქართველოში თამარის და მისი სამეფოს ძალით დასამორჩილებლათ. მაშინ თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო, იმერეთი, სვანეთი, კლარჯეთი, სამეგრელო, ტაოსკარი და სხვა გადაუდგა თამარს და მიემხრო გიოოგის. იხ. **История Грузии Баратова IV—V тетр.** 65. გვერ.)

[2]) მიუხედავათ ამისა ღვაწლი დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფისა დაუფასებელია საქართველოს წინაშე. პირველათ ამათ დასთესეს თესლი ქართველთა ერთობისა...

ტელ პირებში, რომელთაც მოინდომეს ცხოვრების კალაპოტის უცებ გარდაქმნა და რასაკვირველია, უნდა დამარცხებულიყვნენ.

თანხმობა, ერთობა არ სუფევდა არა თუ სამეფოთა შორის, არამედ თვით ერთსა და იმავე სამეფოშიაც. ამის მკაცრ მაგალითს გვიჩვენებს იმერეთი XVIII საუკ. გასულს და XIX საუკ. პირველ მეოთხედში[1]). სოლომონ მე-II-ის საშინაო პოლიტიკა იყო მიმართული ხელ-ქვეით მთავრების ასალაგმავათ და სამეფოს სრულიად გასაერთიანებლათ. „იცნა რა მანუჩარმან (ოდიშის მთავარი, მეფის მიერ პირველათ დამტკიცებული და შემდეგ უარყოფილი) ვიდრე მეფესა არა სწადს არა რომელიმე ძეთა დადიანისათა კეთილი. ამისათვის მივიდა გეორგისთანა (მთავრად ნამყოფი და დევნილი მეფის მიერ) ძმისა თვისისა და შეუერთდა მეფესა საბრძოლველად“—ამბობს თ. ნიკოლოზ დადიანი თავის „ქართლის ცხოვრებაში“[2]) მეფემ მოინდომა პირველათ ოდიშის მთავრის დამორჩილება და მისი მართვა გამგეობის შეზღუდვა. ამის გამო მეფე და მთავარი შეეჯახენ ერთმანეთს და ამ შეჯახებაში დამარცხებული დარჩა მეფე[3]).

თვით სამთავროებში კი იყო ერთობა? ხშირათ მთავრებს ებრძოდნნ ქვეშევრდომი მებატონეები და კიდევაც სძლევდენ. ამის მაგალითს ერთ-ორს მოვიყვანთ. „ბერი გელოვანი (ლეჩხუმის მოურავი) დაუტევა ერთგულება მეფისა, რათა ქმნას ერთგულება დადიანისა, ამისათვის მოუწოდა იგი ლეჩხუმს, წარვიდა დადიანი ნოღიდან და მივიდა თამოკოს (სოფელია სამეგრელოში) და მოსცა თამოკონი ჯოლორია დგებუა-

---

[1]) ამ ხანას ვაქცევთ ყურადღებას იმიტომ, რომ ოდნავ მაინც მოვაგონოთ მკითხველს საქართველოს წყობილება თვით-არსებობის უკანასკნელ დროს.

[2]) იხ. „ივერია“ 1877 წ. „მასალა ჩვენი ისტორიისთვის.

[3]) ib. ამ დროს განუდგა მეფეს და შეუერთდა დადიანს აფხაზთ მთავარი ქელიშ-ახმედ-ბეგი.

ძემ"[1]). აქედან ცხადია, რომ მთავრისთვის. თავის ხელ-ქვეით სოფელში გასავლელათ მებატონეს ნებართვა ყოფილა საჭიროა[2]). მე-XVIII საუკ. საჩხერეში გაძლიერდა ორი გვარი: აბაშიძე და წერეთელი. იმათ ააშენეს ციხე „მოდინახე". მეფე ალექსანდრე მე-V-ს არ ეპიტნავა ეს ამბავი. იმან დაპატიჟა დავით აბაშიძე და პაპუნა წერეთელი. სიძე-სიმამრი, ორივე მუხთლობით მოჰკლა და უნდოდა იმათი ადგილ-მამულის ხელში ჩაგდება, მაგრამ პაპუნა წერეთლის ცოლი გამაგრდა „მოდინახე"-ს ციხეში და მეფემ ვერა უყო რა,—ამბობს ბ. გიორგი წერეთელი[3]). საზოგადოთ, ლიხის მთის იქითა მხარეს დაუსრულებელი ომები იყო მეფეთა შორის, ათაბაგთა და მეფეთა შორის, მეფეთა და ერისთავთა შორის. ამას გვიმტკიცებს თითქმის ყოველი ფურცელი „ქართლის ცხოვრებისა".

აქედან ნათლათ სჩანს, რომ არევ-დარევა, შუღლი და მტრობა მუდამ არსებობდა პირველათ სამეფოებს შუა, მეორეთ სამეფო და ხელ-ქვეით სამთავროებს შორის. მებატონე, მთავარი და მეფე, ეს სამი პოლიტიკური ინსტანცია, დაუცხრომელ ჭიდილში იყვენ; სოფელი, სამთავრო და სამეფო, ეს სამი ასპარეზი ძალ-მომრეობისა, განუწყვეტლივ ბრძოლაში იყვენ ერთმანეთთან. აი რა ნაირ საისტორიო განვითარების დუღილში იყო ქართველთა ცხოვრება! აი რით დაასრულა საქართველომ პოლიტიკური თვით-არსებობა! სად არის აქ საერთო პოლიტიკური წყობილება? ისტორიამ ჩვენი ერი დაჰყო და არა შეაერთა, განხეთქილება და ქიშპობა ჩამოაგდო და არა ძმობა და ერთობა. ამ ნაირათ ცხოვრების ნივთიერ-საფუძველზე აგებულ იქმნა შესაფერი პოლიტიკური ყოფა მდგომარეობა: მხარე ნივთიერათ კარ-ჩაკეტილი განთვითოებული, პოლიტიკურადაც განკერძოებული შეიქმნა.

---

[1]) ib.

[2]) იხ. იქავე. თუ როგორ ებრძოდენ ერთმანეთს მანუჩარ და გიორგი დადიანები ტახტისათვის.

[3]) იხ. „კვალი" № 3, 93 წ.

როგორ უნდა გასწორდეს ეს ისტორიის მიერ ნაანდერძევი მდგომარეობა? ჩვენ ვამბობთ—სიძლიერე ერთობაშიაო. ისტორიამ კი ეს ერთობა ხელიდან გამოგვაცალა; ჩვენ ვამბობთ—ხალხმა უნდა შეიმუშაოს ერთი ეროვნული „მე“, ცნობიერებით გაშუქებული, ისტორიამ კი ჩვენი ეროვნული „მე“ დაახურდავა, დააწვრილმანა. რანაირათ უნდა გაიხსნას ეს კვანძი? ნუ თუ ხსნა არსად არის? ნუ თუ საქართველოს შეგნებულათ გაერთიანება შეუძლებელია? თუ კი მთელი ჩვენი ისტორია მიმართული იყო ქართველობის დაცალკევებისაკენ, რა სასწაულიერ უნდა მოხდეს დღეს ეს სასურველი ერთობა? ნუ თუ ისტორიული მოძრაობა არავითარ კანონს განვითარებისას არ ექვემდებარება?

V

ისტორიულმა განვითარებამ ერს ორი წინადადება დაუდვა, ორივე აუცილებელი და ასე თუ ისე გადასაჭრელი, ორივე ერთი მეორის წინააღმდეგი და შეუთანხმებელი: ან საკუთარი ძალ-ღონით უნდა დაეღვია ძველი დახავსებული წეს-წყობილება, შეემუშავებია ერთი პოლიტიკური ცენტრი და მით გაეძლიერებია ეროვნული ცხოვრება, ან სხვა უფრო მძლავრი ერისათვის მიემართა შემწეობისათვის და ეთხოვა მფარველობა, ამით თავის ბედ-იღბალი სხვის ხელში ჩაეგდო და ეროვნებაც განსაცდელს მისცემოდა. ამ ორ დედა-აზრს ერთი რამ აქვთ საერთო, ორივეს მსხვერპლათ ფეოდალიზმი უნდა გამხდარიყო, ორივეს უნდა მოესპო ერის დანაწილება. მხოლოდ ეს ორი ძალა ამ მიზანს სხვა-და-სხვა ნაირათ აღწევს.

მე-XVI—XVIII საუკუნეები წარმოადგენენ იმ ხანას, როცა ევროპაში ერთი მხრით ვითარდება შრომა, ძლიერდება აღებ-მიცემობა და ვაჭრობა, მეორე მხრით, ირღვევა და ილეწება ძველი მობერებული პოლიტიკური ფორმა (ფეოდალიზმი). აი ასე მიმდინარეობს ისტორიული მსვლელობა, როცა ის ბუ-

ნებრივ დულილზე და ზრდაზე არის დამყარებული. ჩვენში კი ესევე გარემოება უკულმა დატრიალდა. ავხსნათ.

ფეოდალურმა წყობილებამ ისე დასცა და დაარღვია ქართველობა, რომ მისი გამგეობა ბოლოს შეუძლებელი შეიქმნა მე-XVIII საუკუნ. და მე-XIX საუკ. დასაწყისში შემოვარდა ჩვენს ცხოვრებაში გარეშე საპოლიტიკო ძალა და საუცხოვო სისწრაფით აასრულა თავისი დანიშნულება: ფეოდალები ალაგმა, ურჩნი დაიმორჩილა, ერთი მთავრობა დაამყარა და სხვა ამისთანები, ისეთი სიაღვილით და შეუშფოთველათ, თითქო აქ არა მომხდარა-რაო. ისეთი საკვირველი სიწყნარით და სამარისებური სიჩუმით გასძვრა ერს ეს პოლიტიკური ქერქი, თითქო ერთი ხორც-მეტი მოიკრა და გადისროლაო. ცხადია ერი ვერ მიხვდა—რას იძენდა და რას კარგავდა. რატომ? იმიტომ რომ ზევით, პოლიტიკაში, მოხდა ისეთი ცვლილება, რომელსაც არავითარი ნივთიერი საფუძველი არ ჰქონდა მომზადებული ქვევით ცხოვრებაში. ხალხის გული ზღვაა, სადაც საშიშარი ღელვა ასტყდება მხოლოდ მაშინ, როცა ქარიშხალი თვით ზღვას მისწვდება და ტალღებს გამოიწვევს. ფეოდალიზმი მოისპო, მაგრამ ქვეყანა ისევ ძველებურ საეკონომიო ვითარებაში დარჩა, ისევ ძველი განცალკევება. განთვითოება სოფლებისა, პროვინციებისა და ქალაქებისა სუფევდა. ის, რაც ქვეეიდან უნდა დაწყებულიყო, დაიწყო ზევით პოლიტიკურ სფერაში.ახალი უცხო ფორმა ვერ მიადგა ძველ შინაარს და აი აქ ტყდება ჩვენი ცხოვრება, აქ ვაკეთებთ ისტორიულ ნახტომს და ბუნებრივი თავისებური ზრდის მაგიერათ ჩვენ ვვითარდებით უნიადაგოთ, უთავ-ბოლოთ, უწესრიგოთ. რასაკვირველია, ადრე თუ გვიან უნდა შერყეულიყო ერის ეკონომიური მდგომარეობა, მოქალაქეობამ დააპირა ფეხზე დადგომა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო განსაკუთრებითი მფარველობა, შემწეობა, ხელის შეწყობა, ერთის სიტყვით საკუთარი პოლიტიკური ძალა. ჩვენი უსუსური ვაჭრობა, აშკარაა, ვერ გაუძლებდა ამ ნიადაგზე მომწიფებულ ერთა ულმობელ კანონს კონკურენ-

�isas. ისტორიამ ერთხელ კიდევ ჩაჰკრა თავში ჩვენს ხალხს: უკან ჩამოდექ, კუთხეში ჰიჯექ, ვერა ხედავ. სხვა მოდისო. ამგვარათ ერს აერია გზა-კვალი, ვერ გაიგნო, რა ექმნა, საითკენ წასულიყო, დაუძლურდა და მედგრად წინ-სვლის მაგიერ დაბარბაცდა და წაბორძიკდა. ამ დმგომარეობაში დაჰყო მან ნახევარ საუკუნეზე მეტი.

უკანასკნელ 20—25 წ. განმავლობაში ჩვენი ცხოვრება შესამჩნევათ შეიცვალა. შემდეგ ბატონყმობის მოსპობისა, ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის გზების დამართვისა ფეხი აიდგა მრეწველობამ და ვაჭრობამ, გაძლიერდა მიმოსვლა და აღებ-მიცემობა. ვაჭრობა შეიქმნა რეოლიუციურ ძალათ ჩვენი ქვეყნისა. ვაჭარი არ კმაყოფილდება ერთი რომელიმე განსაზღვრული ტერიტორიით, იმას სურს ყველგან მისი საქონელი ბატონობდეს, მოცილეობას უწევდეს უცხო საქონელს და მეტ ბაზარს იპყრობდეს. ამისათვის გაჰყავს გზები მიუვალ ალაგას, შიაქვს თავისი ნაწარმოები გასანაღდებლათ და გამოაქვს სამაგიერო სხვაგან გასაყიდათ. ამნაირათ, ნივთიერათ აკავშირებს უცნობ ნაწილებს. სოფელი, ქალაქი, მაზრა გამოდიან ეკონომიურ განკერძოებულ ცხოვრებიდან, ერთ კუთხეში ეჩვევიან უფრო სიმინდის მოყვანას, მეორეში—პურისას, მესამეში—ღვინისას და სხ. (შრომის ამგვარი განაწილება მხოლოდ ახლათ დაწყებულია და ისიც არა ყველგან): იმართება საეკონომიო ცენტრები, სადაც შეაქვთ და გამოაქვთ საჭირო საქონელი, ეს იზიდავს ხალხს: ვაჭარს, ხელოსანს, მუშას. იქვე იკრიბება სხვა-და-სხვა სამმართველო და საზოგადო დაწესებულებანი, იხსნება სკოლები, თავს იყრიან განათლებული და ნასწავლი პირები, ჩნდება გონებრივი აღებ-მიცემობა, ფეხს იდგამს მწერლობა და სხვა. ამასთანავე მრავლდება ქალაქები, იზრდება დაბა-სოფელი. მთელი საქართველო მიისწრაფება უმთავრეს და წვრილ ქალაქებისაკენ. ამით სხვა-და-სხვა კუთხე შეუმჩნეველათ უახლოვდება და უკავშირდება ერთმანეთს. ეს კიდევ არაფერი. ჩვენი ვაჭარი თვალ-ყურს ადევნებს ევროპიულ ვაჭრობას; ტყობილობს

სად რომელი საქონელია ძვირი, სად რა არის საჭირო; იბარებს დამუშავებულ საქონელს და გზავნის დასამუშავებელ მასალას. ასე გასინჯეთ, სოფლის მეურნეც კი ჩაიყოლია ამ მიმდინარეობამ, ის მოცილეობას უწევს მსოფლიო ბაზარში ევროპის მეურნეს, სიმინდით, პურით, ღვინით და სხ. ამისათვის იმას ძლიერ ეინტერესება უცხოეთის ამბები, მისი ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა. ერთი სიტყვით, ცხოვრებაში გაჩნდენ ახალი პირობები და განახლდა თვით ცხოვრება.

ამგვარათ, ახალმა ცხოვრებამ დაბადა ახალი მოთხოვნილება, წინ წამოაყენა ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, გაართულა და გაამრავალფერა პირვანდელი სადა ურთიერთობა, შრომა ეკონომიურათ დაჰყო ერის ნაწილთა შორის, ჩააყენა ქვეყანა მსოფლიო აღებ-მიცემობის კალაპოტში. სუყველა ამას თან მოსდევს ხალხის ნივთიერად გაერთიანება და საზოგადო კაცობრიობის ცხოვრებაში შესაფერი ადგილის დაჭერა. აი ამ საისტორიო გზას დაადგა ქართველობა; ჯერ მხოლოდ ერთი ბიჯი გადადგა ამ მხრით და მით ფეხი მოიმაგრა ახალ ნიადაგზე. ამით მიეცა შეურყეველი საფუძველი ქართველ ეროვნობას. ერი შეება საერთო ულელში, შეეჩვია ერთათ ცხოვრებას, ერთათ მოღვაწეობას; მომზადდა ნიადაგი გონებრივი ერთობისა; ქართველობა ერთი ყელ-სამბელით შებორკილი, ერთი ჯაჭვით შემოჯაჭვული, ფხიზლდება, საღი გონებით და მახვილი თვალით იხედება.

VI

თუ ჩვენი ერის აგებულებას დავაკვირდებით და მის წყობილებას გავსინჯავთ, ნათლათ დავინახავთ ერთ მეტათ რთულს და ამასთანავე დიდ საყურადღებო გარემოებას: ის წარმოადგენს, შაქრის თავივით, თავწვეტ სხეულს, რომელიც ძირისაკენ თანდათან განიერდება და სქელდება. ეს სხეული მით არის შესანიშნავი, რომ შემდგარია არა ერთ და იმავე, არამედ

სხვა-და-სხვა მასალისაგან. ამისათვის მთელ აგებულებასაც საშინელი სხვა-და-სხვაობის ბეჭედი აზის. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ყველა ნაწილების დაწვრილებით ანუსხვა და რიგიანათ გათვალისწინება საძნელო საქმეა. პირველათ, იმისთვის რომ ზოგიერთაგანი ჯერ მხოლოდ ჩასახულია და არავითარი გარეგანი ნიშანი არ ეტყობა; ზოგს კი არ დაუმთავრებია სრული ზრდა და მომწიფება. მეორეთ აქვე შევხვდებით მოუძლურებულ და მობერებულ ნაწილსაც, რომელიც ჟამთა მსვლელობას მეტ-ხორცათ გაუხდია და ადრე თუ გვიან უნდა მოსწყდეს სხეულს. მხოლოდ ჯერ კიდევ სიცოცხლის ნიშან-წყალი არ დაჰკარგვია სრულიათ, და ცხოვრების მსვლელობას ხშირათ აფერხებს და ერთ დონეზე აჩერებს. ამ მომაკვდავ ნაწილსაც დიდი ალაგი უჭირავს და თავისი უძრავი არსებით სხვა ნაწილებს ჩრდილავს. ამ ნაირათ, იმ სხეულის აგებულება, რომელსაც ჩვენ ერს ვუწოდებთ, ძლიერ ძნელი დასანაწილებელი და გამოსარკვევია, მაგრამ მაინც არ ვკარგავთ სრულ იმედს და ვეცდებით, სრულათ თუ არა, დაახლოვებით მაინც დავასურათოთ ერის დღევანდელი ყოფა-მდგომარეობა. აქ არ კმარა ვიკითხოთ: რა არის დღეს? არამედ უნდა გამოვარკვიოთ — რანაირ ცვლილებაშია დღემუდამ და რად უნდა გახდეს ახლო მომავალში?

გარეგანი შეხედულობით ქართველი ერი წარმოადგენს სამს ნაკეცს: მაღლა დგას უფლება-უპირატესობით მოსილი აზნაურობა, დაბლა გლეხ-კაცობა, შუაში კი სასულიერო წოდება[1]). თვითეულ მათგანს აქვს საკუთარი ზნე, ხასიათი, გონებრივი განვითარება, ზნეობრივი თვისებანი და სხ.; მუდამ უჭირავს ერთხელ განსაზღვრული ადგილი ცხოვრებაში, ასე რომ ქვედა საფეხურებზე მდგომი მაღლა ვერ აიწევს და ვერ შეანგრევს მიუდგომელ კედელს ზედა ფარგლისას. თვით ისტორიამ გაავლო ასეთი კედელი და დაბადა წოდებრივი მიუკარე-

[1]) ამ წოდების შესახებ ჩვენ აქ არ გვექნება სჯა-ბაასი, ვინაიდან ის არ წარმოადგენს სრულ დამოუკიდებელ ძალას ცხოვრებაში.

ბლობა. ამაზე აშენდა ურთიერთ შორის დამოკიდებულება: ერთი ბატონია, მეორე კი მორჩილი, ერთი მბრძანებელია, მეორე ყურ-მოჭრილი მონა-ამსრულებელი, ერთი ამპარტავნულათ და მრისხანეთ გადმოიცქირება მაღლიდან, მეორე კი მოკრძალებით იყურება ზევითკენ და უნებლიეთის შეცდომების მიტევებას თხოულობს. ერთი მუდამ ფუფუნებაში ატარებს წუთი-სოფელს, მეორე სულ მუდამ შრომა-გარჯაშია და მისი დასოკოვებული და ტყავ-ამძვრალი ხელის-გული ცხადათ ამტკიცებს მის მუდამ ტანჯვას და მწუხარებას. ერთი სიტყვით, აზნაურობა და გლეხ-კაცობა—ეს ორი შეურიგებელი ნაწილია ჩვენის ცხოვრებისა. მათ შორის სრული და ნამდვილი წოდებრივი განწყობილება სუფევს. მაგრამ ასეა ახლა ეს? გარეგნობით კი ასე გვეჩვენება. აბა ჩავიხედოთ თვით ცხოვრების სიღრმეში და გავიგოთ ამ ცხოვრების სინამდვილე.

ერის წოდებრივათ დანაწილება ისტორიული ცხოვრების ნაყოფია. ის ერი, რომელიც ისტორიულ ასპარეზზე არ გამოსულა და მისი სიმწარე-სიტკბოება არ უგემია, წოდებრივ განკერძოებასაც მოკლებულია. რა ისტორია უნდა ჰქონდეს ამერიკის ან აფრიკის ველურ ხალხს? ან რა წოდებრივი განსხვავება შეიძლება იმათში? მხოლოდ იქ, საცა კულტურა ფეხს იკიდებს, მყარდება ნიადაგი საისტორიო ცხოვრებისა. ამ ასპარეზზე მხოლოდ ის ხალხი იმარჯვებს და სხვებზე ბატონობს, რომელიც დაიყო ჯგუფებათ, დანაწილდა მათ შორის შრომა: ერთს მიენიჭა გარეშე მტრისაგან დაცვა, მეორეს მიწის შემუშავება, მესამეს მღვდელ-მოქმედება და სხ., ამნაირათ მოწყობილი ხალხი არსებობისათვის ბრძოლაში წელში გამაგრებული და გაღონიერებულია. იმას სხვა ვერ დასჩაგრავს, პირიქით, ის სხვებს ანადგურებს და სიცოცხლეს უსპობს. ამისათვის ბურთი და მოედანი იმას რჩება. დროთა-ვითარებაც ამგვარ ხალხს მფარველობას და პირველობას ანიჭებს. ამნაირათ ხალხის გუნდ-გუნდათ დაყოფა ისტორიულათ აუცილებელია, უამისოთ ეროვნული ცხოვრება შეუძლებელი იყო. ამასთანავე

ისტორიულ მიმდინარეობამ ამ დანაწილებას სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ფორმა მისცა. მაგ., ისტორიამ გამოიწვია მონობა. მაგრამ მანვე უარ ჰყო მისი არსებობა; ისტორიამ შვა ბატონყმობა, მაგრამ მანვე მოსპო და აღგავა დედამიწის ზურგიდან; ისტორიამ გააჩინა აზნაურობა, მაგრამ მანვე გარდაჰქმნა და გააქარწყლა დასავლეთ ევროპაში: ისტორიის ნაყოფია თანხის (კაპიტალი) ბატონობა (ევროპაში), მაგრამ... ჯერ არ დასრულებულა ეს პროცესი. რისთვის მოხდა ყოველივე ეს? საქმე ის არის, რომ ერის განვითარებას რამდენიმე საფეხური აქვს. ის, რაც პირველ საფეხურზე ცხოვრების წინ წამწევი და პროგრესიულია, მეორეზე და მესამეზე შემაჩერებელი, უკანდამწევი და რეგრესიულია. ამ შემთხვევაში ისტორია ადამიანის მიმართ ულმობელობას იჩენს. როგორც კი დაიბადება საზოგადოებაში ახალი ნიადაგი და ზედ ახალი კითხვები აღმოცენდება, ისტორია მაშინვე გადაუდგება ძველ წყობას და ემხრობა ახალს. უეჭველია, ჩვენი ერის, როგორც ისტორიულ ასპარეზზე გამოსული, ამავე კანონს უნდა ექვემდებარებოდეს.

VII

საქართველოს მუდმივმა სამხედრო მდგომარეობამ გაამრავლა და გააძლიერა უპირატესობით აღჭურვილი აზნაურობა. ის ედგა სათავეში ჩვენ ქვეყანას და ნამდვილი პირველობაც მას ეკუთვნოდა. მას ეპირა ხელში ჩარხის ტარი ჩვენი წალმა-უკულმა ტრიალისა, იყო ერის ხელმძღვანელი და მეთაური თვით-არსებობისათვის ბრძოლაში. აი, ამაში იხატება მისი ისტორიული ღვაწლი. დადგა XIX საუკუნე. საქართველო უერთდება რუსეთს. რუსეთი კისრულობს ქართველების დაცვას გარეშე მტრისა და შინაურ არევ-დარევისაგან. აზნაურობაც ამით ჰკარგავს თავის ისტორიულ დანიშნულებას. იგი რჩება უსაქმოთ. წინ უძევს ორი გზა: ან თავის მამულ-დედულში დაბინავება და ტკბილათ, უდარდელათ ცხოვრება,

ან სამხედრო-სამოქალაქო სამსახურში შესვლა და ეკლიანი გზის ამით გაკაფვა. ამ უკანასკნელს გაჰყვა მცირე ნაწილი აზნაურობისა; დანარჩენმა კი ლუარსაბ თათქარიძის მდგომარეობაში ამოჰყო თავი. მაგრამ ნეტარ-ხსენებულ ლუარსაბსაც ჩქარა გაუჭირდა საქმე, 19 თებერვლის რეფორმებით ყმები გამოეცალა ხელიდან, დარჩა მარტო-ხელა კაცი ადგილ-მამულებით. მამულს მოხმარება უნდა, ეს ძლიერ უჭირს და არ ეხერხება; მეორე მხრით, ცხოვრება და მისი მოთხოვნილება გაფართოვდა. ფული საჭირო შეიქნა. სად იშოვოს? აქ იწყება აზნაურობის კრიზისი. აქ იღებს სათავეს ის პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ არ დასრულებულა. შრომას და გარჯას შეუჩვეველი წოდება აძლევს მშრომელ ხალხს—გლეხ-კაცობას—მიწა-ადგილს შესამუშავებლათ და ღალას ღებულობს. ბატონს არ უყვარს ყველაფერს თვითონ ადევნოს თვალი. იმისთვის მხოლოთ ფულია საჭირო. ის უსაქმოთ დარჩენილი, ჩაითრია ცხოვრების მორევმა, გაეღვიძა და აღეძრა სხვა-დასხვა მოთხოვნილება, რაც მის წინაპრებს არც კი მოსიზრმეგიათ. ახალმა სიომ მოჰბერა ახალი ვითარება, ცხოვრების ახალი პირობები. მამულის შემოსავალი მოთხოვნილებასთან შედარებით მცირე იყო. ან ცხოვრება ვიწრო ფარგლით უნდა შემოეხაზა და მამული უკლებლათ შეენახა, ან ცხოვრებას აჰყოლოდა და მამული ხელიდან გაეშვა. აზნაურობამ ვერ შეიგნო დროს შესაფერი მოქმედება და მეორე გზას დაადგა. აქ მან ჩქარა იშოვა ხელის მომმართველი: „პრიკაზი“, ბანკები, კერძო ფულის პატრონნი ერთმანეთს ეჯიბრებოდენ, აბა რომელი მათგანი უფრო მიიზიდავს თავის ქისისაკენ მეტ რიცხვს „ბრწყინვალე წოდებისასო“. ამნაირათ ცხოვრების პირობებმა ჩვენი აზნაურობა ფულით გატენილ სკივრისაკენ მირეკა. რა-კი ერთხელ გაიგო ფულის გემო, მან ამ გზას აღარ გადაუხვია. ფული იხარჯებოდა, მამული კი ისევ გაყვრანებული რჩებოდა. მაგრამ ყველაფერს თავისი ზომა აქვს. როცა ფული უფრო მეტი იფლანგება, ვიდრე მამული იძლევა, მაშინ, რა-

საკვირველია, იწყება მიწა-ადგილის ხელიდან გაშვება, ნებით თუ უნებლიეთ ჩამორთმევა. ამ მიზეზით მოწინავე წოდება თანდათან ლატაკდება, მამა-პაპის ნაანდერძევი გამრჯელ და მწარმოებლის ხელში იკრიბება. ამ ჟამად ჩვენ ვხედავთ მრავალ აზნაურს უმიწა-წყლოთ, ღვთის ანაბარათ დარჩენილს.

არც მოხელეთა გუნდი ასცდა გაკირვებას. თუ ბატონყმობის მოსპობამდე მარტო გვარიშვილობა იყო საკირო სამსახურში შესვლისათვის (უფრო სამხედროში), შემდეგ კი გონების ცენზი შეიქმნა სავალდებულოთ. სწავლა-განათლება— ეს წინათ მეტ ბარგათ მიჩნეული[1]) —ეხლა სატრფიალო საგნათ გახდა აზნაურობისათვის. ის ცდილობს სკოლები დახსნას მთავრობის წყალობით. გემნაზიები, სამხედრო სასწავლებლები, დედათა სკოლები, სააზნაურო სასწავლებლები ამ ხანათ იმართება. აზნაურობას ბედმა გაუღიმა ახლა მაინც დავაბინავებთ ჩვენს შვილებსო. მაგრამ ამათთან ერთათ სასწავლებლის კარებს მიაწყდა სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი, უკეთ მომზადებული და დახელოვნებული გამოსაცდელ საგნებში. აზნაურობა ვერ უძლებს იმათ მოცილეობას და თან-და-თან კლებულობს იმათი რიცხვი სასწავლებლებში. ან კი საიდან შეეძლო გაღარიბებულ წოდებას შვილების აღზრდა? ამ ნაირათ, ასპარეზი ქართველ მოხელეთა შევიწროვდა, ისინი აქაც დამარცხდენ. იმათ ალაგს სხვები ჩადგენ... მხოლოდ უმცროსმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა ეს ალაგი. ამ სახით, აზნაურობამ ორ საშუალებას მიმართა თავის ღირსების და მდგომარეობის დასაცავათ: მიწა-ადგილის გაყიდვა-დაგირავებას და სამსახურს. მაგრამ როგორც დავინახეთ, ვერცერთმა ვერ გაამართლა მისი იმედები და გულ-დათუთქული დასტოვა.

ამ ჟამათ აზნაურობის სილრმეში იბადება და იზრდება ერთი ძალა. ამ ძალას თვით-მოქმედებას უწოდებენ. თუ განათლებულ ევროპიელს არ ეთაკილება ვაჭრობა, აღებ-მიცემობა,

[1]) ლუარსაბ თათქარიძის სიტყვით წერა-კითხვა დედაკაცის საქმეა.

ჩვენ რაღა ვართო, გაიფიქრა ერთმა ნაწილმა აზნაურობისამ და კიდევაც დაადგა მრეწველობის გზას. ერთი მხრით კავკასიის ბუნება უხვათ იძლევა მიწის მოსავალს, მხოლოდ ამ საქმეს მოწყობა და გაუმჯობესობა ეჭირვება; მეორე მხრით-თვით დედამიწის გულში მრავალგვარი მადნის სიმდიდრეა ჩამარხული და შეზავებული. ვინ უნდა დაეპატრონოს ამაებს, თუ არა შეძლებული აზნაურობა? ხოლო იქ, საცა თვითეული პირი უღონო და ხელ-მოკლეა, რამდენიმე პირების კრებული ძლიერი და ხელ-ღონიერია. აი ამ აზრმა იჩინა თავი ჩვენში-ამისათვის მოსალოდნელია აღებ-მიცემობა, მრეწველობა შეძლებულ აზნაურობას ჩაუვარდეს ხელში.

აქედან ჩვენ ნათლათ ვხედავთ, რომ ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ დიდი ცვლილება მოხდა მოწინავე წოდებაში. უმრავლესობა ხელ-ცარიელი რჩება, ღარიბდება; უმცირესის უმცირესობა, როგორც იყო, ცხოვრებას ეკედლება, მოხელეობის ასპარეზზე გამოდის. ხოლო ერთი მუჭა შეძლებულ მემამულეთა ადგება ევროპის მიერ გაკვალულ გზას თანხით წარმოებას და აღებ-მიცემობას. აშკარაა, რომ „ბრწყინვალე წოდება“ დანაწილდა, მისი აგებულობა გადასხვაფერდა და დღემუდამ გარდაქმნისკენ არის მიდრეკილი. მის სილრმეში ნივთიერათ საშინელი მეტ-ნაკლებობა აღმოჩნდა. რა არის საერთო, მაგალითათ, იმ აზნაურთ შორის, სადაც ერთი ათი-ათასობით ფულს ატრიალებს ხელში, ხოლო მეორეს კი ლუკმა-პურიც ენატრება? ისინი ნივთიერათ აღარ არიან დაკავშირებულნი, იმათ შორის დიდი ორმოა გათხრილი. მხოლოდ ერთი რამ აერთებს იმათ—ერთი თანასწორი უფლება-უპირატესობა, ესე იგი ტრადიცია იურიდიულათ განმტკიცებული. მაგრამ „საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობა არის ნამდვილი და უტყუარი საფუძველი, რომელზედაც მყარდება იურიდიული და პოლიტიკური წყობილებაო“—ამბობს კ. მარკსი. ამისათვის, თუ ჩვენ დღეს ვხედავთ რომ ეს ნივთიერად დაქუცმაცებული წოდება ერთი ქერქით. ერთი გარეგანი კანით არის შემოხვე-

ული, ეს ამის შეურყეველობას სრულიათ არ ამტკიცებს. ეს მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ცხოვრების დულილი ჯერ კიდევ ისეთი ძლიერი არ არის, რომ გარეთ გადმოხეთქოს და წალეკოს ყოველივე ის, რაც აფერხებს და ხელს უშლის მის ბუნებრივ მიმდინარეობას. და რომ ეს ასე უნდა მოხდეს ადრე თუ გვიან — ცხადია.

ახლა ვიკითხოთ, შეუძლია თუ არა მარტო ჩვენ შეძლებულ აზნაურობას შეებრძოლოს აღებ-მიცემობის საქმეში ევროპის თანხის-პატრონებს? „ამ ჟამათ გამოდიან მდაბიო ერის სიღრმიდან თითო-ოროლანი, რომელთაც კარგათ აქვთ აღებული ალღო დღეანდელი ვითარებისა და მრავლათ იგდებენ ხელში ქონებასა და დოვლათს“[1]). ცხადია რომ აზნაურნი მაწარმოებელნი გაჭირვების დროს ამათ ხელს გაუწვდიან და ძმურათ ეტყვიან: მოდით, მოგვაშველეთ თქვენი ფულით გატეხილი ქისები და ერთათ დავიწყოთ „ქვეყნის აშენების“ საქმეო. ამ სახით, ეს ორი სხვა-და-სხვა წოდების წარმომადგენელნი შეიძლება (ამას ეჭვი არ უნდა) ახალმა საქმემ და საერთო საშუალებამ, ე. ი. ფულმა და წარმოებამ, შეაერთოს, ხელი-ხელ გაყრილნი გამოიყვანოს ბრძოლის ასპარეზზე. განვიხილოთ, საიდან ჩნდება ეს მეორე ძალა ჩვენს ცხოვრებაში.

VIII

ყველასთვის ცხადია რომ გლეხ-კაცობა ბატონ-ყმობის მოსპობამდე ყოველად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. გლეხი ბატონის საკუთრება იყო. ის გაჰყიდდა, დააგირავებდა, გაარჩუქებდა, გაასამართლებდა, დასჯიდა და სხ.. ის პიროვნება არ იყო. გლეხის შემოსავალი ნახევარზე მეტი ბატონს მიჰქონდა; ის ხნავდა, თესავდა და ინახავდა ბატონს. ოჯახში თუ ორი მამაკაცი იქნებოდა, ერთი ბატონთან უნდა ყოფილიყო მოსამსახურეთ. ბატონის ნება-დაურთველათ გათხოვება,

[1]) „ივერია“ 93 წ. № 22 მეთაური წერილი.

ცოლის შერთვა, გაყრა შეუძლებელი იყო. რაკი გლეხი სრულიათ დამოკიდებული იყო თავის ბატონ-პატრონზე, აშკარაა, რომ მისი შრომა არ იქნებოდა თავისუფალი. აქ შრომა ბორკილ-დადებული, შებოჭვილი იყო. ყმა თუ შრომობდა, შრომობდა ბატონისათვის, თუ რამეს თავისთავათ შეიძენდა, მეორე დღეს იმას ბატონი ისაკუთრებდა. ერთი სიტყვით, ყმას საკუთარი არა გააჩნდა-რა, ყმაც ბატონისა იყო და მისი ქონებაც. „გოგოც ჩემია და მისი ჩითმერდინიცაო“ — ამბობს ლუარსაბის მეუღლე დარეჯანი[1]). დადგა დრო ბატონ-ყმობის გაუქმებისა. 19 თებერვლის რეფორმებით კაცი კაცათ იქმნა აღიარებული. მოისპო ერთი სამარცხვინო მიზეზი ადამიანის უფლების გაქელვისა და შეურაცყოფისა. „ერთს ჩამოერთვა ის, რაც სიმართლე-ს შეურაცყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უსამართლოთ წართმეული ჰქონდა“[2]). ყმა განთავისუფლდა ბატონის დამოკიდებულებისაგან. მაგრამ ეს განთავისუფლება სრული არ იყო, ბოლო მოკვეცილი დარჩა. გლეხი გამოუშვეს ცხოვრების სარბიელზე უმიწა-წყლოთ, — წადი, როგორც გსურს, ისე იშრომე და იცხოვრეო. გლეხს, რასაკვირველია, ასე ღვთის ანაბარა დარჩენილს, ცხოვრება არ შეეძლო, მისთვის აუცილებლათ საჭირო იყო სამოსახლო და სახნავ-სათესი მიწა. აი ამ „მოწყალებას“ აძლევენ ბატონის მამულიდან და გლეხიც იქ ბინავდება. სამაგიეროთ ის იხდის წელიწადში ყოველივე შემოსავლის მეოთხედს (ცოტა ფულსაც) ბატონის სასარგებლოთ[3]). რაც უნდა იყოს, გლეხი გახდა სრულიათ დამოუკიდებელი: ის შეიქნა ერთათ-ერთი პატრონი საკუთარის ძალ-ღონისა, საკუთარი შრომისა და მონაგარისა, მას ახლა თავისუფლათ შეეძლო მოეხმარა თავისი

---

[1]) „კაცია-ადამიანი?!“ ამ საგნის შესახებ იხილეთ მეტათ საყურადღებო წიგნაკი ხახანაშვილისა „ბატონ-ყმობა საქართველოში“.

[2]) „ცხოვრება და კანონი“, ი. ჭავჭავაძისა. „ივერია“ 77 წ. წერილი პირველი.

[3]) ib.

შრომა, შეემუშავებინა მხოლოდ „საკუთარი“ მამული. ამაში გამოიხატა დედა-აზრი ახალი რეფორმებისა. აი აქ არის სათავე იმ ეკონომიურ ცვლილებისა, რომლის მოწამე ჩვენ ვართ დღეს. **განთავისუფლება შრომისა** —აი რა დაედვა საჩრდილათ ახალ ცხოვრებას, აი სად სცემს დედა-ძარღვი ახალი ურთიერთობისა და ვითარებისა. რაკი გლეხმა თავისუფლება ხელთ იგდო, ის გაექან-გამოექანა, მიდგა-მოდგა ცხოვრებაში და მედგრათ შეებრძოლა ცხოვრების აზვირთებულ ტალღებს. იმან აქ იგრძნო თავის თავი მარტო-ხელათ, უმწეოთ, განცალკევებულათ. მიიხედ-მოიხედა გარშემო და დაინახა, რომ ყველა ცალკე შრომობს, ერთმანეთის დაუხმარებლათ, თვითეულათ იბრძვიან ლუკმა-პურისათვის. ამნაირათ, ხალხის გულში ამოხეთქა ახალმა დედა-აზრმა: განცალკევებამ, განთვითებამ, ინდივიდუალიზმმა. ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოთ ერთის მეორესთან, ერთისა ყველასთან, ყველასი ერთთან. ბრძოლა ლუკმა-პურისთვის, ბრძოლა—აი რას მოჰყავს მოძრაობაში დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი. ყველა თავის ინტერესებს ხედავს, თავის სარგებლობას ეძებს, თავისთვის იბრძვის. პირადობა, თვისი „მე“ საშინელი ძლევა-მოსილობით გამოდის მოედანზე—და ძირიანათ არღვევს ჩვენს ცხოვრებას; ის, ვინც მეტი გამრჯელი, ხერხიანი და უნარიანია, ბრძოლაშიაც, რასაკვირველია, იმარჯვებს და ცხოვრებას ასე თუ ისე ეკედლება. იმას „ცა ქუდათ მიაჩნია და დედამიწა—ქალამნათ“.

აქ იწყება გლეხ-კაცობის ქონებრივი დანაწილება. თუ კი ერთი თან-და-თან წელს იმაგრებს და ღონიერდება ნივთიერათ, სამაგიეროთ მეორე უძლურდება და ღატაკდება. თუ კი ერთი ხელში იგროვებს ქონებას და დოვლათს, სამაგიეროთ მეორეს ხელიდან ეცლება და სამუდამოთ ჰკარგავს. ერთის სიმსუქნე მეორეს სიმეკლევეზე არის აშენებული, ერთის ძლიერება მეორის სისუტეა, ერთის ბედნიერება მეორის უბედურებაა. დიახ, ამას მოითხოვს მტკიცე და შეუბრალებელი ეკონომიური კანონი და ამის ჰახრაკში უკვე გაჰყო თავი ჩვენმა ერმა საერ-

თოთ და გლეხ-კაცობამ კერძოთ. ამ მიზეზით გლეხ-კაცობა იყოფა ორ მეტ-ნაკლებ ნაწილათ: უმცირესს „კარგათ აქვს აღებული ალღო დღევანდელი ვითარებისა და მრავლათ იგდებს ხელში ქონებას და დოვლათს“, ხოლო უმრავლესობა, სიღარიბისაგან ილაჯ-გაწყვეტილი და არაქათ-გამოლეული, თან-დათან წელში იხრება და სიღატაკის მორევში ეშვება. ნამდვილი არის ეს? აბა ჩავიხედოთ ლიტერატურაში.

IX

როგორც კი ახალმა დედა-აზრმა—ინდივიდუალიზმმა—ცხოვრების კედელი შემოანგრია, მის სიღრმეს მისწვდა და დაიწყო თავისუფალი ნავარდობა, ხალხმა ეს მაშინვე იგრძნო, მიხვდა, რომ რაღაც არა-ჩვეულებრივი შემოეპარა, და ყურები აცქვიტა. მიიხედ-მოიხედა და რა ნახა? ნახა, რომ ყველას რაღაც თავს წასწოლია მაჯლაჯუნასავით და სულს უხუთავს. მაგრამ რა არის ეს „რაღაცა“, რაში მდგომარეობს მისი არსებითი ძალა ან საიდან მომდინარეობს, ვერ გაეგო, აქ გონიერებამ უღალატა. ხალხი ხედავდა თითო-ოროლა პირს, რომელნიც მას უმოწყალოთ სცარცვავდენ და მაშინვე ხმა-მაღლა მოართო ყვირილი: აი ესენი არიან ჩვენი უბედურობის მიზეზი, მოგვაცილეთ თავიდან და ბედნიერი შევიქნებითო. ამ ნაირათ მთელ სისტემას ახალი ცხოვრებისას რამდენსამე პირს თავზე ახვევდენ, ესენი არიან დამნაშავენიო. ან კი როგორ უნდა მოეაზრათ, რომ ახალი პრინციპი თავისი ძლევა-მოსილებით აღემატება ყოველივე ძალას ადამიანისას, რომ მისი შეკავება და გზის გადაღობვა ოცნებაა და არა ნამდვილი საშუალება. გაისმა ხალხში გლოვის ზარი, მოჰყვნენ ოხერას და გოდებას. ეს მოძრაობა მწერლობაშიაც გამოიხატა. 61 წლიდან იწყება ლიტერატურაში დაუსრულებელი მგლოვიარობა. რაც წინ მიდის დრო, მით უფრო გმინვა-გოდება ძლიერდება და თავისს უმაღლეს წერტილს აღწევს 76—89 წ. წ. აქედან კი, თითქო

საზოგადოება შეეჩვია მოვლინებულ „ჰირსაო“. ეს ხმა სუსტ-
დება და ბოლოს ქრება. ახლა ფეხს იდგამს ბელეტრისტიკა,
რომელიც გვიხატავს ხალხის ცხოვრებას, მისს გაჭირებულ მდგო-
მარეობას და გვიწოდებს, მოდით ნახეთ, როგორ ირღვევა
ჩვენი ცხოვრებაო[1]). ახლა გადავავლოთ თვალი ძველ და ახალ
მწერლობას და გავიგოთ გლეხის გარემოება.

ჩაიხედეთ რომელსამე კახეთის სოფელში (თუნდა
თვით თელავშიაც), მიიხედ-მოიხედეთ რა სხვა-და-სხვა და
ერთი მეორის წინააღმდეგი სურათები წარმოგიდგებათ: ერთი
მხრით ხედავთ, რომ მშვენიერი ორ-სართულიანი სახლი ევ-
როპიულათ აშენებული დგას. მეორე მხრით კი გვერდზე
წამოწოლილი ქოხი, რომელიც საქათმეს უფრო მიემგზავსე-
ბა, ვიდრე სახლს, ერთი მხრით ჰხედავთ აუარებელ სიმდიდ-
რეს. ზოგჯერ ისეთს, რომ პატრონს გაუნათლებლობის გამო
ვერც კი მოუხმარებია, მეორე მხრით საშინელ სიღარიბეს და
სისაწყლეს! ერთი მხრიდან გესმით სიმღერა და ხარხარი, მეო-
რე მხრიდან მწუხარება და ტირილი“[2])!... „1890 წელს
თითქმის სათითაოთ დავიარე ზემო-ქართლის სოფლები და
ყველგან ერთი და იგივე მესმოდა: იმდენი არ მოგვივიდა
ჰირნახული, რომ ღალა მოვიშოროთო. ბოლოს აღმოჩნდა,
რომ თურმე აგრე სახარბიელო მოსავალი არც წინა წლებში
მოსულიყო. ეს შვიდი წელიწადი იქნება, რაც ჩვენ მოსავალი
არ მოგვსვლიაო, მიპასუხეს გლეხებმა“[3]). „მომეტებული ნა-
წილი მცხოვრებთა ქანც-გაწყვეტილია ბალახეულობით კვები-
საგან (კახეთში), ბევრგან სხვა და სხვა ავათმყოფობამ თავი
იჩინა და მუსრს ავლებს ამ დასუსტებულ ხალხს“[4]). „შო-
რაპანი: უმეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადოების მცხოვრებთა

---

[1]) ამ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელი არის ბ. ე. ნი-
ნოშვილი, შემდეგ ბბ. შ. არაგვისპირელი, დუტუ მეგრელი და მელანია.

[2]) „ივერია“ 1878 № 13.

[3]) „ივერია“ 1893 № 71.

[4]) ih. № 79.

ღარიბია. პურს იშვიათათ თესვენ. ყველა სიმინდს ეტანება, მაგრამ კარგ ამინდშიაც წლის სარჩო თითქმის ვერავის მოჰყავს. ამ საზოგადოების ავლა დიდება ღვინო იყო და ამანაც ბოლო წლებში ძალიან იკლო"[1]). „გლეხის ოჯახი საზოგადოთ წარმოადგენს უბუხრო ფიცრულ სახლს, რომელშიაც შენიშნავთ რამდენსამე სამფეხა სკამს და ან ხის გადანაჭერ მორგვებს „ჯორგოებს", ცოლის ნამზითევ დამტვერიანებულ ფარდაგს, ჭილობს, რამდენსამე დაწვირიანებულ დაბამბულ საბანს და მიუცილებელ წვრილ-წვრილ ხაბაკებს. ამ ავლა-დიდების პატრონს ცოლშვილი სანახევროთ ტიტველა უყრია არა თუ სახლში—შინაობაში, არამედ გარეთაც კი. ასე წარმოიდგინეთ, თემობაშიაც კი შეხვდებით ფეხ-შიშველა ქალებს... თვით სახლის უფროსი, მამა, ყოველ ცისმარე დღეს, დარში და ავ-დარში, თავ-ფეხ-ტიტველა, ეზიდება და ეზიდება შავ-ქვას თავის ცხენებით იმ იმედით, რომ დღეს არა, და ხვალ წელში გავიმართები და ოჯახს ვუპატრონებო"[2]). ასეთი ამბებით ავსებენ ჩვენს გაზეთებს სოფლის მეთვალყურენი. ამნაირათვე ჰხატავს ბელეტრისტიკა გლეხის მდგომარეობას.

„ნაბატონარი გლეხი, გიგოლა ნალეკარიშვილი, როგორც ეხლანდელი გლეხ-კაცობის უმრავლესობა, ძალიან ხელმოკლეთ და ღარიბათ ცხოვრობდა თავის ცოლით და წვრილი შვილებით. მამეული „ნადელი" ბევრ ნაწილათ ოჯახის გაყრისა და მამულის გაყოფის გამო თითქმის არაფერი დარჩომოდა. ერთი კალოს ტოლა ვენახი, პატარა ბალჩა, ჩალა დაფარებული წნული სახლი პაწია ეზოთი, ორი ხარი—აი მთელი ამისი უძრავი და მოძრავი სარჩო-საბადებელი, შინაური ვეჯის და ქათამ-წიწილის გარდა, რომელიც არა იყო რა სათქმელი"[3]). გოგია უიშვილი ცხოვრობს „პატარა მეკვარტლი-

[1]) ib. № 207.

[2]) „ივერია" 1893, № 94. „შორაპნის მაზრა". ასევე სწერენ: „ივერია" 1892 № 94, 1893 წელს №№ 31, 36, 67, 200, 222; „Новое Обозрение" 92 წ. აპრილი და სხ.

[3]) „ივერია" № 90. 1893. მოთხრობა „გიგოლა ეირაზე".

ვ-ით გაშავებულ ფიცრის სახლში, რომლის ავეჯ-სამკაულს შეადგენენ ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთები: ოღრო-ჩოღრო ფიცრის ტახტზე ეწყო ჭილობი, ძველი ჭუჭყიანი ლეიბი, ასეთივე საბანი და ბალიში (მუთაქის მაგიერათ ხის ძირკვი ედო). ქვედა კუთხეში ერთმანეთში არეულიყვნენ ერთი დიდი და ერთი პატარა თუჯის ქვაბები, ქვის კეცი და ორი პირ-მოტეხილი დოქი. იქვე თაროზე ეწყო ათი-თხუთმეტი-ოდე ხის ჯამი, ხისავე ფილი და გობი, ზევით კუთხეში, ერთ მხარეს ეგდო ცული და წალდი, მეორე მხარეს იდგა ერთი დიდი და ერთი პატარა გოდორი; საცეცხლურში ეკიდა მკვარტლისაგან გაშავებული ხის კავი. აი ამით თავდებოდა გოგია უიშვილის სახლის ავეჯეულობა[1]... „შეიძლება ზოგს ეგონოს ღარიბი ცოტას მუშაობს? მაგრამ არა, ჩემო მკითხველო, ღარიბი დილით საღამომდინ დაუსვენებლივ მუშაობს, მაგრამ მაინც ისევ ღარიბია“[2])... „მუშა გლეხს რაც უნდა დარი იყოს, მაინც არ შეუძლია მოისვენოს: გლეხმა კარგათ იცის, რომ მოსვენება და სატანჯველის მოშორება უარესს სატანჯველს შეახვედრებს და ამიტომ არას დროს არ მოისვენებს“[3])...—ამბობს ბ-ნი ნინოშვილი. „მოსვენება კარგია, შვილო, მარა ვინ მოგასვენებს! მებატონეს, მღვდელს, ხელმწიფეს, ოჯახს, მტერს, მოყვარეს, ყველას პასუხის გაცემა უნდა. ძნელია მუშის გული“—ნაღვლიანათ ეუბნება გლეხი ივანე თავის ვაჟს ნიკოს[4]).

აი რა ნაირ სამწუხარო სურათს წარმოადგენს გლეხის მდგომარეობა. ის მუდამ ღარიბია. რა არის ამის მიზეზი? რასაკვირველია, პირველათ უმამულობა. ის სხვის მიწაზე ცხოვრობს, ხნავს, თესავს და სხ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ აზნაურობას ქონდა მამული, მიუხედავათ ამისა უმრავლესობამ ხელიდან

[1]) „რამდენიმე მოთხრობა“ ე. ნინოშვილისა. 15—16 გვ.
[2]) „ივერია“ 1878 წ. № 13.
[3]) „რამდენიმე მოთხრობა“ 97 გვ.
[4]) ib. 112 გვ.

გაუშვა და გაღარიბდა. რუსეთში ბევრ ალაგას მიწის საზოგადო მფლობელობაა, ე. ი. მიწა სოფელს ეკუთვნის და საკმარისათ არის განაწილებული. მთელ რუსეთში თვითეულ გლეხკაცს საკომლო მიწა ხვდება 12,$_{33}$ დესიატინა, თვითეულ მამაკაცზე მოდის 4,$_{1}$ დესიატინა. მაგრამ „მიწის ნაწარმოები გლეხის არსებით საჭიროებასაც ვერ აკმაყოფილებს“ — იწერება რუსულ გაზეთის კორესპონდენტი[1]), რის გამო საშინელი შიმშილობა დაატყდა თავს. სტავრაპოლის გუბერნიაში „თითო სულს მიეცა ნადელათ 19 დესიატინა, ანუ 38 დღიური და დღეს ათ პროცენტს გლეხობისას ერთი ნაჭერი მიწაც აღარა აქვს“[2])... 1891 წლის რუსეთის „საგლეხო ბანკის ანგარიშიდანა სჩანს, რომ ამ წელს ბანკს დარჩენია 90,606 დღიური მიწა; წარმოიდგინეთ, იმ წელს, როცა მთავრობამაც დიდი შეღავათი მისცა მოუსავლობისგან დამშეულ ხალხს ბანკის ვალის გადახდაში, 100 ათასი გლეხი სტოვებს თავის მიწა-წყალს და კუჭმშიერი გარბის ხვა-და-სხვა შორეულ მხარეს, სოფლათ და დაბა ქალაქებში ქუჩა-ქუჩა ლუკმა-პურის საშოვნელათ“[3]). ერთობ, რუსეთის გლეხ-კაცობის გაღატაკება საშინელის ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. ის მუდამ სტოვებს თავის მიწა-წყალს და სხვაგან ეძებს სარჩოს. ჩვენში კი, მაგ. ქუთაისის გუბერნიაში, ყოველგვარი შამული: ეზო, ვენახი, სახნავ-სათესი, ტყე, საბალახო და უვარგისი მიწები თვითეულ კომლს გლეხისას ხვდება 4,$_{23}$ დესიატინა, თვითეულ მამაკაცს 1,$_{28}$ დესიატინა[4]). მთელ ქართლში გლეხთა საკუთრებამ იქნება 5% ვერც კი შეადგინოს[5]). მიუხედავათ ამისა ჩვენი გლეხ-კაცობა ჯერ კიდევ არ დაძრულა თავის ადგილიდან (რუსეთთან შედარებით) და კერას არ მოსცილებია, სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? ჩვენი

---

[1]) „ივერია“ 92 წ. № 28.
[2]) „ივერია“ 93 წ. № 77.
[3]) ib. № 70.
[4]) „ივერია“ 92 წ. № 28.
[5]) „ივერია“ 93 წ. № 71.

აზრით ის **დამარღვეველი პროცესი**, რომელიც რუსეთის ხალხს საფუძველს ურყევს და თავის მამულ-დედულიდან სდევნის, ჩვენში ახლათ ფეხ-ადგმულია, სრულ ზრდას და განვითარებას მოკლებულია ჯერ-ჯერობით. ამისათვის მისი მკაცრი გავლენა სუსტი და ფერ-მკრთალია[1]).

რაში იხატება ეს პროცესი?

X

„ქიზიყის სილარიბის და ნივთიერათ დაცემის მიზეზი, სხვათა შორის, ის იყო, რომ ყველა სოფელში იყვენ და ახლაც არიან გამართულნი რამოდენიმე დუქნები სხვა-და-სხვა საქონელითა. ქიზიყელი დედა-კაცები იპარავდენ სახლში სარჩოს და მიარბენინებდენ დუქანში. ვაჭრები რაღას შერებიან? ორი და სამი თუმნით იგირავებდენ ვენახებს, რამდენიმე წლის განმავლობაში სარგებლობდენ მოსავლით და მერე კიდევაც ისაკუთრებდენ და ახლა სილნაღის მაზრაში მრავალი ვენახები უჭერიათ ამ ვაჭრებს"[2]). „ვაჭრების წყალობით მრავალი გლეხ-კაცი სრულიათ გაგლახავდა... ისინი იფანტებიან ზაქათალის მაზრის ყველა სოფელში, სადაც მოშორებულნი არიან ყოველგვარ ზედამხედველობას და სცარცავდენ ხალხს[3]). „ხიდის-თაველების მშვენიერი შეკაზმული ვენახები და სახნავი მიწები სულ იმათ (სომეხთ) და ორიოდე ჩვენებურ ბობოლების ხელშია"[4]). „სილნაღს რის დარდი აქვს: მოვა მოსავალი სიხარულით აღარ არის, არ მოვა კიდევა და უფრო მხიარულობს. ერთსა და მეორე

---

[1]) ამბობენ: ქართველ გლეხს განსაკუთრებითი ხასიათი აქვს: ის მამა-პაპეულ მიწას არ მეეშვებაო. გერმანელი გლეხიც ამ თვისებით იყო განთქმული, მაგრამ ურიცხვმა დასტოვა სოფელი და ქალაქებს მიაწყდა. საზოგადოთ „კუპის საქმე" უფრო ძლიერია, ვიდრე ტრადიცია.

[2]) „ივერია" 1878 წ. № 17.

[3]) ib. № 30.

[4]) ib. № 28.

შემთხვევაშიაც ადვილათ ახერხებს იოლათ წასვლას, ქონების შეძენას, ამისი უნარი და შნო სილნაღს დიდი აქვს. ერის გაჭირვებაცა და ლხენაც ამისი ვის დღესასწაულია, ქორწილია, აღდგომაა. აი როცა მოუსავლობით ხალხს გაუჭირდება, სილნაღს ყოველივე ბევრი აქვს და სისხლის ფასათ აძლევს. ეს ქალაქი თავის მაცხოვრებელ მაზრას ლუკმა-პურს ართმევს და სწველის ოსტატურათ, მოხერხებით... ოთხ აბაზზე მეტს სარგებელს აძლევს (გლეხი) თუმანზე თვეში და კიდევ უხარია, ემადლიერება ფულის პატრონს, რომ ასე იაფათ იშოვა. ოთხი თვის შემდეგ, ე. ი. მკათათვეში, პური უნდა მისცეს ფულის პატრონს, კოდი მანათათ. რომ არც წელს მოუვიდეს პური, მაშინ? მაშინ ხომ ყმათ გაუხდება ფულის პატრონს სამ თუმანში. ამაზე მეტ უკიდურეს მდგომარეობამდე კიდევ ვინდათ მივიდეს ხალხი?“ [1]).

ბ. ე. ნინოშვილი საუცხოვო ხელოვნებით გვიხატავს სოფლის ბობოლათა ტიპს, რომელსაც ღრმათ აქვს გადგმული ფესვი ჩვენს ცხოვრებაში. „...აა, შენ წაწყმედილო ქვეყნის ულაპიავ, რას მერჩი, რას!“ ეუბნებოდა გლეხი სიმონა დავითს. „ხალხი მისცვივდა სიმონას და მიაფარა პირზე ხელი:

— ბიჭო, ხომ არ გადირიე, თავადიშვილი ვერ გაუბედავს ამას მაგისთანა სიტყვებს! შენი ტოლი ხომ არ გგონია! გაჩუმდი! გაჩუმდი!...

— შენ მებრალები, თვარა ამას (სიმონას) ასტავლიან ჭკუას, იმისთანა ადგილზე ჩავაჯენ„—ეტყოდა დავით სიმონას დედას, როდესაც ის ბოდიშს მოიხდიდა მის წინაშე: „აპატიე, ბატონო, ბალანაია, უჭკუოა“-ო. როდესაც სიმონა თავის სახლში ლანძღვას დაუწყებდა დავითს, დედა მივარდებოდა და მუდარების კილოთი ეტყოდა:—„შვილო, ნუ მეთქინ, ნუ იტყვი ამისანას. შვილო, ჩვენ ობოლი ვართ და იგი ნეფის ტოლი კაცია, რომ მოინდომოს, ერთის სიტყვის თქმით დაგვლუპავს“ [2]).

---

[1]) „ივერია“ 93 წ. № 77.

[2]) „სიმონა“ ე. ნინოშვილისა.

ვინ არის ეს დავით, რომლის წინაშე ასე მოწიწებით მუხლს იდრეკს მთელი ხალხი? საიდან მოიპოვა ამ „ნეფის-ტოლ“ კაცმა იმდენი ძალა, რომ ერთის სიტყვითაც შეუძლია სიცოცხლეც ჩაუმწაროს ადამიანს? შეიძლება მის წინაშე იმისთვის ძრწის ხალხი, რომ უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელი იყოს ან საზოგადო ღვაწლ-მოსილი და ხალხის სარგებლობისათვის თავ-დადებული? არც ერთი და არც მეორე. მაშ ვინ არის?

აი რას მოგვითხრობს თვით ავტორი დავითის ვინაობის შესახებ: „დავით დროიძე გლეხი იყო, ერთი აზნაურის „ნაკაცვარი“. ყმაწვილობისას დავით ვიღაც ნიგვზის ხეებით მოვაჭრე ბერძენთან იდგა, ჯერ მოჯამაგირეთ და მერე „პრიკაშჩიკათ“. შემდეგ, როცა ბერძენი თავის ქვეყანაში წავიდა. დავითმა თითონ დაიწყო ნიგვზის ხეების ყიდვა-გაყიდვა... რაზდენიმე ხნის შემდეგ დავითმა დაანება თავი ხის ვაჭრობას და სიმინდის ვაჭრობას ხელი მიჰყო. ამ ვაჭრობამაც კარგა ბლომათ შესძინა ფული დავითს... უკანასკნელ, დავით მობრუნდა სოფელში, შეიყიდა თავის მებატონესაგან საკომლო მიწები, გაიკეთა კარგი „ოდა“ (სახლი) და გაიჩინი ცოლშვილი. თუ რამ „საფოდრათო“ გამოჩნდებოდა, დავით თავის ხელიდან არ გაუშვებდა. თუ არა და ცხოვრობდა ფულების პროცენტით—ფულებს მეზობლებში ასესხებდა... დავითმა გაიკეთა თავის სოფელში „დუქანი“. ის აქედან იგებს ფულს და მისმა უფროსმა ვაჟმა მახლობელ ქალაქში დაიწყო ვაჭრობა „მანიფაქტურით“. მიწაადგილს დავით თან-და-თან იძენდა, ასე რომ „ბოლო დროს კარგი მამულის პატრონი თავადისთვის შეეძოლო ხელის გაწვდენა“, რისთვისაც „აზნაურის ოჯახს“ უწოდებდენ მის სახლობას[1]). აი ვინ არის დავით. იმას კარგათ „აუღია ალღო დღევანდელ ვითარებისა და მრავლათ მოუკრებია ხელში ქონება და დოვლათი“. ამისათვის „ნეფის-ტოლ“ კაცათ გამხდარა სოფელში. ეს ერთხელ ღარიბი გლეხი, ახლა მთელის სოფლის ბატონათ შექმნილა. მას ყურ-მოკრილ მონათ გაუხდია ხალხი.

[1]) ib.

დავითს და ხალხს შორის დიდი ორმოა ამოთხრილი. ერთს მხარეზე დგას მბრძანებელი, მეორეზე მონა-მორჩილი: ერთისაკენ მოგროვილა სიმდიდრე და ძლიერება, მეორისაკენ სიღარიბე და უძლურება. ერთი სიტყვით, დავითს და დანარჩენ გლეხებ შუა ხიდია ჩატეხილი. „დავით თავის სოფელში პატარა მეფეა“ [1]).

გადაიკითხეთ „ივერიაში“ სხვა-და-სხვა სოფლიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები, რომელიც აგვიწერს ჩვენი სოფლების დღიურ ვარამს, მისი ცხოვრების ავ-კარგიანობას და თქვენ დაგვერწმუნებით, რომ დავით ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილია, ნამდვილ ნიადაგზე არის შექმნილი და აღმოცენებული.

ამნაირათ, ახალი ცხოვრება დამყარდა ახალ საფუძველზე. მისი არსებითი თვისება ფული შეიქმნა. „არ იცით, რომ სიცოცხლე ბრძოლაა? — ეკითხება დავით დროიძის ვაჟი ტიტიკო ძმებს: — ბურთი და მეიდანი. იმას რჩება ვინც მძლავრია. სიმძლავრე ანუ ძალა ეხლანდელ დროში ფულია [2]). ფულის შეძენის უფლება, ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ, ყველას მიეცა. რაკი ეს ასე მოხდა, ცხადია, რომ ყველა თანასწორათ ვერ შეიძენდა. ამიტომ მიუვალ კედლით შემოზღუდული წოდება შეირყა. მის გულ-ღვიძლში ჩაჯდა დანაწილების მატლი. გლეხ-კაცობაშა ჩნდებიან ერთი მხრით დავით დროიძე, მეორე მხრით სიმონა. რა აქვთ ამ პირთ საერთო? სრულიათ არაფერი. რამდენათ დავით მაღლა დგას ქონებით, იმდენათ სიმონა დაბლა არის. ფულმა დაიმონავა უფლება, შეძლებამ სიღარიბე, მძლავრმა — სუსტი. აქ ამიერიდან წოდებაზე აღარ არის ლაპარაკი, ის de facto აღარ არსებობს. მისი ალაგი ფულმა დაიჭირა. მდიდარი ხარ, მაღალ წოდებას ეკუთვნი, ღარიბი — დაბალს. დავითს „კარგი მამულის პატრონი თავადისთვის შეეძლო ხელის გაწვდენა“. გლეხ-კაცობა (როგორც აზნაურობა) ირღვევა, ნაწილდება ორათ: გლეხი მდიდარი და გლეხი ღარიბი.

[1]) ib.

[2]) „სიმონა“.

ესენი ნივთიერათ დაცალკევებულნი არიან, საერთო მხოლოთ ძველი მოგონება დარჩენიათ, ის რომ ერთხელ ორივე თანასწორათ ატარებდენ ცხოვრების მძიმე უღელს. ამიერიდან გაქრა ის დრო, ისტორიას ჩაბარდა.

XI

მეტყვიან: გლეხი ღარიბი, გლეხი მდიდარი, ორივე გლეხია, ორივე თანასწორ მოვალეობას ასრულებენ, ორივეს ერთი და იგივე უფლება აქვსო, განვიხილოთ, რამდენათ ჭეშმარიტია ეს აზრი.

რაკი გლეხ-კაცობა ეკონომიურათ დანაწილდა, უფლებამოვალეობითაც უნდა დანაწილებულიყო. ქვეკუთხედს ადამიანის ცხოვრებისას ქონებრივი მდგომარეობა შეადგენს. ქონება და უფლება —ეს ორი მხარეა ერთი და იმავე მოვლენისა. ისინი ისე მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი, რომ ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს. ვინც თავის ხელში სიმდიდრეს აგროვებს, ის ამით უფლებასაც იძენს. ქონება თავისკენ იზიდავს უფლებას, თუ შეიძლება ასე ითქვას. შინაარსს ფორმოთ არსებობა არ შეუძლია. საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ (1789) დაამხო ძველი წოდებრივი განწყობილება და დაამყარა ახალი. ძმობა, ერთობა, თავისუფლება—აი რა ეწერა მის დროშაზე. მაგრამ ჩქარა აღმოჩნდა, რომ უფლებით თანასწორობა ვერ გააბედნიერებს ქვეყანას და თვით ეს თანასწორობა ფიქციაა. ხალხი გათანასწორებული de jure დარჩა გაუთანასწორებელი de facto, რისთვის? იმისთვის რომ ნამდვილი უფლება იმან მოიპოვა, ვინც ქონებით გაძლიერდა: ერის წეს-წყობილების სათავეში შეძლებულნი ჩადგენ და კანონ-მდებელნიც თვითვე შეიქმნენ. ამ მწარე სინამდვილემ გამოაშკარავა და ყველასთვის თვალ-საჩინო გახადა ერთი ჭეშმარიტება: **ეკონომიური ურთიერთობა არის საფუძველი უფლებრივი ურთიერთობისა**: ამას ვერც ჩვენი ქვეყანა ასცდება.

ორი ერთი და იმავე წოდების წარმომადგენელი, ნივთიერათ განსხვავებული, უფლება-მოვალეობითაც განსხვავებულია. აქ ცხოვრების სინამდვილე არ ეთანხმება იურიდიულ სინამდვილეს. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ დავითს და სიმონას ერთნაირი უფლება, თანასწორი ხმა ჰქონდეთ საზოგადოებაში? ორივე გლეხია, ორივეს ერთი ულელი აწევს კისერზე. მაგრამ დახე ბედის წერას? რაღაც მანქანებით დავითი სრულიათ თავისუფლდება ამ მოვალეობისაგან. ის იძენს უაღრეს უფლებას. დავითი „სასულიერო წოდების კაცათ ჩაეწერა, თუმცა არავის ახსოვს, რომ დავითის მამა-პაპათაგანი ვინმე სასულიერო წოდებისა ყოფილიყოს“. როგორ მოხდა ეს? ეს კანონის აშკარა დარღვევა არ არის? დავითმა „თავის დროზე დახარჯა ფული“-ო[1]). ამ მოკლე სიტყვით მრავალი ითქვა. სუფეველაფერი ფულის საქმე ყოფილა. აი სად მარხია დედა-ძარღვი! აი სად იხსნება გორდიევის კვანძი! ქონებამ კანონს გადააბიჯა, ყურ მოჭრილ მონათ გაიხადა. კანონიერათ კი არ შეეძლო დავითს სურვილის განხორციელება? მექოთნე (ჭურჭლის მკეთებელი) ქოთანს ყურს სითაც უნდა იქით გამოაბამს“ —ამბობენ გურიაში; „ფული ღერძია, რომლითაც შეიძლება ქვეყნის გადაბრუნება“—იმეორებენ ანგარიშის მოყვარე ინგლისელები. „ესეც რომ არ მოეხერხებინა დავითს, ის სავაჭრო მოწმობანი, რომელთაც დავითის შვილები იღებდენ ყოველ-წლივ, სრულიათ გაანთავისუფლებდა გლეხკაცის მოვალეობისაგან“[2]). მაშასადამე, ორი გზით შესძღებია დავითს უპირატესობის მოპოვება, ორივე შემთხვევაში ფულის წყალობით, ქონებით იძენს უფლებას.

მოდით და შეადარეთ ამას საწყალი სიმონა, გოგია უიშვილი, გაბრიელა ჩამწარდაძე, გიგოლა ნარეკალაშვილი და სხ.! ამათ არა თუ აძლევენ, პირიქით იმასაც კი ართმევენ, რაც აქვთ. გოგიას სცემენ, იჭერენ, შოლტენ, სატუსაღო-

[1]) ibid.
[2]) ibid.

ში ამწყდევენ მხოლოთ იმიტომ, რომ ბეგრის გადახდა ორი დღით დააგვიანა[1]). მათი ადამიანური ღირსება ფეხ-ქვეშ ითელება, მათი მცირე უფლებაც ვიწროვდება და პოლო ეკ-ვეცება. დაბეჩავებული გლეხობა საკუთარ სასოფლო საქმეებ-შიაც მოკლებულია თავისუფლებას. მამასახლისის, მწერლის და სხვა მოხელეების არჩევა ხდება თითო-ოროლა პირის მიერ...

აი რანაირ გათახსირებულ მდგომარეობაშია გლეხ-კაცობის უმრავლესობა. ის თანდათან ღატაკდება როგორც ქონებით, ისე უფლებით. ამით ხერხიანად სარგებლობს უმცირესობა და თავისუფლად თლის შარაზე დადებულ დუმას. დიახ, ხალხი ცხვრის დუმაა, რომელსაც ყველა ამვლელ-ჩამომვლელი თითო ნაჭერს აჭრის. გრძნობს ამას ხალხი? შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა? ხმაობს რაიმე ღონეს თავის ადამიანურ უფლების დასაცავად? „ხალხი უმეტეს შემთხვევაში ქვევრი არის, რასაც ჩასძახებენ იმასვე ამოსძახებს“ — გვეუბნება ბ-ნი ნინოშვილი[2]). თუ კი ხალხს თავის თავზე რიგიანი წარმოდგენა არ აქვს, არ გაეგება — რა შეადგენს მის ღირსებას, არ იცის, ვინ არის მისი მოყვარე და მტერი, მაშინ ის, რასაკვირველია, საუკეთესო სარბიელია, სადაც ადამიანის ქვენა-გრძნობები საზრდოს პოულობს და ყოველგვარი უსამართლობა და ძალ-მომრეობა ფრთა-გაშლილი პარპაშობს. ამ შემთხვევაში ხალხი ცხვრის ფარაა, საითკენაც სურთ, იქით გარეკენ. როგორც სურთ, ისე გაკრეკენ, ვინ არის წინააღმდეგი, ხმის ამომღები! „გავლენიანმა დავითმა ჩასძახა: სიმონა მავნებელიაო და ხალხიც იმეორებდა მავნებელიაო“[3]). ცხადია, გლეხს სილარიბე მოფიქრების ნებას არ აძლევს. ის მოკლებულია საკუთარ შეხედულობას, მისი ცხოვრება წყვდიადით არის გარემოცული, სადაც ცნობიერებას ვერ ჩაუღწევია.

---

[1]) „რავდენიმე მოთხრობა“ ე. ნინოშვილისა.

[2]) „სიმონა“.

[3]) idid.

ხალხს ძარცვენ მოვახშენი, არბევენ მოხელენი. რისთვის? იმისათვის რომ „აღარა გვაქვს ერთობა, დაგვირღვევია ურთიერთთან კავშირი, აღარც ურთი-ერთისათვის გულ-შემატკივრობაა ჩვენში და აღარც ურთი-ერთის გამოსარჩლებაო“—იწერება სოფლელი[1]). „საწყალ ხალხს ბრმა შური და მტრობა ერთმანეთისა ძვალრბილში აქვს გამჯდარი“—ჩივის მეორე კორესპოდენტი[2]).

განთვითება, ინდივიდუალიზმი ისე გაძლიერებულია გლეხში, რომ თავის თანამოძმის ჭირი სრულებით დავიწყებული აქვს; მის შესახებ გულ-გრილია, სხვის მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს. ამისათვის ის ცალკე ულონოა, მისი ხმა მისუსტებულია, უმნიშვნელოა, მისი ძალა მიმქრალია, მიმალულია. ხოლო უძლური ცალ-ცალკე, ძლიერია ერთათ. აქ მაგონდება გვარიანათ ძველი, მაგრამ, ამისთანა შემთხვევაში მუდამ ახალი არაკი: ერთი მოხუცებული რომ სიკვდილზე მიიწურა, მოატანინა შვილებს ერთი კონა ისარი; მოსწია ერთად და ვერ დაამტვრია, თითო-თითო კი მაშინვე დალეწა. შვილებს მიუბრუნდა და უთხრა: თუ ერთად იქნებით მტერი ვერას დაგაკლებთ. თუ გაიყრებით, გაცალკევდებით, მტერი ისე დაგლეწავთ, როგორც მე თითო ღერო დავლეწეო. ერთი რუსის მწერალი ამბობს: „ხალხის მომზადება თავის ინტერესებისათვის საბრძოლველათ—აი რაში მდგომარეობს ხალხის სამსახურიო“. ეს შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როდესაც, როგორც ამბობს თ. ილ. ჰავჰავაძე, „ხალხს თვისი უფლება და მოვალეობა კარგად აქვს აწონილი და ცნობილი, თუ ამასთან ხორც-სისხლში გამჯდარი აქვს, რომ ჩემი მეზობლის უფლების დარღვევა ჩემი უფლების დარღვევასაც მოასწავებს“-ო[3]). აი, ამ ნიადაგზე უნდა იქმნას აგებული ღარიბი ხალხის შეერთება და თვით-ცნობიერება. ხალხი, ერთ ეკონომიურ და იურიდიულ

---

[1]) „ივერია“ 1878 წ. № 28.

[2]) „ივერია“ 1893 წ. № 31.

[3]) „ივერია„ 1878 წ. № 16 მეთაური წერილი.

ულელ ქვეშ მყოფი, ობიექტიურათ უკვე მზათ არის ერთობისა და კავშირისათვის. ამას მხოლოთ შეგნება აკლია. მიეცით ამასთანავე ხალხს **თვით-ცნობიერება** და ის დღევანდელ ჯოჯოხეთს ხვალ სამოთხეთ გადააქცევს.

XII

ყოველივე ზევით მოხსენებულიდან ჩვენ ნათლათ ვხედავთ, რომ ბატონ-ყმობის მოსპობიდან ჩვენს ცხოვრებაში შემოვარდა მოვახშე, მოსარგებლე თანხა (კაპიტალი). ამის არსებითი თვისება იმაში იხატება, რომ ის პირ-და-პირ არ გადადის წარმოებაში; ამ ნაირი ფულის პატრონი მწარმოებელი არ არის. აქ ფული ფულს იგებს უშუამდგომლოთ, იგებს საქმეში დაუბანდებლათ. აქ არავითარი შრომის წეს-რიგი, კანონიერობა არ არსებობს. ერთის ჯიბე იცლება მხოლოთ იმიტომ, რომ შიგ რამოდენიმე ხანს სხვისი ფული იდვა. ამ სახით, ფულმა შეანგრ-შემოანგრია ერი და დაყო ორ ჯგუფ თ: ფულის პატრონნი და უფულონი, მდიდარნი და ღარიბნი. ამით მომზადდა და მზადდება ნიადაგი, რომელზედაც უნდა აღორძინდეს და აყვავდეს წარმოება.

წარმოება ვერ გაჩნდება, სანამ შრომა თავისუფალი არ არის (ბატონ-ყმობაში), მეორეთ, სანამ მუშას ცხოვრების ვითარება არ წაიყვანს მწარმოებლის კარებისაკენ და არ ხდება მოქირავეთ. პირველ პირობას ასრულებს კანონ-მდებლობა, ხოლო მეორეს — მოვახშე თანხა. ამ უკანასკნელის საშუალებით მდიდარი ღარიბდება, ღარიბი ღატაკდება. ორიოდე დღიური მიწა, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებს ახალ ცხოვრების მრავალ-ფერ მოთხოვნილებას, კაცი შიმშილით უნდა მოკვდეს (მაგალითათ შიმშილობა რუსეთში), აქ ჩნდება წარმოება, იხსნება ქარხნები და ეს ოჯახის განწირული შვილი პოულობს ბინას, იჩენს საქმეს. იბადება უმიწაწყლო, ბოგანო ხალხი (რასაკვირველია, ეს უცებ არ ხდება).

ამ გვარათ წარმოებისთვის ორი რამ არის საჭირო: თანხა და მოქირავე მუშა, ეს ორი ძალა მუდამ ერთი-მეორის მოწინააღმდეგეა, ერთმანეთთან მებრძოლი და შეურიგებელი. რამდენათაც იზრდება პირველი, იმდენათ ღატაკდება მეორე. ამისათვის ისინი დაუცხრომელ ჭიდილში და მტრობა-ქიშპობაში არიან. მიუხედავათ ამისა, ორივე ყოველთვის ერთათ არის, უერთი-მეოროთ არსებობა არ შეუძლიათ, საწარმოვო თანხა იზრდება მუშის ძალღონით, მუშა საზრდოს პოულობს მხოლოთ დღიური ქირით. პირველი ვერ იხეირებს უმუშოთ, მეოორე ვერ დარჩება უსაქმოთ. ამით ეს ორი ძალა მჭიდროთ არის დაკავშირებული. ამათი დანაწილება და დაცალკევება შეუძლებელია.

ჩვენში ჯერ კიდევ სჭარბობს მოვახშე თანხა. მაგრამ იმის სილრმიდან იბადება საწარმოვო ფული და მკვიდრდება აღებ-მიცემობა. ამას ხელს უწყობს ერთი მხრით, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ერის გაღარიბება, მეორე მხრით, გარეშე ბუნებრივი პირობები: „რამდენათაც ეს გარეგანი ბუნება კავკასიისა მრავალ-გვაროვნობით მდიდარია, იმდენათ მის შიწის გულშიაც მოიპოვება აუარებელი სიმდიდრე მადნეულობისა, რომელთაგან ზოგმა კიდეც იჩინა თავი მსოფლიო აღებ-მიცემობაში, როგორც, მაგალითად, ბაქოს ნავთის წყაროებმა, ქვა-გუნდამ (მარგანეცმა), ქვა-ნახშირმა.

ამ სახით, ჩვენი ქვეყანა შეუმჩნეველათ უკვე დაადგა წარმოების გზას, ერმა თავი გაჰყო **კაპიტალიზმის ჭახრაკში.**

ყოველი ისტორიული ხანა წამოაყენებს რაიმე მეტათ დიდ და საყურადღებო კითხვას, რომელიც ასე თუ ისე ახსნილი უნდა იქნას. ეს კითხვა არ არის ზეციდან მოვლინებული, ან უქმი ჭკუის უქმი ნაყოფი. ის არის აშენებული უტყუარ ნიადაგზე, ფესვები ღრმად აქვს გადგმული ცხოვრებაში, და მის სილრმეში თან-და-თან იზრდება და მწიფდება. ამის გამოაშკარავება ისტორიული აუცილებლობაა. ამისათვის ადრე

თუ გვიან ის მთელი თავისი არსებით წარსდგება საზოგადოების წინაშე: ღინდა თუ არა ყურადღება უნდა მოვაქციოთ. ვაი იმ საზოგადოებას, რომელიც ამას თავის დროზე ვერ შეიგნებს და თუ შეიგნებს, ზურგს შეაბრუნებს! იგი საზოგადოება ყოველი მიზეზის გარეშე დამარცხებული დარჩება არსებობისთვის ბრძოლაში. იმას აღგვა მოელის დედა-მიწის ზურგიდგან. ორი ამგვარი კითხვა შეჰქმნა ჩვენმა თანამედროვე ცხოვრებამ და თხოულობს საზოგადო მოღვაწის სრულ ყურადღებას. ორივე შეიცავს უმთავრეს ძარღვს, ჩვენი არსებობისას და შეეხება როგორც მთელ ერს საერთოდ, ისე თვითეულ პირს კერძოდ.

როგორც მოვიხსენეთ პირველ წერილში, საქართველო უკვე დაადგა ნივთიერად გაერთიანების გზას. ამით მზადდება საფუძველი ეროვნული გაერთიანებისა. აქედან ეროვნულ გრძნობათა' გაღვიძება და ერთი მიზნისკენ მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე. ხალხი ცხოვრობს უფრო აწმყოთი. იმისთვის საინტერესოა თანამედროვე ნივთიერი მდგომარეობა. თუ კი ხალხი ეკონომიურად იჩაგრება სხვისაგან, მაშინ ის რასაკვირველია, ამნაირი დაჩაგვრის მოსპობას ცდილობს. მაგალითად, რამდენიმე საუკუნეა, რაც ინგლისი ფლობს ირლანდიას. ყველა ღონისძიება იყო მიღებული ირლანდიის გაინგლისელებისათვის. მართლაც, დაარსდა იქ ინგლისური მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება და სხვ.. მიუხედავათ ამისა, ბრძოლა ამ ერთა შორის არ შეწყვეტილა. რატომ? იმიტომ რომ ინგლისმა დაუწყო სისხლის წოვა უფრო მგრძნობიარე ადგილს ირლანდიისას: მან მოინდომა ირლანდიის დამორჩილება ეკონომიურათ ადგილობრივი წარმოების შესუსტებით და დაქვეითებით. ამისათვის ირლანდიის მექარხნეობა დაეცა, სასოფლო მეურნეობა დაირღვა, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა მისუსტდა და სხ. ამრიგათ თვით ეკონომიურ საჭიროებამ მოითხოვა ირლანდიის თავისუფლება ანუ თვით-მართველობა.. აქ შესანიშნავია ის გარემოება, რომ ირლანდიის თა-

ვისუფლების წინააღმდეგნი გახდენ ის მამულისშვილნი, რომელნიც ნივთიერათ კეთილ-დღეობაში არიან; სახელდობრ, ირლანდიის ლორდები[1]).—თ. ბისმარკის საშინაო პოლიტიკა მიმართული იყო დამორჩილებულ ერთა გაგერმანელებისაკენ, ამისათვის მან დაარსა განსაკუთრებითი ბანკი, რის საშუალებითაც პოლონელთა მიწა-ადგილი (სილეზიაში) უნდა შეესყიდა და გერმანელები დაესახლებინა. ამან გააღვიძა პოლონელები და მათში გამოიწვია მღელვარება. პოლონელებმაც დააარსეს თავისი ბანკი და შეისყიდეს მამულები იმ პირთაგან, რომლებიდანაც ბისმარკს სურდა შეძენა. სადაც კი ბისმარკის ბანკი დაიწყებდა მოქმედებას, იქ უთუოთ პოლონელთა ბანკიც შეეცილებოდა ხოლმე და კიდევაც იმარჯვებდა. საიკან მოიპოვეს ამდენი ფული ასე უცებ პოლონელებმა? საინტერესოა ამ ბანკის დაარსების ამბავი. ბისმარკის პლანმა ისე შეანძრია მთელი სილეზია, რომ არ დარჩენილა არც ერთი პოლონელი, რომ თავის წილილი ამ ბანკში არ შეეტანოს ორი გროშის პატრონსაც კი ერთი გროში შეჰქონდა. რატომ? იმიტომ რომ მთავრობა შეეხო უმთავრეს მხარეს ხალხისას, მის ადგილ-მამულს, სახლ-კარს, ერთი სიტყვით, ყველაფერს იმას, რითაც თავს იჩენდა გლეხი.—მესამე მაგალითი ოა იქნა ჩეხიაში ეგრეთ წოდებული ძველ-ჩეხთა დასი? გაქრა, აღარ არსებობს. რატომ? იმიტომ რომ მის დროშაზე ეწერა ერთი მხრით ეროვნობა, მეორე მხრით არისტოკრატია, მდიდართა უფლების დაცვა, ეომა უარჰყო ესა[2]). მის მაგიერ ჩადგა ახალ-ჩეხთა დასი, რომელმაც თავის პროგრამა უმრავლესობის ეკონომიურ მდგომარეობას შეუთანხმა. ძველი პროგრამიდან არისტოკრატია

---

[1]) იხ. გლადსტონის სიტყვა ჰომრულის შესახებ „ივერია“ 93 წ. № 36. ცხადია აქედან, რომ ამ შეძლებულთათვის სამშობლო არ არსებობს.

[2]) იხ. სიტყვა ახალ-ჩეხისა. „ივერია“ 92 წ. № 88. აქედან სჩანს, რომ ჩეხიის არისტოკრატია გადაუდგა სამშობლოს და მიემხრო გერმანელებს.

ამოშალეს და დემოკრატია ჩასწერეს. ერთი სიტყვით როცა ერი შეიგნებს, რომ მას ისე ეპყრობიან, როგორც მეტხორცს, რომ მისი ადგილ-მამული დაუსჯელათ იფლანგება და სხვებს ურიგდება, მაშინ იგი მოდის მოძრაობაში თავის თავის დასაცავათ და ნივთიერი მდგომარეობის განსაკარგებლათ.

მეორე მხრით, ერის გაერთიანებას ზოგჯერ თან მოსდევს, როგორც ზევით გავარკვიეთ, უმრავლესობის ნივთიერათ და სულიერათ გაღარიბება. ამით მზადდება საზოგადოებრივი ნიადაგი, რომელიც აერთებს ადამიანთა გუნდთ საერთო მოღვაწეობისათვის. აქედან იწყება **გაღარიბებული ნაწილის დაკავშირება და თვით-ცნობიერების შექმნა პოლიტიკო-ეკონომიურ ნიადაგზე.** აქ ჩვენ ვადგებით იმ გზას, რომელსაც ადამიანი პირდაპირ მიჰყავს ნითიერ კეთილ-დღეობისაკენ. თანამედროვე ევროპაში ვხედავთ, რომ მღელვარება ქონებრივი მეტ-ნაკლებობის წინააღმდეგ უკვე დაიწყო უმრავლესობის სასარგებლოთ. ამ შემთხვევაში შრომის წარმომადგენელნი-მუშა და გლეხი—შეადგენენ ერთ მხარეს, ხოლო მეორე მხარეს—ქონების პატრონნი ანუ კაპიტალისტები (კაპიტალისტი ეწოდება როგორც მექარხნეს ისე მემამულეს). ამ სახით ერი იყოფა ორ დიდ წოდებათ: მდიდარი და ღარიბი. ესენი ერთათ იბრძვიან გარეშე მტერთა წინააღმდეგ. ერთმანეთს ებრძვიან სამკვდრო-სასიცოცხლოთ შინაურ ცხოვრებაში. ბრძოლა ღარიბთა და მდიდართა შორის მუდამ არის. განუწყვეტლივ არსებითი მოთხოვნილებაა ეხლანდელი საზოგადოებისა, ამას ვერც ერთი ერი ვერ აუქცევს გზას. მხოლოთ ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის ხდება ხანდა-ხან, ერთ დროებით და წყდება მაშინვე, როგორც კი აღწევენ თავიანთ სურვილს. რა აქვს საერთო ამ ორ მოვლენას? რატომ ასე თავგანწირულათ ებრძვის ერთი ერი მეორეს თავისუფლების მოპოვებისათვის? ღარიბი და მდიდარი რათ არის მუდამ არსებობისათვის ჭიდილში? ერის თავისუფლება რისთვის არის საჭირო? უკეთესი ცხოვრებისათვის. პიროვნების თავისუფლება რათ გვინდა? უკეთესი

ცხოვრებისათვის. აშკარაა, ორივე სათავეს ცხოვრებიდან იღებს.. ხოლო ცხოვრების დედა ძარღვი, როგორც მოვიხსენიეთ, დამარხულია ეკონომიურ ვითარებაში, ნივთიერი კეთილ-დღეობა—აი რა არის ბურჯი ცხოვრებისა. ამ გვარათ ეკონომიური ურთი-ერთობა შეადგენს იმ საერთო ნიადაგს, რომელზედაც იზრდებიან ფესვები ბრძოლისა, როგორც მთელი ერის, ისე თვითეული ადამიანისა. ორივე შემთხვევაში პროგრესიულ მოღვაწეს დაჩაგრულთა მხარე უჭირავს. ირლანდიის ის ლორდები, რომელნიც წინააღმდეგნი არიან სამშობლოს თავისუფლებისა, ცხადია, მოღალატენი არიან თავის ერისა. ის მოღვაწენი, რომელნიც იცავენ უმცირესობის უფლებას, წინააღმდეგ უმრავლესობისა, ცხადია მტერნი არიან თავის ერისა, ვინაიდან ერს შეადგენს უმრავლესობა და არა უმცირესობა[1]).

ამ სახით, ჩვენ მივადექით შემდეგ დასკვნას: 1, ნივთიერი კეთილ-დღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; 2, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა, როგორც ხელ-შემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევათ და როგორც უახლოვესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა; აქედან, 3, ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თვითეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქმნას ეკონომიურ ნიადაგზე...

ესევე აზრი შეიძლება გამოიხატოს კიდევ ამ ნაირათ.

---

[1]) ქ. კარბოში (საფრანგეთში) მუშათა დღესასწაულზე (1893 წ. 1 ნოემბერს) დეპუტატმა ჟიულ გედმა სხვათა შორის სთქვა: მოწინააღმდეგენი ჩვენ გვიწოდებენ „sans-patrie“ (უსამშობლო). მე წინააღმდეგი ვარ ამ ტერმინისა. პატრიოტები ვართ ჩვენ მუშები, და არა თქვენ, ბურჟუებო! სამშობლო გაჭირვების დროს ჩვენში ჰპოულობს მფარველს და არა თქვენში! ომში ჩვენი სისხლი იღვრება და არა თქვენი, ბანკირებო და ფინანსისტებო! რესპუბლიკის დაწესებულებანი ჩვენი ფულით ინახება და არა თქვენის, მდიდრებო! ქვეყნის სიმდიდრე ჩვენი ხელებით კეთდება და არა თქვენის, თანხის-პატრონებო!..

I, ეკონომიური კეთილ-დღეობა—როგორც უმთავრესი პირობა ადამიანთა ბედნიერებისა; II, ვაჭრობა და წარმოება—როგორც ძველი კარ-ჩაკეტილი ცხოვრების დამარღვეველი და ერის და კაცობრიობის გამაერთიანებელი ძალა (პროგრესიული მოვლენა). ა) ერის და თვითეულ პირის თავისუფლება—როგორც საუკეთესო საშვალება მეორე მუხლში მოხსენებულ სურვილის განსახორციელებლათ; აქედან, III—გაძლიერება ბურჟუაზიული წეს-წყობილებისა და უმრავლესობის ნივთიერათ გაღარიბება, ადგილ-მამულის ხელიდან გაცლით და უმცირესობის ბატონობით (რეგრესიული მოვლენა): IV, გაღარიბებული ნაწილის შეკავშირება და პირველ მუხლში მოხსენებულ სურვილისკენ მიმართვა—როგორც პირ-და-პირი იარაღი კეთილდღეობის მოპოვებისა (პროგრესიული მოვლენა).

ყველა ეს მოვლენანი ასე რიგ-რიგათ არ ხდებიან ცხოვრებაში. ისინი ერთმანეთში არიან არეულნი და ხშირათ ერთათ მოქმედებენ.

ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი

(1911 წ.)

იშვიათია ისეთი ერი, სადაც ნაციონალურ მიმდინარეობას დიდი გასავალი არ ქონდეს. ნაციონალიზმის მაგარი ბუდე, განსაკუთრებით დამორჩილებული, სხვის უღელს ქვეშ მყოფი ერებია. საკმარისია გავიხსენოთ პოლონელები, რომელთაც თითქმის საუკუნეებით დაპატრონებია შოვინისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, და ჩვენი მეზობლები სომხები, რომლებიც დაშნაკცუტუნის ბატონობისაგან ჯერაც ვერ გამოსულან.

სულ სხვაა ჩვენში. არც ერთ ხალხს ისე ნაკლებათ არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორათაც ქართველ

ხალხს. არსად ისე სუსტი და გავლენას მოკლებული ნაციონალისტური პარტიები არ არიან, როგორიც არიან ჩვენში. ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი შრომა გასწია, დიდი ენერგია დახარჯა იმისთვის, რომ რაიმე გზით მას მიეგნო ხალხის გულისათვის და შიგ ნაციონალიზმი დაესადგურებია. მესამოცე წლების მოღვაწეები ამ მიზნით ნაციონალურ კითხვას აერთებდენ მაშინდელ სოციალურ კითხვასთან. მათ თავის დროშას დააწერეს: ბატონ-ყმობის მოსპობა და ნაციონალური თვითარსებობა. ხალხმა სიამოვნებით მიიღო პირველი, მაგრამ მეორეს სანახევროთ ფრთა შეაკვეცა. რამდენათაც ეს შეიცავდა საჭიროებას ქართული შკოლისას, ქართული მწიგნობრობისას, თეატრისას და სხვა ასეთ კულტურულ დაწესებულებისას—ამის წინააღმდეგი ხალხი არ ყოფილა, პირიქით, ეს მისი ცხოვრების მიუცილებელი მოთხოვნილება და იმავე დროს მისი განვითარების იარაღია. მაშასადამე თავის, ნაციონალურ ენაზე კულტურის შექმნა და ამ ნიადაგზე თავის მერმისის აგება—წინმსვლელობის აუცილებელი გზაა. მაგრამ რამდენათ ძველ მოღვაწეთა ნაციონალური დროშა ამ ფარგლიდან გამოდიოდა და მას ნაციონალისტურ პოლიტიკას უმატებდა, ე. ი. ის ნაციონალისტურ პოლიტიკურ პარტიათ ხდებოდა, იმდენათ ის ნიადაგს ვერ პოულობდა და „ხმათ მღაღადებლისათ“ რჩებოდა. ანტი-რუსული და ანტი-ლომხური მიმდინარეობა ჩვენში ყოველთვის ინტელიგენციის გამოგონება იყო და ამიტომ არასოდეს ინტელიგენციას არ გაშორებია. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა—ნაციონალური მოძრაობა არა ერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ეს იყო მოძრაობა ან თავად-აზნაურობის, ან ინტელიგენციის, არასოდეს ხალხის. კახეთის არეულობა გასული საუკინის დასაწყისში, შეთქმულობა მეოცდაათე წლებში (დოდაევი და ამხ.) იყო საქმე თავად-აზნაურობის და მისი მაშინდელი განათლებული შვილების. შემდეგ მოწინავე წოდება შეურიგდა რუსეთის შემოსვლას, ვერ შეურიგდა მხოლოდ ინტელიგენცია, რომელიც მუდამ „საქართვე-

ლოს განთავისუფლებაზე“ ოცნებობდა. ამ მიზნით მას არა ერთი და ორი პროგრამა შეუდგენია, არა ერთი და ორი პლანები გამოუმუშავებია, მაგრამ ყველა ეს უქმი კაცის უქმ ნაყოფს უფრო გავდა, ვინემ სინამდვილის რაიმე მიმდინარეობას. მეორე მხრით, ყველას ახსოვს ის დაუსრულებელი გალაშქრება სომხების წინააღმდეგ, რომელიც ველიჩკოს მეთაურობით დაიწყეს ჩვენმა მოღვაწეებმა. არა ერთი და ორი ინტელიგენტი აუცრემლებია „ქვათა ღაღადს“ და სხვა ასეთ ნაყოფს ანტისომხური კამპანიისას და მიუხედავათ ამოდენა მუშაობისა, აურზაურისა— ხალხის გული მას ოდნავათაც ვერ შეუნძრევია და ინტელიგენციის დროშისაკენ ვერ მიუბრუნებია. ქართველი ხალხის მოძრაობა პირველათ დაიწყო ამ საუკუნის დასაწყისში და დაიწყო სწორეთ წინააღმდეგ მთელი ჩვენი ინტელიგენციის იდეალებისა. ამათი ამდენი ხნის მუშაობამ, მუქთათ ჩაიარა. მისი ნაციონალური დროშა ხალხმა ერთი დაკვრით უარყო და მის ალაგას ააფრიალა ინტერნაციონალური დროშა.

ამგვარათ, ქართველი ხალხის გაღვიძება ნაციონალიზმის დროშის ქვეშ ვერ მოხდა. საჭირო იყო ამ გარემოებისათვის ანგარიშის გაწევა, მისი ასე თუ ისე ცნობა და ნაციონალიზმის ახალ ჭერქში გახვევა. ეს იტვირთა ამ 5—6 წლის წინათ ჩვენმა ინტელიგენციამ. პირველათ ის გამოვიდა დემოკრატათ, შემდეგ ნაციონალ-დემოკრატათ, შემდეგ სოციალისტ-ავტონომისტათ და ბოლოს სოც.-ფედერალისტათ.---ამდენი მიხვევ-მოხვევა, მიმართულების ამდენი კვლევაძიება გამოიწვია ერთმა მთავარმა კითხვამ: რა გზით არის შესაძლებელი ხალხის განაციონალისტება. როცა ხალხმა დემოკრატიული ნაციონალიზმი უარყო, მას წარუდგინეს სოციალისტური ნაციონალიზმი ეს მაინც მიირთვიო, და როდესაც არც ეს მიიღო—ეს უარყოფილი სოციალისტები გაკვირდენ, ჩვენც ხომ სოციალისტები ვართ, სოციალ-დემოკრატიაზე თითქმის უკეთესი, (მიწას და ამასაც ყველას, დღესავე ვაძლევთო); მაშ, ხომ არ გაგიჟებულა ხალხი, განსაკუთრებით გლეხობა, „გამაპროლეტარებელ“ პარ-

ტიას რომ აყოლია და ჩვენ ზურგს გვაქცევსო. ამათ ეს ვერ გაიგეს და ჯავრი სოციალდემოკრატიაზე იყარეს—ყველაფერი მისი ბრალია, დაკარით მაგასო. მიზეზი კი აქაც იგივეა, რაც წინეთ იყო: ჩვენი ხალხი ნაციონალიზმს დღესაც ისე უარყოფს, როგორც წინეთ, და რა მშვენიერი ხონჩითაც უნდა მიაწოდო—ის მას ხონჩიანა შორს აგდებს. საქართველოს ავტონომიაში ხალხმა დაინახა იგივე ანტირუსული და ანტისომხური მიმდინარეობა, რომელიც წინეთ იყო ჩვენში და რაც მან კაი ხანია დაგმო. ნაციონალური შკოლა, ნაციონალური თეატრი და სხ. მას დღესაც ისე უნდა, როგორც წინეთ, ქართულ მწიგნობრობას და კულტურას დღეს უფრო ეწაფვის, მარა ნაციონალურ პოლიტიკას დღესაც ისე უარს ყოფს, როგორც წინეთ. ის თავიდანვე ამ გზას ადგა და აქედან დღესაც არ უხვევს. ეს ქართველი ხალხის ისტორიული გზაა, რიფაც ის განსხვავდება სხვა კულტურულ ერებისაგან. ამიტომ, როცა ქართველი სოციალდემოკრატია თავის ერისთვის თხოულობს კულტურულ ავტონომიას და არა პოლიტიკურს—ამით ის ხატავს ცხოვრების ღრმა მიმდინარეობას, ამით ის წვდება ხალხის გულის ნადებს და მას თავის პროგრამაში შეუმცდარათ აღბეჭდავს.

როგორც ხედავთ, საქართველოს პოლიტიკური ავტონომია, რაშიაც იხატება ჩვენი ინტელიგენციის მთელი ნაციონალიზმი, არსებითათ იგივე მოთხოვნილებაა, რომელიც კახეთის აჯანყებულ თავად-აზნაურობამ 1802 წ. წამოაყენა. განსხვავება იმაშია, რომ მაშინ თხოულობდენ მეფეს სრულიად რუსეთისას და შემდეგ მეფეს საქართველოსას[1]); ახლა პარლამენტს რუსეთისას და პარლამენტს საქართველოისას; მხოლოთ პოლიტიკო-ნაციონალური შინაარსი კი ერთია. მაშასადამე,

[1]) აი რას სწერდენ თავადები ლაზარევს ეფისკოპოზი ბოდბელის ხელით; „თუ ჩვენგან რაიმე სამსახური საჭირო იქნება, უბრძანოს ხელმწიფემ იულონს (საქართველოს ტახტის მემკვიდრე) ხოლო ეს თავის მხრით ჩვენ გვიბრძანებს და შეძლებისამებრ ვიმსახურებთ“ და სხ.

ეს დროშა სხვა-და-სხვა ფორმით და სახელით უცვლელათ რჩება მთელი საუკუნის განმავლობაში. ასეთივე უცვლელათ რჩება ჩვენი ხალხის ამ დროშასთან დამოკიდებულება: ის მას ყოველთვის, სხვა-და-სხვა ფორმით და სახელით, უარსყოფდა, ეს დროშა არასოდეს არ ყოფილა მისი დროშა.

შეიძლება ეს სასიამოვნო არ იყოს, შეიძლება ეს გაკიცხონ, შეიძლება ამან ააშფოთოს ბევრი, მარა ეს ასეა, ეს ფაქტია და, მაშასადამე, მისი ცნობა და მისთვის ანგარიშის გაწევა აუცილებელია. ამას ვერ დაარღვევს ვერც გულზე ხელის ცემა, ვერც ლანძღვა-გინება, ვერც უიმედობა და სასოწარკვეთილება.

რა არის ამ საყურადღებო მოვლენის მიზეზი?

აი დიდი კითხვა, ამის ახსნა ჩვენი ძირითადი მიმდინარეობის ახსნაა, მთელი ჩვენი ამწყოს და წასრულის სინათლეში გამოტანაა.

როგორ ხსნიან ამას ფედერალისტები? ესენი ჩვეულებრივათ მთელ ბრალს სოციალდემოკრატიას სდებენ. „ისარი“ სწერს: „ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა კი (ს. დ.) ისეთი იდეალები მოახვია კისერზე (ხალხს), რანაირიც ჩვენი ხალხის მდგომარეობასა და საჭიროებიდან ორგანიულათ არ გამომდინარეობდა“. „სოციალდემოკრატების დამახინჯებულ ფსიხიკას კიდევ ზედ დაერთო ბუნებრივი უნიჭობა იმ პირებისა, რომელთაც თავს იდვეს საზოგადოებრივი ცხოვრების მესვეურობა. მათ რომ ისტორიული ალღო ჰქონოდათ, მათ რომ ღრმათ შეესწავლათ ჩვენი ცხოვრება“ და სხვა და სხვა ასეთი ფედერალისტური ჰანგები. (№ 10 წერილი არ. ჯ—შვილისა). აი, პასუხი! ნუ თუ ასეთი მოაზრე მწერალი არ გეჩვენებათ ქონდრის კაცათ, როცა ის დიდი კითხვის გადაჭრას სხვისი ლანძღვით და თავის ქებით ცდილობს? მას რომ მართლა ქონდეს „ისტორიული ალღო“ და „შესწავლილი ჩვენი ცხოვრება“, ეცოდინებოდა, რომ ქართველი ხალხი არ ითვისებდა ნაციონალიზმს ჯერ კიდევ მაშინ, როცა სოც.-დემოკრატიის

ხსენებაც კი არ ყოფილა; რომ სწორეთ ეს თვისებაა ქართველობის დამახასიათებელი და, მაშასადამე, სოციალდემოკრატიას მისთვის თავზე არაფერი არ მოუხვევია. თუ კი ასე ადვილია ხალხისათვის უცხო აზრის „თავზე მოხვევა“, რატომ ასი წლის განმავლობაში მას ნაციონალიზმი ვერ „მოახვიეს თავზე“? ან სად ნახეთ ისეთი ხალხი, რომელიც სხვისი ჭკუით დადის? ეგ მოხელეთა ფილოსოფიაა და არა პუბლიცისტების; განა ბიუროკრატები არ ამბობენ, რომ ხალხს არავითარი რევოლიუცია არ სურს, მარა მას რევოლიუციონერები ძალათ ახვევენ თავზეო? აი, რა „ბუნებრივი ნიჭით“ არიან აღჭურვილი ის ადამიანები, რომელიც საქართველოს ბედ-ილბლის გადაწყვეტას ცდილობენ.

მაშ, კიდევ ვიკითხოთ: რით აიხსნება ქართველი ხალხის მიერ ნაციონალიზმის ასე დაჟინებით უარისყოფა?

II

რაკი ქართველი ხალხი თავის ნაციონალიზმს ასე დაჟინებით უარყოფს ხან პასიურათ და ხან აქტიურათ, და ეს გძელდება მთელი საუკუნის განმავლობაში—ცხადია, ამის მიზეზი უნდა მოინახოს მისი ცხოვრების განსაკუთრებითი პირობებში. ისტორიული მოვლენის ახსნა უნდა ვეძიოთ ისტორიაშივე.

თანამედროვე ნაცია ღვიძლი შვილია კაპიტალისტური წარმოების და აღებ-მიცემობის. ფეოდალურ ხანაში თითოეული ერი დანაწილებულია რამოდენიმე ერთი-მეორის მოქიშპე ნაწილებათ, და მაშასადამე, აქ არც კი შეიძლება იყოს ერი ერთი, ერთი ჭირით და ლხინით გარემოცული. ამ ხანაში ნაცია, ნაციონალური იდეიაც კი არ არსებობს. მას შემდეგ, რაც ერი თავს აღწევს ასეთ ყოფას და დგება სამოქალაქო განვითარების გზაზე, ის თანდათან ძლიერდება, ნაციონალურ ერთობას და ერთ პოლიტიკურ ცხოვრებას ეჩვევა და ამ

გზით ხდება თანამედროვე კულტურულ ნაციათ. და აი, რო-
ცა ასეთი ერი კარგავს დამოუკიდებლობას და მას იმოჩრი-
ლებს მასზე უფრო დაბალი კულტურის ერი—ეს მისთვის, ყვე-
ლა მისი ნაწილებისათვის დიდად საგრძნობელი და სატკივარია.
აქ შესაძლებელია ნაციონალურ დროშამ მთელი ერი შეა-
ერთოს და გაბატონებულ უცხო ერს შეებრძოლოს. ავიღოთ
მაგ. პოლშა. ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდის მას ქონ-
და თავისი საკუთარი სამოქალაქო ცხოვრება, საკუთარი ვაჭ-
რობა და აღებ-მიცემობა, ასე გასინჯეთ, მას ქონდა პოლი-
ტიკური თავისუფლებაც კი. ერთი სიტყვით, აქ უკვე განვი-
თარდა ნაციონალური კულტურა მთელი თავისი შედეგებით.
და აი, ასეთი მაღალი ერი დაიმორჩილა ჩამორჩენილმა რუ-
სეთმა. მოხდა ორი — მაღალი და დაბალი—კულტურის შეჯა-
ხება და რაღა გასაკვირალია, პირველის მატარებელთათვის
ეს მეტათ სამძიმო და აუტანელიც გამხდარიყო. აქედან და-
ბადა პოლშის მუდმივი ლტოლვილება სამშობლოს თავისუ-
ლებისაკენ. ამით აიხსნება მისი უკმაყოფილება იმ პოლიტი-
კური ავტონომიითაც კი, რომელიც მას ქონდა მინიჭებული
გასული საუკუნის პირველ ნახევარში, და რაც თავისი ამბო-
ხებებით დაკარგა. მართალია, მეცხრამეტე საუკუნეში რუსე-
თიც დიდათ განვითარდა, მარა ამავე დროს პოლშაც წინ მი-
დიოდა და ასე მუდამ რუსეთს წინ უსწრებდა. მიუხედავათ
ამისა, რუსეთის განვითარებამ დიდი გავლენა მოახდინა პო-
ლონელებზე; თუ ისინი წინეთ პოლიტიკურ ავტონომიასაც
არ ჯერდებოდენ, დღეს მხოლოთ ამას თხოულობენ და სრულ
დამოუკიდ ბლობაზე ძველებურათ აღარ ოცნებობენ. წინეთ
პოლშის სოციალისტური პარტია იმ აზრის იყო, რომ „უკულ-
ტურო“ რუსეთის პოლიტიკური განახლება უფრო ძნელია,
ვინემ პოლშის განთავისუფლება, ამიტომ მისი პროგრამის
პირველი მუხლი თხოულობდა „დამოუკიდებელ პოლშის რეს-
პუბლიკას“. მარა როგორც კი დაიწყო რუსეთის რევოლიუ-
ცია, და პოლონელი სოციალისტები დარწმუნდენ—რუსეთი.

არც ისე უკულტურია, როგორც მათ ეგონათ, პარტიაში მოხდა განხეთქილება, უმრავლესობამ თავი დაანება ნაციონალურ პროგრამას, დაუახლოვდა სოც.-დემოკრატიას, ხოლო გამოყოფილი უმცირესობა თანდათან მიილტვის წმინდა ნაციონალისტებისაკენ.

ერთი სიტყვით, როცა ერი კარგავს დამოუკიდებლობას, შემდეგ მისი კაპიტალისტურ ასპარეზზე გამოსვლისა და სამოქალაქო ცხოვრების ფლორძინებისა—მასში უკვე მზათ არის ნიადაგი ნაციონალიზმის, ნაციონალური მოძრაობის განვითარებისა.

თითქმის იმ დროს, როცა პოლონეთმა დაკარგა დამოუკიდებლობა, დაკარგა დამოუკიდებლობა საქართველომაც.

წარმოადგენდა ქართველობა ერთ ეროვნებას, ერთ სამოქალაქო სარბიელზე გამოსულ ნაციას? ჩვენ გადაჭრით ვამბობთ—არა, არ წარმოადგენდა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხი იმყოფებოდა ფეოდალურ ხანაში, ის დანაწილებული იყო რამდენიმე სამეფოთ და სამთავროებათ, რომელთა შორის გაუთავებელი შუღლი და ბრძოლა იყო. მრეწველობა სრულიათ არ ყოფილა, ვაჭრობა, ისიც მცირე, სხვა ერთა ხელში იყო, ქალაქი, ამ სახელის თანამედროვე მნიშვნელობით, მარტო თფილისი იყო. აი რას სწერდა 1810 წ. საქართველოს მთავარ-მართებელი სამინისტროს:

„საქართველოში (ე. ი. ქართლ-კახეთში) არ არის ფაბრიკა, რომელსაც შეეძლოს მხარის და მეზობლისათვის თავისი ნაწარმოების შეძლევა, ამ ქვეყნის უმთავრესი ნაწარმოები—„პური და ღვინო—სრულიად არ ესაჭიროება მეზობელ ხალხებს“ და სხ.

რაც შეეხება იმერეთს—აქ ხომ არა თუ მრეწველობა, ქალაქიც კი არ ყოფილა. ერთათ ერთი ქალაქი, ქუთაისი, უფრო სოფელს წააგავდა, ვინემ ქალაქს. ხოლო ზღვის პირის ქალაქები (ფოთი, ბათომი) თათრების ხელში იყო.

შეორე მხრით, ნაციონალური შეგნება ამ დროის გაბა. ტონებული კლასებისთვის სრულიად მიუწდომელია. როცა კახეთი აუჯანყდა რუსებს — ქართლი გაჩუმებული იყო, ხოლო მისი თავად აზნაურობა და თფილისის მოქალაქენი რუსეთთან ერთათ კახელთ ამშვიდებდა. 1806 წ. დადიანი სწერდა მთავარმართებელს: ახლა საუკეთესო დროა, რომ თქვენ იმერეთი დაიპყროთ; ასეთი სურვილი ჩვენ საიდუმლოთ გადმოგვცეს პეტერბურგში, რისთვისაც ჩვენ სამინისტროს საიდუმლოთ მივართვით ქალალდი — თუ როგორ ადვილათ შეიძლება იმერეთის ტახტის იმპერიისათვის დაპყრობა. ამ პლანს თქვენც გწერთ", და სხ. (სამაგიეროთ თხოულობს ორ სოფელს, რომელიც იმერეთს ეკუთვნოდა). სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი საიდუმლოთ სწერდა მთავარმართებელს, მომეცით ერთი პოლკი და მთელ იმერეთს დავიპყრობო. რრცა იმერეთის მეფე სოლომონის დაჭერას შეუდგენ — რუსის ჯარს ეხმარებოდა ჯარი მეგრელების, გურულების და ლეჩხუმლების. მეფე დატოვა თავის თავად-აზნაურებმაც და ის იძულებული გახდა დამორჩილებოდა.

ცხადია, ამ ხანაში თითოული კუთხე, თითოული მებატონე ფიქრობს მხოლოთ თავის ინტერესებზე, კერძო სარგებლობასა და გამორჩენაზე, არავის არ აწუხებს საერთო, საერო საქმე. ეს ქვეყნის სრული დემორალიზაცია და დაცემაა. რაკი ერთათ ერთი პატრონი ქვეყნისა თავად-აზნაურები მხოლოთ თავის თავზე ფიქრობდენ, როგორ რა გამოერჩეთ რუსებსო — აშკარაა, აღარ დარჩა არც ერთი ბატონობისათვის მომწიფებული კლასი, რომელსაც საქართველოს პატრონობა შესძლებოდა. ასეთი პატრონი უნდა ყოფილიყო გარეშე ვინმე, და ეს გარეშე იყო რუსეთი. და აი, აქ შეეტაკა ორი კულტურა — ქართველის ფეოდალური და რუსის — ბიუროკრატიული. უკანასკნელი პირველზე უფრო მაღალი საფეხურია, ის აუცილებლათ უნდა განვლოს ყველა თანამედროვე ერმა. რაკი ჩვენ ჩვენი ძალღონით ვერ დავარღვი-

ეთ ფეოდალური წყობილება, ცხადია, ის ვისმე სხვას უნდა დაერღვია და ასე წინმსვლელობისაკენ გზა გაეწალდა. მისი დამარღვეველი ძალა მოვიდა რუსეთიდან. რუსეთის თვითმპყრობელობამ დასცა ჩვენი ფეოდალიზმი. ეს რომ ასე ესმოდათ მაშინაც, სჩანს მთავარმართებელი ციციანოვის სიტყვებიდან, მიწერილი ალექსანდრე პირველის მიმართ, როცა იმერეთიც რუსეთს შეუერთდა: „ზნაესმა ინება, რომ საქართველო, დანაწილებული საქართველოს მეფის ალექსანდრეს დროს, გაერთიანებულიყო რუსეთის მეფის ალექსანდრესვე მოხებითო.

ამგვარათ, პოლშაში რუსეთის შესვლა — ეს იყო დაბალი პოლიტიკური წყობილების შესვლა მაღალისაში; ჩვენში რუსეთის შემოსვლა მოასწავებდა მაღალი პოლიტიკური წყობილების შემოსვლას დაბალისაში, ამიტომ აქ რუსეთი გახდა წესიერების დამცველი, ე. ი. ქვეყნის დაცვა გარეშე მტრებისაგან და თავაშვებული ფეოდალებისაგან - აი, რა გამოაცხადა მან თავის დროშათ. ორივე ეს სასარგებლო იყო ქვეყნისათვის, ორივე წარმოადგენდა დიდ ნაბიჯს წინ გადადგმულს. ამიტომ თვით მეამბოხე კახეთის თავად-აზნაურობაც კი ვერ ბედავდა ეთქვა — რუსეთი სრულიად არ გვინდაო; ის თხოულობდა მხოლოდ ფეოდალურ წყობილების შენახვას, რუსეთის მფარველობის ქვეშ.

ერთი სიტყვით, საქართველოს, თავის დამოუკიდებლობის დროს, არ განუვითარებია სამოქალაქო ცხოვრება, არ შეუქმნია მრეწველობა-აღებ მიცემობა, და რაღა გასაკვირვალია, მას ვერ შეემუშავებია ის ნიადავი, რომელზედაც ნაციონალური მოძრაობა იწყება. მას სული ეხუთებოდა ფეოდალთა კლანჭებში და მისი ამათგან გამოგლეჯისათვის ვის უნდა დაეღვარა ცრემლები? შეიძლება ფეოდალებს? მარა ხალხს არასოდეს!

ჩვენი ნაციონალისტები მუდამ იმას ქადაგებენ, რომ საქართველო წინეთ ყვავოდაო. აი, რას სწერს „ისარი" (№ 14): „რაც ხანი რუსეთის პოლიტიკური ბატონობა დაიწყო ჩვენს ქვეყანაში, ქართული მწერლობა და პრესა არასოდეს არ ყო-

ფილა მდიდარი". გამოდის, რომ წინეთ, რუსეთის შეშოსვლამ-დის, უფრო მდიდარი მწიგნობრობა და პრესა გვქონეპია! „ისარს" ისიც კი ავიწყდება, რომ ქართული პრესა მხოლოთ მეცხრამეტე საუკუნეში აღორძინდა, პირველი ქართული გაზეთი მთავრობის ინიციატივით და ხარჯით გამოვიდა. (1828 წ.).

რასაკვირველია, თუ კი ასე შევაბრუნებთ ისტორიას— ყველაფერი გაუგებარი დაგვრჩება, როგორც ეს ფედერალისტთ ემართებათ. და მართლაც, თუ კი წინეთ ჩვენ პრესაც კი მდიდარი გვქონებია, ცხადია, სამოქალაქო ცხოვრებაც გაჩაღებული ყოფილა, ე. ი. ყოველივე ევროპიულათ ყოფილა. მაშ, რატომ ჩვენი ხალხი არ იბრძოდა იმ კაი წყობილების აღდგენისათვის? ნუ თუ მას ცუდი ურჩევნია კარგს? რასაკვირველია არა, ის წარსულში არ ეძებს იდეალებს და ეს იმიტომ, რომ ნაციონალისტების ისტორია ზღაპარია.

შეიძლება მეცხრამეტე საუკუნის ისტორიამ მოუმზადა ჩვენს ხალხს ნიადაგი ნაციონალური მოძრაობისათვის?

III

როგორც ზემოთ ვთქვით, ქართველი ხალხის ეროვნული მდგომარეობის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მისი დამოუკიდებლობის დაცემა იყო იმავე დროს დაცემა ფეოდალურ წყობილების. ეს არის ის სათავე, საიდანაც გამომდინარეობს უკანასკნელი ასი წლის მთელი ჩვენი ისტორია. აქ უნდა შეტაკებულიყო ორი ძალა—ძალა წარსულის, ფეოდალური წყობილების დამმაგრებელი და ძალა ახალი, სამოქალაქო ცხოვრებისაკენ გზის გამკაფავი. პირველი არ ეთანხმება ხალხის ინტერესებს, და მაშასადამე, მისი მატარებელი კლასიც ვერ მოიპოვებდა ხალხის თანაგრძნობას. მეორე კი, პირიქით, ერთიანათ ხატავს ახალი მიმდინარეობის დედა-ძარღვს და მაშასადამე, მისი წარმომადგენელი არის იმავე დროს წარმომადგენელი მთელი ერის. როცა ორივე ამ ძალას იძლევა ერთი

და იგივე ერის სხვა და სხვა ნაწილი, მაშინ ახალის და ძველის ბრძოლა წარმოებს ერთ და იმავე ერში და ხალხიც ეროვნულ ნიადაგზე ძალაუნებურათ დგება, ვინაიდან სხვა ნიადაგი არ არის. და სწორეთ ყველა კულტურულ ერში ეს პროცესი ასე სწარმოებდა. ძველს იცავდა თავად-აზნაურობა, ახალს „მესამე წოდება“ ანუ ბურჟუაზიული საზოგადოება, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით და ცხოვრების შინაგანი დულილი ეროვნობის კედელს არ შორდებოდა. აქ ნაციონალური მოძრაობის ნიადაგი მზათ არის.

სულ სხვანაირათ მოხდა ჩვენში. რაკი ჩვენმა საკუთარმა განვითარებამ ვერ მოგვცა ახალი ცხოვრების მატარებელი კლასი, ჩვენ ვერ შევქენით ბურჟუაზიული საზოგადოება და ამ გზით ვერ დავარღვიეთ ფეოდალიზმი, აშკარაა ბრძოლას ახალს და ძველს შორის ვერ ჩაიტევდა ჩვენი ეროვნული ჩარჩოები. ერთი უნდა ეტვირთა ქართველს, მეორე კი არაქართველს და რომლის ინტერესები ამ მხრით გამოხატავდა ქვეყნის ინტერესებს—ხალხის თანაგრძნობაც მისკენ იქნებოდა.

და მართლაც, რუსები ჩვენში შემოვიდა გაბატონებული კლასის--თავად-აზნაურობის მოწოდებით და თანხმობით. მათი მიზანი იყო მძლავრი მფარველის კალთის ქვეშ შეენახა თავისი შინაგანი წყობილება ხელშეუხებლივ. არა ერთხელ ვყოფილვართ სპარსეთის მფარველობის ქვეშ, მარა ფეოდალიზმი ამით არ დარღვეულა, თავად-აზნაურობას ამით ბატონობა არ დაუკარგავს. და აი, გამოცთილებით გამხნევებული ფეოდალები ყოველ მხრიდან ეხვეწებიან რუსეთს—მოდით, გაგვასამართლეთ და დაგვიფარეთო. მარა რუსეთი სპარსეთივით ფეოდალური სახელმწიფო არ იყო, ის იყო თვითპყრობელობის განხორციელება და, მაშასადამე, მისი ჩვენში შემოსვლა აუცილებლათ ნიშნავდა თვითპყრობელობითი წყობილების შემოტანას. ის ძალა-უნებურათ ჩვენი ძველი წყობილების წინააღმდეგ უნდა ამუშავებულიყო და მით თავად-აზნაურობის პოლიტიკური ბატონობა დაეცა.

ძირს ფეოდალი, გაუმარჯოს ბიუროკრატს — აი, რით შემოვიდა რუსეთი. და აი, როგორც კი ამაში დარწმუნდა ჩვენი მოწინავე წოდება—ის იწყებს მოძრაობას ძველი წყობილების დასაცავათ. იწყება მთელი რიგი აჯანყებათა, განსაკუთრებით კახეთში და იმერეთში. ეს იყო პირველი ნაციონალური მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნეში. მართალია, ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს ერის სხვა და სხვა ნაწილი—თავად-აზნაურობა, გლეხობა და სამღვდელოება, მარა თითეული მათგანი სხვა და სხვა აზრით და მიზნით. და ეს ისე აშკარა იყო, რომ უბრალო გენერალი სისოევი, იმერთა დასაბუნებლათ გაგზავნილი თფილისიდან 1819 წ., ამას ამჩნევს და თავის მთავრობას ასე სწერს: მცხოვრებთა სხვა და სხვა წოდება არეულობით ფიქრობდა. სხვა და სხვა მიზნის მიღწევას: ხალხს ეგონა საეკლესიო რეფორმებით შემოაქვთ ახალი გადასახადი, 5—25 მ. კომლზე სამღვდელოების სასარგებლოთო; თავადებს სურდათ თავის მეფის ამორჩევა (კანდიდატი კიდევაც დანიშნეს), რუსების გაძევება და დამოუკიდებელი სამეფოს გამოცხადება. „ამით კიდევ არ თავდება ბოროტება, ვინაიდან ზოგი გლეხები ფიქრობდენ არეულობით ესარგებლათ ბატონებისაგან განსათავისუფლებლათ, ხოლო ბატონებს უნდოდათ მათთვის ქონება წაერთმიათ“[1]). ცხადია, აქ ნაციონალიზმის წარმომადგენელი ყოფილან მხოლოთ თავადები ე. ი. ფეოდალები, რომლებმაც უკვე იგემეს ნაყოფი ფეოდალიზმის დანგრევის და ამიტომ მოინდომეს ძველი წყობილება ისევ აღედგინათ, და რადგანაც ეს არ შეიძლებოდა ისე, თუ არა თავისი საკუთარი მეფის არჩევით და რუსების გარეკით—ისინიც ამ გზას უნდა დადგომოდენ. უნდა ითქვას, რომ მაშინ ფეოდალთა საერთო ნაციონალური აზრი იყო არა რუსების ერთიანათ გარეკა, არამედ მათ მფარველობის ქვეშ თავისი პოლიტიკური ავტონომიის შერჩენა. ამას თხოულობდენ კახელები და ხშირათ იმერლებიც.

---

[1]) „Акты“, т. VI, ст. 560.

ამ ნაირათ, საქართველოს ნაწილთა პირველი ნაციონალური[1]) მოძრაობა იყო მოძრაობა თავად-აზნაურობის ძველი წყობილების შესარჩენათ. გლეხობა აქ იღებდა მონაწილეობას სწორეთ წინააღმდეგი მიზნით—ბატონ-ყმობის უღლის შესამსუბუქებლათ, ე. ი. აქ ფეოდალები ებრძოდენ რუსებს, ხოლო გლეხები ფეოდალებს და რამდენიმეთ სამღვდელოებასაც. აი, ჩვენი ნაციონალიზმის ტრაგიზმი!

რატომ ასე უნდა მომხდარიყო? ცხადია, რატომ. თავად-აზნაურობის ნაციონალური დროშა იყო დროშა ფეოდალთა გაძლიერების, გლეხობის დაჯაბნების, ახალი ცხოვრების უარყოფის, ძველი ურთიერთობის აღდგენის—ერთი სიტყვით, ეს დროშა არ იყო ხალხის დროშა; თავად-აზნაურობის ნაციონალური ინტერესი არ შეიცავდა ნაციის ინტერესებს. ნაციონალიზმი შეიქმნა რეაქციონურ საშვალებათ. პროგრესიული ნაციონალიზმი ქართველობამ მაშინ ვერ წამოაყენა, რადგანაც არ იყო ის პროგრესიული კლასი, რომლის ნაციონალური ინტერესი განსაზღვრულ ხანაში არის იმავე დროს ინტერესი მთელი ერის, არ იყო კლასი—ბურჟუაზია.

ეს პირველი ქართველი თავად-აზნაურული ნაციონალიზმი ჩქარა დამარცხდა, მისი მოძრაობა ვერსად ვერ შეიქმნა ხანგრძლივი ან ძლევამოსილი. მარა ეს მკვდარი იჭერს ცოცხალს, მოძრაობა დამარცხდა, ხოლო მისი აზრი გადაეცა სამკვიდროთ ჩვენს ინტელიგენციას და დაედვა საფუძვლათ პოეზიას, ისტორიულ გამოკვლევას, ბელეტრისტიკას, პუბლიცისტიკას,—მთელ ჩვენ ლიტერატურულ აღორძინებას მესამოცე წლებიდან თითქმის დღევანდლამდის. ის ქართული ნაციონალიზმი, რომელიც აშენებულია წარსულის ქებაზე და აწმყოს ძაგებაზე, მომდინარეობს დაცემული ფეოდალებისაგან, ეს ამათი იდეოლოგია იყო.

---

[1]) ნაციონალური არა თანამედროვე მნიშვნელობით, რასაკვირველია, ვინაიდგან მაშინ გაერთიანებული ერი არ ყოფილა; ის იყო ნაციონალიზმი კუთხის, ხეობის, ნაწილების. ეს, ასე ვთქვათ, ფეოდალური ნაციონალიზმია.

გასული საუკუნის პირველ მეოთხედში. ეს მაშინდელი მებრძოლი ნაციონალიზმი შემდეგ ჩამოქვეითდა ლიტერატურულ ნაციონალიზმამდის. პირველს ქონდა ნიადაგი, მას თხოულობდა მთელი, ჯერ კიდევ მძლავრი, წოდების ძირითადი ინტერესები, ამიტომ მისთვის სისხლს ღვრიდენ, ომობდენ და ეს პირები მართლაც ისტორიული გმირებია. მეორე ნაციონალიზმს-ლიტერატურულს—არავითარი ნიადაგი არ ქონდა, არც ერთი წოდების ინტერესი არ თხოულობდა და ამიტომ მისთვის არც ვინმე იბრძოდა და არც სისხლს ღვრიდა. ეს ინტელიგენციის ამარათ დარჩა და რაღა გასაკვირალია, ის ცარიელ სიტყვებათ გადაქცეულიყო.

ამგვარათ ფეოდალიზმის დანგრევას და სამოქალაქო ცხოვრების დაწყებას წინ გადაეღობა თითოული კუთხის თავადაზნაურობა ცალ-ცალკე და მათ ნაციონალური დროშა ააფრიალეს. მეორე მხრით, ფეოდალიზმის დამგრევი და სამოქალაქო ცხოვრებისთვის ნიადაგის მომზადებელი შეიქნა არა ისევ ქართველი კლასი, არა ქართველობის ნაწილი, არამედ სრულიათ უცხო ვინმე, შორიდან შემოსული რუსეთი. ამან ააფრიალა რუსეთის დროშა. და აი შეეტაკა ორი დროშა, დროშა საკუთარი და უცხო, ნაციონალური და ანტი-ნაციონალური. ვისკენ უნდა ყოფილიყო ხალხის თანაგრძნობა? რასაკვირველია, უკანასკნელისაკენ, ვინაიდან ამ დროშის ინტერესი იყო იმავე დროს ინტერესი ხალხის, ინტერესი ქვეყნის აღორძინების, გაერთიანების, ახალი ცხოვრების დაწყების. ქართველი ხალხის ნაციონალიზმიდან დაშორება იწყება სწორეთ აქ. ის ცდილობს ახალი კულტურის შექმნას არა ნაციონალიზმით, არა რუსებთან ბრძოლით, არა ავტონომიით, არამედ რუსეთის დახმარებით, შინაგან ბატონებთან ბრძოლით და ასე, თავისი ცხოვრების თანდათან განახლებით.

მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების, გაქალაქების, მუდმივი, შეუჩერებელი წინმსვლელობის და კულტურულად ამაღლების. და ყველა ეს მოხდა

არა ნაციონალური კლასის ღროშის წინძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამით აიხსნება ანტი-რუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენში.

ეს, რასაკვირველია, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დღესაც აღარ იყოს ნაციონალიზმის ნიადაგი, პირიქით. რადგანაც ამ ერთ საუკუნეში ჩვენში აღორძინდა მრეწველობა, აღებ-მიცემობა, დაიბადა ბურჟუაზია და სხვა და სხვა, კაცი იფიქ-რებს, პროგრესიული ნაციონალიზმიც უნდა გამძლავრებული-ყოვო. ყველა ეს შესაძლებელია, მარა არა უეჭველია. ეს და-მოკიდებულია იმ ძალთა განწყობილებაზე, რომელიც ჩვენში წარმოიშვა. და აი, სწორეთ ეს ძალები ვერ დარჩა ნაციო-ნალიზმის სასარგებლო.

რა ძალებია ეს?

IV

თანამედროვე ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს არა მარტო თანამედროვე კლასების აღორძინებას, არამედ იმასაც, რომ ამ კლასების თუ კლასის ინტერესები ეწინააღმდეგებო-დეს გაბატონებული უცხო ძალის ინტერესებს. როცა პოლო-ნეთის ბურჟუაზიული საზოგადოება ნაციონალურ მოთხოვნი-ლებებს აყენებს—ამას სჩადის არა იმიტომ, რომ თავისი ნა-ცია, თავისი ენა და სამშობლო უყვარს, არამედ იმიტომ, რომ რუსეთი გზას უკრავს მის განვითარებას, მას სული ეხუ-თება რუსეთის ჩარჩოებში, ერთი სიტყვით ამას ითხოვს პო-ლონეთის ძირითადი ინტერესები. მარტო სიყვარული თავისი ერის და სამშობლოსი ვერავითარ მძლავრ მოძრაობას ვერ და-ბადებს. ქართველს შეიძლება თავისი სამშობლო პოლონელე-ბზე მეტადაც უყვარდეს, მარა ამით ის ნაციონალისტი ვერ გახდება. გრძნობაზე დამყარებული ნაციონალიზმი გაიტაცებს პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს, მარა ხალხს, ერს ვერა-სოდეს. უკანასკნელის ასამოძრავებლათ საჭიროა უფრო ღრმა მიზეზები, ვინემ გრძნობა.

არის ჩვენში ასეთი მიზეზები?

ბურჟუაზიული საზოგადოება ჩვენში ისე, როგორც ყველგან ჩაისახა ჯერ კიდევ ბატონ-ყმურ წყობილებაში. ის ყმები, რომელნიც ასე თუ ისე თავს აღწევენ ბატონების უღელს და ხელს ჰკიდებენ ხელოსნობას და აღებ-მიცემობას, წარმოადგენენ საფუძველს მოქალაქობრივი აღორძინებისას. ამ ელემენტების ქართველობაში გაჩენას და გამძლავრებას მუდამ ებრძოდა ქართველი გაბატონებული კლასი — თავად-აზნაურობა და ხელს უწყობდა არა ქართველი ძალა, რუსეთის ბატონობა. ეს ხდებოდა, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ პირველს ქართველი გლეხობა სძულდა, ხოლო მეორეს უყვარდა, პირიქით პირველს ის შეიძლება მეორეზე უფროც უყვარდა, მარა აქ მუშაობდა ინტერესი და ამას ემორჩილებოდა პოლიტიკაც. თ.-აზნაურობა, როგორც ძველი წყობილების წარმომადგენელი, ძალაუნებურათ უნდა შებრძოლებოდა ახალს, მისი ბატონობის დამცემ მიმდინარეობას, ხოლო ბიუროკრატიული სახელმწიფოს ინტერესი თხოულობდა ფულის მეურნეობის განვითარებას, აღებ-მიცემობის გაძლიერებას, ბურჟუაზიულ საზოგადოების დაბადებას. ხოლო ყველა ეს არ შეიძლება ისე, თუ გლეხობის ერთ ნაწილს მაინც არ მიეცა საშვალება ბატონის მიწას მოშორდეს და თავისუფალი ხელობით იცხოვროს. და აი, საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ასეთი ელემენტების თანდათანი წარმოშობის და მათი არსებობისათვის ბრძოლის.

როცა თავად-აზნაურობა დარწმუნდა, რომ მას სამუდამოთ დაეკარგა პოლიტიკური ბატონობა, მაშინ შეუდგა თავის ინტერესების დაცვას რუსეთის მთავრობის საშვალებით. მეორე მხრით, წყობილების შეცვლით სარგებლობა მოიწადინა გლეხობამაც და აი, იმართება ბრძოლა ამ ორ წოდებას შორის. გლეხი პირველ ყოვლისა ცდილობს ბატონს თავი დაახწიოს და სახაზინოთ გახდეს. ამ მიზნით ის იწყებს პროცესებს სასამართლოში. ამ კითხვამ „საქართველოს მთავრობა“ გაყო

ორ ბანაკათ: ქართველი წევრები გლეხების ასეთ ფულებას უარყოფენ, ხოლო რუსები კი სცნობენ და მათთვის გადასახადების შეღავათსაც ითხოვენ. აი, რას ვკითხულობთ „მთავრობის“ ოქმში 1826 წ. ორბელიანი, თუმანოვი, თარხანოვი, დოლგორუკოვი, ჩოლოყაშვილი და აფხაზი—წევრნი მთავრობისა ადგენენ: „ასეთ გლეხს დაეკალოს დაემორჩილოს მებატონეთ და უხადოს ყოველნაირი გადასახადი მას რუსის გლეხებივით“, ხოლო ვისაც ვენახი აქვს, იხადოს მეშვიდედი, ვინაიდან რუსის გლეხს ვენახი არა აქვს და სხვ. რუსები ადგენენ: გლეხნი, რომელნიც იძიებს ბატონებისაგან თავისუფლებას და იხდიან კულუხს და ღალას, მებატონეთა სასარგებლოთ კვირაში ორ დღეს მუშაობენ. ხოლო ისინი, ვინც კულუხს და ღალას არ იხდიან, მუშაობენ სამ დღეს; გარდა ამისა, ისინი არ იხდიან არც ერთ იმ გადასახადს, რომელიც დღევანდლამდის არსებობდა“. ამის შემდეგ ამავე წლის ნოემბერში თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალი ხელმწიფის წინაშე ღძრავს, სხვათა შორის, შემდეგ შუამდგომლობას: „აეკრძალოს თავისუფლების ძებნა იმ საბატონო გლეხებს, რომელნიც რუსეთის მთავრობის შემოსვლის დროს და 1817 წ. კამერალური აღწერით საბატონოთ ირიცხებოდენ“. ამის პასუხათ მთავარ-მართებელი ერმოლოვი სწერს: თანახმათ ქართული ჩვეულებისა „ზოგი სახაზინო გლეხი ცხოვრობს საბატონო მიწაზე და მას უხდის ღალას. აგრეთვე ბევრი საბატონო გლეხები ცხოვრობენ საეკლესიო ან სახაზინო გლეხებში... არიან აგრეთვე ხიზნები... ამიტომ 1817 წ. აღწერა სრული არ არის და სხვ. „თუმცა დარწმუნებული ვარ, ის ერთგულება, რომელიც თავად-აზნაურობამ ისე აშკარათ დაამტკიცა დღეს, ნებას აძლევს მას ეს შუამდგომლობა წარადგინოს ხელმწიფის წინაშე“. მეორე მხრით, განაგრძობს ერმოლოვი, გუბერნიის მარშალმა პირადათაც მითხრა, რომ იმ გლეხთ, რომელნიც რუსეთის შემოსვლამდის ბატონის მიწაზე იდგა და ყმათ იწოდებოდა, „აეკრძალოს სასამართლოში სიარული და

ამტკიცოს თავისი უფლება თავისუფლებაზე". მარა რადგანაც საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, ძლიერ ბევრი, როგორც სახაზინო, ისე საეკლესიო, გლეხები ცხოვრობდენ ბატონების მამულზე და პირობით მუშაობდენ, ამიტომ მას ეუპასუხე—„არ შეიძლება აუკრძალოთ დაბალი კლასის ადამიანს იძიოს თავისი უფლება, როცა მას სტაცებს მძლავრი ადამიანი". მარა ამასთანავე ასეთმა გლეხმა ბატონს უნდა უხადოს ყოველივე წინანდებურათ დავის გადაწყვეტამდის და სხვ.

და ასე, თავად-აზნაურობა სისტემატიურათ ებრძვის გლეხობას და არ ანებებს თავი დააღწიოს ყმობას. გლეხებს დარჩათ ერთათ-ერთი იმედი— რუსის მთავრობა, რომელიც ტვირთულობდა მებატონეთა გადაკარბებულ მადის ფრთის შეკვეცას, თავადები ებრძოდენ არა მარტო გლეხებს, არამედ თავის აზნაურებსაც. ისინი ამტკიცებდენ, რომ მათი აზნაურები იგივე მათი გლეხებია, შეუძლიათ მათი გაყიდვა, გაჩუქება, მამულის ჩამორთმევა და სხვ. ამიტომ მათი მამული და თავისუფლება უფლებით უნდა უდრიდეს გლეხის მამულს და თავისუფლებასო, მთავრობამ კი ეს უარჰყო და მან ისინი უფლებით გაუთანასწორა ტახტის აზნაურებს[1]).

ერთი სიტყვით, ქართველი ხალხი თავის მდგომარეობის შესაცვლელად მიმართავდა არა ისევ ქართველს, არამედ არა-ქართველს, რუსის მთავრობას. ის თავისიანებისაგან, თავადებისაგან, დევნილი და შევიწროებული, სამართალს ეძებდა ქართველი ერის გარეშე, და ეს გარეშეც ამ თავის მოსაშვალე როლს ასრულებდა. გასული საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა თ.-აზნაურობა ჯანყობდა და ახალ წყობილებას არ ურიგდებოდა, მთავრობა გლეხების მხარეზე იდგა, რომ ამით მებრძოლი წოდება განემარტოვებია. შემდეგ ოცდაათ-ორმოც წლებში მთავრობა ხან გლეხს იცავს, ხან ბატონს; შემდეგ, განსაკუთრებით ვორონცოვის დროს, ის გადაპრით მებატონეს ემხრობა. ამით აიხსნება ის, რომ 1849 წელს მთავ-

[1]) „Акты" т. IV გვ. 89—91, 129—134 და სხვ.

რობამ გააუქმა კანონი, რომლის ძალით გლეხს შეეძლო თავისუფლების ძიება დაეწყო, თუ მებატონეს მისი ყმობის წერილობითი საბუთი არ ექნებოდა. ახლა ეს მუხლი შესცვალეს ბატ-ნის სასარგებლოთ—თვით გლეხს უნდა წარედგინა წერილობითი საბუთი იმის, რო ის ან მისი მამა, ან პაპა თავისუფალი იყვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარს არ იღებდენ. სამაგიეროთ, 15 წლის შემდეგ ბატონ-ყმობა ერთიანათ გაუქმდა და სამოქალაქო ასპარეზზე მთელი ხალხი გამოვიდა. ამნაირათ, შევიწროებულ გლეხობას ერთათ ერთი საშვალება ქონდა თავისუფალი ელემენტები წარმოეშვა—ეს საშვალებაა რუსის მთავრობა. რომ მისი დამხმარე ძალა თვით ქართველობას წარმოედგინა და ეს რუსის მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებულიყო გლეხობის სასარგებლოთ—ცხადია, უკანასკნელი მას მიემხრობოდა და რუსეთს გადაუდგებოდა, ნაციონალური მოძრაობა გაჩაღდებოდა. მარა ვინაიდან ასეთი ძალა არ დარჩა ერის ჩარჩოში, გლეხობაც იძულებული გახდა ამ ჩარჩოს გასცილებოდა და ნაციონალიზმთან კავშირი გაეწყვიტა.

და აი, ასეთი გზით დაბადებული ბურჟუაზიული ელემენტები ვერასოდეს ვერ გახდებოდენ ნაციონალიზმის მატარებელი. პირიქით, ისინი, როგორც რუსეთის კალთის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, უნდა ყოფილიყვენ რუსეთის მომხრე და ეს ანტინაციონალური მიმდინარეობა უნდა გადაეტანათ ხალხშიაც.

ამგვარათ, ბურჟუაზია ყოველგან ნაციონალისტი—ჩვენში თავიდანვე ანტინაციონალისტათ გამოდის. მარა შეიძლება შემდეგი განვითარებით მასში მომზადდა ნაციონალიზმის ნიადაგი?

V

როგორც დავინახეთ, ქართველი ბურჟუაზიული ელემენტების დაბადება ვერ მოხდა ნაციონალური გზით. ხოლო მერმინდელი მათი განვითარება კიდევ უფრო გადმოდის ერო-

ვნულ კალაპოტიდან და ღებულობს ინტერნაციონალურ სახეს.

და მართლაც, ყოველგან ნაციონალური ბურჟუაზია ააღორძინა ნაციონალურ კაპიტალმა, რომელიც ხანგრძლივათ იკრიბებოდა ვაჭართა ხელში. ჩვენ კი დრო და გარემოება არ გვანებებდა ასეთი კაპიტალის შექნას. ფეოდალური წყობილება პირდაპირ აიძულებდა ქართველს ვაჭრობა და ისიც მცირე, დაეთმო იმ ერთა წარმომადგენელთათვის, რომელთაც თავის შინ აღებ-მიცემომა ქართველობაზე უფრო განავითარეს და ასე საავაჭრო თანხა შეაგროვეს ასეთი იყო განსაკუთრებით სომხობა. საუკუნოების განმავლობაში ერთი მხრით დასავლეთი ევროპა და მეორე მხრით ამიერ-კავკასია სპარსეთთან, ოსმალეთთან და ინდოეთთან ვაჭრობდა მცირე აზიის გზით, რომელიც გადადიოდა სომხეთზე. შუშა, ნუხა. ერივანი კავკასიის საავაჭრო კარებია, საიდანაც გაქონდათ და შემოქონდათ საქონელი სპარსეთში და სპარსეთიდან. ხოლო ახალციხე, ერზერუმი და სხვ. კარს გვიღებდა ოსმალეთისაკენ და რადგანაც ეს საავაჭრო ცენტრები საქართველოს გარეშე იმყოფებოდა[1]), ცხადია, ქართველობა მოწყვეტილი იყო საღებ-მიცემო გზას და ის ფეოდალურ ქერქს თავისი ძალღონით ვერ გამოიცვლიდა.

მეორე მხრით, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცემას თან მოყვა ასეთივე დაცემა კავკასიის ყველა დამოუკიდებელი სახანოების და სამთავროებისა. კავკასია გახდა ერთი ერთეული, სადაც ერთა დაახლოვება და ერთი მეორეში არევა მოხდა. გაზ. „ისარი“ ამ გარემოებას დასტირის, იწუნებს და ჰგონია, ყველა ეს ხელოვნურათ წარმოიშვა, ის სწერს: „უპირველეს ყოვლისა ბიუროკრატიამ საქართველო რუსეთის უბრალო გუბერნიათ გადააქცია, და რომ თვითონ სიტყვა „საქართველო“-ც ისტორიულ წარსულისათვის მიეცა, ჩვენი ქვეყანა ხელოვნურათ დაანაწილა, შექმნა სრულიად ახალი

[1]) ახალციხე მოწყდა საქართველოს მე-XV საუკუნეში.

საადმინისტრაციო ტერმინოლოგია, წინ წამოაყენა საადმინისტრაციო ერთეულათ კავკასია და თვით კავკასიაშიც შემადგენელი ნაწილების ისეთი კომბინაცია მოახდინა, რომ კულტურულათ, ეთნოგრაფიულათ, და გეოგრაფიულათ დაშორებული ნაწილები შეაერთა, ხოლო კულტურულათ შეღუღებული ნაწილები კი ერთმანეთს (?) დააშორა". და სხვ. (№ 10 ფელეტონი). ბიუროკრატია ასეთი სასწაულ-მომქმედი რომ იყოს, აშკარაა, ამასვე ჩაიდენდა ის ფინლიანდიაში და პოლონეთში, და თუ ეს ასე იქ ვერ მოახერხა, ხოლო აქ კი—ამის მიზეზია არა ის თვითონ, არამედ ის ისტორიული და კულტურული პირობები, რომელშიაც ეს მხარეები იმყოფებოდა. საქართველოს პოლიტიკური წყობილება—ფეოდალიზმი, იყო იმავე დროს წყობილება მთელი ამიერ-კავკასიის და რაღა გასაკვირველია მათი სავალი გზაც დაახლოვებით ერთნაირი ყოფილიყო. ამ დამოუკიდებელი სამფლობელოების რუსეთთან შეერთება წარმოებს ერთგვარათ. ეს ერთი-მეორის კოპიოა, ასე, რომ ბიუროკრატიას აქაც კი ვერ გამოუჩენია ორიგინალობა. მან საქართველოც ისე „დაატყუა", როგორც ყველა დანარჩენი მისი მეზობლები. ჩვენ აქ არ გამოუდგებით ამ პროცესის აღწერას, ვიტყვით მხოლოთ, რომ ეს კავკასიის სხვა და სხვა ნაწილთა დაახლოვება და ერთათ შეუღლება ისტორიული ფაქტია, აუცილებელი მოვლენაა და ამას ვერავითარი გულში ხელის ცემა და გოდება ვერ შესცვლის. მაშასადამე, საჭიროა მისთვის ანგარიშის გაწევა და მისი შედეგების ცნობა.

და ეს შედეგები მრავალნაირია. პირველ ყოვლისა, ამით კარები გაეხსნა არა-ქართველს საქართველოში თავისუფლათ მოქმედებისათვის და ქართველს—კავკასიის დანარჩენ ნაწილებისაკენ. ყველა ადგილობრივ ერთა ვაჭარი და მუშა ერთმანეთს დაუახლოვდენ, საერთო საქმეში შეებენ, ერთ ეკონომიურ ჩარჩოში მოიქცენ. საქართველოში შემოვიდა უცხო კაპიტალი—სომხის, რუსის, ევროპიელის და სხვ. ქართველი გავიდა საქართველოს გარეთ, კავკასიის სხვა კუთხეებში ბე-

დის საძებნელათ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო დააჩქარა ჩვენი ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარება და ამას მისცა თავის რჩენის ახალ-ახალი საშუალება. საქართველოს წინ წაწევა მოხდა არა მარტო რუსეთის პოლიტიკური გავლენით, არამედ უცხო კაპიტალის შემწეობითაც. ამიტომ ქართველი ბურჟუაზიის ინტერესი სრულიად არ მოითხოვდა უცხო ბურჟუაზიის განდევნას ან შევიწროებას, პირიქით, ეს უკანასკნელი მისი განვითარების მიუცილებელი პირობაა... ჩვენი ქვეყნიდან რომ დღეს არა-ქართველი კაპიტალი და კაპიტალისტები გავიდენ—მთელი ქართველობა მას მუდარით გამოეკიდება, დარჩით, ნუ წახვალთო, ვინაიდან ეს გამოიწვევს დიდ არევ-დარევას ცხოვრების ყველა სფერაში. მართალია, ამ რამოდენიმე წლის წინეთ ჩვენმა მოღვაწეებმა გაილაშქრეს სომხების წინააღმდეგ, მარა ეს სრულიად არ ხატავდა ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებს. და განა შეუძლია ქართველ ვაჭარს ივაჭროს სომხის ბანკის ან კაპიტალის დაუხმარებლივ? თუ კი, საზოგადოთ, წვრილი ბურჟუაზია დამოკიდებულია სხვილისაგან, განა ეგეევ არ ითქმის ქართველ წვრილ ვაჭრებზე, რომელთა ინტერესები პირდაპირ თხოულობს სხვილი ბურჟუაზია მადლიერი ყავდეს? ჩვენებური ანტისომხური მიმდინარეობა ხატავდა არა ბურჟუაზიის, არამედ გაკოტრებული, სომხის კაპიტალის ხელში ჩავარდნილი მემამულეების ინტერესებს. ე. ი. ეს მიმდინარეობა იყო რეაქციონური.

ერთი სიტყვით, ქართული კაპიტალის უქონლობამ, ისე, როგორც ერთი ქართული პოლიტიკური ძალის შეუმუშავებლობამ, ქართველობა აიძულა უცხო ეკონომიური და პოლიტიკური ძალისთვის მიემართა და ამათი დახმარებით თავისი მოქალაქობრივი მერმისი აეშენებია. ის ეკონომიაშიც, ისე, როგორც პოლიტიკაში, გამოვიდა ეროვნული ჩარჩოებიდან და მით მოშორდა ნაციონალისტურ ეკონომიას და ნაციონალურ პოლიტიკას.

და ასე, ქართული გლეხობა, ბურჟუაზია და მუშა არ

ვითარდება ნაციონალური გზით. ამიტომ მათი ნაციონალური თვითგამორკვევა არ შეიძლება იყოს მიმართული წინააღმდეგ უცხო პოლიტიკური და ეკონომიური ძალისა. პირიქით, ეს თვითგამორკვევა აუცილებლათ უნდა იყოს და კიდევაც არის ინტერნაციონალური ე. ი. საერთო პოლიტიკა და საერთო ეკონომია—აი, ქართველობის ახლანდელი დროშა.

ეს ერთობა, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა კლასს სხვადა-სხვანაირათ ესმის. მუშა და გლეხი უერთდება სხვა ერის მუშას და გლეხს თავისი პოლიტიკური და ეკონომიური უღლის შესამსუბუქებლათ, ხოლო ბურჟუაზია—მუშათა მოძრაობის დასათრგუნავათ, იძულებულია შეუერთდეს სხვა ერის ბურჟუას; ამის ცოცხალი მაგალითია თფილისის წვრილ ვაჭართა ორგანიზაცია, სადაც ყველა ეროვნობა იღებს მონაწილეობას. ასე, რომ ჩვენი ყველა თანამედროვე კლასი თავისი ინტერესებისათვის საბრძოლველათ იძულებულია ააფრიალოს ინტერნაციონალური დროშა. ამ აუკილებლობას არ ემოურჩილება მხოლოთ ჩვენი ინტელიგენცია და ამიტომ ის ჰაერში გამოკიდებულია, უჯარო სარღლებია, თუ საიმედო ჯარათ არ მივიღებთ უძლურ, დრო-გადასულ თავად-აზნაურობას და თითო-ოროლა პირებს სხვა და სხვა კლასებიდან. მისი ჯარი დაიბადება მხოლოთ ქართველ შეძლებული ბურჟუაზიის, ქართული სხვილი კაპიტალის გაჩენიდან. ერთათ ერთი შეძლებული ბურჟუაზიის ინტერესი იქნება სხვა ერთა ბურჟუა თავიდან მოიშოროს და ქართველი ხალხი წვრილი ბურჟუაზიითურთ ოვითონ ყვლიფოს.

ინტელიგენცია, მაშასადამე, გამოდის არა არსებულ რეალურ პირობებისაგან, არა ხალხის ნამდვილი ინტერესებისაგან, არამედ თავის საკუთარ სურვილების, თავისი „საუკეთესო“ პლანებისაგან. ის ხედავს ხალხის ინტერნაციონალურ მიმდინარეობას, ეს მას აწუხებს და ფიქრობს თავისი ქადაგებით ის ნაციონალურ გზაზე გადაიყვანოს. ეს იდეალისტური შეხედულება ისტორიაზე მისი დამახასიათებელი თვისებაა და

ამიტომ ჰგონია—სოც.-დემოკრატებმა „გადაარჯულეს“ ხალხი, ეროვნული იდეა დაუკარგესო. მან რომ ჩვენი ისტორია მართლა იცოდეს, ნამდვილი მდგომარეობის დანახვა რომ შეეძლოს, მაშინ იტყოდა არა იმას, რასაკვირველ ამბობს, არამედ ჩვენთან ერთათ დაასკვნიდა—ყოველი ერი მიდის თავისი საკუთარი გზით და საკუთარი ჯკუით; ქართველობის საკუთარი გზაა—გზა ინტერნაციონალური, რის შეცვლა შეუძლია არა ქადაგებას, არამედ მხოლოთ ისტორიულ პირობებს. ეს პირობები რამოდენიმეთ გაჩნდება სხვილი ბურჟუაზიის აღორძინებით. მაშინ ჩვენი ინტელიგენციის ნაციონალიზმი ამ ბურჟუაზიის იდეოლოგია იქნება. მარა ამ დროისთვის პროლეტარიატში ისე ძლიერი იქნება კლასიური შეგნება და ინტერნაციონალური სული, რომ ნაციონალიზმი მას და მის მიმყოლ გლეხობას ოდნავათ ვერ ჩაითრევს. ჩვენ, რასაკვირველია, კარგათ ვხედავთ, რომ კავკასიის სხვა ერებში ნაციონალიზმი დღეს გაძლიერებულია. და აი, სწორეთ ქართველი მუშა ხალხის ისტორიული მოწოდებაა შეებრძოლოს ამ სხვა ერთა ნაციონალიზმს, თანდათან მოიმხროს მათი პროლეტარიატი და გლეხები და ასე ინტერნაციონალიზმი ყველა ერში გააბატონოს. სწორეთ ამიტომ უარვყოფთ ჩვენ ქართულ ნაციონალურ სოციალდემოკრატიას, ვინაიდან ეს ხელს შეუშლიდა ჩვენ ხალხს თავის მისსიის შესრულებაში. კავკასიაში, ამ მრავალ ეროვნებათა ქვეყანაში, უნდა იყოს ერთი საერთაშორისო მუშათა ორგანიზაცია, მეტი გზა არ არის. და რადგანაც ამ მიმდინარეობის საუკეთესო გამომხატველია ქართველი ხალხი, რაღა გასაკვირველია—ამ საქმის მეთაურობაც მას ეტვირთა.

გავათავეთ. ახლა ცხადი უნდა იყოს ის, თუ რამდენათ უსაფუძვლოა ფედერალისტთა აზრი—ვითომ ჩვენ „მოვახვიეთ“ ხალხს ჩვენი ნაციონალური პროგრამა. პირიქით, ეს პროგრამა ჩვენ თვით „მოგვახვია თავზე“ ხალხმა. ეს კითხვა ფართეთ იქნა ორგანიზაციაში დასმული და გარჩეული ამ ერთი წლის

წინეთ და ვინც ამის მოწამე ყოფილა, იმას ალბათ ახსოვს, რომ არც ერთ კითხვას არ გამოუწვევია ისეთი ერთსულოვანი პასუხი, როგორც სწორეთ ამ კითხვამ გამოიწვია. ეს პასუხი კაი ხანია აღბეჭდილია ერთ დოკუმენტში, რომლის დასკვნა ასეთია.

„რუსეთის სახელმწიფოს ძირითადი კანონებით დადგენილ იქნას სახელმწიფო წყობილების სრული დემოკრატიზაცია და ყველა ერის სრული პოლიტიკური და მოქალაქობრივი თანასწორობა, განურჩევლათ გვარ-ტომობისა. სამშობლო ენის თავისუფლათ ხმარება ყველა ადგილობრივ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სასამართლო დაწესებულებაში და განათლების მიღების უფლება სამშობლო ენაზე. რუსეთის კანონმდებლობის ფარგლებში ადგილობრივ კულტურულ ეკონომიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მთელი ამიერ-კავკასია უნდა შეადგენდეს საოლქო ერთეულს ცენტრალური ორგანოთი, რომელიც არჩეულ იქნება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით“.

ნაციონალური ენა და კულტურა ამიერ-კავკასიის ყველა ერთა თანხმობით და ერთი მეორის დახმარებით—აი ჩვენი ხალხის დღევანდელი ნაციონალური თვითგამორკვევა. ჩვენ ამ საფუძველზე ვდგევართ, ხალხთან ერთათ მივდივართ...

სადაო კითხვები.

I.

(ბ. ჯორჯაძის პატრიოტული გამოლაშქრება).

ჩვენმა წერილებმა—„ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“[1]) დიდათ შეარყია ნაციონალისტთა ბანაკი და მისი ლიდერები საკამათო მოედანზე გამოახტუნა. ჯერ ქუთათურ

[1]) „ცისკარი“ № 7, 9, 11, „აზრი“ № 1, 3.

„ფარელებმა“ გამოილაშქრეს, თუმცა მეტათ ტკბილოთ და ვაგლახათ. ამათი წერილები იმდენათ მოკლებულია სერიოზულ საფუძველს და რაიმე ისტორიულ ცოდნას, რომ არა გვგონია რომელიმე მკითხველმა ეს თავის თავათ ვერ დაინახოს და მას კიდევ მოხმარება დასჭირდეს... საკმარისია ის მცირე შენიშვნებიც, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო მოთავსებული „ფარელთა“ შესახებ, რომ ქუთათური მოკამათენი სადაო საგანზე სამუდამოთ ჩაჩუმდენ.

ეს ალბათ კარგათ დაინახეს თფილელ მოწინააღმდეგენმა და აი, ამათ თავის დასახმარებლათ მოიწვიეს ყოველნაირი ნაციონალისტური პარტიის ბელადი ბ. არჩილ ჯორჯაძე, ეს, ასე ვთქვათ, მოსიარულე, სხვა და სხვა პარტიებში მოხეტიალე მწერალი. რომელი მიმართულება გინდა, რომ ის არ მიემხროს და თავის მიმართულებათ არ გამოიტანოს, გარდა, რასაკვირველია, სოც.-დემოკრატიისა. ის თავიდანვე „ნიადაგს“ ეძებს. შინჯავს, ერთიდან მეორეზე გადადის, ყოყმანობს—ერთი სიტყვით, არ იცის საით წავიდეს, რა გზას დაადგეს, რა გააკეთოს. ასეთი კაცი ბუნებრივი ლიდერია ჩვენი ულიადაგო, უენერგიო და უსაქმო ინტელიგენციის. და რაღა გასაკვირალია ყოველ გაპირვების დროს ბ. არჩილ მას მოევლინებოდეს ნუგეშათ და მხსნელათ. ამდენ ხეტიალში და პარტიულ კანის გამოცვლაში ბ. ჯორჯაძე ბოლოსაც იმათ რჩება, რაც თავ'ში იყო — უბრალო ნაციონალისტათ. ეს მისი შეუცვლელი მიმართულებაა, ის იქ მედგრათ დგას და ამ პოზიციას არასოდეს არ ტოვებს. ის ცვლის მხოლოთ ამ მიმართულების ვარეგან გამოხატულებას, მის დეკორაციას, ხშირათ თვით სცენასაც, და ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ყოველნაირ დეკორაციაში და სცენაზე ითამაშოს ერთი და იგივე პიესა, იმღეროს ერთი და იგივე სიმღერა: ვაი სამშობლო დაღუპულოვო და სხ.

ამიტომ ბ. ჯორჯაძეს, როგორც ყოველ ნაციონალისტს, არასოდეს არ ძალუძს განსაკუთრებით ჩვენ წარსულს გულდასმით შეხედოს და მასზე მიუდგომელი აზრი შეადგინოს. ყვე-

ლა ჩვენი ნაციონალისტი, თვით გასულ საუკუნის პირველი ნახევრის ფეოდალიდან დაწყებული და გათავებული ბ. ჯორ-ჯაძით, აღიარებენ ერთ და იმავე ისტორიულ მცნებას: წარ-სული გვქონდა დიდებული, აწმყო დაჩაჩანაკებული. აქედან წარსულის ქებათა-ქება, აწმყოს ძაგება—მთელი მათი პატრი-ოტიზმის შინაარსია. ეს არის ჩვენი პატრიოტიული ისტორია და ამას არ ღალატობს ბ. ჯორჯაძე არც ახლა, ჩვენს წინა-აღმდეგ მომართულ წერილებში: პირიქით, მთელი თავისი „შემეცნება“ მას სწორეთ ამ საფუძველზე აუგია და მით კი-დევ ერთხელ დაუმტკიცებია ცნობილი ანდაზა: რაც უნდა ხე-ხოთ ქვიშითა... და სხ.

ბ. ჯორჯაძის წერილები[1]), ასეთი მყვირალა სათაურით: „სამშობლო და მამულის შვილობა“ ბევრში ემზგავსება ფა-რელთა წერილებს და ბევრში განსხვავდება მათგან; მსგავ-სებაა მთავარში, განსხვავება წვრილმანებში, საბუთების მო-ნახვაში. პირველ ყოვლისა, ორივე ჩვენს წერილებს უწო-დებენ „მონობის აპოლოგიას“; ბ. ჯორჯაძე შორსაც მიდის, მისი აზრით ჩვენ ვქადაგობთ: „გაუმარჯოს მთავ-რობას, ძირს ნაციონალიზმი“-რ![2]) აი როგორ უკარგავს გონებას ამათ ყოველგვარი კრიტიკა ჩვენი წარსულის. ასეთმა ხალხმა რომ ჩვენი ვერაფერი გაიგოს—რა გასაკვირალია. „ქართველი ხალხის და ნაციონალიზმის“ მთავარი მიზანია ახსნა იმის, თუ რატომ ასე სუსტია ქართველობაში ნაციონალისტური მიმარ-თულება. ჩვენ ვსწერდით:

„შეიძლება ეს (ნაციონალიზმის სისუსტე) სასიამოვნო არ იყოს, შეიძლება ეს გაიცხონ, შეიძლება ამან ააშფოთოს ბე-ვრი, მარა ეს ასეა, ეს ფაქტია და, მაშასადამე, მისი ცნობა და მისთვის ანგარიშის გაწევა აუცილებელია. ამას ვერ დაარ-ღვევს ვერც გულზე ხელის ცემა, ვერც ლანძღვა-გინება, ვერც უიმედობა და სასოწარკვეთილება. რა არის ამ საყურადღებო

[1]) იხ. „ამირანი“ № 36—48.

[2]) იხ. „ამირანი“ № 47.

მოვლენის მიზეზი? აი დიდი კითხვა... ამაზე მოვილაპარაკებთ შემდეგ წერილში“ [1]).

როგორც ხედავთ, ჩვენი წერილის მიზანია ახსნა ამ დიდი კითხვის და ჩვენც ვხსნით მას. მაგრამ მოვლენის ახსნის გაგება, როგორც ამ მოვლენის აპოლოგია— ეს ერთათ ერთ ჯორჯაძე—„ფარელთა“ „ფილოსოფიაა“. იმავე წერილებში ჩვენ ვხსნით მიზეზს ნაციონალიზმის გამძლავრებისას პოლონეთში, მაშ, ეს ნაციონალიზმის აპოლოგია ყოფილა? კაპიტალიზმის წარმოშობის ახსნა კაპიტალიზმის ქება იქნება? ერთი სიტყვით, მეცნიერების ანბანია ის, რომ მოვლენის ახსნა სხვაა და ამ მოვლენის ქება კიდევ სხვა. მათ შორის დიდი ზღვარია. ბ. ჯორჯაძე ამ ელემენტარულ საგანს ვერ არჩევს და ისტორიული მიუდგომლობის ალაგას თავის გულის წყრომას აყენებს. ის ისე გაჟღენთილია დამყაყებული ნაციონალიზმით, წარსულის ხელშეუხებელ სიწმიდეთ აღიარებით, რომ მოვლენის ახსნაც კი აპოლოგიათ და მთავრობის ქებათ ელანდება.

ბ. ჯორჯაძეს ნაციონალური კითხვის მიუდგომლობით განსჯა რომ შეეძლოს, პირველ ყოვლისა იკითხავდა- არსებობს თუ არა ხსენებული მოვლენა და თუ არსებობს, მართალია თუ არა მისი ჩვენ მიერ ახსნა? ნამდვილათ კი ის ამას სრულიად არ სჩადის. პირველი კითხვა მისთვის არც კი არსებობს, მას არც კი ეხება და მით მთელი მისი კრიტიკა გადაიქცა გამწყრალი ნაციონალისტის პატრიოტულ დემონსტრაციათ. გაუმარჯოს წარსულს, ძირს აწმყო—აი მთელი მისი ისტორიული ავლა-დიდება.

ამ მიზნის მისაღწევათ ავტორი თხზავს სამ ზღაპარს და ის გამოაქვს ისტორიულ ფაკტათ. ეს ზღაპრებია: 1) ეროვნობას ქმნის ერის დამოუკიდებელი სახელმწიფო, 2) ჩვენში რუსეთის შემოსვლამდის ყვაოდა სამოქალაქო ცხოვრება და 3) მეცხრამეტე საუკუნის ნაციონალურ მოძრაობას აწარმოებდა გლეხობა, ხოლო ფეოდალები კი ამის წინააღმდეგი იყვნენ.

---

[1]) იხ. „ცისკარი“ № 7.

გავარჩიოთ ეს სამი საბუთი, რომელზედაც აგებულია ბ. ჯორჯაძის მთელი საპოლემიკო შენობა.

ზლაპარი პირველი. რას ეწოდება ეროვნობა? ეროვნობა და ერი ერთი და იგივე მცნების გამოხატულება არ არის. პირველი ეხება უფრო შეგნებას, პსიხიურ მოვლენას, მეორე კი რასიულს, ობიექტიურს. ხალხი ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთ ტერიტორიაზე მოსახლე, ერთნაირი ზნე-ჩვეულებით, კულტურით და სხვ. წარმოადგენს ერთ ერს ანუ ერთ გვარტომობას. ის სხვა-და-სხვა ისტორიულ ხანაში სხვა და-სხვა სახეს ღებულობს, მარა მისი ძირითადი თვისება, როგორც მაგ. ენა, უცვლელი რჩება. მაგ. ერი ფეოდალურ ხანაში დიდათ განირჩევა კაპიტალისტური ერისაგან, ეს ორი სრულიად სხვა და სხვა ერია და რომ მათი გვარტომობა ერთი და იგივე არ იყოს — ვიტყოდით, ამ ორ ერს შორის საერთო არაფერიაო. ეროვნობა კი ეწოდება ამ ერის ისეთ მდგომარეობას, როცა ის გრძნობს თავის თავს, როგორც ერთი მთელს, ერთი ჰირით და ლხინით გარემოცულს, ერთი მიზნისათვის ამოძრავებულს. შეიძლება მიზანი არც კი იყოს ნაციონალური, მარა თუ მთელი ერი ამ საქმისთვის ერთათ გამოდის — ის უკვე ეროვნობა, გაერთიანებული ერია. ავიღოთ ახლო მაგალითი. მთელი ქართველი ხალხი, როგორც ერთი კაცი, გამოვიდა ძველ რეჟიმთან საბრძოლველათ. აქ თუმცა მიზანი საერთოა სხვა ნაციებთან, მარა ქართველი ხალხი პირველათ აქ ამოძრავდა როგორც ერთი მთელი და მით მისი მოძრაობა იყო ამავე დროს უმაღლესი სოლიდარობა არა მარტო რუსეთის ხალხთან, არამედ მისი თითოეული კუთხის და ნაწილისაც. წინეთ ფეოდალურ ხანაში, ასეთი ერთსულოვანი მოძრაობა არ ყოფილა. ავიღოთ მეორე მაგალითი. ამას წინეთ ერთმა რუსინელმა ს.-დ. მოკლა გალიციის ნამესტნიკი პოლონელი პოტოცკი რუსინელთა დევნისათვის. ამ ტეროორს თანაუგრძნო მთელმა რუსინელმა ხალხმა. ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ხალხი გრძნობს თავის თავს ერთ ერათ და შეუძლია ერთი აზრით და გრძნობით გაიმსჭვალოს

შიუხედავათ მისი დანაწილებისა და სხვა და სხვა ერებში არევისა. ეს არის რუსინელთა ეროვნობა.

რა არის ასეთი ეროვნობის შექმნის მიზეზი? ამაზე ბ. ჯორჯაძე ასე უგებს: „შეურყეველია ის აზრი, რომ არც ენას, არც რასას, არც საერთო თავგადასავალს, არც სხვა რამ ამ ხასიათისას არ ქონია ძალა ეროვნობის შექმნისა“. ამ აზრს ჩვენ სრულიათ ვეთანხმებით. ქართულ ენაზე ვლაპარაკობთ თავიდანვე, მარა ამას არ შეუქმნია ქართველი ეროვნობა. ბ. ჯორჯაძე განაგრძობს: „ეროვნების წარმოშობისთვის საჭირო იყო სხვა გვარი ძალა, საჭირო იყო ერთგვარი ორგანო, რომელსაც **გათქვეფისა, ჩაკირვისა** და **შეერთების** ძალა შესწევდა და ეს ორგანო იყო **სახელმწიფო**“[1]). აი ეს მოსაზრება ერთიანათ ყალბია და არ ეთანხმება ფაქტებს. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ წარმოუდგენელი იქნება იმ ტომების ეროვნობა, რომელთაც არასოდეს არ ქონებია თავისი სახელმწიფო. და თუ არსებობს ეროვნობა გარეშე საკუთარი სახელმწიფოსა—აშკარაა, ეროვნობის შექმნის მიზეზია სხვა რამე, გაცილებით უფრო ღრმა, ვინემ სახელმწიფო. აი მაგ. იგივე რუსინელები. მათ არასოდეს არ ქონებიათ თავისი სახელმწიფო, მუდამ სხვა ერებში ცხოვრობენ და მათ პოლიტიკურ ორგანიზაციას მორჩილებენ. ბ. ჯორჯაძის აზრით, ეს ერი უნდა გამქრალიყო, ნამდვილათ კი ის გაიზარდა, განვითარდა და ერთ ეროვნობათ გადაიქცა. ანდა ავიღოთ მაგ. ლატიშები. ესენიც მუდამ სხვა ერთა სახელმწიფოში ცხოვრობდენ. ამათი ლიტერატურა პირველათ მეთექვსმეტე საუკუნეში იბადება. მარა მიუხედავათ ამისა, ისინი არ გამქრალან, პირიქით, ეროვნული აღორძინება იწყება ადრე მეთვრამეტე საუკუნის გასულს. დღეს ლატიშთა ეროვნული კულტურა ქართველობისას კიდევაც აჭარბებს, თუმცა ჩვენ სახელმწიფო გვქონდა, ხოლო მათ კი არა.

ერთი სიტყვით. ჩვენ ვხედავთ მთელ რიგს ეროვნობათა, რომელნიც აღორძინდნენ გარეშე თავის სახელმწიფოსი, სხვის

[1]) იხ. „ამირანი“ № 41.

სახელმწიფოში. ბ-ნ ჯორჯაძის აზრი მართალი რომ იყოს, ცხადია, ეროვნობა, რომელიც ჰკარგავს თავის სახელმწიფოს, უნდა მოისპოს. მარა ეს ხომ მართალი არ არის. სომხებმა დიდი ხანია რაც დაკარგეს თავისი სახელმწიფო, მარა ამით არ გამქრალან; პირიქით, სომეხთა ეროვნობა თანდათან ძლიერდება და მაგრდება. რატომ ბ-ნი ჯორჯაძე თხოულობს საქართველოს ავტონომიას და არა სრულ დამოუკიდებლობას? ავტონომია ხომ სახელმწიფო არ არის და თუ სახელმწიფოს გარეშე ეროვნობა ვერ იხეირებს, აშკარაა, მისი ავტონომია ან მისი ულოლიკობაა, ან ფარისევლობა, რასაც მოყვება საკუთარი სახელმწიფოს მოთხოვნილების წამოყენება.

მაშ, რა არის ეროვნობის გაჩენის მიზეზი? მიზეზია სწორეთ ის, რამაც გააჩინა თანამედროვე სახელმწიფო—ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, მრეწველობა, მიმოსვლა, თანამედროვე სამოქალაქო ცხოვრება. ყველა ერი, მიუხედავათ მისი პოლიტიკური წარსულისა, რომელიც ადგება სამრეწველო გზას, ადრე თუ გვიან ხდება ეროვნობათ. სწორეთ ეს ეკონომიური ძალაა ერის ჩამკირავი და ამთქვეფი. აქედან იბადება ისიც, რომ წვრილ ერთა აღორძინება მოხდა მეცხრამეტე საუკუნეში და არა წინათ, როცა ისინი ეკონომიურათ ჯერ კიდევ განუვითარებელნი იყვენ. ეს იმდენათ ცნობილ და საანბანო ჭეშმარიტებათ არის გადაქცეული, რომ გასაკვირალია, როგორ არ იცის ეს ან-ბანი ბ-ნმა ჯორჯაძემ. და თუ არ იცის, ამის მიზეზია შემდეგი: მისი მიზანია დაამტკიცოს ჩვენი წარსულის სიდიადე, ამისათვის კი საჭიროა ჩვენი მაშინდელი ხალხის ერთ ეროვნობათ გამოტანა, და რადგანაც ჩვენ ფეოდალური სახელმწიფო გვქონდა, ხოლო მრეწველობა არა, ამიტომ არ არსებული ეროვნობის არსებობის საბუთათ სახელმწიფო გამოაქვს. და აქედან ქმნის თეორიას: სახელმწიფო ეროვნობას ქმნისო!

როგორც ხედავთ, მისი თეორია გამომდინარეობს მისი პირადი სურვილების, მისი სიმპატია-ანტიპატიისაგან, ე. ი.

ფაქტებს უგუებს თავის თეორიას და არა თეორიას ფაქტებს. და რადგანაც არსებული ისტორია არ ამართლებს მის თეორიას, ამიტომ იძულებულია თვით ისტორია გამოიგონოს და ასე გაამართლოს თავისი სურვილები.

ამნაირათ, ეროვნობის აღმოცენების ძირითადი მიზეზი სახელმწიფო არ არის. სახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზაციაა კლასებათ დაყოფილი საზოგადოების, სადაც შეიძლება შედიოდეს და უმრავლეს შემთხვევაში კიდევაც შედის მრავალი სხვა და სხვა ერები. რამდენათ მწყრალათ ყოფილა ბ-ნი ჯორჯაძე პოლიტიკურ მეცნიერებასთან, სჩანს მისი შეხედულებებისაგან კლასზე და სახელმწიფოზე. ის სწერს:

„ეროვნულ შემეცნებას ამუშავებს სახელმწიფო და არა კლასი. მართალია სახელმწიფო კლასიური ორგანიზაციაა, იგი ორგანოა კლასიური ბატონობისა, მიუხედავათ ამისა, სახელმწიფოს შესახებ არ ითქმის, რომ იგი კლასია ან რომ კლასი სახელმწიფოა. ამიტომ არც ის ითქმის, რომ ამა და ამ კლასმა შექმნა ეროვნობა. განსაზღვრულ კლასს შეუძლია განსაზღვრული ელფერი მისცეს ეროვნულ შემეცნებას. იგი შემეცნება შეიძლება იყოს მხედრულ-გმირული, ვაჭრულ-მოქალაქობრივი ამა თუ იმ წოდების ან კლასის. ზედგავლენით, ხოლო არასოდეს არ ითქმის, რომ ეროვნული შემეცნება, **მამულიშვილობა** შემუშავებულია ფეოდალიზმის ან ბურჟუაზიის მიერ. იგია შემუშავებული სახელმწიფოს ძალდატანებითის ორგანოებით. და რადგან ამავე ორგანოებმა **დაამკვიდრეს** და **დაიფუძნეს** კლასიური სოციალური ორგანიზაცია, სასარგებლო უმცირესობისათვის და საზარალო უმრავლესობისათვის“ და სხ.[1]).

ამ ამონაწერიდან ნათლათ სჩანს ავტორის „შემეცნების“ მთელი არეულ დარეულობა. პირველათ ის ეროვნობას სთვლის ეროვნულ შემეცნებათ, ხოლო უკანასკნელს მამულიშვილობათ. მეორეთ, ეს მამულიშვილობა შექმნილია ძალდატანე-

[1]) იხ. „ამირანი“ № 45.

ბით. მართალია, ის არ ხსნის, როგორ მოხდა ასეთი სასწაული, მარა უნდა ვიფიქროთ, რომ მთავრობას უბრძანებია ერისთვის, იყავი მამულისშვილიო, და ისიც გამხდარა. ყოველივე ძალდატანება მოითხოვს ბრძანებას და ამ ბრძანების ძალით, წინააღმდეგ სხვების სურვილისა, განხორციელებას. ე. ი. ერში მამულისშვილობა არ ყოფილა და ის გაუჩენია სახელმწიფოს ძალათ. ეს კიდევ ცოტაა, ამ ყოვლად შემძლე სახელმწიფოს. და ისიც ფეოდალურს, დაუფუძნებია კლასიური ორგანიზაცია, მარა რადგანაც მისივე სიტყვებით „სახელმწიფო კლასიური ორგანიზაციაა“ —ცხადია, სახელმწიფოს დაუარსებია სახელმწიფოვე!

აი, ასე გაიხლართა ბ. ჯორჯაძე თავისივე ქსელში, რომელიც აფერადებულია ანარქისტული აზროვნებით. განსხვავება მას და ანარქიზმის მოძღვართა შორის არის ის, რომ უკანასკნელთ არასოდეს არ უთქვამთ ასეთი სიბრიყვე: სახელმწიფომ სახელმწიფო შექმნაო. მეორეთ, მათი აზრით სახელმწიფოს მოქმედება არის ერთი დაუსრულებელი ბოროტება და მისი ნამოქმედარიც ძირ-ბუდიანათ ამოსაგდებიო. და თუ ეროვნობა სახელმწიფოს ძალადობის შედეგია—ცხადია, ესეც ბოროტება და დასანგრევი ყოფილა. და აი. სწორეთ აქ ქრება ბ. ჯორჯაძის ანარქიზმი და იწყება მისი ნაციონალიზმი. ის, ველარ აკეთებს ასეთ ლოლიკურ დასკვნას, პირ-იქით, ამ ეროვნობით კიდევაც ამაყოფს—ე. ი. ამაყობს ანარქისტების მიერ აღიარებული ბოროტებით. გარდა ამისა, თუ სახელმწიფომ ეროვნობა შექმნა, ცხადია, ეს ეროვნობა დაირღვევა მაშინ, როცა აღარ იქნება მისი მიზეზი—სახელმწიფო. მარა რადგან ბ. ჯორჯაძეს ეროვნობა დიდათ უყვარს, ამიტომ ამის თანახმა არ არის და გაიძახის: „სწორეთ მაშინ (როცა კლასები მოისპობიან) უნდა აყვავდეს ეროვნობა“-ო[1]). მ'მასადამე, მოვლენა იარსებებს უმიზეზოთ! ეს მეორე საუკეთესო აღმოჩენაა ბ. ჯორჯაძის.

[1]) იხ. „ამირანი“ № 45.

ასე თუ ისე, ბ. ჯორჯაძის პირველი დებულება—ეროვნობის მიზეზი სახელმწიფოაო—არა თუ ეწინააღმდეგება ფაქტებს, არამედ ლოღიკასაც, და რადგანაც ლოღიკის გამოგონება ფაქტების გამოგონებაზე უფრო ძნელია, ამიტომ ჩვენი ავტორიც იძნევა თავის ნათქვამში და ებრძვის თავისსავე დებულებას. ასე იცის ანარქიზმის და ნაციონალიზმის ერთათ შერევამ.

II

ზღაპარი მეორე. ბ. ჯორჯაძემ გამოიგონა რა თავისი სახელოვანი პატრიოტული თეორია—ეროვნობას სახელმწიფო ძალათ ქმნისო,—გადავიდა საქართველოს ისტორიის გამოგონებაზე და შეეცადა ამით ჩვენი აზრის გაბათილებას.

ჩვენ ვსწერდით: რუსეთის ბატონობის დამკვიდრება ჩვენში გაადვილა იმ გარემოებამ, რომ ჩვენ კიდევ ფეოდალურ ხანაში ვიმყოფებოდით მეთვრამეტე საუკუნის გასულს. რუსეთი გამოვიდა ფეოდალიზმის დამრღვეველათ. „ერთი სიტყვით საქართველოს თავის დამოუკიდებლობისას არ განუვითარებია სამოქალაქო ცხოვრება, არ შეუქმნია მრეწველობა-აღებ-მიცემობა და რაღა გასაკვირალია მას ვერ შეემუშავებია ის ნიადაგი, რომელზედაც ნაციონალური მოძრაობა იწყება. მას სული ეხუთებოდა ფეოდალთა კლანჭებში და მისი ამათგან გამოგლეჯისათვის ვის უნდა დაეღვარა ცრემლები? შეიძლება ფეოდალებს, მარა ხალხს არასოდეს“ [1]).

ამნაირათ, ჩვენი აზრით საქართველოს დაცემის მთავარი მიზეზია მისი ფეოდალიზმი. ხოლო ფეოდალიზმის მიზეზია ვაჭრობა-მრეწველობის და ქალაქური ცხოვრების განუვითარებლობა.

რას უპირდაპირებს ამას ბ. ჯორჯაძე? ის ამბობს: მართალია, ეს ასე იყო მეთვრამეტე საუკუნის გასულს, მარა „წინათ? წინათაც ასე იყო? **„მრავალთა საუკუნეთა უწინა-**

[1]) იხ. „ცისკარი“ № 9.

რეს ქრისტეს შობისა ჩნდება დაბა-ქალაქნი: ქართლი ანუ არმაზი, მცხეთა. უფლის ციხე. ოძიხე. ეგრისი ანუ ბოდისი, ქუთაისი, ჰერეთი“ და სხ. სტრაბონის სიტყვით, ივერია მშვენივრათ დასახლებულია დაბა-ქალაქებით, სახლებს კრამიტი ახურავს“ და სხვ.

მაშასადამე, ჩვენში ყოფილა „განვითარებული სამოქალაქო ცხოვრება“, დაასკვნის ავტორი[1]).

და ასე ბ. ჯორჯაძის აზრით მრავალ საუკუნეთა უწინარეს ქრისტესა“ ჩვენ სამოქალაქო ცხოვრება გვქონია. მაშასადამე, ტყუილია ჩვენი აზრი მეთვრამეტე საუკუნის შესახებ! ამაზე უფრო აშკარა ულოლიკობა შეიძლება? თუ მას ჩვენი აზრის დარღვევა სურს, მას უნდა დაემტკიცებია — ჩვენში სამოქალაქო ცხოვრება მეთვრამეტე საუკუნეში ყვაოდაო, ფეოდალიზმი არ ყოფილა და სხვ. ის კი ჩვენ გვებრძვის იმით, რომ ქრისტეს შობის წინ ფეოდალიზმი არ ყოფილაო! ეს იმას გავს, რომელიმე „ამირანელმა“ რომ დასწეროს: რას ჩასციებიხართ ბ. არჩილ ჯორჯაძეს, ის „უწინარეს მრავალ საუკუნეთა“ არ ყოფილაო! დიახ, ეს სწორეთ არჩილური ლოლიკა იქნება. ჩვენ ვიკვლევთ საქართველოს დაცემის არსებულ მიზეზს. ბ. ჯორჯაძე კი გვითითებს არ არსებულ მიზეზზე. „უწინარეს ქრისტეს შობისა“ თფილისი სრულიად არ არსებულა. მაშ, ალარც შემდეგ არსებობდა? შეიძლება ბ. ჯორჯაძეს ჰგონია მეთვრამეტე საუკუნეში „ქალაქი“ ოძიხე“ დიდ როლს თამაშობდა, ხოლო თფილისი მისი მაჩანჩალა იყო? ასეთი „ისტორიკოსისაგან“ ეს გასაკვირი არ არის.

ერთი სიტყვით, ბ. ჯორჯაძე ჩვენ გვებრძვის მეორე ხლაპრით — საქართველომ ქრისტეს შობის წინ შექმნა მრეწველობა-აღებ-მიცემობაო. ეს რომ ზღაპარია — ამას გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფეც დაუმტკიცებს ბ. ჯორჯაძეს. რანაირათ შეიძლებოდა ჩვენში მრეწველობა-აღებ-მიცემობა ყოფილიყო ქრისტეს წინ, როცა ეს ევროპაში აღორძინდა ფეო-

[1]) იხ. „ამირანი“ № 45.

დალური ხანის მიწურულში? ეს პ. ჯორჯაძის პატრიოტული ისტორიაა და არავითარი კავშირი არ აქვს ნამდვილ ისტორიასთან. ნამდვილი ისტორია ყველა ერისა გვეუბნება ერთ და და იმავეს: მრეწველობა-აღებ-მიცემობა ჩაღდება ერთ განსაკუთრებულ ისტორიულ ხანაში სწორეთ მაშინ, როცა ერი თავს აღწევს ბარბაროსულ მდგომარეობას და გადადის ცივილიზაციაში. სამხრეთ-საფრანგეთში მაგ. ქალაქური ცხოვრება იყო „უწინარეს ქრისტეს შობისა“, მარა ეს იყო რომაელების ხელში და არა საფრანგეთის მკვიდრთა. ეს უკანასკნელნი ბარბაროსულ მდგომარეობაში იყვენ და მათ არშეეძლოთ ქალაქური ცხოვრება აეღორძინებიათ. ხოლო მრავალ საუკუნეთა შემდეგ, როცა ისინი თავს აღწევენ ამ მდგომარეობას და კიდევ ფრანკების შემოსევით რასიულათაც სხვაფერდებიან—არსდება ფეოდალური წყობილება და მით გადადიან ცივილიზაციის პირველ საფეხურზე, შემდეგ შესაძლებელი ხდება ნაციონალური ქალაქების აღორძინება და ფრანგული ქალაქური ცხოვრების დაწყება. ასეთი გზა გაიარა ყველა კულტურულ ერმა და ჩვენც ამ გზით ვიდოდით. „მრავალ საუკუნეთა ქრისტეს წინ“ ქართველობაც ბარბაროსულ მდგომარეობაში იყო, სამაგიეროთ წინწაწეულნი იყვენ ბერძნები, ფინიკიელები, ეგვიპტელები, რომაელები და სხ. აი ესენი აარსებდენ ჩვენში, განსაკუთრებით, შავი ზღვის და რიონის პირას ქალაქებს, აქედან ოქრო-ვერცხლის და სხვა საჭირო ნივთთა გასატანათ. ეს ქალაქები მათი ქალაქები იყო, ხოლო როცა ისინი გაქრენ, და მარტო ქართველები დარჩენ. ქალაქებიც გაქრა. შეიძლება აქ მაშინ „რთული საღებ-მიცემო და საფინანსო დაწესებულებები“ იყო, მარა იმის თქმა, რომ ეს ქართველობის დაწესებულება იყოვო, ნიშნავს დიდი ისტორიული სისულელის თქმას: ეს ნიშნავს იმას, რომ მაშინ ქართველობა ცივილიზაციის ხანაში ყოფილა, ხოლო შემდეგ ბარბაროსობაში ჩავარდნილა, ე. ი. უკუღმა გვივლია! ეს კი შეუძლებელია. როცა ერის ცივილიზაცია ისპობა, ამასთან

ისპობა თვით ის ერიც. როცა დაეცა ცივილიზაცია ფინიკიელთა, ეგვიპტელთა, ბერძენთა, რომაელთა და სხ. — ამით თვით ეს ხალხებიც მოისპო, მათი ალაგი დაიჭირა ან სრულიად ახალმა ხალხმა ან მათში შერეულებმა, როგორც მაგ. იტალიელები და დღევანდელი ბერძნებია. ქართველობა კი არც მომსპარა და არც გადაგვარებულა. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველობის სამოქალაქო ცივილიზაცია მოისპო, ხოლო ხალხი კი უცვლელათ დარჩა! ეს ბ. ჯორჯაძის მიერ გამოგონილი პატრიოტული სასწაულმოქმედებაა.

მეტყვით: რა შუაშია ყველა ეს აქ, რა კავშირი აქვს ამ ძველის ძველ ისტორიას სადაო კითხვასთანაო? და მართლაც, კავშირი სრულიად არაფერი არ აქვს, საქართველო მართლაც აყვავებული რომ ყოფილიყო მაშინ, ოდნავათაც არ სცვლის იმ გარემოებას, რომ ის დასცა მეთვრამეტე საუკუნის გასულს ფეოდალიზმმა. ვთქვათ, რომ ბ. ჯორჯაძის პატრიოტული ისტორია სრული ქეშმარიტებაა, რაიცა ნიშნავს იმას, რომ ეს ხანა დაინგრა და მის ნანგრევებზე აშენდა ფეოდალიზმი. ფეოდალიზმი კი ჩვენ ვერ დავანგრიეთ ჩვენივე ხელით, ის დაანგრია რუსეთმა. ბ. ჯორჯაძე კი ცდილობს ეს მისთვის უსიამოვნო ამბავი დაჩრდილოს ძველი ისტორიის მოყოლით, აი რა ბიჭები ვიყავით „უწინარეს ქრისტეს შობისაო“!

ბ. ჯორჯაძე ამასაც არ კმარობს. ის ცდილობს ქრისტეს მერმინდელ ისტორიასაც ხელი წამოკრას და ფეოდალიზმი აქაც მიაფუჩეოჩს. ის სწერს:

„მას (ე. ი. მე) მხედველობაში მიუღია მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორია, როდესაც დაუძლურებულ მეფობას ქართველთა ფეოდალებმა შემოარტყეს ალყა და გარეშე მტრებთან ერთათ დაამხეს საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება“

აქედან გამოდის, რომ მეთვრამეტე საუკუნე რაღაც გამონაკლისია ჩვენი ფეოდალიზმის ისტორიაში, წინა საუკუნოებში კი ჩვენში ფეოდალიზმი სუსტი ან ალაგმული ყოფილა,

ნამდვილათ კი მეთვრამეტე საუკუნე წინა საუკუნოების გაგრძელებაა, ჩვენი ფეოდალიზმი მრავალ საუკუნოებში ბატონობდა. ფეოდალიზმის განვითარებას სამი საფეხური აქვს: პირველათ ის სუსტია, ახლათ ფეხს იდგამს; მეორე საფეხურზე ის უკვე გამძლავრებული და გაბატონებულია, მესამე საფეხურზე კი ის სუსტდება და ბოლოს ქრება. მის ალაგას იჭერს მოქალაქობრივი ცხოვრება თავისი ბიუროკრატიული და შემდეგ კონსტიტუციონური წყობილებით. საქართველომ გავლო პირველი ორი საფეხური, ფეოდალიზმის მეორე საფეხური იწყება---თამარ მეფის სამეფოს დაშლით და დანაწილებით. ევროპაში ეგევე საფეხური დაიწყო კარლ დიდის სამეფოს დარღვევით, მეცხრე საუკუნეში. კარლმა, ისე როგორც დავით აღმაშენებელმა, შეაერთა თავისი ერი და მას დაუმორჩილა მრავალი სხვა ერები. მან დიდი იმპერია დააარსა, რომელშიაც შედიოდა მთელი შუაგული, დასავლეთი და სამხრეთი ევროპა. განსხვავება კარლოს და დავით აღმაშენებელის სამეფოს შორის ის არის, რომ პირველი ირღვევა უფრო ჩქარა, ვინემ მეორე. ეს ვითომ ჩვენ სასარგებლოთ ლაპარაკობს, მარა ნამდვილათ კი ეს ევროპიელთა სასარგებლოთ წავიდა და ჩვენ საზიანოთ. კარლოს სამეფოს სწრაფი დარღვევა გამოიწვია ფეოდალიზმის სწრაფათ განვითარებამ; ჩვენში კი ასე სწრაფათ ფეოდალიზმი ვერ განვითარდა, ის ნელ-ნელა მიდიოდა წინ და ამიტომ მისი დარღვევაც ველარ მოვასწარით. ჩვენი ფეოდალიზმი ევროპის ფეოდალიზმივით სწრაფათ რომ განვითარებულიყო, დავით აღმაშენებელის სამეფოც ადრე დაირღვევოდა, მაგრამ სამაგიეროთ ფეოდალიზმის დღენი შეიძლება შემოკლებულიყო და მეთვრამეტე საუკუნეს სრულიად სხვანაირი ელფერი მისცემოდა.

ბ-ნ არ. ჯორჯაძეს არც ერთი ეს არ ესმის. მისთვის მთელი ისტორია უკულმა ტრიალებს; ჯერ სამოქალაქო ცხოვრება, მერე ერთმეფობა, მერე ფეოდალიზმი, აი მისი „ისტორია“!

ერთი სიტყვით, ბ. ჯორჯაძემ მთელი ისტორია თავდაყირა გადაატრიალა; ის ეძებს საქართველოს იდეალს, ძველ საქართველოში, „უწინარეს მრავალ საუკუნეთა ქრისტეს შობისა“, მას მერმე ჩვენ, თურმე, უკან მივდივართ. თამარ მეფის ხანის გამოკლებით. და აი, ასეთი კაცი, ასეთი პრიმიტიული მოაზრე ადამიანი ერის უფლებების დამცველათ გამოდის. რაკი სულ უკან-უკან მივდივართ, ცხადია, უნდა გადავგვარდეთ და მოვისპოთ. მაშასადამე, მომავალი არ გვქონებია, აი ერთათ ერთი ლოლიკა ბ. ჯორჯაძის აზროვნებისა. ჩვენ კი ვფიქრობთ, წინ მივდივართ თავიდანვე, თუმცა ძრიელ ნელა, მარა მაინც წინ, მაშასადამე მერმისი გვაქვს და ამიტომ იდეალსაც ამ მერმისში ვეძებთ. პირველი მოსაზრებაა—მოსაზრება პატრიოტი-ფეოდალების, რომელნიც აჯანყებას ახდენდენ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთის წინააღმდეგ. ეს აზროვნება გადმოეცა შემდეგ მესამოცე წლების პატრიოტულ მიმდინარეობას, რასაც აგრძელებს ბ. ჯორჯაძე და ძმანი მისნი. მეორე მოსაზრებაა—მოსაზრება დაჩაგრული ხალხის, რომელიც წარსულში ვერას ხედავს გარდა ბორკილებისა და მომავალზე ამყარებს თავის იმედებს; ის იბრძვის ამ მომავლის მოსაახლოვებლათ. ესეც პატრიოტიზმია, მარა არა რეაქციონური და პესიმისტური, არამედ პროგრესიული და ოპტიმისტური. ჩვენი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი აი ამ უკანასკნელი აზროვნების მატარებელია, ვინაიდან მხოლოდ მას სწამს მერმისი. ბ. ჯორჯაძე და მისი თანამოაზრენი წარსულის პატრიოტებია, წარსულის მოციქულებია. მათი დევიზია: ოი სამშობლო, დაღუპულო... ყველა მისი გოდების—ერთხელ ყარსის ოლქი ჩვენი იყო, ახალციხე ქართული ქალაქი იყო და სხვა ასეთების—ერთათ ერთი მიზანია არა ჩვენი ისტორიის ახსნა და გაგება, არამედ მისი აპოლოგია, ქებათა-ქება.

ვერც ერთი ეს გოდება ვერ დაარღვევს იმას, რომ როცა ჩვენი ფეოდალიზმი გაძლიერდა, მაშინ ყარსიც, ახალციხეც და მრავალი სხვა დავკარგეთ და, მაშასადამე ჩვენს ფეოდალიზმს

ვერ დაარღვევდა უცხო სახელმწიფოთა სავაჭრო ცენტრები. ჩვენ ვსწერდით: ჩვენ'ში ფეოდალიზმი ვერ დაირღვა იმიტომ, რომ ქართველობა მოწყვეტილი იყო სააღებ-მიცემო გზას და სავაჭრო ქალაქებს. ამის წინააღმდეგ ბ-ნი ჯორჯაძე გაიძახის: სავაჭრო ცენტრები და სააღებ-მიცემო გზაც საქართველოში იყო „საქართველოს ძლიერების დროს"-ო. მარა ფეოდალიზმი ხომ სწორეთ ამ „ძლიერების" შემდეგ გაღონიერდა. ამ დროს კი ჩვენი არც ახალციხე იყო და არც სავაჭრო გზა. მაშ. საიდან შეეძლო ამ უცხოეთში მყოფ ცენტრებს გაერღვია ჩვენი ფეოდალიზმი? მცირე ლოღიკის პატრონიც კი მიხვდება ამას. მარა რაკი ბ-ნმა ჯორჯაძემ იჯარით აიღო პატრიოტული მანიფესტაციის გამართვა, ისტორიას და ლოღიკას აღარ დაგიდევს.

ამნაირათ, ბ-მა ჯორჯაძემ შეთხზა მეორე დიდი ზღაპარი, ვითომ საქართველომ გავლო ჯერ სამოქალაქო ხანა, შემდეგ აბსოლიუტიზმი და ბოლოს ფეოდალიზმი. ეს საარაკო გამოგონება მან გამოიტანა საქართველოს ისტორიათ და მით საქართველოს მომავალიც ზღაპრათ აღიარა.

III

ზღაპარი მესამე. ბ. ჯორჯაძე არ დაკმაყოფილდა ძველი ისტორიის გაზღაპრებით; ის ასევე აზღაპრებს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიასაც ამავე პატრიოტული მანიფესტაციის უკეთ გასამართავათ. რაზე დაობს აქ ბ. არჩილი? აი სადაო საგანი.

ჩვენ ვსწერდით:

„ქართველი ხალხის ეროვნული მდგომარეობის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მისი დამოუკიდებლობის დაცემა იყო იმავე დროს დაცემა ფეოდალური წყობილების. ეს არის ის სათავე, საიდანაც გამომდინარეობს უკანასკნელი ასი წლის მთელი ჩვენი ისტორია. აქ უნდა შეტაკებულიყო ორი ძალა — ძალა წარსულის, ფეოდალური წყობილების დამმაგრებელი და ძალა ახალი. სამოქალაქო ცხოვრებისკენ გზის გამკაფავი. პირ-

ველი არ ეთანხმება ხალხის ინტერესებს და მაშასადამე, მისი მატარებელი კლასიც ვერ მოიპოვებდა ხალხის თანაგრძნობას. მეორე კი, პირიქით, ერთიანათ ხატავს ახალი მიმდინარეობის დედა-ძარღვს და. მაშასადამე, მისი წარმომადგენელი არის ამავე დროს წარმომადგენელი მთელი ერის"[1]).

აქ სამი აზრია გატარებული: მოსპობა ფეოდალიზმისა რუსეთის მიერ, ზრუნვა ფეოდალიზმის შესარჩენათ თვით ფეოდალების ანუ თ.-აზნაურობის მიერ, ხალხი ფეოდალიზმის წინააღზდეგი. ამ სამში ბ. ჯორჯაძე პირველს სცნობს, ხოლო მეორეს და მესამეს უარყოფს. ის სწერს:

„რუსეთის შემოსვლით ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ჩვენში და საზოგადოთ მთელ კავკასიაში—მოეღო ბოლო ფეოდალობას".

რაკი ეს ასეა, უბრალო ლოგიკა მოითხოვს. რომ „ფეოდალობის ბოლოს მოღებით" უკმაყოფილო უნდა ყოფილიყვენ, პირველ ყოვლისა, ფეოდალები, ვინაიდან ესენი კარგავდენ ბატონობას. ბურჟუაზიული წყობილების დაცემას ებრძვის ბურჟუაზია, ვინაიდან ეს ნიშნავს მისი ბატონობის დაცემას. არც იმდენი დიდი ჭკუაა საჭირო ამის მისახვედრათ. მარა აი, ბ. ჯორჯაძე ამას მაინც ვერ მიხვედრილა და გაიძახის,—ფეოდალები მომხრე იყვენ ფეოდალობის დამცემი ძალისო, ხოლო ხალხი კი წინააღმდეგიო! ეს იგივეა, ვინმემ რომ სთქვას კაპიტალისტები მომხრეა კაპიტალიზმის დაცემის, მარა პროლეტარებია წინააღმდეგიო! ასეთი სასაცილო ლოგიკის პატრონია ჩვენი ახირებული კრიტიკოსი. და აი, ის ამის დასასაბუთებლათ კიდევაც იგონებს ფაკტებს. მარა რამდენათ საფუძვლიანია მისი ისტორიული ცოდნა, სჩანს შემდეგი მისი სიტყვებიდან: ბ. ს. ესაძის ორტომიან გამოკვლევიდან „სრულიად არ სჩანს ის, ვითომ მთავრობა ფეოდალობას ებრძოდაო"-ო. რასაკვირველია, რაკი ბ. ჯორჯაძეს ესაძის ისტორიის მეტი არა წაუკითხავს რა სადაო საგანზე—მისი ცოდნაც საეკვო ღირსების

[1]) იხილეთ „ცისკარი" № 11.

იქნება. მარა ამ შემთხვევაში ვინ ატანდა ძალას ილაპარაკოს იმაზე, რაც არ იცის? და ან რანაირათ შეიძლება ერთ და იმავე დროს ერთ და იმავე ჯორჯაძემ ამტკიცოს: რუსეთის შემოსვლით ფეოდალობა დაირღვა და რუსეთის მთავრობა ფეოდალობას არ ებრძოდაო! რას ნიშნავს ფეოდალობის დარღვევა, თუ არა ფეოდალობასთან ბრძოლას? როცა მთავრობამ ფეოდალობას სხვა და სხვა ადგილები ჩამოართვა და მათ ალაგას ჩინოვნიკები გაამწესა—რა არის ეს თუ არა ბრძოლა ფეოდალებთან? აი ასეთს წაჯექ-უკუჯექობით ფართიფურთობს ბ. არჩილი მუდამ, ყველა თავის ნაწერებში. ეს განსაკუთრებული არჩილური ლოღიკაა.

ახლა გადავიდეთ მის ისტორიულ ფაქტებზე.

რუსეთის წინააღედეგ პირველათ მთიულეთმა გაილაშქრა 1804 წელს, ხოლო მთიულეთის წინააღმდეგ ქსნის ერისთავნი ამხედრდენ. მაშასადამე, ხალხი ებრძოდა რუსეთს და არა ფეოდალებიო,—დაასკვნის ავტორი[1]).

აი ცოდნაც ასეთი უნდა! პირველ ყოვლისა მთავრობას გადაუდგა ბევრი ბატონიშვილები, სამეფო სახლის წევრები, რომელთათვის ყველაზე უფრო საგრძნობელი იყო ძველი წყობილების მოშლა. ესენი დადიოდენ მთაში და ბარში და აწყობდენ შეთქმულობას რუსეთის წინააღმდეგ. პირველათ გაილაშქრეს არა მთიულებმა, არამედ კახეთის თავადებმა 1802 წ. აი რას სწერდენ ისინი: „ჩვენ პირველათ შევფიცეთ რუსეთის ხელმწიფეს ერთგულებაზე, შემდეგ ჩვენს შთამომავლობითს მეფეს და ასეთ მეფეთ ჩვენ ვითხოვთ ყოვლად მოწყალე ხელმწიფისაგან იულონს“. ქიზიყის თავადები იულონს თხოულობდენ მეფეთ[2]) შემდეგ არეულობის დამშვიდებისა, თავადებმა არეულობის მიზეზათ დაასახელეს: 1. ხმა, შესახებ იმისა, რომ ვითომ ყველა თავადები რუსეთში იქნებიან გადა-

[1]) იხ. „ამირანი“ № 46.

[2]) იხ. **Акты, собранные арх. коммисией**, ტ. I, გვ. 364, 369, იხ. აგრეთვე თავადების ვრცელი წერილი, გვ. 388, 389.

სახლებულნი; 2. ვითომ მათ მოურაობა ჩამოერთმევათ; 3. არ იციან რა დამოკიდებულება უნდა ქონდეთ სამოქალაქო მოხელეებთან; 4. ბატონიშვილია მიერ ტასტის ძიება[1]).

ერია ამ არეულობაში გლეხობა? გენ.-მაიორ ლეონტიევის მოხსენებიდან სჩანს, რომ სოფ. მანავას მცხოვრებნი მას მოეხმარენ თავისავე სოფლის შეთქმულ თავადების დაჭერაში. გარდა ამისა, ლაზარევი „შავ ხალხს“ მადლობას უცხადებს, რომ „ის დარჩა მორჩილებაში და თავის ადგილებზე“, ხოლო თავადებს ხელახლა აფიცებს ერთგულებაზე[2]).

ერთი სიტყვით, ისტორიული ფაქტია ის, რომ პირველი არეულობა მოახდინეს კახეთის თავადებმა 1802 წ. თავისი ფეოდალური უფლება-უპირატესობის დასაცავათ. ეს ბ-ბ ჯორჯაძემ არ იცის, ან თუ იცის განგებ მალავს.

1803 წ. ქართლიდან ერთი აფიცერი იწერება: ჩემთან მოვიდა თ. ივანე ციციშვილის შინაყმა ქალი და გამოაცხადა, საიდუმლოება მაქვს გადმოსაცემი, მაგრამ არ გამიმხილოო. „პირველათ მითხრა, რომ ის და ყველა გლეხები რუსების მომხრე არიან, ხოლო თავადებს და აზნაურებს ჩვენ (რუსები) ვძულვართ“. შემდეგ გადმომცა მრავალი ცნობა ციციშვილთა და გაქცეულ ბატონიშვილთა საიდუმლო კავშირის შესახებ[3]).

ვიმეორებთ, ძველი წყობილების მომხრენი უნდა ყოფილიყვენ ამ წყობილების წარმომადგენელნი და არა ამათი მონები—გლეხები. მაშასადამე, ნაციონალიზმის გამომხატველნი და მატარებელნი პირველნი იყვნენ და არა მეორენი. ჩვენ ვწერდით, რომ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდენ თითქმის ყველა წოდება, მარა ამათში ერთათ-ერთი თავად-აზნაურობა იყო მომხრე ძველი წყობილების დაცვის[4]). ბ. ჯორჯაძეს კი წარმოუდგენია, რაკი რომელიმე მოძრაობაში გლე-

---

[1]) ib. გვ. 379.
[2]) ib. გვ. 380.
[3]) ib. ტომი მეორე. გვ. 303.
[4]) იხ. „ცისკარი“ № 11.

ხები ერევიან, ცხადია, ისინი რუსეთის ბატონობას ებრძოდენ, ე. ი. ნაციონალურ მოძრაობას აწარმოებდენო, ეს იგივეა, ვინმემ რომ თქვას: რაკი 1905 წელს ქართველი გლეხობა მთავრობას ებრძოდა, ამით ის რუსეთს ებრძოდაო! ზერელე პუბლიცისტებმა ასე იციან, ისინი მხოლოდ მოძრაობის ზედაპირს უცქერიან, ხოლო მის ჩარხს უყურადღებოთ სტოვებენ და ასე თხზავენ ისტორიას.

1804 წ. მართლაც აჯანყდა მთიულეთი, მარა ეს აჯანყება სრულიად არ ყოფილა ნაციონალური აჯანყება, აჯანყებულთ არც ერთი ნაციონალური მოთხოვნილება არ წამოუყენებიათ. მათი მოძრაობა გამოიწვია მოხელეთა თვითნებობამ და ბოროტმოქმედებამ. მთიელთ დააკისრეს კავკასიის გზის (ლინია) შენახვა, გაწმენდა, შეკეთება, თვალ-ყურის გდება და სხ. ეი ამ ნიადაგზე მოხელეებმა დიდათ შეავიწროვეს მთიელნი და მოთმინებიდან გამოიყვანეს. აჯანყებულებმა წარუდგინეს მთავრობის მოკიქულს (ერისთავს) თერთმეტი მოთხოვნილება, რის დაკმაყოფილებას თხოულობდენ. ყველა ეს მუხლები ეხება მოხელეთა და ჯარის-კაცთა თვითმოქმედებას და გზის ბეგარას. პირველი მუხლი ასეთია: „კაცისაგან თითქმის მოუთვლელ სიცოცხლეში სტეფანწმინდიდან ანანაურამდე საშინელი თოფი გვახვეტინეს და გზა გავსწმინდეთ“. ამასვე ეხება მეორე, მესამე, მეხუთე და მეექვსე, დანარჩენი სხვა-და-სხვა თვითნებობას[1]).

სწორეთ ასეთივე მიზნით დაიწყო კახეთის გლეხობამ მოძრაობა 1812 წ. ეს მოძრაობა იმდენათ იყო მოძრაობა ძველი წყობილების შესარჩენათ, რამდენათაც შიგ ჩაერიენ თავადები და ბატონიშვილები და ამათ თავიანთი მოთხოვნილება წამოაყენეს. გლეხები მეტათ შეწუხებულნი იყვნენ სხვა და სხვა ბეგარით, როგორც ბაგალითათ პურის, ხარ-ურმის, თივის და სხ. ჯარების საჭიროების დასაკმაყოფილებლათ. გარდა ამისა, ხშირათ სალდათები ქალებსაც აუპატიურებდენ. ხოლო თავად-აზნაურობა უკმაყოფილო იყო თავისი ფეოდალური უფლებების

[1]) „Акты“ ტ. II, გვ. 311.

შემცირებით და შებორკვით, რისთვისაც ის ჯერ კიდევ 1802 წ. აჯანყდა. გარდა ამისა, 1812 წ. რუსეთისაკენ სალაშქროთ ემზადებოდა ნაპოლეონი. მისი წაქეზებით სპარსეთის შახიც, რომელმაც კავკასიაში გამოგზავნა ბატონიშვილი ალექსანდრე ფირმანით—კავკასიის ხალხის ასაჯანყებლათ, როცა რუსეთში ორივე მტერი შემოვიდოდა. კახეთის თავადები დიდ მზადებაში იყვენ, მაგრამ რადგანაც გლეხობას ასეთი მიზანი არ ქონებია, ამიტომ იმას არც მოუცდია ნაპოლეონის და შახის შემოსევისათვის. როგორც მას მოსთხოვეს ჩვეულებრივი ბეგარა—მან უარი თქვა, მით უფრო, რომ წინა წელს იყო დიდი მოუსავლობა და აგრეთვე ჟამი მძვინვარებდა. გატყავებულ და დაშინებულ ხალხს აღარ შეეძლო საჭირო პურის, თივის და სხ. მიცემა და მანაც უარი თქვა, რაც მოხდა იანვარში. ერთ სოფელს (ახმეტას) მიეშველა მეორე, მეორეს მესამე და ასე მთელი კახეთი ფეხზე დადგა. მოძრაობას მიემხრენ თავადები და გახდენ მისი ხელმძღვანელნი. სოფლების ყველა მოთხოვნილებები ეხებიან ბეგარას და სამხედრო მოხელეთა ბოროტმოქმედებას. მირზაანის მცხოვრებნი სწერენ მოურავს ანდრონიკოვს; „პირველი ჩვენი მოხსენება და საჩივარი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ გვტაცებდენ ცოლებს, ქმრებს ხელს უკრავდენ და მათ წინაშე სალდათებს ქალებთან საქმე ჰქონდათ“ და სხ. კახელ საზოგადოებათა კრება მთავარ-მართებელის პაულუჩის მოწერილობაზე—იარაღი დაყარეთო—სწერს: „რაც ხელმწიფე იმპერატორმა მანიფესტით ბრძანა, თქვენ არ აგვისრულეთ; მტყუან-მართალს არ არჩევდით—ისე ახრჩობდით, მარა ამასაც ვითმენდით ხელმწიფე-იმპერატორის ერთგულებით და ფიცის მიცემით. გარდა ამისა, რაც ჩვენ არ გვქონდა—ამას ეკზეკუციით და შტიკებით გვაშოვნინებდით, გვიკლავდით ცოლ-შვილს, პურს გვტაცებდით და შიმშილით გვკლავდით... ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ხელმწიფე იმპერატორი ხალხის გაწყვეტას არ ბრძანებს, მაშასადამე, მიზეზი თქვენ მოგვეცით, თქვენთან ვერ მოვრიგდებით“ და სხ. და სხ... მთავარმართებ-

ლის სიტყვით მოძრაობაში მონაწილეობას იღებდენ „თითქმის ყველა თავადები“. ის თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ასახელებს შვიდ მიზეზს მოძრაობისას. ოთხი ეხება მოხელეთა ბოროტმოქმედებას და ბეგარის სიმკაცრეს, ერთი მცხოვრებთა ტემპერამენტს, ხოლო ორი ბატონიშვილთა და თავად-აზნაურობის „საერთო უკმაყოფილებას“ რუსების შემოსვლით. უკანასკნელის შესახებ პაულიჩი ასე სწერს:

„აქაური თავად-აზნაურობა საერთოთ უკმაყოფილოა რუსეთის მფარველობის დამკვიდრებით და კიდევ უფრო ჩემს წინამოადგილეს დროს საეკლესიო ქონების სახაზინოთ შერიცხვით; ამ წოდებამ დაკარგა თავის უფლებათა უმეტესი ნაწილი, ვინაიდან თითოეულ სოფელს ყავდა თავისი მოურავი, გამგენი საეკლესიო და სახაზინო ქონებისა. ესენი, მართალია, ხალხს აწუხებდენ, მაგრამ ისინი ხალხის საჭირო ამლაგმავნიც იყვენ, რადგან თითოეული მოურავი პასუხს აგებდა თავის სამოურავოს მცხოვრებთა ყოფა-ქცევისათვის. აი ეს მოურავები, უკმაყოფილონი უფლებათა დაკარგვით, ყველაზე უფრო აღელვებდენ ხალხს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ[1]).

ამნაირათ, ეჭვს გარეშეა ის, რომ რუსეთის შემოსვლით დაინგრა ფეოდალიზმი, რაიცა ნიშნავს ფეოდალური წოდების მიერ მრავალუფლებათა დაკარგვას და აი სწორეთ ეს წოდება იყო მეთაური ნაციონალური მოძრაობის, ვინაიდან მისი უფლების აღდგენა ნიშნავს ძველი წყობილების აღდგენას, ე. ი. ნაციონალური ტახტის და მასთან შეკავშირებული ურთი-ერთობის დაბრუნებას. მეორე მხრით, გლეხები იყვნენ უკმაყოფილო არა რაიმე უფლებათა დაკარგვით,—რაც არ ქონდათ, რა დაეკარგებოდათ,—არამედ რუსეთის ცუდი მფარველობით, მოხელეთა თვითნებობით, რის გასწორება ნიშ-

[1]) „Акты“ т. V, გვ. 67—81, 82, 83 და სხ. პაულიჩის მეშვიდე მიზეზია ამნაირი: „тысяча делаемых подлостей чиновниками провиантскаго ведомства“.

ნავს ამ მფარველობის რეფორმას და არა მის ალაგას ფეოდალთა გაუქმებული ბატონობის აღდგენას. ეს ისე აშკარა იყო მაშინ, რომ პაულუჩი, თვითონ მომხრე დეცენტრალიზაციის, ამას დაწვრილებით აღწერს და თავადობა მთავარ მეამბოხეთ გამოყავს. ერთათ-ერთი ქართლის თავადები იყვენ მომხრე მთავრობის, რადგანაც მათ თფილისთან ახლოს ყოფნით მთავრობასთან მჭიდრო კავშირი დაიჭირეს და პენსიები, ჩინები და ორდენები მიიღეს. გარდა ამისა, ქართლის ფეოდალები ძლიერ მდიდარნი და მამულიანი იყვენ და ძველი უფლებების დაკარგვით დიდათ არ ზარალობდენ. და ასე, დიდი მამული, პენსია, ჩინი და ორდენი—განა ეს საკმაო გარანტია არ იყო ქართლის თავადთა ერთგულებისა?[1]).

როგორც ხედავთ, ბ. ჯორჯაძის „ისტორია“ დიდათ განსხვავდება ნამდვილ ისტორიისაგან. მარა ის მაინც განაგრძობს თავის „ისტორიას“: „როდესაც ეკლესიებში ქართულ ენას დევნა დაუწყეს, აქ ხალხი სამღვდელოებასთან ერთათ აშფოთდა და იარაღიც კი აისხა წინაპართ სალოცავის დასაცავათ. ეს მოხდა იმერეთში 1819 წ.“. გამოდის, რომ იმერეთის ამ წლის მოძრაობა გამოწვეული ყოფილა ქართული ენის დევნით! ეს ერთიანათ ბ. ჯორჯაძის გამოგონილი ზღაპარია. აი საქმე როგორ იყო.

1819 წ. ივნისში ეგზარხი ფეოფილაქტი გაემგზავრა იმერეთში საეკლესიო მამულების ასაწერათ. აქ ეკლესიის მეთაურნი იყვენ ქუთათელი და გენათელი და ესენი მართავდენ თანახმათ ძველი წესის და ჩვეულებისა. ქართული ენის დევნა საიდან იქნებოდა, როცა ეკლესია მთელი თავისი ქონებით იმერთა ეფისკოპოზების ხელში იყო. ფეოფილაქტემ ველარ გაარჩია ეკლესიის და მემამულეთა ქონება და ბევრ ალაგას ორივე ასწერა. ამან პირველათ ააღელვა თავადები და ეფისკობოზები. ამავე დროს ხმა გავრცელდა, ეგზარხს

[1]) გიორგი ამილახვარი ჩიოდა მთავრობასთან 1804 წ., რომ მარტო ის დარჩა დაუჯილდოვებელი ქართლის თავადებში.

ახალი გადასახადები შემოაქვს ეკლესიის სასარგებლოთო. ამან გლეხები ააღელვა და ასე, სხვა და სხვა მიზეზით სხვა და სხვა წოდება წინააღმდეგობას აცხადებს და ფეოფილაქტეც უკან, თფილისში ბრუნდება, რადგან მთავრობას საკმაო ჯარი არ ყავდა არეულობის ძალით ჩასაქრობათ. 28 ივნისს შორაპნის და ქუთაისის მაზრის თ.-აზნაურობა და სამღვდელოება სწერდა მთავრობას: ფეოფილაქტის რეფორმების შედეგი იქნება ის, რომ „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სისხლით მოპოვებული, მეფეთა მიერ ჯილდოთ ბოძებული, ნაყიდი და მემკვიდრეობით მიღებულნი გლეხები, მოძრავი და უძრავი ქონება, აგრეთვე ჩვენი სიღარიბის დაგვარათ გამშვენიერებულნი ხატები და ჯვრები, გამოვლენ ჩვენს გამგეობიდგან“ და სხ. მოძრაობა ამ წელს უსისხლოთ გათავდა. სამაგიეროთ, მრავალი თავადები და ეფისკოპოზები დაატყვევეს და რუსეთს გაგზავნეს. 1820 წ. იმერეთის მმართველი, თავისი მხეცობით დიდათ ცნობილი, პოლკოვნიკი პუზირევსკი მოკლეს გურიაში. ამის გაგონებაზე იმერლები აჯანყდენ და გაიმართა დიდი ომი. მეთაურნი იყვენ, რასაკვირველია, თავადები, რომელთაც მისდევდენ მათი ყმები. რიცხვი იმ გლეხთა, რომელნიც მოძრაობაში მონაწილეობას იღებდენ და მთავრობამ დასაჯა ფულის გადასახადის დადებით, არ აღემატებოდა რვა ათას (ამათში ჩათვლილია აგრეთვე სახაზინო გლეხები, თუმცა აჯანყებაში მონაწილეობას არ იღებდენ). ხოლო დანარჩენ 46 ათას გლეხს მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღია.

აი ნამდვილი ისტორია 1819 წლის არეულობისა იმერეთში. რა შუაშია აქ ქართული ენის დევნა, ბ. ჯორჯაძე, საიდან თხზავთ ამდენ ზღაპრებს.

IV

ბ-ნი ჯორჯაძე არ ცხრება და ზღაპარს ზღაპარზე აყოლებს. ის სწერს: „1830 წლიდან გარემოება შესამჩნევათ იცვლება. შეთქმულ თ.-აზნაურებს ხალხი აღარ გაყვა და სწორეთ

ამ დროს გამოირკვა მთავრობის პოლიტიკა, რომელშიაც „ცისკარი“ რაღაც დემოკრატიზმს ხედავს? ჯერ ერთი, რანაირათ უნდა გაყოლოდა ხალხი იმ შეთქმულ თ.-აზნაურებს, რომელნიც საქმის დაწყებამდის დაიჭირეს? ან შეიძლება ავტორმაც ეს არ იცის? შეიძლება მას ჰგონია, შეთქმულები დამარცხდენ ბრძოლაში? ნამდვილათ კი არაფერი ამის მზგავსი არ ყოფილა; შეთქმულთ უღალატა ერთმა წევრმა, გუბერნატორის ძმამ, ფალავანდიშვილმა. და ისინი ყველა დაატყვევეს. მეორეთ ბ-ნ ჯორჯაძეს ისე გამოყავს, ვითომ პირველათ ამ დროს გადაუდგა თ.-აზნაურები მთავრობას. ყველა ზემოთ აღნუსხული ცნობებიდან აშკარაა ამ ჯორჯაძისებური ცნობის სიყალბე. როცა თ.-აზნაურობა მართლა ებძოდა მთავრობას და სისხლს ღვრიდა, როცა ციმბირი და სატუსაღოები მეამბოხე თ.-აზნაურებით გაავსეს—ამას ჯორჯაძე უწოდებს გლეხთა აჯანყებას, ხოლო როცა თ.-აზნაურულ ინტელიგენციამ დოდაშვილის მეთაურობით 1830 წ. შეთქმულობა მოაწყო, რასაც არავითარი მოძრაობა არ მოყოლია—ამას ის თ.-აზნაურობის პირველ გამოლაშქრებათ აღიარებს! აი საარაკო ისტორიკოსი. ვის ატყუებთ ბ-ნო ჯორჯაძე, თავის თავს თუ სხვებს? 1830 წლის შეთქმულობა არც კი შეიძლება თ.-აზნაურობის შეთქმულობათ გამოვიტანოთ. პირიქით, ამ დროს ეს წოდება უკვე შეურიგდა რუსეთის მთავრობას და არავითარ მოძრაობაზე არ ფიქრობდა. ამით აიხსნება ისიც, რომ ყველა ციმბირში გადასახლებულ მეამბოხე თ.-აზნაურებს 1829 წ. დანაშაული ეპატიეა და შინ დააბრუნეს. ერთი სიტყვით, მეოცდაათე წლებიდან მოწინავე წოდება ერთგულდება და მთავრობაც მის შესახებ პოლიტიკას სცვლის, მისი მოთხოვნილებები უფრო და უფრო პოულობენ თანაგრძნობას. ხოლო ვორონცოვის დროს, როგორც წინათ ვსწერდით, თ.-აზნაურობა გამოცხადდა რუსის მართველობის ბურჯათ კავკასიაში. 1830 წ. შეთქმულობა წმინდა ინტელიგენტური საქმე იყო: „საქართველოს განთავისუფლება“, პროგრამების

დაწერა, ლიგის შედგენა და სხ. ასეთი მერმეც ხშირათ ყოფილა ჩვენი ინტელიგენციის ყურადღების საგანი, მარა არც ერთი ეს არ ხატავდა რომელიმე წოდების რეალურ მიდრეკილებას.

ბ.ნი ჯორჯაძე იხსენიებს სამეგრელოს გლეხთა მოძრაობას, რომელიც მოხდა 1857 წ. (მას ჰგონია ეს 1856 წ. მოხდა). სწორეთ ეს მოძრაობაა ბ-ნ ჯორჯაძის „ფილოსოფიას“ ერთიანათ რომ არღვევს. მეგრელი გლეხები შეებრძოლენ თავის ავტონომიურ მთავრობას და მოითხოვეს რუსების ბატონობის შემოღება. მოძრაობის მეთაური მიქავა რუსეთის მომხრეობას ქადაგებდა. გლეხები ამბობდნენ, „იმერეთში არის სამართალი, მარა ფეხი [მოკლე აქვს და ცხენის წყალს აქეთ ვერ გადმოდის. ჩვენ შეეფიცეთ ერთმანეთს, შეეიკრიბოთ ოცი ათასი კაცი და წავიდეთ სამართლის საძიებლათ ქუთაისში“. შემდეგ ის იყო, რომ რუსები მართლაც ჩამოერიენ და ავტონომია გააუქმეს წინააღმდეგ თავადების პროტესტისა[1]).

სამეგრელოს ავტონომიის დაცემის ამბავი ნათლათ ამტკიცებს ბ-ნ ჯორჯაძის პატრიოტული ზღაპრების მთელ სიყალბეს. ხალხი აქ აშკარათ თხოულობდა რუსების „სამართალს“ და უარყოფდა ფეოდალებისას. რომელთა ხელში იყო მთელი ავტონომიური მართველობა.

კმარა, ბ-ნ ჯორჯაძის ყველა „ფაქტების“ გასწორება შეუძლებელია. ის სწერს რაც ენაზე მოადგება, არც ისტორიას უყურებს და არც ლოლიკას. საკმაოა ის. რაც გავასწორეთ, დასამტიცებლათ იმისა, თუ რა დიდი თავხედი უნდა იყოს კაცი სწეროს ის, რის გაგებაც არ აქვს. კარგა ხანია ნათქვამია—ცოდნა კარგი საქონელიაო და ეს განსაკუთრებითი მათთვის, ვისაც სხვისი სწავლებაც მოუწადინებია. ბ. ჯორჯაძეს ჯერ უნდა შეესწავლა ისტორია და მერე დაეწყო კამათი. მარა ალბათ ის თავის მკითხველებზე იმ აზრისაა, რომ

---

[1]) იხ. აქტი, ტომი 12. 104—120 და სხ.

რაც უნდა ვთქვა—სიბრძნეთ ჩამომართვენო და აკი ართმევენ კიდეც.

ბ-ნი ჯორჯაძე კამათს ერთ ჩვენ დიდათ საყურადღებო ისტორიულ მომენტზე ყოველივე მნიშვნელობას უკარგავს იმით, რომ ფაქტებს ამახინჯებს. აქ საკამათო უნდა იყოს არა ისტორიული, უკვე მომხდარი ფაკტები, არამედ მათი დაფასება და გაგება. აი მაშინ კამათსაც მართლა მნიშვნელობა ექნება: ბ-ნი ჯორჯაძე კი არა თუ ფაქტების გაგებას ცდილობს, არა თუ თვით ფაქტებსაც იგონებს, არამედ საკამათო საგანსაც ერთიანათ აფუჩეჩებს და მის ალაგას ერთ დაუსრულებელ პატრიოტულ ქარტეხილს აყენებს. ჩვენ ვწერდით: ჩვენი ხალხის წინ წაწევა მოხდა არა თვით ქართველი ძალის შემწეობით, არამედ რუსეთის. „რომ მისი დამხმარე ძალა თვით ქართველობას წარმოედგინა და ეს რუსის მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებულიყო გლეხობის სასარგებლოთ—ცხადია, უკანასკნელი მას მიემხრებოდა და რუსეთს გადაუდგებოდა. მარა ვინაიდან ასეთი ძალა არ დარჩა ეროვნობის ჩარჩოში, გლეხობაც იძულებული გახდა ამ ჩარჩოს გასცილებოდა და ნაციონალიზმთან კავშირი გაეწყვიტა“ [1]).

აი ჩვენ მიერ ფაქტების დაფასება. აი საკამათო საგანი. ბ-ნი ჯორჯაძე კი უარყოფს თვით ფაქტს. რუსეთი არ ექომაგებოდა ჩვენს გლეხებს წინააღმდეგ ქართველი თავად აზნაურობისაო. ჩვენ მოვიყვანეთ მრავალი ფაქტები, როგორ მფარველობდა მთავრობა თავისუფლების ძიებას გლეხთა მიერ და როგორ დევნიდა ამას თავად-აზნაურობა, ბ-ნი ჯორჯაძე ამ ფაქტებს არ ეხება, ალბათ ან არ იცის, ჩვეულებისამებრ, ანდა მათ არ სცნობს. ის მხოლოდ იხსენიებს იმას, რომ ვორონცოვი ზომებს იღებდა ამ „მაძიებელთა“ წინააღმდეგო. ეს ვორონცოვის ამბავი თვით ჩვენ მოვიხსენიეთ ჩვენს წერილში და მაშ ბ-ნი ჯორჯაძე აქ ახალს არას ამბობს. ჩვენ მხოლოთ ფაქტს ავღნიშნავთ, რაც მოხ-

[1]) იხ. „აზრი“ № 1.

და, ჯორჯაძე კი ზღაპრულათ სწერს, ვორონცოვი ებრძოდაო ხოლო როგორ, რა გზით, ეს მან არ იცის. ჩვენ ვწერდით, რომ ვორონცოვის წარდგენით „მთავრობამ გააუქმა 1849 წ. კანონი, რომლის ძალით გლეხს შეეძლო თავისუფლების ძიება დაეწყო, თუ მებატონეს მისი ყმობის წერილობითი საბუთი არ ქონდა. ახლა ეს მუხლი შესცვალეს თვით მებატონის სასარგებლოთ, თვით გლეხს უნდა წარედგინა წერილობითი საბუთი იმის, რომ ის, ან მისი მამა ან პაპა თავისუფალნი იყვენ“. აი ჩვენი ფაქტი. მარა ვერც ეს გადაკიდებდა გლეხობას რუსეთის მთავრობაზე და შინაურ ძალას ვერ დაუახლოვდებოდა იმიტომ, რომ ეს ძალა მთავრობაზე გაცილებით შორს მიდიოდა, ის თხოულობდა თავისუფლების ძიების ერთიანათ აკრძალვას. ამ აზრს მიემხრო ვორონცოვი, რომელმაც შესაფერი პროექტი წარადგინა პეტერბურგში, მაგრამ ეს უარყვეს. ვორონცოვის პროექტებზე ამიერ კავკასიის კომიტეტის[1]) წევრი გრაფი კისელევი სწერდა: „მთავრობის შეცდომა იქნება საქართველოში ხელი შეუწყოთ ბატონყმობის გავრცელებას მაშინ, როდესაც შიდა გუბერნიებში, მთავრობა, პირიქით, ლებულობს ყმათა მდგომარეობის შემამსუბუქებლ ზომებს“[2]).

ხოლო ვორონცოვის წინ იცემოდა მთელი რიგი კანონებისა გლეხთა სასარგებლოთ. საკმაოა გავიხსენოთ მაგ. ის, რომ 1836 წ. სენატმა არა თუ არ მიიღო თ.-აზნაურობის და ადგილობრივი ექსპედიციის თხოვნა თავისუფლების მაძიებელთათვის ათი წლის ვადა დაედვა, არამედ გააუქმა არსებული 30 წ. ვადაც და ნება მისცა გლეხებს უვადოთ და ფორმალური საბუთის გარეშე ეძიოს თავისუფლება. ხოლო 1839 წ. მთავრობამ აკრძალა რუსის და ადგილობრივი გლეხების ყიდვა-გაყიდვა. მაგრამ ამან ისეთი პროტესტი გამოიწვია თავად-აზნაურობისაგან, რომ მთავრობა იძულებული გახდა ეს აკრძალ-

---

[1]) ეს კომიტეტი იმყოფებოდა პეტერბურგში და წარმოადგენდა კავკასიის უმაღლეს სამართველოს.

[2]) ესაძის „Историческая Записка“ ტ. 1. გვ. 304.

ვა ქართველი გლეხებისათვის გაეუქმებია და მარტო რუსი გლეხებისათვის დაეტოვებია[1]).

საზოგადოთ საპოლემიკო წერილში არც ადგილია და უხერხულიც არის ისტორიულ ფაკტებს დაწვრილებით შევეხოთ. ეს სერიოზული გამოკვლევის საქმეა, მარა რას იზამთ, როცა ისტორიის უვიცი ადამიანი ისტორიაზე გედავებათ და ყველაფერს თავუკულმა ატრიალებს. ბ-ნ ჯორჯაძემ არც ერთი ეს არ იცის და ეყრდნობა ლადინსკის სიტყვებს, მოხელეებმა გააბრიყვა ხალხი, ეძიეთ თავისუფლებაო, თვარა მთავრობა ამას მუდამ ებრძვისო! ეს ზღაპარი მას ესაძის წიგნიდან ამოუწერია და უკრიტიკოთ მიუღია. ბ-ნი ესაძე კი ისე გატაცებულია თავად-აზნაურობის ქომაგობით, რომ მრავალ ფაქტებს არ იხსენიებს, ხოლო რამდენათ მართალია ლადინსკის სიტყვები სჩანს სენატის ზემოთ მოყვანილ განჩინებიდან, რამაც დიდი აურზაური და უქვეშერდომლესი თხოვნები გამოიწვია თ.-აზნაურობიდან.

ბ-ნი ჯორჯაძე იხსენიებს ბატონ-ყმობის გაუქმებას და თან გაიძახის — ამას რუსეთის ინტელიგენციას უნდა ვუმადლოდეთ და არა მთავრობასო. ჯერ ერთი ეს, აქ ვისმესი დამადლებას ადგილი სრულიად არ აქვს. აქ კითხვა ორი ძალის შეტაკებაში, რუსეთის და საქართველოს და იმის გაგებაშია, თუ ვისკენ უნდა ყოფილიყო ხალხის სიმპატია აქ სულ ერთია ეს, რუსის მთავრობა იქნებოდა თუ რუსის ინტელიგენცია, ორივე ეს ძალა იმყოფებოდა ქართველი ერის გარეშე და თუ გლეხობა თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ამ. გარეშე ძალას მიმართავდა — ამით ის გამოდიოდა ერის ჩარჩოდან. ბ-ნი ჯორჯაძე სწერს: გლეხთა რეფორმა მაინც არ განხორციელებულა გლეხთა სასარგებლოთ. ეს ძველი ამბავია, დავა ამაში არ არის; დავა იმაშია, თუ ვინ უფრო იცავდა ჩვენი გლეხების ინტერესებს: ძალა ნაციონალური თუ უცხო? და აი, ჩვენ ვამბობთ, რომ ძალა ნაციონალური მუდამ დევნიდა გლეხობას

[1]) „Акты", ტ. IX გვ. 37.

და ის პოულობდა მცირე მფარველობას მაინც უცხო ძალაში. თვით ბატონყმობის მოსპობის ისტორია ამის უტყუარი ფაქტია. მთელი თავად-აზნაურობა, როგორც რეაქციონერები (უმრავლესობა), ისე ლიბერალები (უმცირესობა), თხოულობდა ყმების მოიჯარადრეებათ გადაქცევას, რომელთა გადარეკა მამულისაგან თუ დატოვება მებატონის ნებაყოფლობაზე უნდა იყოს მიშვებულიო. მთავრობამ უარჰყო ეს წინადადება. ბ. ჯორჯაძე კი გაიძახის: მთავრობის პროექტი დიდათ არ განსხვავდებოდა თ.-აზნაურობის პროექტისაგანაო! მას ვერ გაურჩევია ხიზნობა, რომლის აყრა ყოველთვის შეუძლია მემამულეს, დროებით ვალდებული გლეხისაგან, რომლის აყრა მას არ შეუძლია. მეორეთ, თ.-აზნაურობას რომ დღევანდელი ხიზნობა არ ქონდა სახეში მაშინ, როგორ ესმოდა ყმების ხიზნებათ აღიარება — ეს კარგათ სჩანს მისი მოხსენებიდან, სადაც სწერდა: ასეთი მდგომარეობა (ხიზნობა) „უნდა იქნას დაცული პირველ სამ წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში გლეხთ წინადადება ეძლევათ მემამულეთ ნება-ყოფლობით მოურიგდენ შესახებ იმისა, თუ რა პირობებში მემამულეთა მიწები მათ სარგებლობაში დარჩება; თუ ამ საგანზე შეთანხმება ვერ მოხდა, უფლება აქვთ გლეხთ დატოვონ მებატონის მიწა, ხოლო მებატონეთ — დაითხოვონ გლეხები“. ეს ნიშნავდა მთელი გლეხობის ბოგანოთ გამოცხადებას. მთავრობა ამ აზრს ებრძოდა. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი უსახლკარო და უბინაო ხალხი ვერ გადაიხდის სახელმწიფო გადასახადებს, არეულობას და მოუსვენრობას ააღორძინებსო და სხ.[1]). მაშასადამე მთავრობასაც ეგოისტური მიზანი ქონდა და არა გლეხებისადმი სიყვარული. ჩვენ წერილებში ამის შესახებ ვწერდით. ეს ხდებოდა არა იმიტომ, რომ პირველს (თ.-აზნ.) ქართველი გლეხი სძულდა, ხოლო მეორეს (რუსეთის ბატონობას) უყვარდა, პირიქით, პირველს ის შეიძ-

---

[1]) „ყველა ეს დაწვრილებითაა აღწერილი ოფიციალურ დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება: „Журнал Закавказскаго цент. комитета по устройству помещичьих крестьян“.

ლება მეორეზე უფროც უყვარდა, მარა აქ მუშაობდა **ინტერესი** და მას მორჩილებდა პოლიტიკაც"[1]).

ბ. ჯორჯაძე კი თავს გვახვევს მთავრობის და მოხელეთა სიყვარულის ქადაგებას! ის ყოველივეს უცქერის სიყვარულ-სიძულვილის თვალით და არა გაგების და მიუდგომლათ შესწავლის. მას სძულს რუსეთის მთავრობა, აქედან ადგენს ისტორიას: ამ მთავრობას ჯერ-ოდეს არაფერი სასიკეთო ჩვენში არ მოუმოქმედიაო. მას უყვარს საქართველოს მთავრობა, აქედან ადგენს ისტორიას: ჩვენ წინეთ ვიყავით აყვავებულიო და სხ. და სხ. აბა ასეთ „ისტორიკოსს" მოდით და ეკამათეთ!

ერთი სიტყვით, აქ სიყვარულ-სიძულვილში კი არ არის საქმე; აქ მუშაობდა ორი გაბატონებული ძალა: ნაციონალური (თავად-აზნაურობა) და უცხო, რუსეთის. **ორივე მისდევდა თავის ინტერესებს, რომელნიც ხან ერთდებოდენ, ხან ერთმანეოს ეწინააღმდეგებოდენ. ქართველი ხალხი პირველ ძალაში მუდამ ხედავდა მტრულ განწყობილებას, ვერასოდეს მფარველობას; მეორეში კი ხშირათ პოულობდა მფარველობას და ეს მას ავიწყებინებდა მის მტრულ მოქმედებას.**

აი ჩვენი ტეზისი: დაარღვიეთ ეს, ბ. ჯორჯაძე, თუ შეგიძლიათ; დაარღვიეთ ფაქტებით და არა ზღაპრებით.

დასასრულ, ბ. არჩილ ჯორჯაძის ერთ „გაუგებრობაზე" უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ჩვენ ვწერდით: „ჩვენი ყველა თანამედროვე კლასი (მაშასადამე, ბურჟუაზიაც) თავის ინტერესებისათვის საბრძოლველათ იძულებულია ააფრიალოს ინტერნაციონალური დროშა. ამ აუცილებლობას არ ემორჩილება მხოლოდ ჩვენი ინტელიგენცია და ამიტომ ის ჰაერში გამოკიდებულია, „უჯარო სარდლებია"[2]). ამის წინააღმდეგ ბ. ჯორჯაძე სწერს: მაშ რატომ ეძახდით ჩვენს ავტონომიას ბურჟუაზიულს თუ კი ქართველი ბურჟუაზია ამას არ თხოულობსო. ჯერ ერთი, ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს ავტონომიას თხოულობს ქართველი ბურჟუაზია

[1]) იხ. „აზრი" № 1.

[2]) იხ. „აზრი" № 3.

თქვა, რომ არ მოუთხოვია, რას ვიტყოდით; ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ: ავტონომიას თხოულობს ბურჟუაზიული ინტელიგენცია, თ.-აზნაურობა და სამღვდელოება. საქართველოს ავტონომია იმიტომ კი არ არის მოთხოვნილება ბურჟუაზიული, რომ მას ბურჟუაზია თხოულობს. აოამედ იმიტომ, რომ მისი საბოლოო მიზანია ნაციონალური ბურჟუაზიის გაბატონება, მიუხედავათ იმისა, მისი მომთხოვნელი ვაჭარი იქნება თუ ინტელიგენტი. ლიბერალები კონსტიტუციას თხოულობდენ რუსეთში დიდი ხნით მასზე ადრე, სანამ ამას ბურჟუაზია მოითხოვდა, მარა მიუხედავათ ამისა, ლიბერალები ბურჟუაზიის იდეოლოგები იყვენ და არიან. ჩვენი ფედერალისტები იყვენ და არიან თავისი მოძღვრებით ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, თუნდა ეს მოძღვრება ჩვენს ბურჟუაზიას არც კი ესმოდეს. ბ. ჯორჯაძეს კი წარმოუდგენია, რასაც ბურჟუა არ თხოულობს---ეს ბურჟუაზიული არ არისო! ე. ი. ის მოთხოვნილებას ახასიათებს არა მისი შინაარსით, არამედ მის მომთხოვნის ვინაობით!

მეორე მხრით, ჩვენ ვსწერდით: „მისი (ფედერალისტების) ჯარი დაიბადება მხოლოთ ქართველი შეძლებული ბურჟუაზიის, ქართული სხვილი კაპიტალის გაჩენით. ერთათ ერთ შეძლებული ბურჟუაზიის ინტერესი იქნება სხვა ერთა ბურჟუაზია თავიდან მოიშოროს და ქართველი წვრილი ბურჟუაზიითურთ თვითონ ყვლიფოს“[2]) მაშასადამე, ფედერალისტების ავტონომია სხვილი ბურჟუაზიის მომავალი მოთხოვნილებაა, რომელიც თან აიყოლიებს წვრილსაც, როგორც მასზე დამოკიდებულს. ყველა ეს ძალთა მომავალი კომბინაციაა, ხოლო ფედერალისტები, როგორც იდეოლოგები, ასწრებენ ამ ძალთა კომბინაციას და ამიტომ რჩებიან „უჯარო სარდლები“, მარა სამაგიეროთ, მომავალში ეყოლებათ ჯარი. მაშასადამე, ნაციონალიზმს ჩვენში გაძლიერება მოელის და ჩვენც სწორეთ ეს გვაქვს სახეში, როცა ვებრძვით ფედერალისტებს....

---

[2]) Ibid.

იდევ სადაო კითხვები.

ისტორია.

I

ბ. არ. ჯორჯაძემ ერთხელ კიდევ გამოილაშქრა თავისი „ისტორიით“: ის რასაკვირველია, არ დასჯერდა ჩვეულებრივი ისტორიის ჩვეულებრივათ გამოგონებას და თან მიაყოლა პუბლიცისტიკის ისტორიაც. და ასე ჩვენს წერილებს ახლო წარსულის შესახებ მან დაუპირდაპირა ორი დიდი წერილი: „კიდეე წარსული და მისი ანდერძი“ და „ისტორიის სამართალი“?[1]). ეს წერილები ერთიანათ ხატავენ ჩვენი ნაციონალისტების სულის კვეთებას, მთელ მათ მიმართულებას და ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია მათზე უფრო მეტ დროს შევჩერდეთ, ვინემ ეს წინანდელ ჩვენს პასუხში მოვიმოქმედეთ[2]). ისტორიას პირდაპირი კავშირი აქვს პოლიტიკასთან, კარგათ გაგებული და დამახსოვნებული წარსული ნამდვილი ლამპარია თანამედროვე ბურუსის გასაფანტავათ. ამიტომ ჩვენი ფედერალისტების მიერ წარსულის წარმოდგენა მათი დღევანდელი მიმართულების სრული დახასიათებაა, ისე როგორც ჩვენ მიერ წარსულის შეგნება ჩვენი დღევანდელი გზა-კვალის მაჩვენებელია.

რაშია სადაო კითხვა? სადაოა ორი კითხვა: ერთია კითხვა მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის შესახებ, ხოლო მეორეა კითხვა საზოგადო აზროვნობის განვითარებისა ჩვენში. ეს ორი სხვა და სხვა კითხვაა და ამიტომ ისინი გავარჩიოთ ცალ-ცალკე.

დავა პირველ კითხვაზე გამოიწვია ჩემმა წერილებმა: „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“. ეს წერილები ზარ-ბაზანსავით გავარდა ფედერალისტების ბანაკში და იქ დიდი

[1]) „ამირანი“, № 86, 87, 88, 89, 90; 57, 61, 62 და 63.

[2]) იხ. „ცხოვრ. სარკე“, № 18 და სხ.

კორიანტელი ააყენა. ამ წერილების გასაბათილებლათ ბ. არ. ჯორჯაძემ წამოაყენა ორი ტეზისი: ეროვნობა დაბადა სახელმწიფომ, ქართველმა ხალხმა არ შეიწყნარა „რუსეთის სახელმწიფობრიობა“-ო. პირველი ტეზისის შესახებ ჩვენ ვსწერდით: ეროვნობა დაბადა არა სახელმწიფომ, არამედ მრეწველობა-აღებ-მიცემობამ, რამაც თვით თანამედროვე სახელმწიფო დაბადა-თქვა. ამაზე ბ. ჯორჯაძე აი რას სწერს:

„მაგრამ საქმე ის არის, რომ აღებ-მიცემობა და მრეწველობა თანამედროვე მნიშვნელობით საგვარეულო წესწყობილებაში არ არსებობს, იგი ჩნდება საგვარეულო წყობილების ნანგრევზე, სახელმწიფოს ფარგალში. აღებ-მიცემობის და მრეწველობის გაჩენა უსახელმწიფოთ შეუძლებელი იყო... კერძო საკუთრების წარმოშობამ გაარღვია ძველი ნათესაური კავშირი (გვარი) და ერცელ ტერიტორიაზე გაფანტა ხალხი. ამ ხანაში ჯერ კიდევ არა სჩანს ეროვნობის სახე. ჩნდება და მკვიდრდება სახელმწიფო და ეროვნობაც ირკვევა და ვითარდება“ [1]).

აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ეროვნობა აღორძინებულა მაშინ, როცა საგვარეულო წესწყობილება დაინგრა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია გაჩნდა. წინეთ გვარში, ბატონობდა ეროვნობის ერთი ნაწილი, გვარი, ახლა ბატონდება თვით ეროვნობა სახელმწიფოს საშუალებით. ე. ი. ეროვნობა არსებულა სახელმწიფოს გაჩენიდანვე. აღორძინდა სახელმწიფო და აღორძინდა ეროვნობა, მაშასადამე, რაკი სახელმწიფო დაეცემა—ეროვნობაც დაეცემა; მის აღსადგენათ საჭიროა მისი სახელმწიფოს აღდგენა—აი ბ. ჯორჯაძის მთელი თეორიული და პრაქტიკული მოსაზრება. ეს გვარიანი მწყობრათ დალაგებული ლოლიკაა, მაგრამ ამ ლოლიკას ძირი აქვს მომპალი. ჯერ ერთი ვიკითხოთ, რამ გამოიწვია სახელმწიფოს დაფუძნება? ბ. ჯორჯაძე ამაზე უგ̇ებს, საზოგადო საკუთრების დარღვევამ, მარა ეს კითხვის გადაჭრა არ არის; საჭიროა ვიცოდეთ, რამ გამოიწვია თვით ამ საკუთრების დარღვევა? ბ. ჯორჯაძე

[1]) იხ. „ამირანი“ № 86.

ამბობს – ძალამ; „ერთ რომელიმე ძლიერ გვარს სხვა უფრო სუსტი გვარი დაუპყრია იარაღით ხელში“-ო. ძლიერ კარგი, ვთქვათ ასე მოხდა, მაგრამ საიდან მიიღო ამ „ერთმა გვარმა“ ეს მეტი ძალა? რატომ მან მოისურვა მეორე გვარის დაპყრობა და ასე წინანდელი წყობილების დანგრევა? აი აქ ბ. ჯორჯაძე სდუმს, მან ამის მეტი არა იცის რა ამ საგანზე. ორში ერთი: ეს ახალი ძალა და ახალი სურვილი ამ „ერთ გვარს“ ციდან მოევლინა, ღმერთმა შთააგონა, როგორც, მოსეს თქმით, ეგვიპტეში ტყვეთ წაყვანილ ებრაელებს ჩააგონა იეგოვამ— წადით, ქანაანი დაიპყარითო, ან და ეს ძალა და სურვილი თვით გვარში და გვართა შორის დამოკიდებულებაში აღმოცენებულა და განვითარებულა. ბ. ჯორჯაძე, ვიცით, არ იქნება პირველი მოსაზრების თანახმა, ღმერთი რა შუაშია, უეჭველია მიზეზი ახალი ძალის დაბადების თვით ცხოვრებაში უნდა ვეძიოთო, იტყვის ის. მარა რადგანაც თვითონ მას ეს მიზეზი ვერ მოუნახავს, ცხადია ეს მისთვის წყვდიადით არის მოცული და აი ამ თავის უცოდინარობაზე აუგია მთელი თავისი ლოლიკური შენობა.

თავისთავათ ცხადი უნდა იყოს ის, რომ როცა „ერთმა გვარმა“ დაიპყრო სხვა გვარები და სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ააგო, მას ამ საქმის შესრულებამდის ჯნდა ქონებოდა შინ, თავისსავე გვარში ის წყობილება, რომელიც ახლა სხვა გვარებს დაუარსა. თუ მას ეს არ ქონდა, მან ეს არ იცოდა, ცხადია, რაც არ იცოდა—იმას ვერ მოიმოქმედებდა. და ეს ასე იყო ყოველგან, ყოველ ხალხში. ახალი წყობილება ჯერ ფეხს იკიდებს თვით გვარში, ამით აქ ხდება დიდი ცვლილება და ამ ცვლილებით გაძლიერებული გვარი იმორჩილებს მეორე დაბალ საფეხურზე მყოფ გვარს.

რა ცვლილებებია ეს? არის ის, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური თუ ეკონომიური? პირველათ ხდება ეკონომიური ცვლილება. სახელმწიფო ხომ გაბატონებული კლასის პოლიტიკური ორგანიზაციაა, მაშასადამე, ჯერ უნდა არსებობდეს

ასეთი კლასი, რომ მან ასეთი ორგანიზაცია შექმნას. ხოლო კლასების არსებობა ნიშნავს საზოგადოების ქონებრივათ დანაწილებას. და მართლაც, გვარი ჯერ იშლება ოჯახებათ, მყარდება მამის უფროსობა და მემკვიდრეობა: პირველათ მოძრავი ქონება ხდება ოჯახის საკუთრებათ, შემდეგ კი უძრავიც. ამნაირათ დგება მეტათ და ნაკლებათ შეძლებული ოჯახები, ყალიბდება კლასები. საზოგადო საკუთრება ჯერ კიდევ სჭარბობს კერძო საკუთრებას, მარა ეს უკანასკნელი თანდათან მკირდება და ბოლოს იგი აჭარბებს საზოგადო საკუთრებას. პირველათ შინაური ცხოველი და საოჯახო ნივთი, როგორც კერძო საკუთრება, გადაიქცენ საგნათ გაცვლისა, ე. ი. ხდებიან საქონლათ. ეს ბადებს მთელ ეკონომიურ რევოლიუციას. ადამიანი ახლა აღარ ამუშავებს ყველა ნივთს თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ: ის ცვლის თავის მოჭარბებულ ნივთს სხვის ნივთზე და ასე იძენს რაც აკლია. შემდეგ გაცვლა-გამოცვლის იარაღათ ჩნდება ლითონი, ჯერ წონით და მერე ფულის სახით. ერთი სიტყვით, გვარში ჩნდება ღარიბი და მდიდარი, ვითარდება აღებ-მიცემობა, საქონლის წარმოება. და აი, ეს ახალი ნივთიერი ვითარება გვარში იზიდავს მრავალ გარეშე ხალხს, რომელნიც, მაგ. რომში კლიენტათ იწოდებოდენ. გვარის წევრთა რიცხვი მატულობს, ბინადარნი და მოსულნი ერთმანეთში ირევიან, კავშირი ნათესაური სუსტდება და მის ალაგს თანდათან იჭერს კავშირი ტერიტორიალური: საზოგადოება იყოფა არა თანახმად გვარის და ოჯახისა, არამედ ქონების და საცხოვრებელი ადგილისა. ათინაში ეს პოლიტიკური ცვლილება მოახდინა სოლომონმა მეექვსე საუკუნეში ქრ. წინ. ეს საგვარეულო წესწყობილებისათვის ლახვარის ჩაცემა იყო, რომის მცხოვრებნი იმავე მეექვსე საუკუნეში დაყვეს უბნებათ წინანდელ გვარების ალაგას, ხოლო უბანში ერთ კლასს შეიკავდა ყველა ერთნაირი ნივთიერი მდგომარეობის ხალხი, მიუხედავათ მისი შთამომავლობის და გვარისა. რაკი სახელმწიფოს

საძირკველი ჩაიყარა, ის თანდათან განვითარდა, განაწესეს ხალხის გარეშე მდგომნი შეიარაღებულნი დამცველნი „წესიერების“ და ხალხს გააწერეს გადასახადები, რასაც ეს დამცველნი“ კრებდენ. ჩინოვნიკობას მიეცა დასაბამი[1]).

ამნაირათ, სანამ სახელმწიფო დაარსდებოდა, გვარში მოხდა დიდი ეკონომიური რევოლიუცია, აღორძინდა საქონლის წარმოება, ფული და კერძო საკუთრება; გაჩნდა კლასები და აღებ-მიცემობა; ეს მწარმოებელი ძალის ზრდა ხეთქს საგვარეულო პოლიტიკურ წყობილებას და აწესებს სახელმწიფოს.

ასე რომ, ბ. ჯორჯაძის აზრი — სახელმწიფომ დაბადა ეროვნობაო, სიმართლეს მოკლებულია მაშინაც კი, რომ მისი მეორე აზრი მივიღოთ: ეროვნობა არსებობდა სახელაწიფოს გაჩენის დღეიდანვეო. ამ შემთხვევაში მიზეზი, როგორც სახელმწიფოს, ისე ეროვნობის აღორძინების, იქნებოდა გვარში შრომის განაწილება, საქონლის გაცვლა-გამოცვლა (აღებ-მიცემობა) — ერთი სიტყვით, მწარმოებელი ძალის განვითარება. რასაკვირველია, აქ სხვა გვარების თუ თემების ძარცვას და რბევასაც შესაფერი ადგილი უჭირავს, ვინაიდან ამით იზრდებოდა მოძრავი ქონება დამრბეველთა და მით ეკონომიური უთანხმოება კიდევ უფრო ღრმავდებოდა. მაგრამ თავისთავათ ამ რბევას და ძარცვას არ შეეძლო საგვარეულო წესების დარღვევა. რომ ეს წესები შინაგანი პროცესით უკვე დარღვევის გზაზე არ დამდგარიყო. ამას შეეძლო ხელი შეეწყო ამ პროცესის განვითარებისათვის.

მაგრამ, მართალია კი ის აზრი, ვითომ ეროვნობა გაჩნდა სახელმწიფოს აღორძინებამდეო? აი ეს სწორეთ არ არის მართალი. ამის გამოსარკვევათ საჭიროა გავიგოთ, რას გულისხმობს ბ. ჯორჯაძე სიტყვა „ეროვნობით“.

---

[1]) როგორ დაირღვა გვარი და აღორძინდა სახელმწიფო, აწერილი აქვს ენგელსს თავის წიგნში: „ოჯახის წარმოშობა“; მის გამოკვლევას საფუძვლად უდევს მორგანის ცნობილი შრომა: „ძველი საზოგადოება“.

ეროვნობა არის მცნება ან რასიული ან კულტურული. პირველი ხატავს ეროვნობის გვარტომობას; ე. ი. ჯგუფი იმ ადამიანთა, რომელნიც საუბრობენ ერთ ენაზე და ეკუთვნიან ერთ გვარტომობას, შეადგენს ერთ ერს. აქ ეროვნობის დამახასიათებელია შთამომავლობა. ხოლო ეროვნობა, როგორც კულტურული მოვლენა, ეწოდება ადამიანთა იმ ჯგუფს. რომელიც ეკუთვნის ერთ გვარტომობას და თავის თავს გრძნობს ერთათ ერთ, ერთ კულტურულ მთელათ, ჰირში და ლხინში ვანუყრელათ. აქ დამახასიათებელია არა შთამომავლობა, არამედ შეგნება, ერთათ ამოძრავება, ერთი მაჯის ცემა, ერთ ულელში შებმა. ამიტომ ჩვენ ვსწერდით ბ. ჯორჯაძის წინაალმდეგ მიმართულ წერილში: „ეროვნობა და ერი ერთი და იგივე მცნების გამოხატულება არ არის; პირველი ეხება უფრო შეგნებას, ფსიხიურ მოვლენას, მეორე კი რასიულს, ობიექტიურს“ და სხ.

ახლა ვიკითხოთ, რომელი მნიშვნელობით ხმარობს ბ. ჯორჯაძე სიტყვა ეროვნობას? პირველის? მაშინ გამოვა, რომ ერი, როგორც რასიული მოვლენა, შეუქმნია სახელმწიფოს! მაგრამ ასეთ სიბრიყვეს ჩვენს კრიტიკოსს ვერ დავსწამებთ: საგვარეულო წესწყობილებაში უკვე არსებობს ერი ანუ ხალხი ერთ ენაზე მოსაუბრე და ერთი გვარტომობის. ერის შექმნა საგვარეულო წესის განმტკიცების წინ მოხდა. ცხადია, ბ. ჯორჯაძე ეროვნობას ხმარობს მეორე მნიშვნელობით და რომ ეს ასეა, იქიდან სჩანს, რომ ჩვენი განსაზღვრა ეროვნობისა მასში არ იწვევს პროტესტს, ის არ არღვევს ამას. ერთი სიტყვით, ბ. ჯორჯაძე ეროვნობათ აღიარებს ერს, ერთ ისტორიულ ულელში შებმულს,—და ერთ კულტურულ მთელათ შედულებულს. მაშინ გამოვა ის, რომ მისი აზრით ასეთი ეროვნობა გაჩენილა სახელმწიფოს გაჩენის დღიდან, ასეთი ეროვნობა წარმოუშვია ათინას. რომს და სხ.

მართალია ეს? სრულიადაც არა. ეროვნობა, ამ სიტყვის უკანასკნელი მნიშვნელობით, სრულიად ახალი მოვლენაა, ის

არ იცის არც საშუალო საუკუნოებმა, არც ძველმა ქვეყანამ. ეს ჩვენ იმდენათ ცნობილათ მიგვაჩნდა, რომ არც კი გვეგონა, თუ ბ. ჯორჯაძე სხვანაირათ ფიქრობდა: ამიტომ მისი ტეზისი: ეროვნობა დაბადა სახელმწიფომ, ჩვენ გავიგეთ ისე, რომ აქ ლაპარაკია კაპიტალისტური ხანის შესახებ. ამიტომაც ვსწერდით მის საპასუხოთ: ეროვნობის გაჩენის „მიზეზია სწორეთ ის, რამაც გააჩინა თანამედროვე სახელმწიფო- ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, მრეწველობა-მიმოსვლა, თანამედროვე სამოქალაქო ცხოვრება"[1]). ახლა კი ვტყობილობთ, რომ ბ. ჯორჯაძის აზრით ეროვნობა ნაყოფია არა ახალი ისტორიის, არამედ უძველესი დროის; ის შემუშავებულა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის დაარსებიდანვე. მაშასადამე, სადაო კითხვა აი ეს უკანასკნელი მოსაზრებაა. ავიღოთ ისტორია იმავე საბერძნეთის და რომის და გავსინჯოთ, იყო თუ არა აქ ეროვნობა შექმნილი.

ძველი საბერძნეთი რომ დანაწილებული იყო მრავალ დამოუკიდებელ ერთი მეორის მოპირდაპირე ნაწილებათ—ეს საყოველთაოთ ცნობილია. ბერძენთა ერი სრულიად არ გრძნობდა თავს ერთ ეროვნობათ, არ ცხოვრობდა საერთო პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებით. მართალია, ხან-და-ხან საბერძნეთის რესპუბლიკები შეერთდებიდენ უცხო მტერთა წინააღმდეგ, როცა ესენი მათ აკლებას ემუქრებოდენ, მარა ეს სრულიათ არ ნიშნავდა ეროვნული მთლიანობის შეგნებას, ეროვნობის გაჩენას. ხშირათ ბარბაროსთა გვარებიც ერთდებოდენ გარეშე მტერთა წინააღმდეგ, მარა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საგვარეულო წყობილებაში ეროვნობა აღორძინდა. მორგანის აზრით ამერიკელი ბარბაროსების—ირიოკეზების—გვარებს და თემებს შეერთებული კავშირი ქონდათ, კავშირი იყო მუდმივი. აქ წყდებოდა კითხვები, რომელნიც ეხებოდენ ყველა თემთ. გადაწყვეტილებას მაშინ ქონდა ძალა, თუ იგი ერთხმათ იქნებოდა მიღებული. მიუხედავათ ამისა,

[1]) Idid.

ვის მოუვა თავში თქვას
როკეზები ეროვნობა�? საბერძნეთის თემებს არც ასეთი მუდმივი კავშირი ქონებიათ. ისინი ერთმანეთს ებრძოდენ ულარ ხშირათ, ვინემ საერთო მტერს საერთო ძალით იგერებდენ. ეს კიდევ ცოტაა. თემების პატრიოტიზმი ისე მდარე იყო, რომ ისინი ხშირათ უცხოელთ იხმარებდენ ერთი მეორის წინააღმდეგ, ხშირათ მტრები თავის თემის წინააღმდეგაც შემოყავდათ. გავიხსენოთ საბერძნეთის დაპყრობა რომაელების მიერ მეორე საუკუნეში ქრისტეს წინ. ამ დროს საბერძნეთის ყველა თემში არსებობდა ორი პარტია: არისტოკრატიული და დემოკრატიული; ბოლოს ყველა თემების არისტოკრატიული პარტიები შეერთდენ და დაარსეს საერთო ლიგა დემოკრატებთან საბრძოლველათ; მაშინ დემოკრატებიც შეერთდენ და ამათაც ლიგა დაიარეს. დემოკრატები დაუახლოვდენ მაკედონიის მეფეს, ამის გამო არისტოკრატები დაუმეგობრდენ რომის არისტოკრატიულ რესპუბლიკას და როცა რომაელთა ჯარები საბერძნეთს მიადგა— არისტოკრატებმა ქალაქები გაუღეს და მათი შემწეობით მთელი საბერძნეთი რომმა დაიპყრო. მაკედონიის მეფე წინააღუდგა რომს და მათ შორის გაიმართა ომი საბერძნეთისათვის. მაკედონელები დაამარცხა რომის ჯარმა და ასე რომმა საბერძნეთთან ერთათ მაკედონიაც ხელთ იგდო.

როგორც ხედავთ, საბერძნეთში ეროვნობა, ეროვნული იდეია სრულიათ არ შემუშავებულა, ეროვნული სახელმწიფო არ დაარსებულა. აქ მეფობდა თემური იდეია, თემური კულტურა და თვითცნობიერება.

მეტყვიან: რომმა ხომ დაარსა უზარმაზარი სახელმწიფო, გააერთიანა იტალია, მას დაუმორჩილა მრავალი ქვეყნები, მაშასადამე, აქ აღორძინებულა ეროვნობა, ეროვნული სახელმწიფო. მართალია ასეთი დასკვნა? გავსინჯოთ.

რომი დაარსა ლათინთა რამდენიმე გვარმა მერვე საუკუნეში ქრისტეს წინ. ლათინთა ტომი იმ დროს ბინადრობდა იტალიაშივე და იმყოფებოდენ საგვარეულო წესწყობილება-

ში: იმათ ქვეყანას ერქვა ლაციუმი, შეადგენდენ რამდენიმე დამოუკიდებელ თემს და ეჭირათ სულ 400 ოთხკუთხი ვერსი. მათ ქალაქებს შორის პირველობას ჩემობდა ალბა და საერთო მოლაპარაკების დროს ალბას თემის დეპუტატებს მეტი პატივი და მნიშვნელობა ქონდათ. აი ამ ლაციუმიდამ აიყარა რამოდენიმე გვარი (უფრო კი ალბადან. როგორც ამბობენ) და თავისთვის დააარსეს ახალი ქალაქი პალატინას მთაზე: ადგილი კარგი და მიუდგომელი აღმოჩნდა, ერთი მხრით მას ფარავდა მდინარე ტიბრი, მეორე მხრით ჭაობები. ქალაქს დაერქვა რომი. პირველათ ის ალბათ ახალშენი იყო, მარა რომი თანდათან აგანიერებს თავის საზღვარს, იპერს ახლო-მახლო მდებარე ადგილებს და ბოლოს შეებრძოლება თვით ალბას. ალბას ძალით შემოკრებს და ბოლოს სრულიადაც ანგრევს. ალბას ადგილი დაიპირა რომმა; რომი გახდა ლაციუმის თემთა ხელმძღვანელი. ამ დღიდან იწყება შუღლი და ბრძოლა რომს და ლათინთა თემებს შორის. მთელი ლაციუმი აუჯანყდა რომს, მაგრამ რომმა დაამარცხა ის და დაადებია ახალი ხელშეკრულობა (413 წ. ქრ. წ.) პირობის ძალით ლათინთა თემებს მიეცა რომაელთა მოქალაქობრივი უფლება, ხოლო პოლიტიკურ უფლებებზე რომმა ფარი უთხრა. მარტო რომის თემს ქონდა იმდენი უფლება, რამდენიც ლაციუმის ყველა თემთა კავშირს ანუ კონფედერაციას. რომი გაბატონდა ლათინებზე. ამით მათ შორის შუღლი არ ცხრება; რომაელთ რაიმე ეროვნული იდეია რომ ქონებოდათ, თავისსავე ერს ასე არ დაიჯაბნებდენ, პირიქით, მას სრულ უფლებიან მოქალაქეთ გამოაცხადებდენ და ერთ ეროვნულ სახელმწიფოს დააარსებდენ. მაგრამ რომის იდეიაც იყო თემური, როგორც ყველა მაშინდელი ქალაქების. ამიტომ ის ზრუნავდა თავის თემის ამაღლებაზე და გამდიდრებაზე. იქნებ ბოდენ ესენი თავისსავე ერის თუ სხვა ერის—ეს მისთვის სულ ერთი იყო. 343 წ. რომს ომი გამოუცხადა იტალიის მეორე ერმა—სამნიტებმა. რომმა გაიმარჯვა. ლათინებს ეს

არ ეკაშნიკათ, მათი ინტერესი მოითხოვდა რომი სუსტი ყოფილიყო. ლათინები შეუდგნენ მზადებას რომის წინააღმდეგ. რომის წინ მათ მოსთხოვეს რომს, ერთი კონსული და სენატორთა ნახევარი ლათინები ყოფილიყვენ. რომმა ღარი შეუთვალა, მან მიიმხრო სამნიტები და მათი დახმარებით დაამარცხა ლათინები. რომმა სასტიკათ დასაჯა თავისსავე ერი — ლათინები: მან მოსპო მათი კავშირი, თვითეულ თემს უნდა ეცხოვრა თავისთვის, მას არ ქონდა უფლება დაკავშირებოდა მეორე თემს არა თუ პოლიტიკურათ, არამედ ნათესავურათაც კი: ერთი თემის კაცი ვერ ითხოვდა ცოლათ მეორე თემის ქალს, ვერ შეიძენდა მეორე თემში საკუთრებას და სხვ. გარდა ამისა თემში გააბატონა მდიდრები, რომმა თანდათან დაიმორჩილა მთელი იტალია, შემდეგ მრავალი სხვა ქვეყნები. დაარსა დიდი სახელმწიფო, რომელიც შემდეგ იმპერიათ გადააქცია. ეს იყო სახელმწიფო ერთი თემის, რომის და არა ერთი ერის, ლათინების. რომი არ ანსხვავებდა ლათინებს იტალიის არა-ლათინებისაგან. პირიქით, უკანასკნელ ხშირათ მეტ უფლებას აძლევდა, ვინემ ლათინებს. პოლიტიკური უფლება ქონდა მარტო რომის ახლო მდებარე ქალაქებს. ხოლო ლაციუმს და იტალიის დანარჩენ ქალაქებს ქონდა არა რომის, არამედ ლათინური უფლება; ე. ი. ყველა ესენი ერთნაირათ მოკლებული იყვენ პოლიტიკურ უფლებას და ერთნაირათვე აღჭურვილი სამოქალაქო უფლებით და ქალაქთა თვითმართველობით (მუნიციპიუმი). ყველა ესენი იხდიდენ იმ ხარკს, რასაც რომი გააწერდა თავის სასარგებლოთ. ჯარის უფროსები ყოველთვის რომაელები იყვენ: სენატორები, კონსულები, პრეფექტები და სხ. რომაელები იყვენ. ერთი სიტყვით ლათინთა ერთი თემი — რომი — გაბატონდა იტალიის ყველა თემზე და ტომზე და დაიმორჩილა საბერძნეთი. მცირე აზია, ეგვიპტე, დღევანდელი ისპანია, საფრანგეთი. დიდი ბრიტანია და სხ. და სხ. 90 წ. ქრ. წ. იტალიის მრავალი ერი აუჯანყდა რომს. ამის შიშით რომმა იტალიის ყველა ერთ რო-

მაღლი უფლება მიანიჭა და მით განხეთქილება ჩამოაგდო აჯანყებულთა ბანაკში. მარა ამ უფლებით შეიძლებოდა სარგებლობა მხოლოდ რომში. იმპერატორებს მუდამ ეშინოდათ .რესპუბლიკანელი რომის და მუდამ ცდილობდენ პოლიტიკური ცხოვრება რომში მოეკლათ და ის პროვინციაში გადაეტანათ. ამიტომ ისინი პროვინციას იმადლიერებდენ და ჯარებიც უფრო პროვინციელები ყავდათ და ასე, რომს პროვინციის საშუალებით იმორჩილებდენ. ეს იყო ბარბაროსობის გაბატონება ცივილიზაციაზე. 211 წ. ქრისტეს შემდეგ, იმპერატორ კარაკალამ გამოსცა ედიქტი, რომლის ძალით რომის ყველა თავისუფალი მდგომარეობის ქვეშევრდომი გამოცხადდა სრულუფლებიან რომაელ მამულიშვილათ. ამით დაინგრა ძველი რომი, მას რომაული არაფერი დარჩა. რომი და ლათინები გაითქვიფა იმპერიის ხალხებში. რომის იმპერია ამიერიდან აღარც თემური იმპერიაა, აღარც ეროვნული, ის შეიქმნა კოსმოპოლიტური იმპერია. იმპერატორებიც ხშირათ არა-რომაელები და არა-ლათინები იყვენ; იმპერატორობას ღებულობდა, ვისაც ჯარი აირჩევდა, ხოლო ჯარი კი უმთავრესათ უცხო ერებისაგან იყო გამოკრებილი. ამ ცვლილების შემდეგ რომის იმპერიამ დიდხანს ვეღარ იცოცხლა, ის ორათ დანაწილდა 395 წ., ხოლო ერთი საუკინის შემდეგ მისი დასავლეთი ნაწილი, რომის იმპერია ბარბაროსებმა დაანგრიეს. ამ ნანგრევზე აღიმართა ფეოდალიზმი[1]).

ამ მოკლე მიმომხილვიდან აშკარათ სჩანს, რომ ძველათ, არც საბერძნეთში და არც რომის იმპერიაში, არ ყოფილა შემუშავებული ეროვნობა. საგვარეულო წესწყობილების ნანგრევზე აშენდა არა ეროვნული ცივილიზაცია, არამედ თე-

---

[1]) ქართულათ არის რომის ისტორია ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძის მიერ. თუმცა ამ წიგნს ნაკლულოვანობა ბევრი აქვს, მაგრამ მკითხველს მაინც ეურჩევთ წაიკითხოს, ის აქ მოკლეთ გაიცნობს რომის ისტორიას და იმ ფაკტებს, რომელნიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ.

მური. რაც შეეხება საშუალო საუკუნოებს—აქაც თემი ბატონობს, აქაც თემური წყობილებაა, მხოლოდ ძველსა და ამ ახალ თემს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველში ბატონობდა ქალაქი, ეს ქალაქური თემობაა, მეორეში კი ბატონობდა სოფელი, ეს სოფლური თემია. ძველათ ქალაქს მორჩილებდა სოფელი, საშუალო საუკუნეში კი სოფელს მორჩილებს ქალაქი. რამდენათ ქალაქი აღწევს თავს ამ მდგომარეობას, ანვითარებს ვაჭრობას, მრეწველობას და მიმოსვლას, იმდენათ ის ხდება მეთაური შემდეგი განვითარების, კაპიტალიზმი გზას იკაფავს, ერი მოძრობაში მოდის, ეროვნობა წინ დგება, ეროვნული სახელმწიფო არსდება, ეროვნული ცივილიზაცია მუშავდება.

II.

ამგვარათ, გვარი, თემი, ეროვნობა—აი სამი ხანა კაცობრიობის განვითარების. პირველი ბატონობს სახელმწიფოს აღორძინებამდის, მეორე და მესამე სახელმწიფოს აღორძინების შემდეგ. მაშასადამე, სახელმწიფო უეროვნოთ შესაძლებელი ყოფილა, რაიცა ნიშნავს ბ. ჯორჯაძის ძოსაზრების დარღვევას. რამდენი სახელმწიფო აშენდა, განვითარდა და დაინგრა უეროვნოთ და ეროვნობის გარეშე! თუ კი ამ სახელმწიფოებმა ეროვნობა ვერ დაბადეს—ცხადია, ეს იმიტომ, რომ ეროვნობის მიზეზი სახელმწიფო არ შეიძლება იყოს. ის დაბადა კაპიტალიზმმა, ის თანამედროვე მრეწველობის პირმშო შვილია. ამით აიხსნება ის, რომ ერი, სხვის სახელმწიფოში მომწყვდეული, მიუხედავათ დევნისა და შევიწროებისა, ხდება ეროვნობათ იმ დღიდგან, რა დღესაც ის გამოდის მთელ ნაციონალურ მეურნეობიდან და ადგება კაპიტალიზმის გზას. როცა ამის მაგალითები ვუჩვენეთ ბ. ჯორჯაძეს, ის ახლა გაიძახის: „არ ვამბობთ, რომ თითოეული ეროვნობის გამოსახვისათვის და გაჩენისათვის საჭირო იყო უსათუოთ **საკუთარი** სახელმწიფოს არსებობა“. საკვირველია საზოგადოთ, სახელმწი-

ფოს არსებობა. საკუთარი იქნება ეს თუ სხვისი — ეს სულ ერთიაო. ეს პასუხი უბრალო ხრიკია, რაც ეწინააღმდეგება მისივე სიტყვებს, ცოტა ზემოთ დაწერილს: „მე ვამბობ, სახელმწიფომ შვა ერი და იქ სადაც **ერისა და სახელმწიფოს შუა გათიშვა** მოხდა (კურსივი ჩემია), ერი სულ იმის ცდაშია, რომ გათიშულ სახელმწიფოსთან ან ხელმეორეთ შეკრას კავშირი, ან შექმნას რაიმე მისი მზგავსი ორგანიზაცია, სადაც გათიშულ ლტოლვილ ერს სურს თავი შეაფაროს“[1]), რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს აი რას: სახელმწიფომ დაბადა ერი, შემდეგ ეს მამა და შვილი ერთმანეთს გაეთიშა ანუ ეროვნული სახელმწიფო დაინგრა და ერი სხვის სახელმწიფოს ჩაუვარდა ხელში; ამიერიდან ეს ტყვეთ წაყვანილი შვილი ეძებს დაკარგულ მშობელს — თავის სახელმწიფოს. როგორც ხედავთ, აქ ყოველგან თავის სახელმწიფოზეა ლაპარაკი, უამისოთ მთელი მოსაზრება ბ. ჯორჯაძისა, ერთი დიდი უაზრობა იქნება. მიუხედავათ ამისა — ის ფაქტების ჩიხში ჩაჭიმული — არღვევს თავისსავე მოსაზრებას — ერის ასაღორძინებლათ საკუთარი სახელმწიფო საჭირო არ არისო! თუ ეს ასეა, მა'მ ქართველ ეროვნობას რუსეთის სახელმწიფო ქმნის და რაღას იძახით, რუსეთმა ეროვნობა დაგვირღვიაო! თუ კი ეროვნობის აღორძინებისათვის სულ ერთია საკუთარი და უცხო სახელმწიფო — რაღას იძახით, „საჭიროა ქართული სახელმწიფოებრივი პრინციპის გამოცოცხლება-“ო?[2]).

ამნაირათ, ბ. ჯორჯაძის მთავარი მოსაზრება — ეროვნობისა და სახელმწიფოს ურთიერთობის დამოკიდებულებაზე — ყალბი მოსაზრებაა. სახელმწიფოს არ შეუქმნია ეროვნობა, არც როგორც რასიული მოვლენა და არც როგორც კულტურული მთელი. ყალბია აგრეთვე მისი მეორე მოსაზრება, ვითომ ეროვნობა არსებობს სახელმწიფოს გაჩენიდან: ნამდვილათ კი ეროვ-

---

[1]) იხ. „ამირანი“ № 86.

[2]) იხ. „ამირანი“ № 90.

ნობა გაჩნდა ისტორიის უკანასკნელ საფეხურზე, კაპიტალისტურ ხანაში.

რათ დასჭირდა ბ. ჯორჯაძეს ამ თეორიის წამოყენება? ეს დასჭირდა მას ავტონომიის დასასაბუთებლათ, „ქართული სახელმწიფოებრივი პრინციპის“ წამოსაყენებლათ. ის სწერს: „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მოსპეს ეს ორგანო (საქართველოს სახელმწიფო), მასახრდოვებელი და მფარველი ამ ეროვნობისა. მოხდა გათიშვა ეროვნობასა და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა შორის. ამისი შედეგი იყო არა მარტო დაძაბუნება და შესუსტება ქართულ ეროვნობისა, არამედ შემუშავება პირობებისა. ეროვნობის სრული მოსპობისა და ქართველი ხალხის დედა-მიწის ზურგიდან აღგვისა. ამ უბედურების თავიდან ასაცილებლათ ეროვნული კულტურის აღორძინებისა და დაცვისათვის საჭიროა იმ ორგანოსი, იმ ორგანიზაციის აღორძინება, რომელსაც ასი წლის წინათ ძალმომრეობით მოუღეს ბოლო, საჭიროა ქართული სახელმწიფოებრივი პრინციპის გამოცოცხლება. აქედან გამომდინარეობს ჩვენი მოთხოვნა ავტონომიისა“ და სხ.

როგორც ხედავთ, ბ. ჯორჯაძის ავტონომიის უმაღლესი საბუთია არა დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნილებები, არა დღეს არსებული მდგომარეობა და ურთიერთობა, არამედ განყენებული თეორია—ეროვნობა სახელმწიფოს შვილიაო; მაგრამ რადგანაც ეს თეორია ერთიანათ ყალბია, ამით ბ. ჯორჯაძის ეს უებარი საბუთიც ირღვევა და ასე მისი ავტონომია ჰაერში გამოკიდული რჩება.

მეორეთ, როგორც ხედავ, ბ. ჯორჯაძე „სახელმწიფოებრივი პრინციპის“, სახელმწიფო ორგანიზაციის მებაირაღტრეთ გამოდის. მაგრამ იგივე ბ. ჯორჯაძე მეორე ალაგას და მეორე თხზულებაში დიდ ქარტეხილს აყენებს სახელმწიფოს წინააღმდეგ და ებრძვის იმათ, ვისაც სახელმწიფო ორგანიზაცია სწამს. ამ თხზულებას ეწოდება: „სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართვე-

ლოში“. რომელიც დაიბეჭდა შარშან[1]). ამ წიგნაკში ერთობ ბევრი საინტერესო ამბებია მოთხრობილი ს.-ფედერალისტთა პარტიის ცხოვრებიდან. ამ პარტიაში ყოფილა ორი ჯგუფი: ერთი „სახელმწიფოებრივი პრინციპის“ მომხრე, მეორე კი მოწინააღმდეგე. ორივეს პროგრამის თავ-თავისი პროექტი შეუმუშავებია, და აი, ბ. ჯორჯაძე ყოფილა ამ მეორე ჯგუფის მომხრე და მის პროგრამას იცავს. ის სწერს: პარტიის მეორე კონფერენციაზე „ზოგიერთ გავლენიან ანარქისტის დასწრების გამო, თუ სხვა მიზეზით, **ანტისახელმწიფოებრივმა** და ანტიპარლამენტარულმა მიმართულებამ გაიმარჯვა“ და განსაკუთრებით კომისიას მიანდვეს შესაფერი პროგრამის დაწერაო (გვ. 73). აი ამ ანტისახელმწიფოებრივი „ანტიპარლამენტარული“ პროგრამის დასაცავათ ავტორს დაუწერია ხსენებული წიგნაკი. ის უარყოფს რა სახელმწიფოს და პარლამენტს, სწერს:

„როგორ, გვეტყვიან, თქვენ უარყოფთ დღევანდელ დროს პარლამენტს! ძველი რეჟიმი არ არის ჯერ კიდევ დათურგნული და თქვენ შრომის სოციალისტურ ორგანიზაციაზე ლაპარაკობთ?.. „თქვენთვის“ მე არ უარვყოფ არც პარლამენტს, არც მასში მოქმედების მნიშვნელობას, არ უარვყოფ იმათთვის, იმ პოლიტიკურ პარტიებისათვის, რომელთაც ძალა-უფლების ხელში ჩაგდება სწყურიათ და რომელნიც ამის გამო ერთმანეთს ეჯიბრებიან. ვამბობ მხოლოთ, რომ **მწარმოებელს პარლამენტი არ ესაჭიროება**, არ ესაჭიროება **არც დღეს**, არც მომავალში“ და სხ. მეორე ალაგას სწერს: „ჩვენ უარვყოფთ პროგრამა-მინიმუმსაც“, **„უარყოფა სახელმწიფოსი**. აღიარება თავისუფალ საზოგადოებისა—კომუნისა და მათი ფედერაციათაო“—აი რა სწერია ჩვენს პროექტშიო. (გხ. 73, 77, 81, 83).

და ასე. ბ. ჯორჯაძე უარყოფს სახელმწიფოს და პარლა-

[1]) ამ წიგნაკის პირველ ყდაზე ავტორათ აღიარებულია პსევდონიმი „საბუელი“, ხოლო მეორე ყდაზე სახელი და გვარი: არჩილ ჯორჯაძე. ამ წიგნს იმოწმებს ბ. ჯორჯაძე თავის ფელეტონებში.

მენტს „მწარმოებელისათვის“, ე. ი. „მშრომელი ხალხისათვის“ და იმავე დროს მეორე ალაგას, „ამირანის“ ფურცლებზე გამოდის სახელმწიფოს და პარლამენტის თავგამოდებითი დამცველათ საქართველოსათვის. თუ „მწარმოებელის“ საქმე არ არის სახელმწიფო და პარლამენტი, არ არის არა მარტო მომავალში, არამედ „არც დღეს“, მაშ, რატომ იწოდებთ ამავე ხალხს, აღიდგინეთ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, დაიარსეთ ქართული პარლამენტიო, ბ. ჯორჯაძე? აგვიხსენით ეს სამაგალითო ორთავიანობა! თქვენ პარტიას თავს ახვევთ „ანტისახელმწიფოებრივ“ პროგრამას, ხოლო ხალხს მოიწოდებთ სახელმწიფოსათვის საბრძოლველათ! თქვენ სახელმწიფოს მომხრეობას აღიარებთ „სახელმწიფოებრივ ცრუმორწმუნოებით“ (გვ. 46), ხოლო ამავე „ცრუმორწმუნოებას“ უხვათ ავრცელებთ „ამირანის“ ფურცლებზე!

ბრძენო ედიპო, შენ გამოიცან, რა პროგრამა აქვს ბ. ჯორჯაძეს!

ჩვენი აზრით კი ბ. ჯორჯაძეს არასოდეს არ ქონებია რაიმე პოლიტიკური პროგრამა და არც დღეს აქვს. ჯერ კიდევ ამ შვიდი წლის წინეთ მის შესახებ „კვალი“ სწერდა: ის ამბობს მხოლოთ იმას, რასაც ფიქრობს და სრულიად არ მეცადინეობს თავის აზრს რაიმე სისტემატიური გამოხატულება მისცეს, ამიტომ ერთ და იმავე კითხვას მრავალჯერ უბრუნდება და ხშირათ სხვა და სხვანაირათ სწყვეტს, ასე რომ ჩვენ არ ვიცით მეორე მწერალი, რომელსაც იმდენი ლოლიკური ნახტომები და წინააღმდეგობა ქონდეს. რამდენიც ბ. ჯორჯაძეს მოეპოვება“ და სხ. (№ 23. 1901 წ.) ეს დახასიათება ბ. ჯორჯაძეს დღესაც ახასიათებს იმ განსხვავებით, რომ მაშინ მისი წინააღმდეგობა იყო ლიტერატურული, დღეს კი ის არის პარტიული და პოლიტიკური. ისევ დღეს ერთ-ერთ პროგრამა აქვს და ხან ერთს წამოუჩენენებს მის დაბრიყვებულ მკითხველს და ხან მეორეს.

აბა, მოდით, ეკამათეთ ასეთ მწერალს!

ვიცით ბ. ჯორჯაძე ამ სიტყვების გაგონებაზე დიდათ გარისხდება და მისებური ლანძღვა-გინებით მოგვმართავს. მას ერთობ ძლიერ აჯავრებს და აკაპასებს თითოეული ჩვენი სტრიქონი დი ყოველნაირ შარს გვდებს იმ მიზნით, რომ ლანძღვის საბუთი იშოვოს. და აი ერთი ასეთი საბუთი კიდევაც ვამოუგონია. ის სწერს:

„ბ. ანის ვერსიით მე ვამბობ: „სწორეთ მაშინ, როცა კლასები მოისპობიან, უნდა აყვავდეს ეროვნობაო“. და აქ ჩვენ პოლემისტს **სახეში** აქვს ნაციონალიზმი. თურმე ნუ იტყვით, სახელმწიფო მოისპობა, ნაციონალიზმი დარჩება. ჯორჯაძეს ისე უყვარს ნაციონალიზმი, რომ ულოლიკობას არ დაგიდევთ. ნაციონალიზმის წარმოშობა სახელმწიფოს კლავს, ნაციონალიზმს კი ადღეგრძელებსო!“.

როგორც ხედავთ, ბ. ჯორჯაძე მაბრალებს მისი აზრის დამახინჯებას, ვითომ მე მას მივაწერე, სოციალისტურ წყობილებაში ნაციონალიზმი დარჩებაო. მე ვაცხადებ, რომ ეს ერთიანათ ბ. ჯორჯაძის ნიერ გამოგონილია, არაფერი ამის მგზავსი ჩემს წერილებში არ არის, არსად ეროვნობის ალაგას ნაციონალიზმი არ მიხმარია. ბ. ჯორჯაძეს ვიწვევ, გვითხრას სად, რომელ ალაგას მიწერია ეს?

შეთხზა რა ასეთი ბრალდება, სკვნის: „შეადარეთ ის, რასაც მე ვამბობ, იმას, რასაც მაწერს (!?) ბ. ანი და იმ წამსვე აგეტუზებათ თვალწინ შელახული, შეგინებული, ნამუს ახდილი სინიდისი და მის ადგილზე დაინახავთ დაბალ ღირსების წვრილ-ფეხა და გრძელ-კუდა გაიძვერაობას“.

ჩვენ ამავე სიტყვებს უკანვე მიუძღვნით მის ზრდილობიან ავტორს და ვეტყვით: „შეადარეთ ის, რასაც მე ვამბობ იმას, რასაც ბ. ჯორჯაძე მაწერს, და იმ წამსვე აგეტუზებათ თვალწინ შელახული, შეგინებული“ და სხ. და სხ.

დიახ, მეტათ ღარიბი უნდა იყოს კაცი საბუთებით და აზრით, რომ ყველა ეს გამოიგონოს და ასეთი უწმაწური კილო იხმაროს. ჩემს აზრს ის ამახინჯებს და თან მე მედავება — აზრი

გადამიმახინჯეო. გალმა გაედავე, გამოლმა შეგრჩებაო.— ეს არის. მაგრამ ტყუილა გასჯილა ბ. ჯორჯაძე, სრულიად არ ეფიქრობ რაიმე შევაოჩინო.

ბ. ჯორჯაძის აზრით, ეროვნობის შემქნელი სახელმწიფოა, უკანასკნელი ასაზრდოებს და ინახავს პირველს. ამასთან, მისივე აზრით, სოციალისტურ წყობილებაში სახელმწიფო მოისპობა, ხოლო ეროვნობა კი კიდევ უფრო განვითარდებაო. ამაზე ჩვენ ვეკითხებოდით: რანაირათ, თუ ეროვნობის შემქნელი და მასაზრდოებელი, თუ მისი საძირკველი — სახელმწიფო აღარ იქნება, რანაირათ დარჩება ეროვნობა, რა აკოცხლებს იმას? ორში ერთი: ან სახელმწიფო ისევ უნდა დარჩეს მომავალშიაც, რომ ეროვნობაც არ გაქრეს, ან და ეროვნობას რალაც სხვა საფუძველი უნდა ქონდეს. რა საფუძველია ეს? ის, რომელიც დღესაც არსებობს და რაც მხოლოთ მომავალში ვესაკუთრეს გამოიცვლის. ეს არის—მრეწველობა, ნივთის გაცვლა-გამოცვლა, მიმოსვლა--ერთი სიტყვით, ნივთიერი ურთიერთობა. არც ერთი ეს არ გაქრება, მხოლოთ მათი პატრონი და ხელმძღვანელი იქნება არა კერძო პირები, როგორც არის დღეს, არამედ საზოგადოება. მაგრამ თუ მომავალში ეს იქნება ძირი ეროვნობისა, რატომ არ შეიძლება იგივე იყოს დღესაც? ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ სწორეთ ასე არის, ეროვნობა შექმნა მრეწველობამ, მიმოსვლამ და სხ. და რადგანაც ყველა ეს მომავალშიაც იქნება—ამიტომ ეროვნობაც იქნება, ეს ერთი პრინციპი და ერთი ლოგიკაა.

ბ. ჯორჯაძე კი იძახის, მრეწველობა რას მიქვია, თავიდა-თავი სახელმწიფოაო, ხოლო რაცა ეს არ იქნება--ეროვნობა მაინც იქნებაო. რატომ? ამაზე ასე უგებს:

„ნიაღვარი, რომელიც წალეკავს ხოლმე ვენახებს, დიდი ბოროტებაა. ამ ბოროტებას კი მოაქვს ქვიშა. და ქვა რომელთაც ადამიანი თავის სასარგებლოთ იყენებს. მაშ თქვით, ქვიშა და ქვაც ბოროტებაა; ეროვნობა დაირღვევა, როცა არ იქნება მიზეზი სახელმწიფო? რატომ? ნიაღვარმა მოიტანა ქვიშა და ქვა, ნიაღვარი შესწყდა, ქვიშა და ქვა კი დარჩა“.

აი ასეთ პასუხს იძლევა ჩვენ კითხვაზე ბ. ჯორჯაძე. აქ როგორც ხედავთ, ორი აზრია: სახელმწიფო ბოროტებაა ხოლო მისი შედეგი — ეროვნობა კი კეთილი; მეორეც, სახელმწიფო რომ მოისპობა, მისი შედეგი დარჩება, ვინაიდან ნიაღვარს შემდეგ ქვიშა დარჩება ხოლმეო! გავსინჯოთ პირველი მოსაზრება. სახელმწიფო — ბოროტებაა. ეს არის ტეზისი ანარქისტული. მისი შედეგი — ეროვნობა კი სიკეთეა. მაგრამ სახელმწიფოს შედეგი მარტო ეროვნობა რომ არ არის? ანარქისტების აზრით — მისი შედეგია კლასები, სიმდიდრე-სიღარიბე, სამართალი, პოლიცია, კანონი და სხვა. და თუ შეიძლება მიზეზი მოიშალოს, ხოლო შედეგი კი დარჩეს — მაშ, ყველა ეს დარჩება მომავალ „უსახელმწიფო“ წყობილებაში. საბუთი? ეს უკვე მოყვანილი აქვს ბ. ჯორჯაძეს. ბურჟუა იტყვის: დიახ, სახელმწიფო, თუ გნებავთ, ბოროტებაა, მაგრამ მისი შედეგი — კლასები — კი სიკეთეა, რაც დარჩება მომავალშიაც, რადგან ნიაღვარს — ქვიშა დარჩება ყოველთვის. პოლიციელი იტყვის: სახელმწიფო შეიძლება მართლაც მოისპოს, მაგრამ მისი შედეგი პოლიცია უეჭველათ დარჩება, რადგან ნიაღვარს შემდეგ ყოველთვის ქვა რჩება. აი ეს ქვა სწორეთ პოლიციაა, ასე იტყვის მოსამართლე, კანონმდებელი და სხ. და სხ. და ყველა ეს ბ. ჯორჯაძის არგუმენტით აღჭურვილი.

როგორც ხედავთ ბ. ჯორჯაძის საბუთი მასვე სცემს, და ეს იმიტომ, რომ ეს მხოლოთ ზერელე მოაზრეთა საბუთია, რაიცა საგანს სრულიადაც არ ეხება. სად სახელმწიფო და ეროვნობა და სად ნიაღვარი და ქვიშა? პირველნი სოციალური მოვლენაა და განიზომებიან სოციალური კანონის მიხედვით, მეორენი კი ფიზიკური მოვლენაა და ექვემდებარებიან ფიზიკურ კანონებს. ამიტომ სახელმწიფოს აღორძინებას და განვითარებას ვერასოდეს ადამიანის ძალ-ღონე ვერ შეაჩერებდა და არც შეუჩერებია. ხოლო ნიაღვარს ადამიანი მუდამ ებრძვის და თავიდან იცილებს. ბ. ჯორჯაძეს ალბათ

პრიმიტიული მებაღე ყავს სახეში, რომელიც სწორეთ მასავით ფიქრობს—ქვიშა და ქვა სიკეთეაო—და ნიაღვარის თავიდან ასაცილებლათ თითსაც არ ანძრევს. ხოლო ყველა მკოდნე და თანამედროვე მებაღე თავის ვენახს ირგვლივ თხრილებს ავლებს, თხრილები გაყავს შიგნით, ვენახშიაც, რომ ნიაღვარი თავის ქვიშიანათ ვენახს ააცილოს, ვინაიდან ნიაღვარი ძირს უთხრის ვაზს, ფესვებს მზეზე აჩენს და აფუჭებს. ვენახს რწყავენ, ნაკელს აყრიან და ასე უელიან. ამიტომ ნიაღვარის მიერ ვენახში დაყრილი ქვიშა და ქვა დიდი ბოროტებაა, მაგრამ თუ ამ ქვიშას და ქვას ადამიანი მოიტანს—ბოროტება არ იქნება. პირველ შემთხვევაში ნიაღვარი თავისი ქვებით ანადგურებს ვაზს, გლეჯს ყურძენს, ხოლო მეორე შემთხვევაში ყველაფერი თავის ალაგას რჩება და კიდევ ქვიშა და ქვა ემატება. როგორც ხედავთ, ბ. ჯორჯაძის საბუთი უვიცი მებაღის საბუთია. ზარმაცი ძემამულის არგუმენტია, თავის სიზარმაცის გასამართლებლათ გამოფენილი.

მარა ბ. ჯორჯაძეს აზრთა ლოლიკას ხომ ვერ მოსთხოვთ. ის ლაპარაკობს, რაც პირზე მოადგება: ხან სახელმწიფოს უარყოფს, ხან მას უდარებს ნიაღვარს, რომელსაც სიკეთე მოაქვს, ხან იცავს სახელმწიფოს და თხოულობს მის აღდგენას ერთი სიტყვით, მის აზრთა არევ-დარევას საზღვარი არ აქვს. ეს ასე მოსდის მას იმიტომ, რომ მოინდომა შეერთება ანარქიზმის და ნაციონალიზმის. გვიჩვენოს მან ერთი რომელიმე ცნობილი ანარქისტი, რომელსაც ეთქვას—სახელმწიფოს სიკეთე მოუტანიაო. გვიჩვენოს ერთი მაინც ცნობილი ნაციონალისტი, რომელსაც ეთქვას—სახელმწიფო მხოლოდ ბოროტებააო. ასეთებს ის ჩვენ ვერ გვიჩვენებს; ორივე ამ მოსაზრების ერთ პირში შეერთება ქართველ ანარქისტ-ნაციონალისტთა სრული მონოპოლიაა, ეს მათი საკუთარი გამოგონება, მათ არ იციან ის, რომ თვითეულ პოლიტიკურ მოძღვრებას თავისი საკუთარი პრინციპი და ლოლიკა აქვს და ამიტომ ამ სხვა და სხვა პრინციპის მოძღვრებას ერთმანეთში

ურევენ და მქნიან იმ აზრთა დომხალს, რომელიც მათ ნიშ-ნობლივ თვისებათ გადაქცევია.

ამრიგათ, ბ. ჯორჯაძის მიერ გამოგონილი თეორია— სახელმწიფოს და ეროვნების შესახებ—ყალბი თეორიაა, ის ეწინააღმდეგება როგორც ისტორიას, ისე ლოგიკას.

ახლა გავშინჯოთ ამ თეორიით მის მიერ ჩვენი ისტო-რიის ახსნა.

III.

თავის თავათ ცხადია, რომ თუ კაცს თეორია ყალბი აქვს, მისი ხმარებაც ყალბი ექნება: მრუდეთ მოსიარულე მრუდეთ ივლის. რაკი ავტორმა აიჩემა, ეროვნობას სახელმწი-ფო ქმნისო, ამიტომ მას ჩვენი ეროვნობის ასამაღლებლათ წარსულში უნდა დაემტკიცებია ჩვენი სახელმწიფოს სიდიადე, და ასე „წინარეს მრავალ საუკუნეთა ქრისტეს წინ“ ჩვენში დიდებული ეროვნული ცივილიზაცია აღენიშნა. ბ. ჯორჯაძე, როგორც იცით, სწორეთ ამას ამტკიცებს.

პირველ ყოვლისა დავიმახსოვნოთ ზემოთ ნათქვამი სამი საფეხური ხალხის განვითარებისა: წეს-წყობილება საგვარეულო, სათემო და ეროვნული. უეჭველია ამ წესს ექვემდება-რება საქართველოც. როგორ დაირღვა აქ საგვარეულო წეს-წყობილება? მიზეზი ამ წყობილების დარღვევისა, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, იყო შრომის განაწილება, აღებ-მიცემო-ბის დაწყება და კლასების გაჩენა. ეს არღვევს ძველ პოლი-ტიკურ ჩარჩოებს და იწყება სახელმწიფოს აღორძინება. ეგე-ვე ნიშნავს ბარბაროსული მდგომარეობისათვის თავის დაღწე-ვას და ცივილიზაციის პირველ საფეხურზე ფეხის შედგმას. საგვარეულო წყობილებაში ჩვენ ვხედავთ მრავალ ქალაქებს. რომი, ათინა და სხ. დიდხანს საგვარეულო წესს ემორჩილე-ბოდენ. მეორე მხრით, ქალაქი ძველათ სრულიად არ ნიშნავ-და იმას, რასაც დღეს ნიშნავს, დღეს ქალაქი პირველ ყოვ-ლისა სავაჭრო ცენტრია, წინეთ-კი ის იყო პირველ ყოვ-

ლისა თავშესაფარი სიმაგრე: ლათინთა რამოდენიმე გვარი აარსებენ რომს, ოთხი კედლით შემოვლებულს და გამაგრებულს. გომერის ბერძნები ცხოვრობენ ციხე ქალაქებში, იმავე დროს იმყოფებიან საგვარეულო წესწყობილებაში, რადგანაც ძველათ სიმაგრეები და თავშესაფარეები ერთობ მეტათ საჭირო იყო. ამიტომ ქალაქებსაც ხშირათ აშენებდენ, შიგ მაგრდებოდენ და ცხოვრებდენ. მაგრამ ერთია ქალაქი და მეორეა ქალაქური ცხოვრება ანუ სამოქალაქო წყობილება. შეიძლება ციხე-ქალაქი ვერ მივიდეს სამოქალაქო წყობილებამდის, ეს დამოკიდებულია ვაჭრობა-მრეწველობა-განვითარებაზე. რომი და ათინა, მაგალ. აღწევენ ამ საფეხურს, მარა მრავალი სხვა ქალაქი ვერ გამოდის პირვანდელ მდგომარეობიდან და ბოლოს უეკველათ ქრებიან. რასაკვირველია არიან ისეთი ხალხები, რომელთაც საგვარეულო წყობილებისათვის დღემდისაც ვერ დაუღწევია თავი, მაგ. ამერიკის ინდიოკეზები.

ახლა გადავხედოთ საქართველოს. როდის დაირღვა აქ საგვარეულო წყობილება? საუკეთესო ისტორია უძველესი დროისა, ჩვენის ფიქრით, დ. ბაქრაძის „საქართველოს ისტორიაა" (მეათე საუკუნემდის). მაგრამ ჩვენი კითხვის პირდაპირ პასუხს აქ ვერ ვპოულობთ. მხოლოდ შეგვიძლია მისი მასალების შემწეობით დაახლოვებით ვთქვათ, რომ ქრისტეს შობის დროს ქართველობა კიდევ საგვარეულო წესს ემორჩილებოდა, თუმცა ეს წესი ძლიერ შელახული იყო და ირღვეოდა. აქ საყურადღებოა სტრაბონის მოწმობა. რასაც ბ. ჯორჯაძე ორიოდე სიტყვით იხსენიებს და უმთავრეს მის ცნობებს უყურადღებოთ სტოვებს[1]) მისი აღწერით, 'იბერიაში (ახლანდელი ქართლი) არ სჩანს არც ბატონ-ყმობა და არც უპირატესობით მოსილი თ.-აზნაურობა. ის ამბობს: „იბერიაში დამ-

[1]) სტრაბონი ცხოვრობდა ქრისტეს დროს. მას თვით მოუვლია ჩვენი ქვეყანა. სტრაბონის სიტყვები მოგვყავს დ. ბაქრაძის თხზულებიდან.

ყარებულა სახელმწიფო წესი და ყოფა-ცხოვრება წარმატებაში შესულა. იბერია დაყოფილია ოთხ წოდებათ. პირველს და უმთავრეს წოდებას ეკუთვნიან მეფენი. მეფე უნდა იყოს როგორც უმთავრესი წლოვანებით, აგრეთვე უახლოესი ნათესაობით მიცვლილი მეფისა. იმის მომდევნს ხნიერობით ეკუთვნის სამსაჯულო გამგეობა და მხედართა მთავრობა; მეორე წოდებას შეადგენენ სამღვდელონი. იმათი მოვალეობაა გარდა საკულიერო წესის აღსრულებისა, განბჭობა მცხოვრებთ დავა-განხეთქილებისა. მესამე წოდება შეიცავს მხედართა და მუშაკთა. მეოთხეთ დაბალ ერსა, სამეფო ყმებსა, რომელთაც ვალად სძევთ ნივთიერი მზრუნველობა".

აქედან სჩანს ორი საყურადღებო გარემოება: სამღვდელოების უაღოესობა მხედრებზე და ვაჭართა წოდების უქონლობა. გარდა ამისა, მუშაკნი მხედრებს უთანასწორდებიან, ხოლო დაბალი ერი ყოფილა იგივე მუშაკნი, მარა არა თავისუფალნი, სამეფო ყმები. ეს ყმები ალბათ შეიცავდენ უცხოტყვეებს და მათ შთამომავლობას. რაც შეეხება სტრაბონის სიტყვებს, რომ აქ სახელმწიფო წესი დამყარებულაო — ეს მას გამოუყვანია მეფობის არსებობიდან. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ათინაში და რომში საგვარეულო წესის დროს იყვენ მეფენი (ათინაში ერქვა ბაზილუკუსი), ანუ გვარის თუ გვართა უფროსი და წინამძღოლი. ბაქრაძე იხსენიებს ქართლში რამდენიმე მეფის ერთ დროს არსებობას. მცხეთაში მაგ. ორი მეფე იჯდაო და სხ. სამღვდელოების ასეთი ბატონობა მოწმობს საგვარეულო წესის არსებობას; ეს ასე იყო ყველა ერში.

ამასთანავე სტრაბონი დასძენს, რომ „იბერია ალბანიაზე უაღრესათ განვითარებულია სიმღიდრით და უფრო მჭიდროთ არის მოფენილი მოსახლეთაგან. ამას გვიმტკიცებს იმისი ქალაქები და სოფლები კრამინტოვანის სახლებით, ხელოვნური შენობები, ქულბაქებით და საზოგადო სახლებით... მომეტებული ნაწილი მათგანი მკვიდრობს მთებში, მსგავსათ მათივე მოსაზღვრე სკვითებისა და სარმატებისა, რომელნიც ერთის მხრით

იმისი მონათესავენიც არიან“ და სხვ. ბრძოლის იარაღათ ხმარობდენ ხელშუბს და შურდულს.

ეს უკანასკნელი ცნობაც საყურადღებოა, მაშასადამე, იმ დროის ქართლელს ხმალი არ სცოდნია, ან თუ სცოდნია, საომარ იარაღათ მაინც არ ქონებია. მეორე მხრით, აქ ყოფილა კრამინტის სახურავი, რაც მოწმობს აგურის დაწვის ხელობის ცოდნას. მორგანის მოწმობით, აგურის ხელობა ჩნდება ბარბაროსობის შუა საფეხურზე. რაც შეეხება ქალაქებს — ეს, რასაკვირველია, ქალაქ-სიმაგრეებია, რაზედაც ზემოთ მოვილაპარაკეთ. სოფელი ქალაქებიდან განირჩეოდა უმთავრესათ იმითი, რომ სიმაგრე არ ქონდა.

ბ. ჯორჯაძე სიტყვა ქალაქს და კრამიტს შეცდომაში შეუყვანია და ამიტომ გაიძახის: ამ დროს ჩვენ სამოქალაქო ცხოვრება გვქონდაო. ეს რომ ასე ყოფილიყო, სტრაბონი მოიხსენებდა ვაჭართა წოდებას, გარდა ამისა, სამოქალაქო წყობილებაში სამღვდელოების ბატონობა შეუძლებელია. თუ კი მეფეთა შემდეგ სამღვდელოებას ეჭირა პირველი ადგილი — აშკარაა, აქ ვაჭართა წოდება არ იქნებოდა. ეს რასაკვირელია არ ნიშნავს იმას, რომ თითო-ოროლა ვაჭარი არ იყო. მათი წოდება, ურომლისოთაც შეუძლებელია საქალაქო წყობილება, არ ყოფილა.

ახლა გადავიდეთ ალბანიაზე, რომლის ერთი ნაწილი იყო კახეთი ქიზიყითურთ. სტრაბონი სწერს: „ალბანელნი არიან მშვენიერნი და ტანოვანნი; არა ხმარობენ ფულსა და უცხო ქვეყნიდან შემოტანილ სავაჭროში სცვლიან ეხოლოთ თავიანთ ნაწარმოებსა. არ იციან არც ზომა, არც წონა. ალბანელთ გამოყავთ მეტი მხედრობა, ვინემ იბერიელთ: 60 ათასამდე ქვეითი ჯარი და 12 ათასამდე ცხენოსანი. ამოდენა წყობით ისინი ებრძოდენ პომპეისა“ (რომის მხედართ-მთავარი). „ალბანია დასახლებულია მრავალ პატარ-პატარა ტომებთაგან, რომელთაც არა აქვთ ერთმანეთში დამოკიდებულება... აქ როგორც იბერიაში ის წოდება, რომელსაც ეკუთვნიან მეფენი, შეადგენს

უმაღლეს წოდებას, თვითეულ ალბანიის ტომსა ყავს საკუთარი მეფე. ერთი იმათგანი ბრძანებლობს დანაშთენთო. ალბანელნი საუბრობენ სხვა და სხვა ენას, რომლის რიცხვია 26. ალბანელნი ადამიანს სწირავენ ღმერთს მსხვერპლათ. დაკლულ მსხვერპლს გადაახტებიან ცოდვისაგან გასაწმენდათ“ და სხ.

აქედან ცხადია, რომ ალბანელნი, ე. ი. კახელნი, ქიზიყელნი, ლეკნი, კასპიელნი და სხ. იმერლებზე დაბლა მდგარან კულტურულათ; მათ არ სცოდნიათ მაგ. არც წონა და არც ზომა. ეს საგვარეულო წესის დაბალი საფეხურია.

რაც შეეხება დღევანდელ იმერეთ-გურია-სამეგრელოს და აფხაზეთს, ხოლო მაშინდელ კოლხიდას—ამის შესახებ იგივე სტრაბონი გადმოგვცემს შემდეგს: „კოლხიდა იწყება ტრაპიზონიდან, მისი ნიადაგი დაბლობი, ქვიშიანი და ნოტიოა. კოლხიდას რწყავს დიდი მდინარე ფაზი (რიონი), რომელსაც უერთდებიან მთებიდან ჩამომდინარე ჰიპუსი (ცხენის წყალი) და გლავკუსი (ყვირილა). აქ მრავალია მრავალგვარი ჩინებული თვისების საკეები ხეხილი და აგრეთვე მომწარო თაფლი, რომელიც კიდეც ათრობს. კოლხიდაში უხვად იზრდება შენობის ტყე, სელი, კანაფი, წმინდა სანთელი და ფისი. განთქმულია აქაური ტილო. რომელსაც კოლხიდელები თვითონვე აკეთებენ და შორეულ ქვეყნებში გააქვთ. ეს აქვთ საბუთათ ზოგიერთ მწერალთ, რადესაც იგინი ამტკიცებენ კოლხიდელთა ერთ ტომობას ეგვიპტელებთან“, „კოლხიდაში უმთავრეს ადგილებათ ირიცხებიან დიოსკურია და ფაზისი. დიოსკურია არის ზღვის ყურე და მდებარეობს პონტას (შავი ზღვის) პირას“ დიოსკურია ყოფილა დედა ქალაქი მის ახლო-მახლო მდებარე კოლონიებისა: გვენოსის, ილორის, ბედიას და ანაკლიას, ხსნის დ. ბაქრაძე. „ამ კოლონიების საალებ-მიცემო გზა. კავკაზში მისდევდა მდინარე კოდოსსა და ტემერდის ქედით ჩადიოდა შარუხისა და ზელენჯუხის ხეობაში, აქედან პიპანის მდინარეზე ანუ ყუბანზე. ეს უძველესი გზა, რომლითაც ელინელებს (ბერძნეთ) შექონდათ ჩრდილო მხარეებში ვაჭრობა და განათლება, ახლაც მოფენილია ძველის ნანგრევებით“, დასძენს ბაქრაძე.

აქედან ცხადია, კოლხიდის ზღვის ნაპირზე ყოფილა ეცხოელთა (ბერძენთა) კოლონიები, რომელნიც ეწეოდენ ვაჭრობას, როგორც ჩრდილოეთთან, ისე აღმოსავლეთთან. კოლხიდიდან ამათ გაქონდათ ტყე, თაფლი და სხ., აგრეთვე ტილო; ეს ტილო ალბათ იგივე შალია, რასაც დღესაც ქსოვენ სვანეთში და ქვემო-იმერეთში.

სტრაბონი სწერს: „დიოსკურია იყო სააღებ-მიცემო ცენტრი ყველა გარეშემო ტომთათვის. იმათ შორის ცნობილნი იყვნენ სოანნი ანუ სვანნი, რომელნიც ვრცელდებოდნენ დიოსკურიის მაღლობებამდე და მუქარით დასცქეროდენ დიოსკურიას თავიანთ მთებიდან“. სვანებს ყოლიათ მეფე და საგამგეო კრება, შემდგარი 300 მხედრისაგან, ომში მათ შეეძლოთ 200 ათასი კაცის გამოყვანა, ხმარობენ დაშხამულ იარაღებს, ასე რომ ამათი დაჭრილი უთუოთ მოკვდება, თუ შხამი მაშინვე არ გამოსწოვეს.

ძნელი გასაგებია სტრაბონის სიტყვიდან, მაშინ კოლხიდა რა მართვის წესს ექვემდებარებოდა. თუ სახეში მივიღებთ მის სიტყვებს სვანთა გამგეობის შესახებ, უნდა ვიფიქროთ ორში ერთი: ან ეს 300 მხედარი 300 გვარის წარმომადგენლები იყვენ, ან და 300 თავადი და აზნაური. პირველ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ საგვარეულო წესებს, ხოლო მეორე შემთხვევაში ფეოდალიზმის დასაწყისს. გარდა ამისა, სტრაბონი ამბობს: „კოლხიდის მეფეებს დაუყვიათ ეს მხარე მრავალ მებატონეთა შორის და ამგვარათ თავისი ძალა შეუსუსტებიათო“, რაც ძნელი დასაჯერებელია. შეიძლება ის ამ მხედრებს უწოდებს ას მებატონეს, ერთი სიტყვით სტრაბონის ამ ჩვენებით ძნელია კოლხიდის იმ დროს წყობილების ახსნა.

სამაგიეროთ, სტრაბონი იძლევა ბევრს ცნობას შესახებ ვაჭრობისა. მისი აღწერით, დასავლეთი ე. ი რომი და საბერძნეთი ინდოეთთან ვაჭრობდა სხვათა შორის კოლხიდით. ფაზისი (ფოთი), სორაპანი (შორაპანი), სურამი, მტკვარი, კასპიის ზღვა, მდინარე ოქსუსი, ბაქტრიონი და ინდოეთი — აი ეს

სავაჭრო გზა. ვაჭრობის საგანი იყო დამარილებული თევზი, ინდოეთის და ჩინეთის აბრეშუმის ფარჩეულობა და ადგილობრივი ფოლადი. პლინის სიტყვით, რომის ვაჭრები სორაპანში ასს სარგებელს იგებდენ. ასე რომ წელიწადში აქ იგზავნებოდა რომიდან ასი მილიონი სესტერცი (25 მილიონი ფრანკი). ვინ იყვენ ვაჭარნი? ქართველნი? შეიძლება ესენიც ეყენ ვაჭრობაში, მაგრამ მთავარი ვაჭრობა უცხოელების ხელში ყოფილა. ბერძენთა კალონიები (დიოსკურია და სხ.) და რომაელი მოვაჭრენი, რომელნიც ამდენს იგებდენ სორაპანში—აი ვაჭრობის მატარებლები. თუ კი იბერიაში ვაჭართა წოდება არ იყო, თუ კახეთში წონა და ზომა არ იცოდენ, თუ სვანნი მოშხამული ისრით იბრძოდენ—ცხადია, მათი კულტურა ჯერ კიდევ არ ყოფილა იმ დონეზე, რომ ვაჭრობის მატარებლები ადგილობრივი მკვიდრნი ყოფილიყვენ. ეს იყო უცხოელების ვაჭრობა და უცხოელთა სავაჭრო ადგილები, ისე როგორც რომაელები და ბერძნები ვაჭრობდენ ბრიტანელებთან, გალლებთან, კელტებთან და ევროპის სხვა ბარბაროსებთან ქრისტეს წინ და შემდეგ. ქ. მარსელი ბერძენთა კალონია იყო, ისე როგორც ჩვენი დიოსკურია და ფასიზი იყო, ამიტომ არც ერთ ისტორიკოსს თავში არ მოუვა თქვას მარსელი ქრისტეს წინ საფრანგეთის მკვიდრთა საალებ-მიცემო ცენტრი იყოვო"[1]).

ყოველ შემთხვევაში, თუ ქართული ვაჭრობა არსებობდა მაშინ, უეჭველია, ქართული მწიგნობრობაც უნდა ყოფილიყო. ხოლო მწიგნობრობა არ შეიძლება ისე, თუ ასოები არ არის. და აი ქართული ასოები, ჯერ ხუცური და მერე მხედრული, გამოგონილ იქმნა მეოთხე საუკუნიდან ქრისტეს მე-

---

[1]) დ. ბაქრაძე სწერს: „ჩვენ კიდეც ვიცით ბერძნების წყაროებიდან, რომ ძველადვე ბერძნებს ეპყრათ მთელი შავი ზღვის პირი, რაც საქართველოს მხრივ იმათ თავიანთი კალონიები ქონდათ დაარსებული. ამ შემთხვევაში ბერძნულ ცნობას ეთანხმება ქართული წყაროც... მათი ნაშთნი გაფანტულია აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში, და თვით ზემო იმერეთში" (მისი წიგნი გვ. 86).

რე. დ. ბაქრაძე გადაჭრით ამბობს, რომ მხედრული ასოები განვითარდა ხუცურიდან და ფარნაოზის მიერ მისი გამოგონება—ზღაპარიაო. ჯერ არ აღმოჩენილა უძველესი ქართული ნაშთი მხედრულის ასოების წარწერით, ყველა ხუცურითაა წარწერილი. მხედრული ასოები შემოდის ხმარებაში მეათე საუკუნიდან.

იმ დროს საქართველოს საზღვრებში მყოფი სავაჭრო ცენტრები—საერთაშორისო ცენტრები იყო და არა ნაციონალური. სტრაბონის სიტყვით დიოსკურიაში ვაჭრობდა ეს 70 ენაზე მოლაპარაკენი. ასევე იქნებოდა სორაპანში, საიდანაც რომაული ოქრო-ვერცხლი გაქონდათ ჩინეთში, ინდოეთში, სპარსეთში და სხვაგან.

ეროვნული ფართო ვაჭრობა—აღებ-მიცემობა შეუძლებელია, თუ ეროვნული ფულიც არ არის. ხოლო უძველესი ქართული ფული, ბაქრაძის თქმით, რომელიც დღემდის აღმოაჩინეს ხუცური წარწერითა, ეკუთვნის მეოთხე საუკუნის შემდეგ ხანას. რადგანაც ვაჭრობა უცხოელი იყო, ფულიც, რასაკვირველია, უცხოელი უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს სამთავროს (მცხეთას ახლოს) აკლდამებში ნაპოვნი ფული, რომელსაც რომის მეფის ავგუსტუსოს სახელი აწერია ლათინურათ. ხოლო ავგუსტუსოს სახელი მიენიჭა რომის მეფეთ 27 წ. ქრისტეს წინ: ცხადია, ამბობს ბაქრაძე, ეს ფული „ეკუთვნის პირველ და მეორე საუკუნოებს ქრისტეს შემდეგ და იქნება მომავალ საუკუნოებსაც მეხუთე საუკუნემდე“. აქვე აღმოჩნდა: ქვები ბერძნული წარწერებით. იმ დროს ქართული ანბანი ან ფული რომ ყოფილიყო, უეჭველია, სამთავროშიაც იქნებოდა ამის კვალი.

ერთი სიტყვით, სტრაბონის დროს ე. ი. ქრისტეს დროს, ქართველობა უნდა მდგარიყო საგვარეულო წესის უკანასკნელ ხანაში; თვით ტერიტორია საქართველოსი, როგორც გზა-შავი ზღვის პირიდან ინდოეთისაკენ, შეადგენდა უცხოელთა ვაჭრობის ასპარეზს. ესენი აქ აშენებდენ კოლონიებს, მოქონ-

დათ თავისი ფული, ბრძანებლობდენ პოლიტიკურათაც. საქართველო (ამიერ-იმერეთი) და ალბანია დაიპყრო რომის სარდალმა პომპეიმ პირველ საუკუნეში ქრ. წინ. და დასტოვა თავისი ლეგატი (ნამესტნიკი) ქვეყნის რომის სახელით სამართავათ. რომის მართველობა იხატებოდა იმაში, რომ ადგილობრივ წესწყობილებას და ზნეჩვეულებას ხელუხლებლათ ტოვებდენ, ხოლო ერთგულებას და ხარკის გაღებას ითხოვდა რომი თავის სასარგებლოთ. ამას გარდა, რომაელებს გაყავდათ შარაგზები, აკეთებდენ ხიდეებს, რომ ჯარის მოძრაობა და მიმოსვლა გაეადვილებიათ. ასე სჩადიოდენ რომაელები ყოველგან და ასევე ჩაიდინეს ჩვენშიაც. სტრაბონის ჩვენება, რომ კოლხიდაში მდინარე ყვირილაზე ასსზე მეტი ხიდე იყოვო.. შარა გზებზე ამართული იყო ქვის ტაბლიცები, რომელნიც მოგზაურებს უჩვენებდენ გზის მიმართულებას და საგურების ადგილმდებარეობასო, აშკარათ მოწმობენ რომაელთა მოღვაწეობას. ეს იყო რომაელების ჩვეულება, ასე მუშაობდენ ისინი ყველა დაპყრობილ ქვეყნებში. რომაელთა ნაკეთები გზების ნაშთნი ახლაც ბლომათ არის საფრანგეთში. დავუბრუნდეთ ახლა ბ. ჯორჯაძის „ისტორიას“.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ აშკარაა, რამდენათ მართალია ბ. ჯორჯაძე, როცა ამბობს, რომ „მრავალ საუკუნეთა უწინარეს ქრისტეს შობისა“ ჩვენში ყვაოდა სამოქალაქო ცხოვრებაო. ის ჩამოთვლის ამ ქალაქებსაც: არმაზი, მცხეთა, უფლის-ციხე და სხ. ეს ცნობა ამოღებულია ქართლის ცხოვრებიდან, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ მიერ დახასიათება იმ დროინდელი კულტურისა ბ. ჯორჯაძეს სრულიად გამოუტოვებია, რომ ქალაქების სახელის ხსენებით მკითხველს აფიქრებიოს, ეს ქალაქები თანამედროვე ქალაქთა მზგავსი ქალაქები იყოვო. ქართლის ცხოვრების თქმით, როცა ქართველობა დამყარდა თავის ახლანდელ ბიდამოებში, მან ააშენა ბდინარეებზე და ბაგარ ადგილებზე შემდეგი ქალაქები და სიმაგრეები: არმაზი, მცხეთა, უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, ჰერეთი, ჰორა-

ნია, ორბისციხე, ბოსტან-ქალაქი, წუნდა, ქაჯთა-ქალაქი. ქართლის გამგე იჯდა მცხეთაში, ნუ თუ ეს ქალაქები სავაჭრო ქალაქები იყვენ? რასაკვირველია არა, ეს იყო თავშესაფარი და საცხოვრებელი სიმაგრეები; ასეთ „ქალაქს“ აშენებდენ საჭიროებისამებრ ყოველგან, სადაც გადასახლდებოდენ ხოლმე. ამ დროს ქართველობა სრულ საგვარეულო წესებს მორჩილებდენ, რასაც ასე ჩინებულათ ასწერს თეიმურაზი თავის ისტორიაში.

თითოეულ თემს საქართველოსას ყვანდა თავ-თავის მამასახლისი ანუ უფროსი. თემნი თვითვე განაგებდენ „ყოველთა საჭიროებათა“ თავ-თავის სამართველოში. მცხეთა ითვლებოდა დედა-ქალაქათ, ამიტომ მისი მამასახლისი უპირველეს მამასახლისათ, რომელთანაც შეიკრიბებოდენ ხანდახან სხვა მამასახლისები ამორჩეული პირების თანხლებით საერთო საქმეების გასაბჭობათ. ამაში ყველა მოსახლე იღებდა მონაწილეობას. მამასახლისთ არ შეეძლოთ დაესაჯათ ვინმე გარეშე საზოგადოების კრებისა, უამკრებოთ არ შეეძლოთ არც ხარჯის მოკრება. ომში ყველა მამასახლისი ერთათ გადიოდენ, ბჭობა (სამართალი) ეკუთვნოდა ამორჩეულ პირთა, ესენი იყვნენ: მოხუცნი, გამოცდილნი, გონიერნი, პირუთვნელნი და სხ. და სხ. ოჯახის უფროსი იყო მამა-კაცი, შვილები მისი მემკვიდრე და სხ.

დ. ბაქრაძე ამბობს, რომ ეს წყობილება რამდენიმეთ ახლაც დაცულია ჩვენს მთიულებშიო. ასე რომ ჩვენი მთიელნი — ეს წინანდელი ქართველების სარკეა, განსაკუთრებით ამ 40—60 წ. წინანდელი მთიულები, როცა კიდევ ცივილიზაციის შუქს მათ შორის არ შეენათებია.

„ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, ქართველები კლდეებში, მიწურ სახლებში და ქვით ნაშენ სიმაგრეებში ცხოვრობდენ. კაი ხანი მათ ქვითკირის ხმარება არ სცოდნიათ; ეს ხელობა უსწავლიათ სპარსელი ერისთავის ასდამისაგან. ზნეობით ძლიერ დაბლა მდგარან. ალექსანდრე მაკედონელი მესამე სა-

უკუნეში ქრისტეს წინ ქართლში შეხვედრია საზიზღარ ჩვეულებას: ქართველები ნათესაობას არ მისდევდენ, საქმელათ ხმაროობდენ ყოველსავე სულდგმულსა, ადამიანის მძოვრსაც; თაყვანს სცემდენ მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა, ნივთთა და პირუტყვთა.

ასეთი ყოფილან ქართველები იმ დროს, როცა მათ ქალაქები ქონებიათ. განა შეეძლო ასეთ ხალხს მართლა სავაჭრო ქალაქები ქონებოდა? თუ კი კახელებმა სტრაბონის დროსაც არ იცოდენ წონა და ზომა—რა ქალაქური კულტურა უნდა ყოფილიყო მაშინ?

ბ. ჯორჯაძე კი ყოველივეს თავდაყირა ატრიალებს. მისი აზრით, „უწინარეს ქრისტეს შობისა“ ჩვენ ცივილიზაციის ხანაში ვყოფილვართ და მერე დაღუპულა ეს ცივილიზაცია. ეს რომ ზღაპარია—უქართლის ცხოვრებოთაც ცხადია. ყველა ძველი ცივილიზაცია დაინგრა, ამასთანავე დაინგრა თვით ამ ცივილიზაციის მატარებელი ხალხები. აღარ არიან არც ელინები, არც რომაელები, არც ფინიკელება, არც სპარსნი, არც ეგვიპტელნი, არც სირიელნი; ხოლო ქართველები კი არიან; გამოდის რომ აქ რაღაც სასწაულებაა, ჩვენი აყვავებული ქალაქები, სამოქალაქო წეს-წყობილება, მთელი ცივილიზაცია დანგრეულა, ხოლო ჩვენ, ქართველნი, ამ ცივილიზაციის მატარებელნი, დავრჩენილვართ! ასეთი უცნაური ამბები „ყარამანიანშიაც“ არ არის ნაამბობი.

ამიტომ ვამბობდით ჩვენ, რომ ჩვენ, ე. ი. თანამედროვე ერს, საიდან გვექნებოდა ქალაქური წყობილება ქრისტეს წინ, როცა ყველა თანამედროვე ერში (ევროპიელთა) ის აღორძინდა ფეოდალიზმის მიწურულში?.. ამაზე ბ. ჯორჯაძე გვიგებს, რომ ზღაპარია ასურეთის, ეგვიპტის, რომის და სხვათა ქალაქური ცხოვრებაო! მას ვერ გაუგია ის, რომ ეს ხალხები კაი ხანია აღარ არსებობენ, ისინი თანამედროვე ერნი არ არიან, ხოლო ჩვენ ვართ; ჩვენ ლაპარაკი გვაქვს არსებულ ერებზე, ბ. ჯორჯაძე კი გვითითებს არა არსებულზე! ასეთია მისი წესი პოლემიკისა, რასაც ეწოდება სიტყვის ბანზე აგდება.

ამნაირათ, ბ. ჯორჯაძის პატრიოტული „ისტორია“ შესახებ „მრავალ საუკუნეთა უწინარეს ქრისტეს შობისა“ ერთი დიდი ზღაპარია. ეს ჩვენ კაი ხანია აღვნიშნეთ, ბ. ჯორჯაძე კი ყალხზე შედგა და ისტორიის უცოდინარობა გვიკიჟინა. ხოლო თვითონ კი ამ ზღაპარის მისაფუჩეჩებლათ საბერძნეთის ისტორიას მოგვიყვა, იქ ყვავოდა კულტურა. მაშასადამე, ჩვენშიაც ყვაოდაო! აბა ასეთ მეისტორიეს რა უნდა ეკამათო!

IV

ბ. ჯორჯაძე უცებ ტოვებს „მრავალ საუკუნეთ უწინარეს ქრისტეს შობისა“ და თავის ისტორიას იწყებს დავით ალმაშენებელით. თერთმეტი საუკუნე (ქრის. მერე) მისთვის ალარ არსებობს. ალბათ ეს საუკუნოები არ ამოწმებენ მის თეორიას და ამიტომ ეს ხანა არც ბ. ჯორჯაძისათვის არსებობს. მისი მიზანია, როგორც იცით, თავის თეორიის დამტკიცება, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ამ მიზნით ის მიმართავს ისეთს საბუთებს, რომელსაც უარყოფს თავის თეორიისათვის. ის ხომ სულ იმას ქადაგობს, რომ ეროვნობა სახელმწიფომ შექმნა და არა ეკლესიამ და მრეწველობამ. ხოლო მეცადინეობს კი დაამტკიცოს ქართული ეკლესიის სიდიადე, რომ მით ქართული ეროვნობაც აამაღლოს. ამიტომ ის ასე თავგამოდებით იძახოდა—ჩვენში სამოქალაქო წყობილება იყო უწინარეს ქრისტეს შობისაო. ამავე მიზნით ის გადმოხტა მეთორმეტე საუკუნეში და ამტკიცებს—სამოქალაქო წყობილება ჩვენში ყვაოდაო. აქ ის ეყრდნობოდა ბ. ჯავახიშვილის გამოკვლევაზე—„საქართველოს ეკონომიური ისტორია“. გავშინჯოთ ეს არგუმენტი.

ჩვენს წერილებში მეთორმეტე საუკუნის მოქალაქეობაზე სიტყვაც არ გვითქვამს; ჩვენ ვამბობდით მხოლოდ იმას, რომ თამარ მეფის სამეფო არ ნიშნავდა ფეოდალიზმის დასუსტებას, პირიქით ფეოდალთა გაძლიერება სწარმოებს სწო-

რეთ ამ ერთობის დროს და ამ გაძლიერებამ ბოლო მოუღო თვით ერთმეფობას. ამის მსგავსი პროცესი იწარმოვა ევროპაში კარლოს დიდის სამეფოში, რამაც დასცა ეს სამეფო. რამდენათ სუსტი იყო ჩვენი მაშინდელი ერთობა, იქიდან სჩანს, რომ მთელი დასავლეთი საქართველო ემხრო'ა თამარ მეფის მიერ გაძევებულს თავის რუს მეუღლეს; იმართება ომი და თამარის ჯარი იმარჯვებს. ბ. ჯორჯაძე ამის შესახებ არას ლაპარაკობს. სამაგიეროთ მოყავს ბ. ჯავახიშვილის ცნობები თფილისის და საზოგადოთ ვაჭრობის შესახებ. ჩვენ ფიქრათაც არ მოგვდის უარვყოთ ის, რომ ამ დროს თფილისში და საქართველოს სხვა კუთხეებში ვაჭრობა საკმაოთ განვითარებული იყო. პირიქით, უამისოთ თამარ მეფის სიძლიერე აუხსნელი დაგვრჩება. ეს ერთიანად ეთანხმება ჩვენს შეხედულობას ისტორიაზე. თუ კი ქრისტეს წინ ვერ გავავითარეთ სავაჭრო ცენტრები, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შემდეგ საუკუნოებშიაც ამ მდგომარეობაში ვიყავით.

მაგრამ აქ იბადება ერთი კითხვა: ვინ იყვენ ეს დიდი ვაჭრები ქართველები თუ სხვა ერის კაცნი? ის წესები, რაც აწერილი აქვს ბ. ჯავახიშვილს, თფილისში არსებობდენ მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდის, საქონლის შემოტანა უცხოეთიდან, ქარავნების მიმოსვლა, ამქრული წესები, შინაური ვაჭრობა ცხენით, უნაგირით, ხარით და სხ.. და სხ. — ყველა ეს მეფე ერეკლეს დროსაც იყო. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ მთელი ვაჭრობა სომხების, ებრაელების და კათოლიკეთა ხელში იყო. ქართველი ვაჭრობას არ მისდევდა. სხვანაირათ იყო მეთორმეტე საუკუნეში? თუ კი მაშინ ქართული ვაჭართა წოდება იყო—რა იქნა, როგორ გაქრა ასე, რომ შემდეგ საუკუნოებში ამას ვერ ვხედავთ? აი ეს არის მთავარი კითხვა და არა ის, რომ თფილისში მეთორმეტე საუკუნეში ვაჭრობა იყო. ეს მარტო „ვეფხის ტყაოსანი"-დანაც კარგათ სჩანს. ფეოდალური ხანა იმას კი არ ნიშნავს, რომ ვაჭრობა და ხელოსნობა არ იყოს, არამედ იმას, რომ

ჭრეწველობა არ იყო და ქალაქი სოფელს მორჩილებდა. ჩვენი ფიქრით მეთორმეტე საუკუნეში ქართველ ვაჭართა რიცხვი გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, ვინემ შემდეგ, ფეოდალიზმის გაძლიერების ხანაში. მაგრამ ძთავარი ვაჭრობა მაინც უცხოელთა ხელში უნდა ყოფილიყო (სომხების, ბერძნების, ებრაელების და სხ.) თუ სომხები მხედართ-მთავარნი (არღუთაშვილები) თამარის მარჯვენა ხელს შეადგენდენ, უეჭველია, სომეხი ვაჭრებიც დიდ როლს თამაშობდენ. მთელი სომხობა დაინტერესებული უნდა ყოფილიყო მძლავრი საქრისტიანო იმპერიის შექმნაში კავკასიაში და ეს მით უფრო, რომ მაშინ ნაციონალური განხეთქილება სომეხსა და ქართველს შორის არ სუფევდა.

ერთი სიტყვით, თამარ-მეფის სამეფოს არსებობა უნდა აიხსნას მაშინდელი ეკონომიური პირობებით, რაშიაც ვაჭრობას შესაფერი ადგილი უნდა ჰკავებოდა. მხოლოთ ეს ვაჭრობა იყო ქართველების თუ არა-ქართველების—ეი ეს არის გამოსაკვლევი საგანი.

რაც შეეხება ქართველთა პოლიტიკურ ერთობას—ეს ერთობა მხოლოთ თამარ ეეფის ხანაში იყო. დავით აღმაშენებლამდის კახეთი, ქართლი, სამცხე საათაბაგო, იმერეთი ცალ-ცალკე ცხოვრობდენ და ვითარდებოდენ. პირველათ დავით აღმაშენებელმა შეაერთა ეს თემები და ერთ პოლიტიკურ უღელში შეაბა. მაგრამ რა არის ეს მოკლე დრო ერთათ ცხოვრებისა, შედარებით იმ მრავალ საუკუნოებთან, რომლის განმავლობაში ქართველობა დანაწილებული იყო? ამიტომ ქართველი ეროვნობის შექმნა ქართველი სახელმწიფოს მიერ შეუძლებელიც იყო, (რომ მართლა სახელმწიფოს შეეძლო ასეთი შექმნა), ვინაიდან ეს სახელმწიფო, თამარ მეფის ხანას გამოკლებით, მრავალი იყო. ხოლო ქართველი ერი კი სახელმწიფოს დაარსებამდის იყო შექმნილი და მრავალ თემებათ დანაწილებული.

ასე რომ ქართველი ეროვნობა ძალა-უნებურათ უნდა

შექმნილიყო მეცხრამეტე საუკუნეში და აი სწორეთ ეს არ მოსწონს ჩვენ ნაციონალისტებს და ყალხზე დგებიან: როგორ, რუსობის ბატონობის დროს ეროვნობა შევქენით? ეს ხომ უარისყოფაა თავისი თავის და მუხლის მოდრეკა მონობის წინაშე", გაკივიან ბ. ჯორჯაძე და კამპანია. და აი ამ მათთვის უსიამოვნო ამბის უარსაყოფლათ ისინი იგონებენ ისტორიას, ეროვნობა წინეთ გვქონდა, ახლა დაჩაჩანაკდითო. აი აქედან მომდინარეობს ბ. ჯორჯაძის მთელი ჰაპან-წვეტა.

ჩვენ ვამბობთ, რუსების ბატონობას მოყვა საქართველოს ყველა ნაწილების შეერთება და საგარეო და საშინაო მყუდროების დამკვიდრება, რაც ჩვენ ჩვენი ძალ-ღონით საუკუნოების განშავლობაში ვერ მოვახერხეთ. მაგრამ ვერც ერთი ეს ვერ შექმნიდა ეროვნობას, რომ კაპიტალისტური წყობილება არ აღორძინებულიყო და მთელი ერი სამრეწველო გზას არ დადგომოდა. ჩვენ ხომ ჯორჯაძე არ ვართ, რომ ვთქვათ: ეროვნობა სახელმწიფომ (ე. ი. მეფემ და მისმა აგენტებმა) შექმნაო, ამიტომ არც რუსეთის სახელმწიფოს შეუქნია ჩვენი ეროვნობა; მან მხოლოდ შექმნა ისეთი გარეგანი პირობები, უფრომლისოთაც მრეწველობა და აღებ-მიცემობა ვერ განვითარდებოდა. ხოლო მრეწველობა, კაპიტალიზმი, რუსეთის მთავრობის გამოგონილი კი არ არის, ის ევროპიდან მომდინარეობს, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში.

მაგრამ რაკი ბ. ჯორჯაძეს აჩემებული აქვს—ეროვნობას სახელმწიფო ქმნისო, ხოლო ჩვენ კი ვამბობთ, ეროვნობა მეცხრამეტე საუკუნეში შეგვექნა—აქედან ის სკვნის: ეს ალბათ ს. დ. აზრით რუსის ბიუროკრატიას შეუქნია, ისინი ბიუროკრატიის მონა-მორჩილი არიანო! ამ აზრის დასაზღვევათ იძ იგონებს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიას და სკვნის: „რუსეთის სახელმწიფოებრივობა ქართველმა ხალხმა არ შეიწყნარა"-ო, ჩვენ ბევრი საბუთი მოვიყვანეთ ამ აზრის დასარღვევათ. ბ. ჯორჯაძე კი ამ საბუთებს უწოდებს ოფიციალურ საბუთებს, მას ვითომ არა-ოფიციალური წყაროები მოეპოვებოდეს. გავშინჯოთ ეს სადაო კითხვაც.

ჩვენი წყაროები მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარის ისტორიის შესახებ, უმთავრესათ, არქეოლოგიურ კომისიის მიერ შეკრებილი და გამოცემული „აქტებია“. (12 ვეებერთელა ტომი). ეს აქტები შეიცავს კოპიოს მთავრობის და მისი მოხელეთა მოწერ-მიწერის, ბრძანებების, განკარგულებების და სხვა ასეთი ქაღალდების, საცა ეხებიან ამიერ-კავკასიის ხალხებს და მათ მართვა-გამგეობას. ეს, ასე ვთქვათ, ისტორიის მატიანეა, მისი მასალებია. სხვა ამაზე უფრო საესე და უკეთესი წყარო აღნიშნული დროს შესახებ არ მოიპოვება. აქ სრულიად დაუფარავათ მოკრებილი და გამოქვეყნებულია ისეთი აქტებიც, რომელნიც ეხებიან არა მარტო მოხელეთა ზნეობას, არამედ თვით უმაღლეს პირებსაც. საზოგადოთ, აქ გადაშლილია ყოველივე ის, რასაც ჩვეულებრივათ ბიუროკრატია ცხრა-კლიტულში ინახავს, ასე, რომ ყოველად შეუძლებელია ითქვას, ეს „აქტები“ ტენდენციურათ შეკრებილი, მთავრობის გამათეთრებელიაო. პირიქით, ვერც ერთ თხზულებაში ვერ შეხვდებით იმდენ დოკუმენტებს მთავრობის მოღაწეობის წინააღმდეგ, რამდენიც აქ არის თავმოყრილი.

და აი, მიუხედავათ ყველა ამისა, ბ. ჯორჯაძე იძახის— ეს წყაროები უვარგისია, ის ოფიციალურიაო. შეიძლება მას უკეთესი წყაროები მოეძებნება? სრულიადაც არა, მისი უმთავრესი წყარო, ბ. ჯავახიშვილის რუსული წიგნაკი: „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში მე-XIX საუკუნეში“ (გვერდი 45). მაგრამ თვით ბ. ჯავახიშვილი დაყრდნობილია „აქტების“ ცნობებზე: ამ პატარა წიგნში მას 35 ჯერ აქვს დასახელებული „აქტები“; გარდა ამისა ის ეყრდნობა ოფიციალური პირის კაპიტან დუბეცკის ცნობებს შესახებ იმერეთის ამბებისა, რაც, უნდა ვთქვათ, გაცილებით უფრო მკრთალათ აქვს ამ კაპიტანს გადმოცემული, ვინემ „აქტებს“. კაპიტანი ამბობს, რომ გენათელს და ქუთათელს „უპატივცემულოთ“ მოეპყრენ დატყვევების დროსო; ხოლო აქტში სწერია—ორივეს ტომრები ჩამოაცვეს, თოკი წაუპი-

რეს და ასე გააპარეს ღამითო; გარდა ამისა ერთი იმათგანი გზაზე, სურამთან, მოკვდა და ეგზარხოსის განკარგულებით ჩუმათ დამარხეს და სხ. და სხ. ასე რომ, „აქტები“ ამჟღავნებს ყველაფერს, დუბიცკი კი არა. მესამე წყაროა ბ. ჯავახიშვილის და აგრეთვე ბ. ჯორჯაძის მოხელის ივანენკოს წიგნი შესახებ მართვა-გამგეობისა, ხოლო ივანენკოს თავისი მასალები იმავე ოფიციალური წყაროებიდან აქვს გამოკრებილი.

ერთი სიტყვით, ბ. ჯორჯაძის მთავარი წყარო — ბ. ჯავახიშვილის წიგნაკი — დაფუძნებულია იმავე ოფიციალურ წყაროებზე, რომელსაც ჩვენ გვიწუნებს და მასხარათ გვიგდებს.

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ბ. ჯორჯაძე „აქტებს“ სრულიად არ იცნობს, მას ეს არ შეუსწავლია, ხოლო ბ. ჯავახიშვილის წიგნაკის გადაკითხვა ერთი საათის საქმეა. და რადგანაც კატა ვერ შესწვდა ძეხვს, თქვა — პარასკევია დღესო. ბ. ჯორჯაძე ვერ შესწვდა „აქტებს“ და ამიტომ გაიძახის — აქტები უვარგისია, აი ბ. ჯავახიშვილის ცნობები (იმავე აქტებიდან ამოღებული) სარწმუნოაო! ასეთი ადამიანი ჩვენზე ამბობს — ისტორიის არაფერი იცის და ისე ლაპარაკობსო!

გასაკვირალია ის, რომ ბ. ჯორჯაძე ოფიციალურ წყაროებს ასე იწუნებს, ხოლო ესაძის წიგნებს კი ემყარება; ეს წიგნები ერთიანათ ოფიციალურ აქტებს შეიცავს. ესაძე თავის წინასიტყვაობაში სწერს: „მთელი ეს შრომა შედგენილია უმთავრესათ იმ მასალებით, რომელნიც მოიპოვებიან არხივებში ნამესტნიკის კანცელიარიისა, სამხედრო-სახალხო გამგეობისა, წოდებრივ-მიწათმფლობელობის კომისიისა და კავკასიის სამხედრო შტაბისა“.

ერთი სიტყვით, ბ. ჯორჯაძე თან უარყოფს ოფიციალურ წყაროებს და თან ამ წყაროებზე ეყრდნობა! განსხვავება ჩვენს და მას შორის ის არის, რომ ჩვენ ვეყრდნობით პირველ წყაროებს, ბ. ჯორჯაძე კი იმ ცნობებს, რომელიც სხვა პირებს ამ წყაროებიდან გამოუკრებიათ. ბ. ჯორჯაძე მსუბუქ შრომას

ყოფილა მიჩკეული და რომ ეს თავისი თვისება დამალოს გაიძახის — პარასკევია დღესაო! რას ფარისეველობთ, ბ. ჯორჯაძე, ვის ატყუებთ?

თავი დავანებოთ ბ. ჯორჯაძის ტრაბახობას და გავსინჯოთ მისი საბუთები. და აი აქ ირკვევა ერთი გარემოება: ბ. ჯორჯაძეს ბ. ჯავახიშვილის წიგნაკიც ვერ შეუთვისებია და ხათაბალაში გამბულა.

ჩვენ ვწერდით, რომ აჯანყებულ გლეხობას 1812 წ. კახეთში არც ერთი ნაციონალური მოთხოვნილება არ წამოუყენებიაო. ყველა მოთხოვნილება სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის იყო. ამ აზრის დასარღვევად ბ. ჯორჯაძეს, მოყავს ჯავახიშვილის წიგნიდან აჯანყებულთა მიმართვა მთავარმართებელისადმი, რომელიც ჩვენც გვქონდა მოყვანილი და სადაც სხვათა შორის სწერია: რაც ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის მიერ იყო გამოცხადებული **მანიფესტით**, „თქვენ არ აასრულეთ"; ეს მანიფესტი ბ. ჯორჯაძეს ხელშეკრულობათ, ტრაქტატის გარანტიათ მიუღია და აქედან ასკვნის:

„დოკუმენტი გვისურათებს ამბოხების მიზეზს, გვეუბნება იმას, რომ ხალხი დადებულ ხელშეკრულობის ნიადაგზე იდგა, მანიფესტი თქვენ არ აასრულეთო და აქედან გამომდინარე ბოროტების ამტანი ჩვენ არა ვართო"[1]).

ამნაირათ, ალექსანდრე პირველის მანიფესტი გამოტანილია ხელშეკრულობათ, რომლის ძალით საქართველოს თავისი შინაური ტახტი და ავტონომია უნდა შერჩენოდა, ხალხი თხოულობდა მანიფესტის ასრულებას, მაშასადამე, ის ნაციონალური ტახტის და ავტონომიისთვის იბრძვის — აი, ბ. ჯორჯაძის არგუმენტი. ეს ასე იქნებოდა მაშინ, რომ მანიფესტი მართლა ხელშეკრულობა ყოფილიყოს ან რაიმე მზგავსება მაინც ქონებოდა ხელშეკრულობასთან. ნამდვილათ კი მანიფესტში ნახსენებიც კი არ არის რაიმე ხელშეკრულობა, ის პირდაპირ აცხადებს საქართველოს რუსეთის გუბერნიათ,

[1]) იხ. „ამირანი" № 88.

სპობს ტახტს, ტრაქტატს—ყოველივე შინაურ მარჯვა-გამგეობას. ამ მანიფესტის გამოცხადების ამბავი ბ. ჯავახიშვილსაც აქვს მოთხრობილი თავის წიგნაკში, აქ ნათქვამია. რომ მანიფესტი სპობდა მეფობას და სხ. ხოლო ვინც წინააღმდეგ მანიფესტისა თხოულობდა მეფობის აღდგენას და ფიცის მიღებაზე უარს ამბობდა—ატყვევებდენ და სხ. (გვ. 9). გარდა ამისა თვით საქართველოს ელჩი გარსევან ჭავჭავაძე მანიფესტის გამო სწერდა საქართველოში პეტერბურგიდან, რომ არც ერთი პირობა ჩვენი არ მიიღეს, მეფობა გააუქმეს და სხ. (იქვე) ბ. ჯორჯაძეს კი ბ. ჯავახიშვილის წიგნაკის გაგებაც კი გასჭირვებია და ყოველივე ხელშეკრულების უარისმყოფი მანიფესტი ხელშეკრულებათ მიუღია! აი ისტორია!

მაშ, რატომ ითხოვდა კახეთის ხალხი მანიფესტის ასრულებას? იმიტომ, რომ მანიფესტში ნათქვამია: დაგიფარავთ ყოველგვარ უწესოებისაგან და შევიწროებისაგან, მოგანიჭებთ მყუდროებას და კეთილდღეობას და სხ., მის ნაცვლათ კი ჩინოვნიკები ტყავს აძრობენ ხალხს და კეთილდღეობის მინიჭების მაგიერ აღატაკებდენ. ცხადია, ხალხი იბრძოდა არა ნაციონალური ტახტისთვის, ამ შემთხვევაში ის მანიფესტის წინააღმდეგი იქნებოდა, არამედ მყუდროების და კეთილდღეობისათვის. რასაც მანიფესტი პირდებოდა. ხელშეკრულობის ნიადაგზე იდგენ თ.-აზნაურები და რამდენათ ესენი იღებდენ მონაწილეობას მოძრაობაში, იმდენათ მას ნაციონალური ხასიათი ეძლეოდა. ამათ ხომ პირდაპირ არ ეხებოდა ჩინოვნიკთა ძალმომრეობა და ამიტომ არც იბრძოდენ ამ ძალმომრეობის მოსასპობათ. ბ. ჯორჯაძე კი იგონებს თ.-აზნაურობა კი არა —გლეხობა ებრძოდა რუსეთსო! ბ. ჯავახიშვილის წიგნაკი რომ წაეკითხა ამას არ იტყოდა. აი რას სწერს ჯავახიშვილი: თავ.-აზნაურობაში სამი პარტია იყო: ერთი რუსების მომხრენი, მეორე ბატონიშვილის იულონის გამეფების და მესამე ბატონიშვილის დავითის. შემდეგ ყველა ესენი შეერთდენ რუსეთის წინააღმდეგ. „მაშასადამე ის თ.-აზნაურებიც კი, რო-

მელნიც საქართველოს რუსეთთან შეერთებაში თავის ქვეყნის ბედნიერებას ხედავდენ, მთავრობას გადაუდგენ და მოინდომეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ახლა ყველა პარტია იყო შეთანხმებული თავის მოთხოვნილებებში და იდეალებში. მხოლოდ ქართველი გლეხკაცობა მოულოდნელ მდგომარეობაში იყო, ვინაიდან გულის სიღრმეში კიდევ იმედოვნებდა რუსები მდგომირეობას შეგვიმსუბუქებენო. ასე მაგ თ. ციციშვილის ერთი გლეხის ქალი საიდუმლოთ ატყობინებს რუსის მოხელეს, რომ ის და ყველა გლეხები რუსების მომხრე არიან, ხოლო თავადებს და აზნაურებს კი სძულთ რუსებიო"[1]). გავიდა ცოტა დრო და ქართველ გლეხობამაც დაკარგა იმედი და თანაგრძნობა რუსის მართვა-გამგეობის მიმართ, როცა რუსის ბატონობის მძიმე უღელი მათაც დააწვა, მაშინ გაიგეს, რაც მოელოდა" და სხ. აქედან იწყება გლეხთა აჯანყებაცა (გვ. 12).

აქედან ცხადია, რომ პირველ ყოვლისა თავად-აზნაურობა ყოფილა რუსების წინააღმდეგ, გლეხობა ამხედრებულა შემდეგ, ჩინოვნიკთა მოქმედების გავლენით. ე. ი. თავად-აზნაურობა ყოფილა წინააღმდეგი ტახტის მოშლით და მით მასთან შეკავშირებული უფლება-თანამდებობათა გაუქმებით. გლეხობა რომ ყოფილიყო ამით უკმაყოფილო, თავად-აზნაურობასთან ერთათ ისიც უკმაყოფილო იქნებოდა და ჩინოვნიკთა ბოროტმოქმედებას აღარ მოუცდიდა. აშკარაა გლეხობა ამით არ იყო უკმაყოფილო და ამიტომ არც შეეძლო ნაციონალურ მოძრაობის მატარებელი გამხდარიყო.

---

[1]) ეს ცნობა მეც მქონდა მოყვანილი, რისთვისაც ბ. ჯორჯაძე დიდათ განრისხებულა და სწერს: „დედაბრის ჭორებიც კი ბამოუყენებია საისტორიო მასალათო"! („ამირანი" № 80), როგორც სჩანს „ეს ჭორები" ბ. ჯორჯაძის აეტორიტეტს—ბ. ჯავახიშვილსაც კი გამოუყენებია და თუ ეს მართლა ჭორია—რატომ გამოიყენებდა? ბ. ჯორჯაძისათვის ჭორია ის, თუ მის სქემას არ ამართლებს.

V

ახლა ყური დაუგდეთ ბ. ჯორჯაძეს. ის სწერს:

„ამ აზრების (ეროვნული დამოკიდებულების) დამცველთ ასი წლის წინეთ ბევრი მომხრე ყოლია, ხოლო მაშინ ესენი იყვენ **თავადები**, რომელნიც პირად გამორჩენას ეძებდენ ეროვნულ დამოუკიდებლობის მოსპობაში და ძლიერი ბატონობის დამკვიდრებაში, ეხლა ამ აზრის მიმდევარნი არიან **სოციალ-დემოკრატები**". (კურსივი ჩვენია).

სოც.-დემოკრატები და თავადები! სოციალ-დემოკრატებს თავადების მიმართულება მიუღიათ! დიახ, ბ. ჯორჯაძე ნწყრალათ ბრძანდება არა მარტო ისტორიასთან. არამედ უბრალო რიგიანობასთანაც. მას ისე გაჯდომია ბრაზი და შური, რომ ველარაფერს ველარ ხედავს, გარდა თავის გამწყრალ უძლურებისა

რამდენიც უნდა იჯავროს, ფაქტი ფაქტათ დარჩება. მას ამტყუნებს არა მარტო „აქტები", არამედ მისივე მოწამე ბ. ჯავახიშვილი. ნაციონალიზმის მატარებელი იყო თ.-აზნაურობა—ამას ვერავითარი ბრაზით ვერ ამოშლით ისტორიიდან, ბ. ჯორჯაძე!

რაც შეეხება ბ. ჯორჯაძის მასლაათს ქართველი თ.-აზნაურობის ორათ გაყოფაზე, ფეოდალებათ და „წოდებრივებათ"—ეს უებარი აღმოჩენა მისთვის დაგვითმია; გიმნაზიის მოწაფეც კი აუხსნის ბ. ჯორჯაძეს, რომ ფეოდალურ ხანაში თ.-აზ. ფეოდალური წოდებაა და არა რაღაც „წოდებრივობაც": ეს მან იმიტომ გამოიგონა, რომ დაამტკიცოს — რუსებს ებრძოდენ არა ფეოდალები, არამედ „კარგი" თავადები და აზნაურებიო[1]).

[1]) ზემოთ კი სწერდა—თავადები არ ებრძოდენ რუსეთსო. მის აუარებელ ლოლიკურ ნახტომებს—ვერ გამოვუდგებით. მაგ., იმავე ფელეტონში. სადაც ნათქვამია, მანიფესტი ხელშეკრულობა იყოვო, მოყვანილია თ.-აზ. ერთი თხოვნა, სადაც ნათქვამია—მანიფესტი ხელშეკრულობას აუქმებსო! საზოგადოთ მარჯვენამა ჯორჯაძისამ არა იცის, რას აკეთებს მარცხენა მისი.

ამით მაინც საქმე არ იცვლება, კარგია თუ ცუდი, ფლოდალებია თუ ლეგიტიმისტები--მაინც თ.-აზნაურობაა და დავაც სწორეთ ამაშია. ბ. ჯორჯაძე ამტკიცებს, ნაციონალიზმის მატარებელი გლეხობა იყოვო, ჩვენ ვამბობთ თ.-აზნაურობა იყო.

ეს ჩვენი აზრი ბ. ჯორჯაძეს დიდ ღვთის რისხვათ მიაჩნია; მას გონია, ეს შეუძლებელი საქმეა. ის რომ ოდნავათ იცნობდეს სხვა ერთა ისტორიას, გაიგებდა, რომ ასეთი მოვლენა სხვაგანაც ყოფილა. აი მაგ. იგივე პოლონეთი, რომლის ნაციონალიზმს ბ. ჯორჯაძე შენაჯრის. საყოველთაოთ ცნობილია, რომ პოლონეთის თავისუფლებისათვის მებრძოლი, მისი ნაციონალური მოძრაობის მედროშე თ.-აზნაურობა (შლიახტა) იყო; მას მისდევდა ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, ინტელიგენცია და სამღვდელოება. გლეხობა პირიქით, სრულიად გულგრილათ უცქეროდა ამ მოძრაობას. 1830 წ. და 1863 წ. პოლონელთა აჯანყებებში გლეხობას მონაწილეობა არ მიუღია; რუსის მთავრობა აქ ანტიშლიახტურ პოლიტიკას აწარმოებდა და გლეხობას იმადლიერებდა და სხ. და სხ. გლეხობა აქ განაციონალისტდა მეოთხმოცე წლებში. ამის მიზეზი მრავალგვარია, რის ახსნა ჩვენს სადაო საგანს არ შეეხება[1].

მიზეზი პოლონელ გლეხობის ასეთი ქცევისა ის არის, რაც ჩვენს გლეხობას ამოქმედებდა: პოლონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოში გლეხი მონა იყო; ის, ყოველ უფლებას მოკლებული, მებატონის საწველ ფურათ იყო გადაქცეული. აი ასეთი სახელმწიფოსათვის ის არ იბრძოდა და სწორეთ ამაში მდგომარეობდა პოლონელთა მოძრაობის მთელი ტრაგიზმი.

იმის მაგიერ, რომ ჩვენმა ნაციონალისტებმა იცნან ეს ფაქტი ჩვენშიაც, და ამის შესაფერათ იმოქმედონ, როგორც

---

[1]) იხ. მასლოვის ახალი წიგნი „აგრარული მოძრაობა". აქ პოლონეთის გლეხობაზე არის ცალკე წერილი.

ეს პოლონელთა ნაციონალისტებმა მოიმოქმედეს—მას აფუ-ჩეჩებენ და ასე ოცნების სამეფოში დაფრინავენ.

მოვიხსენიოთ კიდევ ბ. ჯორჯაძის ორი საბუთი შესახებ იმერეთის ამბოხების 1819 წ. და სამეგრელოს 1858 წ.

ბ. ჯორჯაძე სწერდა, იმერლებმა იარაღი აიღეს იმიტომ რომ ეკლესიაში ქართული ენის დევნა დაიწყო მთავრობამ. როცა ჩვენ დაუმტკიცეთ, რომ არაფერი ამის მსგავსი არ მოხდარა იმერეთში მაშინ, მთელი მოძრაობა გამოიწვია ეკლესიის მამულების სინოდალურ კანტორის და ეგზარხოსის განკარგულების ქვეშ დაყენებამ და სხ., ახლა გაიძახის, იმერლები იბრძოდენ იმიტომ, რომ ეკლესიის ავტონომია ისპობოდაო. თანაც ეს ამბავი ისე ზღაპრულათ აქვს მოთხრობილი, რომ ძნელი გასაგებია, რა როდის მოხდა? მისი ცნობით საქმე ასე იყო. ეგზარხოსი ფეოფილაქტე გაემგზავრა იმერეთში, იქ დააკერინა მიტროპოლიტები გელათისა და ქუთაისისა. 1819 წ. იმერეთი აჯანყდა, ეგზარხოსი საჩქაროთ უკან წამოვიდა და სხ.[1]) ნამდვილათ კი ასე იყო: ეგზარხოსი არ მიუშვეს ეკლესიის ქონების ასაწერათ, რადგანაც ჯარი საკმაო არ იყო. ის თფილისში დაბრუნდა, ეს მოხდა 1819 წ. შემდეგ წელში ჯარი შემოვიდა, მიტროპოლიტები ქუთათელი და გელათელი და აგრეთვე მათთან ერთათ სხვებიც დაიკირეს (მარტში); აპრილში იმერეთის მმართველი და ჯარის უფროსი პოლკ. პუზირევსკი მოკლეს გურიაში, მაშინ ადგა იმერეთი, აქ პირველათ იქმნა შემოღებული „დამსჯელი რაზმები", რომელნიც აოხრებდენ ურჩ სოფლებს. მოძრაობაში მონაწილეობას იღებდენ მებატონეები თავისი ყმებით და სამღვდელოება. გლეხები ბოლოს დასაჯეს იმით, რომ მათ სულზე ფულით გადასახადი გააწერეს. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღო რვა ათასამდე გლეხს, ხოლო 46 ათასამდე მონაწილეობა არ მიიღო.

[1]) იხ. „ამირანი" № 89.

აი ფაქტი, ხოლო ის, რასაც ბ. ჯორჯაძე სწერს — ეს მისი აბნეულ-დაბნეული ისტორიაა. ეს ჩვენ წინათაც მოვიხსენიეთ, მარა ბ. ჯორჯაძე მაინც იმეორებს თავის აბნეულ „ისტორიას“! აშკარაა, მას არ ძალუძს ისტორიული ფაქტები შეითვისოს ისე, როგორც ეს ნამდვილათ ხდებოდა. მოძრაობის მეთაური რომ გლეხობა ყოფილიყო და არა თ.-აზნაურობა, მაშინ უკანასკნელს ისე სასტიკათ არ დასჯიდენ, მამულების კონფისკაცია, სახლების დანგრევა, გაციმბირება — აი მეამბოხე აზნაურთ ხვედრი, ხოლო მათ მომყოლ გლეხობას გადასახადი დაადვეს.

ასე აბნეულ-დაბნეულათ მოგვითხრობს ბ. ჯორჯაძე სამეგრელოს გლეხთა მოძრაობას 1857 წ. ჩვენი საბუთების წინააღმდეგ ხმასაც არ იღებს, ხოლო გაიძახის იმას, რომ ამ მოძრაობამ დააჩქარა სამეგრელოს ავტონომიის მოსპობა, რასაც ჩვენ ვამბობდით წინეთ, ხოლო უფრო დალაგებით და საბუთებით. ის ისე, უსაბუთოთ, „ზეპირათ“ გაიძახის — გლეხებს რუსების ჩამორევა არ მოუთხოვიათო; ვთქვათ რუსების რაპორტი არ არის სანდო, ქართველის და ისიც სამეგრელოს მმართველის რაპორტს ხომ ენდობით ბ. ჯორჯაძე? ხოლო სამეგრელოს მმართველი, დადიანის დედა ეკატერინა 31 მაისს 1857 სხკათა შორის სწერდა თ. ბებუთოვს (მთავრობის წარმომადგენელს): მარცხენა მხარის აჯანყებულნი დავაწყნარე, მაგრამ მარჯვენა მხარისა მიქავას მეთაურობით არ დაწყნარდა და ყვიროდა რუსები ჩვენსკენ არისო. მოვიდა ქუთაისის გუბერნატორი კოლიუბაკინი, მან საფუძვლიანათ იცნა გლეხთა მოთხოვნა, რაღაც ფულიც მისცა, ყველა ეს მიიღეს ჯილდოთ რუსებისაგან. მე და მებატონებს აღარაფერში არ მემორჩილებიან და სხ.[1]).

ერთი სიტყვით, ფაქტია ის, რომ სამეგრელოს გლეხებმა თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მიმართეს უცხო ძალას — რუსის მთავრობას და ამ ფაქტს ისტორიიდან ვერ ამო-

[1]) „Акты“ т. XII стр. 126—133.

შლით. რამდენათ ის იმედი გლეხებს გაუმართლდა—ეს სხვა კითხვაა, საკმარისია ვთქვათ ეს, რომ ბატონყმობა ყველაზე გვიან სწორეთ სამეგრელოში მოისპო. მაშასადამე, გლეხთა იმედი არ გამართლდა, მაგრამ ეს მერმინდელი ამბავია და გავლენა არ ქონებია არც მოძრაობაზე და არც ავტონომიის მოსპობაზე

ასევე მიკიბულ-მოკიბულია ბ. ჯორჯაძის „თქმულება“ გლეხთა ინტერესების დაცვაზე. ჩვენ ვწერდით გლეხობას მუდამ ებრძოდა თ.-აზნაურობა, ის რაიმე მფარველობას მხოლოთ უცხო ძალაში—რუსის მთავრობაში პოულობდა, განსაკუთრებით ვორონცოვამდის,—ხოლო ვორონცოვმა თავის თავი აშკარათ გამოაცხადა მებატონეების მომხრეთ და სხ. ახლა ბ. ჯორჯაძე ამ საგანზე ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენს ნათქვამს არა თუ არ არღვევს, პირიქით კიდევაც ამტკიცებს. მაგ. ის სწერს, რომ ბარონ როზენის შუამდგომლობა—გლეხებს თავისუფლების ძიება შევუვიწროვოთო, სენატმა არ შეიწყნარაო; აგრეთვე არ შეიწყნარეს სენატორთა—მეჩნიკოვის და კუტაისოვის—პროექტი, რომლის თანახმათ ქართველ მებატონეთ ეძლეოდათ რუს მებატონეთა უფლება თავის ყმების სალდათში მიცემის და გაციმბირების[1]). ბ. ჯორჯაძე შემდეგ მოგვითხრობს იმას, რომ ვორონცოვის დროს უფლებები შეკვეცეს, ე. ი. ამბობს იმას, რაც ჩვენ ვთქვით კაი ხანია. ბოლოს მოყავს ჩვენი სიტყვები—ნაციონალური ძალა მუდამ სდევნიდა გლეხებს თქვა და ვითომ ვერ გაიგო რაზე ვლაპარაკობთ—მედიდურათ გვიპასუხებს: ეს ტყუილია, ქართველი მეფეები ზრუნავდენ გლეხებზეო[2]). ჩვენ ვლაპარაკობთ მეცხრ.-მეტე საუკუნეზე, როცა ქართველნი მეფენი არ ყოფილან. ჩვენ ვლაპარაკობთ თ.-აზნაურობაზე, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნეში ერთად ერთ შეკავშირებულ ნაციონალურ ძალას წარმოადგენდა, ბ. ჯორჯაძე კი ამის პასუხათ გველაპარაკება წინა საუკუნეებზე და მეფეებზე! რა ქვია ამას, პოლემიკა თუ ჯამბაზობა?

[1]) იხ. „ამირანი“ № 90.

[2]) ib.

ბ. ჯორჯაძეს არ მოსწონს თ.-აზნაურობაზე ასეთი ლაპარაკი და სიტყვას ბანზე აგდებს. ხოლო ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. რაკი ქართველი გლეხობა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში თ.-აზნაურობაში მხოლოთ მტრულ განწყობილებას ხედავდა, ამიტომ არც მისი და არც მასთან დაკავშირებული ჯგუფების (ინტელიგენცია და სხ.) არაფერი არ სწამდა. ის ამ დროს მთავრობაში ხედავდა მფარველობას. მარა როცა ასპარეზზე გამოვიდა ისეთი პარტია, რომელსაც თ.-აზნაურობასთან და მის ჯგუფებთან ყოველივე კავშირი გაწყვეტილი ქონდა, როცა მან დაინახა, რომ ეს ჯგუფი გულწრფელათ ებრძვის როგორც მებატონეთა ისე ჩინოვნიკთა ბატონობას, მაშინ ის ამ ჯგუფისაკენ გადავიდა და მის ფეხულში ჩადგა. ეს ჯგუფია—მუშათა პარტია.

ხოლო ბ. ჯორჯაძეს და მის ამყოლ-დამყოლთ კი უკვირთ, რატომ ჩვენ არ გვიწამა ხალხმაო? რატომ და იმიტომ, რომ თქვენში ხალხი ხედავს თავად აზნაურობის წიწილებს, რომელნიც მის გარშემო დაფრინავთ და მის კალთებს ეფარებით. და რამდენიც უნდა იძახოთ—ჩვენც სოციალისტები ვართო—არავინ დაგიჯერებთ, ვინაიდან სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა. თქვენ აფუჩეჩებთ თ.-აზნაურობის როლს გლეხობის დეკნაში—და იმავე დროს იძახით—გლეხის მოყვარე ვართო. აი ეს არ სჯერა მას და არც დაიჯერებს არასოდეს. და რადგანაც თ.-აზნაურული მიმართულება ლიტერატურაშიაც ძლიერი იყო, ამიტომ ბ. ჯორჯაძე ამასაც აფუჩეჩებს. აქ ის ლოლიკაშია. რაკი მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის ღერძათ მას გამოაქვს არა შინაური კლასთა ბრძოლა, არამედ გარეშე ძალასთან (რუსეთთან) ბრძოლა, რასაკვირველია, ლიტერატურაშიაც ის კლასთა ბრძოლასაც უნდა აფუჩეჩ ბდეს და მის მთავარ ღერძათ უცხო ძალასთან ბრძოლა გამოქონდეს. და რომ ეს ასეა, ამას გვიჩვენებს ბ. ჯორჯაძის ისტორია ქართული აზროვნების განვითარებისა. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ნაციონალური კითხვა ჩვენში.

(1913 წ.).

ფედერალისტთა მთელი საარჩევნო აზროვნობა გამოიხატა ერთ სიტყვაში. ეს არის სიტყვა ავტონომია. მათ ბრძოლის ღერძათ, მაშასადამე, ნაციონალური კითხვა გამოიტანეს. მართლა ეს კითხვაა მთავარი მიზეზი ჩვენი გაყოფის? რასაკვირველია არა. ყოველგან და ყოველთვის პარტიათა შედგენის და მათი ბრძოლის ჩარხია ნიადაგი კლასიური და არა ეროვნული. გამოარკვიეთ რომელ პარტიას რომელი კლასი ემხრობა და თქვენ დაინახავთ მათი შეტაკების მთავარ მიზეზს. ამ მხრით დიდათ საყურადღებოა წასული არჩევნები. აქ ქართველი ერი გაიყო ორად. ერთ მხარეზე დადგენ მუშები და გლეხები, მეორეზე თავადები და შეძლებული აზნაურები. კლასიური ჩამოყალიბება აშკარაა; ამ ორ ბანაკს შორის არსებული ღრმა წინააღმდეგობა ეკონომიური და სოციალური ხასიათისაა. ე. ი. ჩარხი მათი დაყოფისა და დაპირდაპირების კლასიურია და არა ეროვნული. და თუ ფედერალისტები პირველს ხელს აფარებდენ და მეორეს აფრიალებდენ ეს ხატავს მათ ბრძოლის ტაკტიკას და არა ბრძოლის ჩარხს. ასე ჩადიოდენ ისინი ყოველთვის, ასე ჩადიან დღესაც. ნაციონალური კითხვა ის პირბადეა, რომლითაც გაბატონებული ჯგუფები საზოგადოებაში გამოდიან და თავის კლასიურ საქმეებს აკეთებენ. აბა კითხეთ ბოლგარელ შოვინისტებს: რატომ ებრძვით ოსმალეთს?—თუ მაშინვე დიადი ფრაზებით არ გიპასუხონ: ისინი ეხვევიან ნაციონალურ სამოსელში და არასოდეს არ ამბობენ იმას, რაც არის. ასეთი თვისებისაა ყველა ჯურის და ერის ნაციონალისტები.

ეს გარემოება ჩვენ ნებას არ გვაძლევს მათ არ გავყვეთ ამ ნიადაგზე და ომი არ გავუწიოთ. პირიქით, ჩვენი მთავარი ინტერესია ნაციონალური კითხვის გამორკვევით დავამარცხოთ

ისინი ამ ნიადაგზედაც და ასე ნაციონალური პირბადის ჩამოხდით ნათელვყოთ მათი კლასიური სულის კვეთება.

ყველა კლასს თავისებურათ ესმის ნაციონალური კითხვა, თავისებურათ ესმის იმ კლასსაც, რომლის მეთაურები ჩვენი ფედერალისტებია. რა კლასია ეს. უკვე დავინახეთ წასულ არჩევნებზე. გამორკვევა იმის, თუ რამდენად შეესაბამება ფედერალისტთა ნაციონალური პროგრამა მის მიმდევარ კლასის ინტერესებს,—აი მეტად საყურადღებო კითხვა. ასეთი საყურადღებოა გამორკვევა იმის, თუ რამდენად ხატავს ჩვენი ნაციონალისტური შეხედულობა მუშა ხალხის ჭირ-ვარამს. ერთი სიტყვით, ყველა პარტიას თუ ჯგუფთ მისი კლასიური საარჩული უკარნახებს ნაციონალურ პროგრამას. ისე როგორც პოლიტიკურს, სოციალურს და სხ.

ჩვენ ნაციონალურ კითხვაზე ჩვენი აზრი გამოვთქვით წიგნაკში „ძველი და ახალი". მარა ვინაიდან ეს იყო საარჩევნო პლატფორმა, ამიტომ შიგ გამოთქმული აზრები მეტად მოკლე და სხარტული დარჩა. ამ გარემოებამ გამოიწვია ჩვენ თანამოაზრეთა ერთ ნაწილში გაუგებრობა და დრტვინვა,—ნამეტანი ბევრი ითქვაო—ხოლო მეორე ნაწილში—ნამეტანი ცოტა ითქვაო. ყოველივე ეს კი ამტკიცებს კითხვის ხელ-ახალი განხილვის და დასაბუთების საჭიროებას.

1. საჭიროა ფართო პროგრამა ნაციონალურ კითხვაზე?

როგორც ვთქვით ნაციონალური კითხვის გამორკვევა და მისი დაწვრილებით გათვალისწინება მიუცილებელი საჭიროებაა ჩვენებურ პოლიტიკური მოღვაწისათვის. ეს ერთი შეხედვით სადავო აც კი უნდა იყოს. ნამდვილათ კი ეს ასე არ არის. მთელი რიგი ჩვენი თანამოაზრეთა არ იზიარებს ამ შეხედულებას და იცავს ძველ საერთო დეკლარატიული ხასიათის ფორმულებს აღძრულ კითხვაზე. ამ საერთო ფორმულების გარკვევა, მათში განსაზღვრული შინაარსის ჩადება და ადგილობრივ

პირობათა მიხედვით პრაკტიკაში გატარება, ეს ბევრს ნაადრევათ მიაჩნია. ჩვენი აზრით ასეთი შეხედულება მეტად შემცდარია და იმავე დროს მავნებელიცაა. და მართლაც რაკი ჩვენში პოლიტიკური ბრძოლა, პარტიათა შეხლა-შემოხლა და განხეთქილება ნაციონალური კითხვის გარეშემო განსაკუთრებით მწვავდება, რაკი ჩვენი მოწინააღმდეგენი ამ ბაირაღის ქვეშ გარაზმულნი ყოველ დღე სისტემატიურათ გვებრძვიან, ცხადია ამ კითხვას უკვე დაუკარგავს თვისი აკადემიური ხასიათი და ის პრაქტიკულ კითხვათ გადაქცეულა. ამას ვერ ხედავენ მხოლოდ ისინი, ვინც ჩვენებურ ბრძოლაში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებენ, ამ ბრძოლის პირობებს არ იცნობენ და ყოველივე ამას შორიდან უცქერიან. მეორე მხრით, როცა შენს ირგვლივ შენს უნებურათ მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვა დგება, მათ გარშემო ბრძოლა გაჩაღებულია, ხოლო შენ კი ამისათვის მზად არა ხარ და არც გსურს მოემზადო, ცხადია მთელი ეს მოძრაობა სწარმოებს შენს გარეთ, სხვების მეთაურობით და წყალობით. ერთ დროს რუსეთში ის აზრი ტრიალებდა, რომ მუშების საქმეა ეკონომიური კითხვების გამოკვლევა, გაფიცვების მოწყობა, თავის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება, ხოლო პოლიტიკური კითხვების დაწვრილებით შესწავლა ლიბერალების და რადიკალები საქმეაო. მუშები კი საერთოდ პოლიტიკური დეკლარაციით უნდა დაკმაყოფილდენო. ამას ეწოდებოდა „ეკონომიზმი“, ეს მიმართულება რომ დარჩენილიყო ძალაში, მისი შედეგი იქნებოდა მუშების ლიბერალების მიერ პოლიტიკურად დაპყრობა და ასე ლიბერალური მუშათა მოძრაობის დაწყება.

„ეკონომიზმი“ გაქრა პოლიტიკურ სფეროდან, მარა ასეთი აზროვნება ბევრს შერჩა ნაციონალურ სფეროში. ნაციონალური კითხვის გამოკვლევა მივანებოთ ნაციონალისტებს, დეე მათ იტეხონ თავი ამაზე რამდენიც უნდათ, ეს მათი ხელობაა, ჩვენ ჩვენს საქმეს ვეწიოთ—აი რას გვეუბნებიან ისინი. ეს როგორც ხედავთ იგივე „ეკონომიზმია“, იგივე პოლიტიკური

ნიჰილიზმია ნაციონალურ ნიადაგზე გადატანილი. ამის შედეგს ჩვენ უკვე ვხედავთ. ნაციონალისტები უფრო და უფრო ავრცელებენ თავის აზრს და რადგანაც ჩვენები მომზადებული არ არიან, ისინი ნიადაგს პოულობენ და მაგრდებიან.

ნაციონალური კითხვა, ისე, როგორც სოციალური, პოლიტიკური და სხვა მრავალი კითხვების კრებულია, მრავალ ცალკე მოთხოვნილებათა ერთ რგოლზე აცმა და ერთ საერთო პრობლემათ გამოტანაა. აბა რას იტყოდით სოციალური კითხვის შესახებ რომ გვეთქვა: ეს კითხვა გადაიჭრება სოციალიზმის დამყარებით, სხვა პროგრამა საჭირო არ არისო. ასე აზროვნობენ დღეს მხოლოდ ანარქისტები. მარქსისტებს კი შედგენილი აქვსთ თავის საკუთარი სოციალური პროგრამა, როგორც მაქსიმალური, ისე მინიმალური. ან და რა იქნებოდა პოლიტიკურ კითხვაში დავკმაყოფილებულვიყავით მარტო საერთო ფრაზებით დემოკრატიაზე და თავისუფლებაზე, ხოლო პროგრამაში დაწვრილებით არ აგვენუსხა—როგორ გვესმის ჩვენ ეს თავისუფლება და დემოკრატიული წყობილება. და თუ ამას არ ჩავდივართ არც ერთ სფეროში, რატომ ეს უნდა ჩავიდინოთ ნაციონალურ კითხვის სფეროში?

ამბობენ, რა საჭიროა ნაციონალური კითხვის წამოყენება, როცა მისი ცალკე გადაწყვეტა არ შეიძლება, ის ერთი რგოლია საერთო დემოკრატიული მოთხოვნილების და როცა დემოკრატიული წყობილება დამყარდება, ამით თავის-თავათ ნაციონალური კითხვაც გადაიჭრებაო[1]). ეს ერთიანათ ძველი ბალშევიკური აზროვნებაა და გასაკვირალი არ არის, როცა ახლა ამას იმეორებენ იმავე მიმართულებას ძველი მიმდევრები. მარა მათ ავიწყდებათ შემდეგი: რატომ იგივე არ შეიძლება ითქვას სიტყვის თავისუფლებაზე? და საზოგადოთ რა საჭიროა სხვა და სხვა პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება, როცა ყველა ეს გადაწყდება დემოკრატიული წყობილების მოპოებით?

[1]) ასე სწერს მაგალითად სტალინი ჟურნალ „პროსვეშჩენიე"-ში № 4 გვ. 25 და 26. სტატია „Национальный вопрос".

და ოუ ამას არც ერთი პარტია არ ჩადის, ცხადია—რატომ შვრებიან ამას: მოთხოვნილებათა წამოყენებას და მათი დროშის ქვეშ ბრძოლას დიდი საპროპაგანდო და საორგანიზაციო მნიშვნელობა აქვს. ამით თავს იყრიან ერთნაირათ მოაზრენი, დგება და მძლავრდება პარტია და ასე ხდება იგი პოლიტიკური მოძრაობის ღერძათ. რვა საათის სამუშაო დღის საყოველთაოთ შემოღება კაპიტალისტურ წყობილებაში პოლიტიკურათ შეუძლებელია, მარა ეს მაინც სოციალური რეფორმების ქვაკუთხედათ არის აღიარებული და მის გარეშემო მუშათა დიდი არმიაა თავმოყრილი.

ერთის სიტყვით, მოთხოვნილებათა წამოყენება განიზომება არა მათი დაუყონებლივი კანხორციელებით, არამედ მათი საორგანიზაციო და საპროპაგანდო მნიშვნელობით. ის მოთხოვნილება, რომელიც აკავშირებს მეტ მუშას და აახლოვებს საბოლოო მიზანს, წამოსაყენებელია ყოველ გვარ არსებულ პირობაში. ჩვენი მარქსისტების ერთი ნაწილი თავიდანვე ვერ ურიგდებოდა ასეთს შეხედულობას და მხოლოდ მეორე ნაწილის გავლენით ითვისებდა მას და პრაკტიკულათ იყენებდა ზოგიერთ კითხვის გადაჭრაში, ხოლო დანარჩენში ისევ ნიჰილისტურ გზას არ შორდებოდა. დღესაც ეგრედ წოდებული პეტიციონური კამპანია, კოალიციის თავისუფლებისათვის ბრძოლა და სხვა „კერძო მოთხოვნილებანი“ სადავოთ არის გამოცხადებული იმავე ჯგუფის მიერ და, თავის უარყოფითი დამოკიდებულობას მათდამი ასაბუთებენ სწორეთ ისე, როგორც ნაციონალური კითხვის ცალკე კითხვათ წამოყენების უარისმყოფელნი: შეტევა და იერიში ყოველიფერს გადაწყვეტსო.

ამნაირათ ნაციონალური კითხვის ფართოთ დაყენება და გამორკვევა გაგრძელებაა ჩვენი ძველი ტაქტიკის: ცხოვრების ფეხდაფეხ მიყოლა, არსებულ ძალთა განწყობილებისათვის ანგარიშის გაწევა და შესაფერ მოთხოვნილებათა წამოყენებით დაჩაგრული კლასის გათვითცნობიერება და ერთი მიზნისაკენ ბაქანება.

ნაციონალური კითხვის უყურადღებობა ჩვენში აბრუდებს ამ კლასის შეგნებას, და ერეკება მას ნაციონალისტთა ბანაკში.

2. ნაციონალური კითხვის საგანი.

ნაციონალური კითხვა შეიცავს ბევრ ნაირ კითხვას. აქ შეიძლება იყოს კითხვა თვით ნაციის წარმოშობასა და განვითარებაზე. კითხვა ნაციის შემადგენლობაზე და თვისებებზე,--მის ხასიათზე და ენაზე და სხ. და სხ. თვითოეული ეს კითხვა შეადგენს საგანს მეცნიერების სხვა და სხვა დარგის. ერთს ნათგანს იძიებს სოციოლოგია, მეორეს ეტნოგრაფია, მესამეს ლინგვისტიკა, მეოთხეს ისტორია და ასე ბოლომდის.

მარა ჩვენ აქ არც ერთი ეს კითხვა არ გვაინტერესებს და მათ ამ წერილების საგნებათ ვერ გადავაქცევთ. ჩვენ გამოვდივართ ყველა იმ ფაქტებისაგან, რომელნიც ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერებათა საგანია. ჩვენ ამ ფაქტებს და მათ შესახებ დასკვნებს ვღებულობთ როგორც არსებულთ და ჰეშმარიტთ. ჩვენ ვამბობთ: ნაცია არსებობს, ცხოვრობს, ვითარდება, ნაციონლაური მოვლენანი ჩვენ თვალწინ ხდება, ზოგი ერი წინ მიდის თავისუფლათ, შეუბორკავად, ზოგს კი ხელფეხი შეკრული აქვს და ის ერთ ალაგას ბორძიკობს. ამ ნიადაგზე აღმოცენდება ნაციონალური ბრძოლა, შუღლი, განხეთქილება, რაც აფერხებს საზოგადო წინ-მსვლელობას. ასეთ პირობაში თავის-თავად იბადება აქ კითხვა: რა ნაირათ შეიძლება თვითეული ნაციის განვითარება უჩხუბრათ და უდავიდარაბოთ.

საზოგადოების განხეთქილების დიდა ბოძი ეკონომიური ხასიათისაა. კლასობრივი განსხვავება და ბრძოლა ამ ნიადაგზე მუშავდება და წარმოებს. ეს საზოგადოების ძირითადი მოვლენაა, მისი გადაჭრა ძირითადი კითხვის გადაჭრაა, მარა ამ მთავარ მოვლენას ზედ ერთვის და ხშირად ერთიანათ ფარავს სხვა უფრო ზერელე მოვლენანი, რომელთაც პირდაპირი კავშირი არ აქვს ძირითად მოვლენასთან. ერთ დროს ასეთი

კითხვა იყო რელიგიური. კათოლიკენი. და პროტესტანტები ერთმანეთს ებრძოდენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვა და სხვა ნაირათ ლოკულობდენ. საზოგადოებაც გაიყო არა კლასების მიხედვით, არამედ სარწმუნოების. დიდი დრო შეიქნა საჭირო, სანამ ამ ბურუსიდან საზოგადოება გამოვიდოდა და თავის ბუნებრივ სახეს მიიღებდა.

და აი დღეს, როცა რელიგიური კითხვა ჩამოშორდა სოციალურს და განმარტოვდა, მისი ალაგი დაიჭირა ნაციონალურმა კითხვამ. ახლა ეს კითხვა ხვევს ბურუსში კლასთა განსხვავებას, ფარავს ეკონომიურ ანტაგონიზმს და ამ მხრით ის თამაშობს როლს წინა საუკუნოების რელიგიური კითხვისას. წინეთ ფანატიკოსები ადგენდენ ერთ რაზმს, მიუხედავათ სოციალურ მდგომარეობისა. ივანე გუსის დაწვაში ერთნაირ მონაწილეობას იღებდა მდიდარი და ღარიბი, ქალი და კაცი, ყველა მართლ-მორწმუნე კათოლიკე.

დღეს ნაციონალისტები ადგენენ ერთ რაზმს, მიუხედავათ სოციალური მდგომარეობისა და მეორე ნაციასთან საბრძოლველათ იწოდებენ მდიდართ და ღარიბთ, დიდს და პატარას, ქალს და კაცს ყველა თანა მემამულეთ.

რატომ ასე მწვავე მიმართულებას ღებულობენ ეს კითხვები? ამის მთავარი მიზეზია სახელმწიფოს დამოკიდებულება მათთან. კათოლიკური სარწმუნოება შეადგენდა სახელმწიფო სარწმუნოებას, ამიტომ სარგებლობდა განსაკუთრებითი მფარველობით და ბატონობდა. პროტესტანტული მიმართულება ნიშნავდა ბრძოლას ამ გაბატონებულ მიმართულებასთან და რადგანაც სახელმწიფო თვით გამოვიდა მებრძოლ მხარეთ—ბრძოლაც გამწვავდა. ბრძოლა რელიგიურ ნიადაგზე დღესაც არის, მაგრამ რადგანაც სახელმწიფო ამ ნიადაგზე ნეიტრალურ როლს თამაშობს, მიტომ რელიგიური ბრძოლა ღებულობს მშვიდობიან ხასიათს. ის წარმოებს პრაპაგანდის და ქადაგების სახით. სხვა პირობაშია დღეს ნაციონალური კითხვა. მრავალ ნაციის სახელმწიფოში ჩვეულებრივათ ერთი

ნაციაა, სახელმწიფო ნაციათ აღიარებული, სხვა კი დამორჩილებულათ. ამიტომ სახელმწიფო ძალ-ღონე მიმართულია ამ ერთი ნაციის გამაგრების და გამძლავრებისაკენ, რომლის კვარცხლბეკათ სურს გადააქციოს სხვა ნაციები. მარა რადგანაც თვითეული ასეთი მორჩილი ნაცია იძულებულია განვითარდეს, ე ი. იბრძოლოს არსებობისათვის, ცხადია აქ ის ეტაკება არა მარტო გაბატონებულ ნაციას, არამედ სახელმწიფოსაც, ამ უზარ-მაზარ ძალასაც და იწყება დიდი შუღლი და განხეთქილება. აი აქ იბადება ნაციონალური კითხვა.

არის მრავალ-ერიანი სახელმწიფო, სადაც ნაციონალური კითხვა არ დგება, მაგალითათ: შვეიცარია, ამერიკა, ბელგია, კანადა და სხ. რატომ? იმიტომ რომ სახელმწიფო ნაცია აქ არ არსებობს. სახელმწიფო ნაციათა შორის ნეიტრალურ ანუ ერთნაირი ხელის-შემწყობის როლს თამაშობს. ის დაინტერესებულ მხარეთ არ გამოდის. ამისთვის ბრძოლა ნაციათა შორის არ არის პოლიტიკური ბრძოლა; ის კულტურული ბრძოლაა. ის უფრო შეჯიბრებაა, ვინემ ბრძოლა, აქ ერთმანეთს ბაძვენ კარგ საზოგადო საქმეებში, ერთმანეთს წინ ასწრობენ სხვა და სხვა დაწყებულებით და აღმოჩენებით.

მაშასადამე, ნაციონალური კითხვის საგანია **ნაციის დამოკიდებულობა სახელმწიფოსთან.**

ერთ სახელმწიფო ფარგალში, ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობენ მრავალი ერი. რა იურიდიული ნორმა შექნის მათ საუკეთესო დამოკიდებულობას? ანუ რა გვარი განწყობილება უნდა იყოს მათ და პოლიტიკურ ძალას—სახელმწიფოს შორის? აი პრობლემა.

როგორც ხედავთ, ნაციონალური კითხვის საგანია უფლებრივი ნორმა, ხოლო უფლებრივი ნორმის საგანია ადამიანთა ურთი-ერთ შორისი დამოკიდებულობა, ადამიანთა დამოკიდებულების იურიდიულ კალაპოტში ჩამოყალიბება საგანია პოლიტიკის. ის უდიდესი პოლიტიკური კითხვაა. ცხადია ნაციონალური კითხვა პოლიტიკური კითხვაა. ის ნაწილია უფ-

რო დიდი კითხვის, სახელდობრ: როგორ უნდა იხატებოდეს საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთობა? სახელმწიფო უნდა ერეოდეს საზოგადოებრივ ბრძოლაში თუ არა? და თუ ერეოდეს—რომელში და როგორ? ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგმა სახელმწიფომ თავის ნეიტრალობა უკვე გამოაცხადა რელიგიურ კითხვაში. შეუძლია მას ასეთივე ნეიტრალობა გამოაცხადოს ნაციონალურ კითხვაში?

ასე თუ ისე, ნაციონალური კითხვა ჩნდება მრავალ ნაციათა სახელმწიფოში მხოლოთ იმ შემთხვევაში, როცა ერთი ან რამოდენიმე ნაცია აღიარებულია სახელმწიფო ნაციებათ, მხოლოთ სხვები კი დამორჩილებულათ: „ინოროდცებათ“.

ნაციონალური კითხვა შეიცავს კითხვას ნაციის და სახელმწიფოს ურთიერთობაზე. ის პოლიტიკური კითხვაა და ჩვენც აქ მისი ეს მხარე გვაინტერესებს და ამ წერილების საგანსაც სწორეთ ეს შეადგენს.

3. ნაციონალური კითხვის წამოყენება.

ნაციონალური კითხვა, როგორც ვთქვით, პოლიტიკური კითხვაა. მისი წამოყენება, მაშასადამე, დამოკიდებულია ერთი მხრით ნაციის ნაწილთან და მეორე მხრით ამ ნაწილთა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე. თუ ერი ჩვილი და განუვითარებელია, თუ მას არ ყავს საკმაოდ მომწიფებული და ნაციონალური შეგვიწროების გრძნობიარე კლასები, ცხადია ის ვერავითარ ნაციონალურ მოთხოვნილებას ვერ წამოაყენებს. აგრეთვე, თუ სახელმწიფო სათუთათ ეპყრობა ნაციის თვისებებს და თავმოყვარეობას, თუ მისი მოქმედება პირდაპირ არ ეჯახება სხვა ნაციის ინტერესებს, განსაკუთრებით კი დაბალ ხალხთან მისი კავშირი წარმოებს ადგილობრივი ძალებით, მაშინ სახელმწიფოს ნაციონალური უღელი საგრძნობი არ არის დიდი უმრავლესობისათვის და ამიტომ ნაციონალურ კითხვას ნიადაგი არა აქვს.

აშკარაა, ნაციონალური კითხვა, როგორც ერთი დარგი პოლიტიკური კითხვის, მოითხოვს მასიურ სურვილს, მასიურ მოქმედებას. შეიძლება მაგალითათ ბელორუსები სოციოლოგიურათ განსაკუთრებული ერი იყოს. მარა პოლიტიკურათ ისინი იგივე ველიკორუსებია, ვინაიდან მათ არავითარი მასიური სურვილი არ გამოუთქვამთ თავისი ნაციონალური საჭიროების შესახებ. აი აქ სოციალოგიური და პოლიტიკური პრინციპი ნაციის კითხვაში ერთმანეთს ხვდება და ეწინააღმდეგება. ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მეგრელები და ქართველები სხვა და სხვა გვარ-ტომობისაო. მარა პოლიტიკაში ამას, თუნდაც ეს მართალი იყოს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან მეგრელები ქართველებისაგან განსხვავებულ ნაციონალურ ინტერესებს არ აყენებენ. ერთის სიტყვით, ნაციონალური კითხვის წამოყენება დამოკიდებულია ნაციის ნაწილთა სურვილზე და მოქმედებაზე.

ამ მხრით რომ გავსინჯოთ ჩვენი ნაციონალური კითხვის ისტორია, დავინახავთ შემდეგს: პირველათ ეს კითხვა დადგა მეცხრამეტე საუკუნეს პირველ მეოთხედში. რუსის მთავრობის შემოსვლა და ბიუროკრატიული რეჟიმის შემოღება საზარალო შეიქნა ქართველ მოხელეთათვის, რომელთა ფეოდალური თანამდებობა გაუქმდა. მართველ წრეებმა უცებ დაკარგეს წინანდელი გავლენა და პატივი. მეორე მხრით ახალ მოხელეთა ბოროტ-მოქმედებამ და გაუმაძღარმა მექთაბეობამ შეავიწროვა გლეხობა და ასე მომზადდა ნიადაგი მასიურ სურვილის გამოსაცხადებლათ. იწყება მთელი რიგი ნაციონალური აჯანყებებისა და მოთხოვნილებებისა.

შემდეგ რუსები სცვლიან პოლიტიკას. უკმაყოფილო წრეებს სხვა და სხვანაირათ იმადლიერებენ. თავად.-აზნაურთ აძლევენ სამსახურს, ჩინს და ორდენებს; გლეხობას მფარველობას უწევენ მებატონეთა თავგასულობისაგან. კლასთა ბრძოლა ამ ორ წოდებათა შორის ფართოვდება და ღრმავდება. გლეხობა მთავრობას შეყურებდა როგორც მოსაშვალეს და დამცველს.

სახელმწიფოსა და ერს შორის საუკეთესო დამოკიდებულობა ჩამოვარდა.

მესამოცე წლებში იწყება რუსეთის ე. წ. დიდი რეფორმები, რომელთა ნაფერთხალი ჩვენც მოგვეხვდა. ახალი სასამართლო, ახალი სკოლები და ახალი სასოფლო მართველობა შემოვიდა. სახელმწიფო დაუახლოვდა ხალხს, მთელ ერს. წინეთ ისინი ძლიერ შორს იყვნენ ერთი-მეორისაგან. გლეხს ბატონი ასამართლებდა, შკოლები არ იყო, ხოლო გიმნაზიები, ოლქის სასამართლოები და სხვა მაღალი რუსული დაწესებულებები ხალხისათვის მიუწდომელი იყო. სოფელში რუსის მთავრობის წარმომადგენელათ ითვლებოდა მდივან-ბეგი, რომელიც ქართველი იყო. დიდხანს ჩვენი გლეხი რუსს ეძახდა სალდათს, ვინაიდან სხვა რუსს არასოდეს არ ხვდებოდა. მესამოცე წლებიდან იცვლება ეს გარემეობა: სახელმწიფოს ხალხთან დაახლოვებამ სასამართლოს და სკოლის საშუალებით დაბადა შემდეგი კითხვა: ამ დაახლოვების გზა და ხიდი რუსული ენა უნდა იყოს თუ ქართულიო. ნაციონალური კითხვა დგება.

მესამოცე წლების ნაციონალური კითხვა სრულიად არ ეხებოდა ნაციის მართვა გამგეობას. ამ დროს თხოულობდენ არა ნაციონალურს მართველობას, არამედ ნაციონალური კულტურის ნაციონალური ენით აღორძინებას. ეს უმთავრესათ ენის კითხვაა. თუმცა აქ მომქმედ ელემენტს ინტელიგენცია შეიცავდა, ე. ი. მასიური სურვილი ინტელიგენციის სურვილით იხატებოდა, მარა ეს სავსებით ეთანხმებოდა მასის სურვილსაც, ვინაიდან ეს მისი პირდაპირი ინტერესი იყო. ხალხის კულტურული განვითარება, რაც პირველყოვლისა სახალხო სკოლებს მოითხოვს, შეუძლებელია უცხო ენაზე. ამ დროის ბრძოლის და დავის ნაყოფია 1881 წ. სასკოლო გეგმა, რაც დღესაც სახათაბალოთ არის გადაქცეული. ამ დროიდან იწყება ჩვენი კულტურული აღორძინება ევროპიულის შინაარსით. ეს აღორძინება ვერ იქნებოდა და არც იყო ან-

ტი-სახელმწიფოებრივი. მიმართულება სეპარატიული ან ავტონომიური სრულიათ ეწინააღმდეგებოდა მასის სურვილებს, ვინაიდან ეს მასა რუსის მართველობაში ხედავდა მოსარჩლეს თავის ნაციონალური ბატონების წინააღმდეგ. ნაციონალური მთავრობა მოასწავებდა ამ ბატონების მთავრობის დაწესებას, მათ ხელში ეკონომიური და პოლიტიკური ძალის მოგროვებას. ასე ჩინებულათ შეიარაღებული წოდება უიარაღო და უმწეო გლეხობისათვის მეტად საშიშარია. გლეხობას კარგად ახსოვდა, რომ სწორედ მესამოცე წლების დასაწყისში (1858 წ.) სამეგრელოს გლეხობა აჯანყდა ავტონომიური მართველობის წინააღმდეგ და მოითხოვა „რუსული სამართალი". ერთის სიტყვით. ხალხის ინტერესი მოითხოვდა წამოყენებას ნაციონალური კითხვის, რთგორც კულტურული კითხვის.

შემდეგ განვლო დიდმა ხანმა. ერის აგებულობაში მოხდა მრავალნაირი ცვლილება. აღორძინდა ახალი კლასები, გამრავლდა სკოლები, გაფართოვდა სამოქალაქო სარბიელი. დაიწყო დიდი პოლიტიკური მოძრაობა. ნაციონალური კითხვა ისევ წინანდელი დარჩა. ის ისევ კულტურულ კითხვათ წარმოდგა. და ან შეიძლებოდა სხვანაირათ? გამრავლება სკოლების, სასამართლოების, ხალხის ჩაბმა ახალ საღებ-მიცემო ასპარეზზე, მისი გაქალაქება, ახალ ევროპიულ საარსებო პირობებში მოქცევა, უეკველათ მოითხოვს მეტ ცოდნას, მეტ განვითარებას, მეტ კულტურულ მომზადებას. ხოლო. ყველა ამის იარაღია სამშობლო სკოლა, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება და სხვ. ნაციონალური კითხვა, როგორც კულტურული კითხვა არის იმავე დროს მასიური კითხვა.

მარა ამ დროს ინტელიგენციის ერთი ნაწილი არ კმაყოფილდება კულტურული კითხვით და აყენებს ნაციონალურ მართვა-გამგეობის საკითხს. ცხადდება ახალი ნაციონალური პროგრამა, რომლის მთავარი მოთხოვნილებაა საქართველოს ნაციონალური ტერიტორიალური ავტონომია. ამ პროგრამას

ევხრობა თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ქალაქთა თვით-მართველობები (მაგ. ქუთაისის), ერის დანარჩენი ნაწილი კი-ზხარს არ უპერს. ეს იყო მასიური სურვილი, მასიური მოთხო-ვნა ავტონომიური მართვა-გამგეობის, ნაციონალური მთავრო-პის. მართალია, ეს მასა შეიცავდა გაბატონებულ წრეებს, მარა ამით მასის ხასიათი არ დაკარგვია.

როგორც ხედავთ, ნაციონალური კითხვა გაიყო,—ის ორ-კითხვათ გადაიქცა: კულტურულ და მართვაგამგეობის კი-თხვათ—ამით გაიყო თვით ამ კითხვათა მატარებელნი. დამო-რჩილებული კლასები შერჩენ პირველ კითხვას, გაბატონებუ-ლნი ჩაებღაუპენ მეორეს.

ამნაირათ დღეს ქართველებში ორნაირი მოთხოვნილებაა წამოყენებული: ერთი თხოულობს ისეთ ურთი-ერთობის და-მყარებას სახელმწიფოს და ერს შორის, რომელიც უზრუნველ ყოფს ნაციონალური კულტურის განვითარებას, მეორე თხო-ულობს ისეთ ურთი-ერთობას, რომელიც შექმნის საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოს, ავტონომიურ მართვა-გამგეობას. პირველის პირდაპირი მიზანია ნაციონალური კულტურა, მეო-რის პირდაპირი მიზანია ნაციონალური მთავრობა. ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთს ებრძვის სამკვდრო სასიცოცხლოთ და იპყრობს საერთო ყურადღებას. პირველი გაგძელებაა მესა-მოცე წლების მიმართულების, მეორე დაბრუნებაა მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედისაკენ, როცა ავტონომიური მთა-ვრობა ბრძოლის ლოზუნგათ გამოცხადდა.

4. ორი პრინციპი.

ნაციონალური კითხვის წამოყენება ორნაირათ, კულტუ-რულათ და ტერიტორიალურათ, ხატავს ორ სხვა და სხვა მიმდინა-რეობას, ორ სხვა და სხვა ისტორიულ ხანას. ეს ორი ერთი მეო-რის მოპირდაპირე პოლიტიკური პრინციპია.

და მართლაც მას შემდეგ, რაც ადამიანები თავს აღწე-ვენ საქონლის მოშენების ხანას და ერთ ადგილზე ბინადრდე-

ბიან, მათი შემაერთებელი ძალა ხდება მიწა-ადგილი ანუ ტერიტორია, აქ საგვარეულო კავშირის ალაგას ნელ-ნელა დგება ტერიტორიალური კავშირი. ნაცია აქ წარმოდგენილია როგორც ტერიტორიალური ეტნოგრაფიული ერთეული. ხოლო ნაციის ნაწილებთა შორის ყველაზე უფრო შებოქვილია მიწა-ადგილით ის ჯგუფები, რომელნიც ყველაზე უფრო მიკრულია მიწაზე. ასეთია გლეხობა. ბატონ-ყმობის დროს ყმები მიწა ადგილის მიმატებაა; ისინი იმდენათ ფასდებიან, რამდენათაც მიწას ამუშავებენ და ამით ბატონებს არჩენენ. მაშასადამე **ტერიტორიალური ერთობის ეკონომიური საფუძველი სასოფლო მეურნეობაა.**

მაგრამ ჯერ კიდევ საშუალო საუკუნოებში ტერიტორიალური კავშირის გვერდზე ჩნდება პირადი კავშირები. მაშინდელ ქალაქებში ფეხს იდგამს სხვა და სხვა პროფესიონალური შეჯგუფება, როგორც მაგ. ამქრობა, გილდიები, სავაჭრო და სამრეწველო ერთეულები, ადამიანები იწყებენ თავის მოყრას არა ტერიტორიის, არამედ ხელობის მიხედვით. ვაჭრობა სპობს ტერიტორიალურ კარჩაკეტილობას, გადადის კუთხიდან კუთხეში, საზღვარს შიგნიდან საზღვარ გარეთ, არ ტოვებს არც ერთ შორეულ მხარეს მოუნახავთ და გამოუყენებლათ. ეს მიმდინარეობა ძლიერდება კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთათ და მეცხრამეტე საუკუნეში ხთება ადამიანთა შეჯგუფების მთავარ ღერძათ. მრეწველობა, კაპიტალი მეტად მოძრავი ეკონომიური ელემენტია. ის ადგილობრივი ხასიათის აღარ არის. ის აღლვევს თავის ერის და სახელმწიფოს ჩარჩოებს და ხდება ინტერნაციონალური. დღევანდელი ინტერნაციონალური სინდიკატები და ამხანაგობები ამ ეკონომიური მიმდინარეობის უმაღლესი და უმწვერვალესი ეკონომიური ფორმაა.

მაშასადამე, პირადი კავშირების **ეკონომიური საფუძველი მრეწველობა და აღებ მიცემობაა.**

აი ამ ხანაში იწყება ნაციის თანამედროვე აღორძინება. რამდენად ის თავს აღწევს მეურნეულ-პატრიარქალურ წყობი-

ლებას და ებმება სააღებ-მიცემო ულელში, იმდენად ძველი შემაერთებელი კავშირი სუსტდება და მის ალაგას ახალი შემაერთებელი ძალა დგება. სასოფლო კულტურა ქრება, სამოქალაქო კულტურა ჩაღდება.

ამ ახალმა ეკონომიურმა მიმდინარეობამ გამოიწვია ადამიანთა ახალი შეჯგუფება. თუ წინეთ, მეურნეულ ხანაში, ადამიანი იშვიათად შორდებოდა თავის სოფელს ან კუთხეს, დღეს, ვაჭრობასთან ერთად, მანაც აიდგა ფეხი და შეიქნა მოგზაურათ. ის იძვრის თვისი სოფლიდან, თვისი მამა-პაპური ადგილიდან და იჩენს ბინადრობას სრულიად ახალ ალაგას. ამ გარეშოებამ ათქვიფა ერთმანეთში როგორც ერი ისე ერები. ვერც ერთი ერი ვერ ეტევა თვის ისტორიულ საზღვრებში, ირღვევა მისი ტერიტორიალური ერთობა და ის გადადის სხვა ერის საზღვრებში. ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი, იტალიელი და სხვანი კაი ხანია შორდებიან თავის ეროვნული საზღვარს, იძენენ ახალ-ახალ უცხო ტერიტორიებს და ,აარსებენ ნაციათა სახელმწიფოებს. არც ერთი დღევანდელი დიდი სახელმწიფოები არ არის ნაციონალური სახელმწიფო. თითქმის ყველა მათგანი გაბატონებული ნაცია მცხოვრებთა უმცირესობაა, უმრავლესობას კი შეადგენენ სხვა და სხვა ქვეშევრდომი ერები[1]).

ცხადია, განსაზღვრული ტერიტორია ანუ სახელმწიფო იფარგლება არა ნაციის მიხედვით, არამედ ეკონომიური საჭიროების.

სახელმწიფო დღეს პირველ ყოვლისა ეკონომიური მოვლენაა. ძველი თქმულება: ერთი ერი ერთი მიწა—არ გამართლდა. მრავალი ერი, ერთი მიწა,—აი დღევანდელი მდგომარეობა.

ამ საერთო მსვლელობას მორჩილებს რასაკვირველია ქარ-

---

[1]) საფრანგეთი, მაგალითათ, ფრანგებისაგანაა დასახლებული, მარა საფრანგეთს მორჩილებს დიდძალი კალონიები, ურომლოთაც მას დღეს არსებობა არ შეუძლია. ფრანგთა ქვეშევრდომნი ფრანგებზე გაცილებით მეტია.

თველობაც. უეკველია ამ ნახევარი საუკუნის წინეთ ქართველობა, როგორც ერი, განუყოელი იყო საქართველოსაგან. ტერიტორია ფარავდა ერს—ერი ტერიტორიას. მართალია, ჩვენს საზღვრებში მაშინაც იყო უცხო შემოხიზნული ერებიც, მარა მათი რაოდენობა მეტად მცირე და თან სრულიად გაქართველებული იყვენ. თფილისელ სომეხს მაშინ არავითარი თავისი განკერძოებული ნაციონალური მოთხოვნილება არ ქონდა. ერთად-ერთი ეკლესია ანსხვავებდა მას ქართველისაგან. ამიტომ ნაციონალური კითხვის წარმოდგენა, როგორც ტერიტორიალური კითხვის სრულიად ბუნებრივი იყო. სხვანაირი წარმოდგენა იმ დროს არც კი შეიძლებოდა.

მაგრამ უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში ჩვენში მოხდა ყველა ის ცვლილებები, რაც ევროპის ერებში საუკუნოებით ხდებოდა. ქართველობა შედგა კაპიტალისტურ განვითარების გზაზე და ზედ სწრაფად გაექანა. აღორძინდა ვაჭრობა-მრეწველობა; გაშენდა ქალაქები, სოფელი გამოვიდა კარჩაკეტილობიდან, გლეხობამ წარმოშვა ბურჟუაზია და პროლეტარი, ერთის სიტყვით, შევიმუშავეთ თანამედროვე ერის ყველა ელემენტები. ქართველობა გავიდა საქართველოს გარეთ. მოვდვა კავკასიას, შავი-ზღვის პირას, თვით შორეულ აღმოსავლეთსაც. მეორე მხრით, საქართველოში შემოვიდა მრავალი უცხო ერები, გააჩაღეს დიდი აღებ-მიცემობა და მუშაობა, ხოლო ძველათ შემოხიზნულნი გამოეყვენ ნაციონალურათ ქართველთ და თავისი საკუთარი კულტურა შეიმუშავეს. თფილისმა დაკარგა ქართველური ხასიათი და მიიღო საერთაშორისო ელფერი. ქართველები აითქვიფენ სხვა ერებში და სხვა ერები ქართველებში. საქართველო აღარ ფარავს ქართველობას, ქართველობა აღარ ფარავს საქართველოს. ეს მიმდინარეობა უფრო და უფრო ფართოვდება. უფრო და უფრო ღრმავდება და ძლიერდება. ამ ფერხულში ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული მთელი ქართველობა. შორეული კუთხეები, მთა-გორიანი მიდამოები და ხეობები, ქალაქებიდან და რკინის გზებიდან

დაშორებული სოფლები ჯერ კიდევ იმყოფებიან ძველებურ ნივთიერ და გონებრივ მდგომარეობაში. ეს ძველი საქართველოა. სვანი, ფშავი, ხევსური, აჭარელი და სხვა იშვიათად ჩამოდიან დაბლა მუდმივ თავის რჩენის წყაროს მოსაძებნათ. არც მათ სოფელში ეტანებიან უცხო ერის ვაჭრები და მოსაქმენი. მათთვის ჯერ კიდევ არ არსებობს არც ერთი ის თანამედროვე პოლიტიკური და კულტურული მოთხოვნილება, რაც აღელვებს და ამოძრავებს ახალ საქართველოს,—საქართველოს გაევროპიელებულს.

აქედან ცხადია, რომ თანამედროვე ერის შემაერთებელი ძალაა არა ტერიტორია, არა ადგილ-მამული, არამედ სულიერი კულტურა, რომლის საფუძველია, როგორც ზემოთ ვთქვით, თანამედროვე მატერიალური კულტურა. სხვა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებნი ქართველები შეერთებულია არა საერთო ნაციონალური ტერიტორიით, არამედ საერთო ნაციონალური ენით, ლიტერატურით, ხელოვნებით, მოგონებებით, ერთი სიტყვით კულტურით. ისინი ტერიტორიით პირიქით დაშორებულნი არიან, ზოგი ბაქოშია, ზოგი ხარბინში, პეტერბურგში და სხვაგან. დაშორებულია ეკონომიური საქმიანობითაც: ზოგი მეურნეა, ზოგი ვაჭარი, ზოგი პროლეტარი, ზოგი მოსამსახურე და სხვა. მათ აცალკევებს მრავალი ფაქტორი, აერთებს მხოლოდ ერთი—ნაციოიალური კულტურა; ამიტომ მათთვის ნაციონალური კითხვა უმთავრესათ კულტურის კითხვაა.

თანამედროვე ბრძოლა არსებობისათვის მოითხოვს დიდ მომზადებას და ენერგიას. ხოლო მომზადება ერს შეუძლია თავის ენაზე. ნაციონალური სკოლა საჭირველია ნაციონალური განვითარების. ამიტომ სადაც კი ქართველობა ბლომათ თავს იყრის პირველ-ყოვლისა აარსებს ქართულ სკოლას. ასეა ბაქოში, კავკაზში და სხვაგან. ე. ი. ქართველს შეუძლია იცხოვროს საქართველოს გარეშე; ნაციონალური კულტურა მისი მიუცილებელი მოთხოვნილებაა, ნაციონალური ტერიტორია კი არა.

აშგვარათ, ნაციონალური კითხვის ორ-ნაირათ წარმოდგენა—ტერიტორიალურათ და კულტურულათ ხატავს ორ სხვა და სხვა ისტორიულ ხანას, ორ სხვა და სხვა მიმდინარეობას. ტერიტორიალური პრინციპი აგებულია ძველ ურთი-ერთობაზე, ძველებურ კარჩაკეტილობაზე და ისტორიულ უფლებებზე. ჩვენი ტერიტორიალისტები ძველი საქართველოს წარმომადგენელია.

კულტურული პრინციპი აგებულია თანამედროვე ურთიერთობაზე, ნაციის კაპიტალისტურათ განვითარებაზე და გაქალაქებაზე. ამ პრინციპის მატარებელნი ახალი საქართველოს წარმომადგენელნია, ახალი ცხოვრების მესვეურნია.

კულტურული ერთობა.

საზოგადო განვითარების მიზანია კულტურა. ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ამაღლება და ასე მისი სათანადო იარაღებით აღჭურვა ბრძოლისათვის. დღეს ბრძოლის მთავარი საგანია სოციალური უსწორ-მასწორობა, ერთი-მეორის ჩაგვრა და ყვლეფა. მომავალ საზოგადოებაში, როცა ეს კითხვა გადაწყდება, ბრძოლის საგანი იქნება უმთავრესათ ბუნება, მისი ძალების თანდათან დაპყრობა და ადამიანთა სასარგებლოთ ამუშავება. ორივე შემთხვევაში საშვალება ერთად-ერთია: ეს არის კულტურული მომზადება, კულტურული წინმსვლელობა. კულტურის შინაარსი დღეს ინტერნაციონალური ხასიათისაა. თანამედროვე კულტურა ერთიანათ აგებულია თანამედროვე წარმოებაზე, ხოლო ეს წარმოება ერთგვარია—ის ევროპიულია, ამიტომ კულტურაც ევროპიულია. მარა მისი შეთვისება და შესისხლხორცება ხდება ნაციონალურ ნიადაგზე. ევროპიული შინაარსი ღებულობს ნაციონალურ ფორმას და მას თვითეული ნაცია თავისებურ შინაარსსაც უმატებს. ასე რომ ამ საერთო კულტურის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს ყოველი მოწინავე ერი, თანახმათ თვისი ისტორიული პირობებისა. ზოგი ამათგანი მეტს მუშაობს ამ ნიადაგზე, ზოგიც ნაკლებს, რო-

გორც მუშაობა და თვისი წვლილის საერთო სალაროში შეტანა, ისე მისი იქიდან გადმოტანა და თავის სასარგებლოთ მოხმარა წარმოეპს ნაციონალური გზით, ნაციონალური ენის და ყოფა-მდგომარეობის საშვალებით. თვითეულ პირს შეუძლია დატოვოს ნაციონალური ნიადაგი კულტურულ მუშაობაში და შეთვისებაში, მარა მთელ ერს, მთელ ხალხს ეს არ შეუძლია. ამიტომ ნაციონალური ნიადაგი, ეს უმთავრესათ ხალხის ნიადაგია. ხალხის განვითარება ეს ნაციონალური განვითარებაა, ხალხის კულტურა ეს ნაციონალური კულტურაა

მაშასადამე, რამდენათ კულტურა ხდება ხალხის კუთვნილებათ, იმდენათ მზადდება ამ ხალხის კულტურული ერთობა, კულტურული ერთნაირობა და დაკავშირება. ხოლო რადგანაც კულტურული ერთობა ნაციონალური ერთობაცაა, ცხადია ხალხის კულტურული ერთობა ნაშნავს მის ნაციონალურ ერთობასაც. აქ ხალხი პირველათ ხდება ნაციონალურ ორგანიზმათ, ანუ ეროვნებათ[1]).

ამ ნახევარი საუკუნის წინ ჩვენ ეროვნობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ქართველობა მაშინ ნაციონალურ ორგანიზმს არ წარმოადგენდა. ამის მიზეზია ის, რომ ერის ერთობას ქმნიდა ტერიტორია და არა კულტურა. კულტურული ერთობა ქონდა მხოლოდ რამოდენიმე მაღალ-წოდებას: შეძლებულ თავად აზნაურობას და სამღვდელოებას. ესენი ნაკლებათ იყვენ მიკრული მიწაზე და ამიტომ შეეძლოთ გაემართათ შორეულ სოფლებში და პროვინციებში ხშირი მიმოსვლა, ერთი მეორის გაცნობა, დამოყვრება, აზრის გაზიარება და კულტურულათ დაკავშირება. მეტად გავრცელებული სტუმრობა და დარბაზობა ერთი კულტურული საშვალებათაგანი იყო. სამაგიეროთ ერის დანარჩენი ნაწილი, განსაკუთრებით გლეხობა, როგორც მიწა-

---

[1]) ერი და ეროვნობა ერთი და იგივე მცნება არ არის, როგორც მაგალითად ერთი არ არის კაცი და კაცობა, გულადი და გულადობა, ქალი და ქალობა და სხ. დაბოლოება **ობა** ხატავს საგნის შინაგან თვისებას, მის პსიხიურ მხარეს.

ადგილის მონა-მორჩილი თავის სოფელს იშვიათად გაშორდებოდა. მას არც შეეძლო სადმე გამგზავრება ბატონის ნებადაურთველად. გლეხის შორს წასვლა ნიშნავდა მის გაქცევას, ბატონების ადგილის მიტოვებას, რაც სასტიკათ ისჯებოდა კანონით. ქართველი გლეხობა წარმოადგენდა ეტნოგრაფიულ გროვას, კარჩაკეტილს თავ-თავის სოფლებში, ხევებში და მიდამოებში. მისი ერთობა იყო მხოლოდ ბუნებრივი (ე. ი. საერთო გვარტომობა) და გეოგრაფიული (ე. ი. ბინადრობა ერთ განსაზღვრულ ქვეყანაში). აი ამიტომ ქართველობა, როგორც ეროვნობა ამ დროს არ არსებობდა. იყო გურული, მეგრელი, იმერელი, კახელი, ქართლელი, ქართველი კი არა, დასავლეთ საქართველოში ქართველს უწოდებენ მხოლოთ ქართლელს.

მაშასადამე, რამდენათ ნაციონალურ კულტურულ ერთობიდან გამორიცხულია ერის დაბალი კლასები, იმდენად ერი არ წარმოადგენს ეროვნობას. ეროვნობის მატარებელია ხალხი.

და მართლაც, მხოლოდ უკანასკელ ორმოცი წლის განმავლობაში წარმოებს ქაროველი ეროვნობის შემუშავება. მას შემდეგ, რაც ჩვენში შემოიჭრა კაპიტალიზმი და წარმოების ღერძათ გადაიქცა, გლეხობაც გამოვიდა თავის კარჩაკეტილ მდგომარეობიდან და ყიდვა-გაყიდვაში ჩაება. ის შეუდგა ისეთი ნაყოფის შემუშავებას, რასაც გასავალი აქვს ბაზარზე. ის ყიდის თავის ნაწარმოებს და ყიდულობს სხვისას. ამიტომ ის იძულებულია იაროს ახლო-მახლო ქალაქებში, დაბებში, რკინის გზების სადგურებზე, ხშირათ გუბერნიის ქალაქშიაც. სოფლები ტრიალებენ ახლო მდებარე ქალაქების გარშემო, ხოლო ქალაქები ხომ კულტურის ცენტრებია.

მეორე მხრით გლეხის უმცროსი ძმები, მოზრდილი ვაჟები და ხშირად ქალებიც გადიან სამუშაოს საძებნელათ შორეულ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში. აქ ერთმანეთს ხვდებიან გურული, მეგრელი, იმერელი, ქართლელი — საქართველოს ყველა კუთხის ქართველი, ერთმანეთს ეცნობიან, ერთ ულელში ებმიან. მათ თან მიაქვთ თავისი ენა, თავისი ზნე-

ჩვეულება და მსოფლ-მხედველობა. ეს ბუნებრივი ერთობა ხდება საძირკვლად ერთა თავის მოყრის და კულტურული ერთობის დაწყების. იწყება ბრძოლა არსებობისათვის სრულიად ახალ პირობებში. საერთო კონკურენციას და წარმოების გართულება აიძულებს თვითეულს შეიძინოს განათლების უსაჭიროესი საფუძველი მაინც, რომ თავის რჩენა ოდნავად გაიადვილოს. კულტურა მისი ცხოვრების ძირითადი მოთხოვნილებაა. ნაციონალური სკოლა, ნაციონალური მწერლობა, ხელოვნება, და სხ. მისთვის მიუცილებელია, ამას მოითხოვს მისი ეკონომიური ინტერესები.

მაშასადამე, რამდენად ქართველი ხალხი გამოდის ძველ კარჩაკეტილ მდგომარეობიდან და ემბება თანამედროვე ეკონომიურ პირობებში, რამდენად ის იძლევა ახალ კლასებს და სწყვეტს კავშირს მეურნეობასთან, იმდენათ მის შემაკავშირებელ ძალათ ხდება კულტურა. ტერიტორიალური ერთობის ალაგს იჭერს კულტურული ერთობა. ცხადია, კაპიტალიზმის გაძლიერება ნიშნავს ნაციონალური კულტურის გაძლიერებას.

აქედან აშკარაა, რომ ყველა ის, ვინც წინ ეღობება კაპიტალიზმს, ეტრფის ჩვენი ქვეყნის გაყინვას წვრილ ბურჟუაზიულ საფეხურზე, სოფლების ძველ პირობების ჩაკერას, გლეხობის მებატონისათვის დამორჩილებას—ერთი სიტყვით, ყველა ჩვენი წვრილ ბურჟუაზიული და თავად-აზნაურული ელემენტები არიან ანტიკულტურული და ანტინაციონალური ელემენტები.

ამნაირათ დაბალი კლასების კულტურული განვითარება, მათი კულტურული ერთობის შექმნა, ქმნის მაგარ ეროვნულ ორგანიზმს ანუ ეროვნობას. რომელი კლასია განსაკუთრებით დაინტერესებული ნაციონალურ კულტურაში? ეს არის ის კლასი, რომელიც ყველაზე უფრო მკაცრად სწყვეტს კავშირს ტერიტორიალურ ერთობასთან, ეს არის **პროლეტარიატი**.

პროლეტარი ყიდის მხოლოდ თავის სამუშაო ძალას; მაშასადამე მისი ინტერესი შეკავშირებულია ამ ძალის მოვ-

ლა-პატრონობასთან. გლეხის კეთილ-დღეობა შეკავშირებულია მისი საკუთრეპის მოვლასთან. ვაჭრის და მრეწველის მათი საალებ-მიცემო დაწესებულების მდგომარეობასთან, ე. ი. ყველა კლასი, გარდა პროლეტარისა, დაინტერესებულია განაკარგოს პიროვნების გარეთ-მყოფი საგანი. და თუ ამაეპის გამკარგებელს სხვას იშოვნიან, მათ შეუძლიან უვიცობის მორევში თავი არხეინათ იგრძნონ. მხოლოდ პროლეტარია იძულებული პირადი განვითარებით განავითაროს თავისი ცხოვრება. ნაციონალური კულტურა პროლეტარის პირობასთან მჭიდროთ დაკავშირებულია:

მაშასადამე, რომელიმე კლასის კულტურული მოთხოვნილება რაც უფრო დაკავშირებულია ამ კლასის წევრთა პირად ინტერესებთან და მათ საწარმოო მდგომარეობასთან, მით უფრო ეს კლასი დაინტერესებულია კულტურის შეთვისებასა და განვითარებაში. ამ კლასების სათავეში დგას პროლეტარიატი, მას მისდევს ნახევრათ პროლეტარი (ე. ი. ჩვენი გლეხობის დიდი უმრავლესობა და ქალაქის წვრილი ხელოსნები და წვრილი მოსამსახურენი). არც ერთს ამათგანს არ ძალუძს თავისი ცხოვრება გაიუმჯობესოს სხვისი დაქირავებით, პირიქით ისინი ექირავებიან სხვას, ამუშავებენ სხვის მიწას და სხვის საქონელს. მათი პირადი განათლება, სპეციალური და საზოგადო სწავლა-ცოდნის შეძენა აძლევს საშუალებას უფრო ძვირათ გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა, გამოაღებიოს თავის ნაჭერ მიწას მეტი მოსავალი, უკეთ გასცეს პასუხი მათ წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ შევიწროებას და ძალმომრეობას. ერთი სიტყვით, კულტურა ამ კლასებისათვის ერთად ერთი ღერძია, რომლის საშუალებით იცავს თავის თავს და აუმჯობესებს თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ყველა დანარჩენი კლასისათვის კულტურა სხვათაშორის იარაღია, სხვა იარაღის მომატებაა. მემამულის იარაღია მამული, კაპიტალისტის—კაპიტალი, ინტელიგენტის—დიპლომი, ვაჭრის—საავჭრო საქონელი, სამღვდელოების—ოლარი და სხ. ამიტომ

ყველა ამათი ინტერესი დაკავშირებულია ცოტაოდენი მეტ-ნაკლებობით, ტერიტორიასთან, მათი პრინციპი – ტერიატორიალური პრინციპია, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ. მხოლოდ მუშა ხალხია პირდაპირ დაინტერესებული კულტურაში, მისი პრინციპი კულტურული პრინციპია.

რაკი ნაციონალური კულტურის მთავარი მატარებელი მუშა ხალხია, ცხადია. ამ ხალხის კულტურის სამეფოში შეყვანა, მისი გაკულტურებსნება უდიდესი ნაციონალური საქმეა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა არა მარტო კულტურული საუნჯის ქონება, არამედ მისი. ხალხისათვის ხელმისაწდომათ გადაქცევა. რათ გინდათ სკოლები, წიგნები, გაზეთები, თეატრები და სხ. თუ მუშა-კაცი ამით ვერ სარგებლობს. ის ისარგებლებს ამით მაშინ, როცა მას შესაფერი საშვალებაც მიეცემა. თუ კაცი დღეში 15 საათს მუშაობს და მცირე ხელფასს იღებს, ის ვერავითარი კულტურის მონაწილე ვერ გახდება. მუშის ეკონომიური მდგომარეობის ‹აუმჯობესება ბადებს მის კულტურულ გაუმჯობესებასაც. თანამედროვე პროლეტარიატის ბრძოლა არის ბრძოლა კულტურისათვის. სამუშაო დღის შემოკლება, ქირის მომატება, შრომის სამფაველო კანონმდებლობა, თავისუფალი კრებები, პროფესიონალური კავშირები, მუშათა ორგანოები და სხვა და სხ. — აი რა ქმნის ხალხის კულტურას. ის პირები თუ პარტიები, რომელნიც ამ საქმეს ემსახურებიან და ასე კულტურულ ერთობაში თანდათან მეტი ხალხი შემოყავთ, არიან ნაციონალური საქმის მოსამსახურენი, ნაციონალური ორგანიზმის გამკედნი, ნაციონალური კულტურის შემომქმედნი.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ სხვა და სხვა ერის მუშა ერთ ქალაქში თუ დაწესებულებაში მომუშავე. მათი კულტურული მომზადება და ცხოვრების მოთხოვნილება კი სხვა და სხვაა, ქართველი მუშა ამ მხრით მაღლა დგას სომხისაზე, სომეხი თათრისაზე, კაპიტალისტი სარგებლობს ამ მდგომარეობით და ქირაობს იმას, რომელიც ნაკლებად ექირავება, ე. ი. თათარს

უფრო სომეხზე, სომეხს უფრო ვინემ ქართველს. საზოგადოთ ქართველი მარცხდება ამ კონკურენციაში. ის რომ ინგლისელთან ან ფრანგებთან მუშაობდეს—მაშინ გამარჯვებული გამოვიდოდა, ვინაიდან თათრის როლს აქ ქართველი შეასრულებდა. ნაკლები კულტურიანი მუშა უფრო ადვილათ ხდება შტრეიკბეხერი, ამხანაგის გაუტანელი. კაპიტალისტის მონა-მორჩილი. ამიტომ უკან ჩამორჩენილი მუშის გაკულტუროსნება მოწინავე მუშის პირდაპირი ინტერესია. და რადგანაც კულტურა ნაციონალურია. ამიტომ ქართველი მუშის ინტერესი მოითხოვს სომხურ და თათრულ ენაზე შეიქმნას მდიდარი მწერლობა, გაიხსნას სასწავლებლები, თეატრები. მათ პროვინციებში გავიდეს რკინის გზები, მათი გლეხობა გამოვიდეს ძველებურ მდგომარეობიდან და ჩაებან თანამედროვე ფერხულში—მათი ნაციონალური კულტურა გაძლიერდეს. ერთი ერის პროლეტარიატის ეკონომიური ინტერესი მჭიდროთ შეკავშირებულია სხვა ერთა პროლეტარიატის ნაციონალურ კულტურასთან. თანხმობა ეკონომიაში ბადებს თანხმობას ერთა შორისაც. აი ამაზეა აგებული პროლეტარიატის **ინტერნაციონალიზმი.**

მაშასადამე, პროლეტარიატის ნაციონალური კულტურის განვითარება ითხოვს ინტერნაციონალური კულტურის განვითარებასაც. ინტერნაციონალიზმი აქ სიტყვის მასალა არ არის, ის სავსეა შინაარსით, ის ღერძია მუშა ხალხის გამძლავრების და გაკულტუროსნების.

აქედან აშკარაა, რომ მუშა ხალხი ვერასოდეს ვერ იქნება ნაციონალისტი. ვერასოდეს ვერ ჩაებმევა იმათ ფერხულში. ვინც თავის ერის აღორძინებას სხვა ერის დაჩაგვრით ფიქრობს, ან ვისაც მხოლოდ თავის ერის საჭირ-ბოროტო კითხვები აინტერესებს, ხოლო სხვა. მის მეზობლათ მცხოვრები ერების კულტურულ მდგომარეობას ანგარიშს არ უწევს. პროლეტარიატი ბუნებრივათ ინტერნაციონალისტია. ეს მისი გამარჯვება-დამარცხების საძირკველია და ამიტომ თავისი ეროვნულ-კულტურული განვითარებას უკავშირებს სხვა ერთა ასეთ-

სავე განვითარებას. აქედან გამომდინარეობდა ქართველ მუშათა ტაქტიკა, როცა ისინი თავიდანვე მუშაობას ეწეოდენ არა მარტო ქართველებში, არამედ სომხებში, რუსებში და კავკასიის სხვა ერის მუშებში...

ამგვარათ, პროლეტარიატისათვის ერი კულტურული ერთეულია; მისთვის ნაციონალური კითხვა კულტურის განვითარების კითხვაა; მისი გამძლავრება და გამარჯვება შეუძლებელია თუ სხვა ერების კულტურაც განვითარებული არ არის. მისი პირდაპირი ინტერესი ითხოვს როგორც ნაციონალურ, ისე ინტერნაციონალურ მდიდარ კულტურას.

ამ საფუძველზეა აგებული პროლეტარიატის პოლიტიკური მოღვაწეობა.

6. ტ ე რ ი ტ ო რ ი ა.

სანამ ერის შემაკავშირებელი ძალა იყო ტერიტორია, მანამდის ის ეროვნობა არ იყო. მხოლოდ ამ ძველი, საშუალო საუკუნოების შემაერთებელი ძალის დარღვევამ და მის ალაგას ახალის აღორძინებამ შექმნა თანამედროვე ერი ანუ ეროვნობა. მაშასადამე ეს წმინდა კულტურული მოვლენაა.

მარა მიუხედავათ ამისა, ერის წარმოდგენა როგორც ტერიტორიალური ერთობის არ კვდება. ის ხშირათ ძლიერდება და ნაციონალური პოლიტიკის მთავარ ღერძათ ხდება. ამის მიზეზია ის, რომ ტერიტორიასთან შეკავშირებული კლასები ცოცხლობენ და ვითარდებიან. ამათში პირველი ალაგი უჭირავს მემამულეთა კლასს, ე. ი. ისეთ ხალხს, რომლის კეთილდღეობა და ფუფუნება პირდაპირ დაყრდნობილია მამულის შფლობელობაზე. მას მისდევს საშუალო და წვრილი მემამულენი, რომელთაც იმდენი უძრავი საკუთრება აქვთ, რომ სხვის მიწას არ საჭიროებენ. ყველა ესენი დაინტერესებულია ტერიტორიალურ კითხვებში, მათი პირდაპირი ინტერესი შეკავშირებულია ტერიტორიის ინტერესებთან. ამათ რიცხვში არ

შეიძლება იყოს უმამულო გლეხობა, ე. ი. ისეთი ხალხი, რომელიც სხვისი მიწის დამუშავებით ცხოვრობს. ამათთვის ტერიტორია წყაროა ბევრნაირი შეეიწროების და დამცირების. ამიტომ მათი იდეალია სოფლიდან გასელა, ქალაქებში და სამრეწველო ცენტრში დაბინავება. ამათ მუდმივი მიმოსვლა აქვთ გამართული ქალაქებთან. იქ აგზავნიან თავიანთ ვაჟებს და ქალებს სამუშაოს საძებნელათ, ეძებენ საშვალებებს თავის სოფლიდან გასასვლელათ და სხვაგან ახალი ბინის გასაჩენათ. მათ ერთი ფეხი უდგიათ სოფელში, მეორე ქალაქში. და რამდენათაც ეს მათი ლტოლვილება ღრმავდება, ფართოვდება და მეტ ქართველობას ითრევს, იმდენათ ქართველი გლეხობა უახლოვდება ქართველ პროლეტარიატს პოლიტიკურათ და კულტურულათ. მათი ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე თავისთავათ გასაგებია თუ მოვიგონებთ ქართველ გლეხობის დიდი უმრავლესობის უმამულობას.

ერთი სიტყვით, ტერიტორიალური პრინციპია დღეს სოფელში გაბატონებული კლასების სხვილი და წვრილი მემამულეების. ამათ ბხარს უშვენებენ მრეწველნი და ვაჭარნი მხოლოდ განსაზღვრულ დროს და გარემოებაში, როცა ამას მოითხოვს მისი ინტერესი საალებ-მიცემო მოკილეობაში. სხვა ერთა ბაზრების დაპყრობა თვით ამ ერების დაპყრობით მეტოქე ერის ბურჟუაზიის განდევნა ან დასუსტება შინაგან ბაზარზე — აი მათი მისწრაფება. თუ ისინი გაბატონებული ერის შვილია, სახელმწიფო პოლიტიკა ღებულობს აგრესიულ, შეტევის ხასიათს, თუ ისინი დამორჩილებული ერის შვილია — ემხრობიან მემამულეთა ტერიტორიალურ შეხედულობას, ილტვიან სამშობლო ტერიტორიის სრული განცალკევების, ან სრულ ავტონომიისაკენ, რომ ამით თვით გახდენ გაბატონებული ერის მეთაური და შეავიწროვონ ჩამოთესლილ ერთა მოცილენი.

აქედან ცხადია, თუ რამდენათ მართალია ავსტრიის ცნობილი მკვლევარი რუდოლფ შპრინგერი როცა სწერს: „ტერიტორიალური პრინციპი არასოდეს არ სცნობს შეთანხმებას და

თანასწორობას. მას თან მოაქვს მხოლოდ ბრძოლა და შევიწროება, ვინაიდან მისი არსებითი თვისება შევიწროებაა".[1])

და მართლაც, გაბატონებული კლასების მიმართულება რა იქნება თუ არა ბატონობა? განა ისინი სცნობენ თანასწორობას ეკონომიურ და პოლიტიკურ ასპარეზზე, რომ მათ ჩვენ ეს ნაციონალურ ასპარეზზე მოვსთხოვოთ? თანასწორობის მატარებელი კლასია მხოლოდ მუშა ხალხი და ეს გადააქვს მას ყველა სფეროში, ამათ შორის ნაციონალურ სფეროშიაც. გაბატონებული კლასის ნაციონალიური მიმართულება უეჭველათ სხვა ნაციების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული, ისე როგორც მათი პოლიტიკური და სოციალური მიმართულება სხვა კლასების წინააღმდეგ არის მიმართული. ისინი ნაციონალიზმის ბუნებრივი მატარებელია და როგორც ამნაირნი ვერასოდეს ვერ გახდებიან ინტერნაციონალისტები. პირიქით, ისინი მით უფრო მდიდრდებიან და სუქთებიან, რაც უფრო დაიჯაბნებენ სხვა ერებს, გამოსწოვენ მათ ყოველგვარ სიმდიდრეს, გადააქცევენ ,ათ შავ მუშათ, უვიცათ და უკულტუროთ და ასე, მათი საწველ ფურათ გადაქცევით ლამიან თავისი ბედნიერება ააგონ. მაშინ, როდესაც პროლეტარიატის ინტერესი მოითხოვს სხვა ერის პროლეტარის ნაციონალურათ ამაღლებას, გაბატონებული კლასის ინტერესი, პირიქით, მოითხოვს სხვა ერის ნაციონალურათ დაუძლურებას. ნაციონალისტების ინტერნაციონალისტობა შეუძლებელია.

ამ ნაირათ, ტერიტორიალური პრინციპით ნაციონალური კითხვის გადაჭრა ნიშნავს დღევანდელ ურთიერთობაში წასული ურთიერთობის გადმოტანას, იმ წასულის, როცა ერი კულტურული მთელი არ იყო და მას იცავდა დაშლისაგან მხოლოდ ტერიტორიალური ერთობა. დღეს, როცა ნაცია ტერიტორიალურათ დაისაქსა და გადაიქცა კულტურულ ერთობათ, ტერიტორიალური პრინციპი ნიშნავს ბატონობის და ძალმომრეობის პრინციპს.

---

[1]) იხილე მისი წიგნი „Национальная проблема" გვ. 73.

მეტყვიან, განა შეიძლება ნაცია უტერიტორიოთ? რასაკვირველია არა. ყოველი კაცი მიწაზე ცხოვრობს. ნაცია უეჭველათ საჭიროებს ტერიტორიას; უამისოთ მართველობა შეუძლებელია. კიდევ მეტი. თვით ნაციის წარმოშობა გარეშე ნაციონალური ტერიტორიისა შეუძლებელია. ყველა თანამედროვე ერი დაიბადა და განვითარდა იმ დროს, როცა მისი ერთობის გამჭედი იყო, გარდა გვარ-ტომობისა. ერთად ბინადრობა, ე. ი. საკუთარი ტერიტორია. ქართველი ერი დღეს არ იქნებოდა, რომ მას ასეთი ტერიტორია არ ქონებოდა. ტერიტორია იყო მისი მთავარი ფაქტორი სიმტკიცისა. როცა შახაბაზმა ქართველთა ერთი ნაწილი საქართველოდან სამხრეთ სპარსეთში გადაასახლა, ამით მან მათი კავშირი გაწყვიტა სამშობლოსთან და მოშალა ეს მთავარი შემაკავშირებელი ელემენტი. ამ გარემოებამ შესაფერი შედეგი გამოიღო: წასული ქართველობა მოწყდა დედა ერს სულიერათაც. და დღეს კი ასეთი შედეგი შეუძლებელია მოხდეს. საქართველოს გარეშე დიდძალი ქართველობა ცხოვრობს, მარა დედა ერთან მას სულიერი კავშირი არ დაუკარგავს. თანამედროვე ემიგრაცია ნათლათ მოწმობს იმას, რომ სამშობლო ტერიტორიის დატოვება არ ნიშნავს სამშობლო ერის დატოვებას. ინგლისელები აარსებდენ ახალშენებს და მერე მათ ინგლისს უკავშირებდენ. ჩეხელთა უმრავლესობა დღეს ჩეხიის გარეშე ცხოვრობს, ისე როგორც სომხები. ცხადია, თუ კი ნაციის დამახასიათებელი თვისება წინეთ ტერიტორია იყო, დღეს ეს არ არის[1]). ტერი-

[1]) ამიტომ ძლიერ ცდება სტალინი თავის ზემო დასახელებულ წერილებში, როცა დღეს ტერიტორიას ერის დამახასიათებელ ელემენტათ აღიარებს. ამ შემთხვევაში მრავალი ნაციონალური მოვლენა ვერ აიხსნებოდა, მაგალითად სომეხთა ერი. ერი არ იქნებოდა, ვინაიდან მან კარგა ხანია დაკარგა თავის ტერიტორია და შერეულათ ცხოვრობს. სტალინს წასული ხანის ისტორიული აუცილებლობა გადმოაქვს თანამედროვე ხანაში, თუმცა თითონ ამბობს ერთ ალაგას, რომ თანამედროვე ნაცია კაპიტალისტურმა ხანამ წარმოშვაო. თუ ეს ასეა, ცხადია, ნაციის დამახასიათებელია დღეს არა წასულის პრინციპი—

ტორია გადაიქცა არა ერთობის, არამედ ბატონობის მთავარ იარაღათ. ვინც ჩემ ტერიტორიაზე ცხოვრობს, მან უნდა იყიდოს ჩემი საქონელი, მიიღოს ჩემი კულტურა, ჩემი ენა, ჩემი ხელოვნება და სხ., აი რას ამბობენ ტერიტორიათა დღევანდელი მფლობელნი. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ნაციონალური ბრძოლა. აი ეს წინა ხანაში არ იყო. ეს დღევანდელი ხანის ღვიძლი შვილია და ვისაც გულწრფელათ სურს ნაციონალური შეეიწროების მოსპობა, მან პირველ ყოვლისა უნდა მოსპოს მრავალ ერიან ტერიტორიაში ერთი ერის ბატონობა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ასეთ ტერიტორიაში ერთ ნაციას არ უნდა ქონდეს ბატონობა: ის აქ არ უნდა იყოს სუვერენი—უზენაესის ძალა-უფლებებით აღჭურვილი. მაშასადამე, ჩვენ ვებრძვით ტერიტორიას იმდენათ, რამდენათ ის გულისხმობს ბატონობას, ე. ი. ჩვენ ვებრძვით პრინციპს ბატონობისას და არა სამშობლო ტერიტორიას. მე ძლიერ მიყვარს ჩემი სამშობლო, მარა ეს კი არ ნიშნავს რომ მსურდეს ის მოვიხმარო სხვების შეეიწროების იარაღათ. პირიქით, მე მით უფრო მეყვარება ის და ვიამაყებ იმით, რაც უფრო მეტი თანასწორობა, მეტი თავისუფლება და სამართლიანობა იქნება გამეფებული მის საზღვრებში.

ოტო ბაუერის აზრით ტერიტორიალური პრინციპი პოლიტიკაში წამოაყენა თანამედროვე სახელმწიფომ, რომელმაც

ტერიტორია, არამედ კაპიტალიზმთან შეკავშირებული თანამედროვე მოვლენანი: მრეწველობა, აღებ-მიცემობა და მასზე აგებული კულტურა. სტალინი ტერიტორიალისტია და ამით უახლოვდება ნაციონალისტებს. ტერიტორიალისტებს შორის არ შეიძლება იყოს პრინციპიალური განსხვავება.

P. S. ეს ჩემი თხზულება დაწერილი იყო მაშინ, როცა სტალინის წერილის ბეჭდვა დაიწყო რუსულ ჟურნალში („Просвещение" № 3,45). ამიტომ იძულებული ვიყავით მისი აზრები უმთავრესათ სხოლიებში გაგვერჩია. საზოგადოთ, დაკვირებული მკითხველი კარგათ მიხვდება, რომ მე და ის სრულიად სხვა და სხვა საფუძველზე ვდგევართ, ეს ჩემი შრომა თავიდან ბოლომდის მიმართულია მისი აზროვნების წინააღმდეგ.

გამოაცხადა: თუ ჩემ ტერიტორიაზე ცხოვრობ, დაემორჩილე ჩემს ძალას, ჩემს უფლებას, ჩემს ენასო. ახლანდელი ტერიტორიალური ერთეულები არიან ერთეულები უმცროს-უფროსობის და არა თანასწორობის. მართალია დიდი ტერიტორიალური სახელმწიფოები იყვენ ძველათაც—მაგ. მაკედონია, რომი, არაბეთი, სპარსეთი, გერმანია და სხ. მარა აქ ნაკია თავის ნაციონალურ ცხოვრებით თავისუფალი იყო. სახელმწიფო მოხელე, მაგ., გასამართლების დროს დამნაშავეს პირველ ყოვლისა კითხავდ: რა ტომის ხარო და მხოლოდ შემდეგ გაასამართლებდა თანახმად ამ ტომის კანონებისა და ზნე-ჩვეულებისა. ნაციონალური შევიწროება არ იცოდა ძველმა ქვეყანამ.

ნაციონალური შევიწროება ტერიტორიათა დაპყრობით ახალი ისტორიის საქმეა, ნაციონალისტებს სურთ ამ შევიწროების მოსპობა ტერიტორიის გამორთმევით გაბატონებულ ერისათვის და თავის ერისათვის ჩაბარებით, ე. ი. ბატონობის იარაღათ აღჭურვა დამორჩილებული ერის. და რადგანაც ყველა ერში ბატონობენ შეძლებული კლასები, ამიტომ ეს იქნება სწორეთ ამითი აღჭურვა ახალი იარაღებით. ახლა ესენი დაიწყებენ სხვა ერის შევიწროებას, ისე როგორც თვით იყვენ შევიწროებულნი სხვებისაგან.

ინტერნაციონალისტებს სურთ ტერიტორიაზე ერთი ნაციის ბატონობა მოშალონ. ნუ იქნება ნურც მპყრობელი ერი, ნურც მორჩილი, მათ შორის უნდა მოხდეს სრული გათანასწორება და ამით უზრუნველ იქნას თვითეულ ერის კულტურული განვითარება. როგორ უნდა მოხდეს ეს—ამაზე ქვევით. ახლა ჩვენ გვაინტერესებს თვით ძირითადი პრინციპი-გამოკვლევა.

როგორც ხედავთ, ტერიტორიალური პრინციპი სახელმწიფო პრინციპია. მხოლოდ სახელმწიფოს სუვერენობა მოითხოვს განსაზღვრულ ტერიტორიას. სახელმწიფოს ფუნქციები მჭიდროთ დაკავშირებულია ტერიტორიასთან. პირველ ყოვლისა ის ავლებს თავის ტერიტორიას დამოუნების სალტეს, თავიდან

ი შორიებს უცხოეთის ეკონომიურ მოცილეობას. ქმნის შიგნით საკუთარ მრეწველობას, აღებ-მიცემას, მიმოსვლას და ასე ის ხდება ერთი ეკონომიური ორგანიზმი ამასთანავე ის ყოფს მთელ ტერიტორიას გუბერნიებათ, მაზრებათ, სოფლებათ და აწესებს ყველგან შესაფერ მართველობას. მთელი ეს მუშაობა დაკავშირებულია ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტერიტორიალური კავშირია. სახელმწიფო დაიბადა და ვითარდება ეკონომიური მიზეზებით, მისი მიზეზი უმთავრესად ეკონომიურია. ამიტომ ის პირველ ყოვლისა ეკონომიური მოვლენაა. სახელმწიფო ტერიტორიალური და ეკონომიური კავშირია..

ნაცია კი არც ერთი ეს არ არის. თუ ნაცია ფარავს სახელმწიფოს, თუ ერთი მიწა, ერთი ერი ფაქტია, ამ შემთხვევაში სახელმწიფო კავშირი, ნაციონალური კავშირიცაა. აქ ნაცია ეკონომიური და ტერიტორიალური მოვლენაა. მარა ასეთი სახელმწიფო. როგორც ვსთქვით. დღეს არ არსებობს. ყველა სახელმწიფო მრავალ-ერიანია. არც ერთი ამ ერთაგან ცალ-ცალკე არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ტერიტორიალურ და ეკონომიურ კავშირს. სახელმწიფო რომ მარტო ამ კავშირის გამტკიცებას მისდევდეს. მარტო საეკონომიო და პოლიტიკურ ფუნქციებს ასრულებდეს, მაშინ ნაციონალური კითხვაც არ დაისმებოდა, როგორც არ იყო ასეთი კითხვა ძველ რომში და სპარსეთში. მარა თანამედროვე სახელმწიფო, როგორც თანამედროვე ეკონომიური მოვლენა, აგებული სამრეწველო და საღებ-მიცემო ინტერესთა წინააღმდეგობაზე, თავის ეკონომიურ ცხოვრებას აწყობს გაბატონებული ერის საშუალებით. ეს ერია გამოცხადებული მპყრობელ ერათ, მისი ენა და კულტურა— გაბატონებულ ენათ და კულტურათ. სახელმწიფო ერევა თითოეულ მორჩილი ერის წმიდათა-წმიდაში: მის კულტურულ სალარაში თავისუფლათ ხელს აფათურებს. მის ინდივიდუალურ თვისებებს არ იწყნარებს და ასე მის კულტურულ განვითარებას საზღვარს უდებს. ნაცია და სახელმწიფო ერთმანეთს ხვდებიან.

„ამ მხრით სახელმწიფო და ნაცია ისეთივე ერთი მეორის მოწინააღმდეგე მცნებაა, როგორიცა სახელმწიფო და საზოგადოება—ამბობს შპრინგერი. სახელმწიფო არის იურიდიულათ გაწესრიგებული ტერიტორიალური ბატონობა. საზოგადოება კი ფაქტიურათ შედგენილი პირადი კავშირი". (იქვე, გვ. 70).

ასე თუ ისე ტერიტორიალური კავშირი სახელმწიფო კავშირია, ნაციონალური კავშირი კულტურული კავშირია. პირველი იხატება იძულებითი ძალით, მართვა-გამგეობით ანუ ადმინისტრატიული ორგანოებით, მეორე იხატება ნაციონალურ ენაში, ლიტერატურაში, ზნე-ჩვეულებაში, ხასიათში. ის ძევს გრძნობის და ფიქრის სამეფოში. სახელმწიფოს შეუძლია დაიმორჩილოს სხვა და სხვა ერები და თქვას, ეს მე მეკუთვნისო. ერს კი არ შეუძლია ვინმე დაიმორჩილოს და თქვას—ეს მე მეკუთვნისო, ქართველი ვერ გადაიქცევა რუსათ, გინდ ფრანგათ, რამდენიც უნდა იმეცადინოთ. ეს იმიტომ ოომ ერი ადამიანთა თავისუფალი კავშირია. შეგიძლიათ წაართვათ მას ამ კავშირის ტერიტორიალური გამოხატულება, მოსპოთ მისი მართვა-გამგეობა, მარა ვერ წაართმევ საკუთარ გრძნობას და ფიქრს, ვერ მოუსპობ ნაციონალურ ხასიათს და კულტურას. თანამედროვე სახელმწიფო ეპრძვის ამ უკანასკნელს, ავიწროებს მას და ბადებს ნაციონალურ ტკივილებს. ამის მიზეზია ის, რომ სახელმწიფოს ბატონობა აგებულია ტერიტორიალურ ბატონობაზე; ხოლო ტერიტორია შევიწროების და დევნის იარაღია.

ამნაირათ ნაციონალური კითხვის გადაწყვეტა ერთი ნაციის ბატონათ გამოცხადებით ნიშნავს საკუთარ სახელმწიფოს შექმნას, ეს სახელმწიფო პრინციპის პრაკტიკაში გადატანაა. ეს ასე ესმისთ ჩვენს ნაციონალისტებს. „საქართველომ უნდა მოიპოვოს ერთგვარი სახელმწიფოებრივობის უფლება იმ ხასიათისა, როგორი უფლებაც აქვს დღეს ფინლიანდიას.— სწერს არ. ჯორჯაძე... ადგილობრივ საკითხებში ვგულისხმობთ საქართველოს სახელმწიფოებრივობას" და სხ.[1]) ხოლო სახელ-

[1]) თხზულებანი, ტომი II გვ. 243.

მწიფოს შექმნაში, თუნდაც ავტონომიური, დაინტერესებულია ის კლასები, რომელნიც არიან მისი მატარებელნი და პატრონნი. ამგვარი ავტონომია გაბატონებული კლასების ავტონომიაა. პროლეტარიატის მოწოდება სრულიად არ არის შექმნას თავის სამტრო ორგანოები და მით ბატონთ ახალ-ახალი იარაღები გაუკეთოს. მან შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ასეთ მუშაობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აქედან ის იძენს რაიმე ახალ იარაღს ბრძოლისათვის. მარა ვინაიდან ნაციონალური ბრძოლა და შუღლი ერთი ერის გაბატონებით არა თუ არ სუსტდება, პირიქით კიდევ უფრო მძლავრდება, მწვავდება, ცხადია ასეთი მუშაობა პროლეტარიატისათვის პირდაპირ ზარალია.

რომ ეს ასეა ამას ჩვენ დავინახავთ ისტორიული მაგალითებით.

7. ტერიტორიალური პრინციპი პრაქტიკაში.

ამ ნახევარ საუკუნის წინ, როცა თანამედროვე საზოგადოების განხეთქილება კიდევ არ იყო საკმაოდ ჩამოყალიბებული, როცა ეგონათ, რომ ზოგი პატარა ნაციები უნდა გაქრენ მის გვერდზე მცხოვრებ დიდ ნაციებშიო, ევროპის ბევრი გულწრფელი მოღვაწე ფიქრობდა ნაციონალურ მშვიდობის ჩამოგდებას ნაციონალურ-ტერიტორიალური ავტონომიებით. ამ მიმდინარეობის მებაირახტრენი იყვენ კოშუტი, მაძინი, გარიბალდი და სხვა დიდებული დემოკრატები. რადგანაც ყველაზე უფრო დახლართულათ ერები ავსტრიაშია არეული, ამიტომ ეს ტერიტორიალური პრინციპი აქ აამუშავეს. 1848 წლის რევოლიუციამ წინ წამოაყენა ნაციონალური პრობლემა და ნაციონალური მოძრაობა. ამ დროს ნამდვილ ერს თანამედროვე კლასებით მარტო ორი ერი წარმოადგენდა: ნემეცები და მადიარები. დანარჩენი ერები იმდენათ სუსტი და განუვითარებელნი იყვენ, რომ მათ ანგარიშს არ უწევდენ. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ის აზრი, რომ ავსტრიაში ეს ორი ერი უნდა ბატონობ-

დეს, ორი ერი უნდა გამოცხადდეს მპყრობელ ერათ: ნახევარი სახელმწიფო მადიართ, ნახევარი ნემეცებს. ეს მით უფრო ადვილი გასახორციელებელი იყო, რომ მადიარებს უპირავთ ერთი განსაზღვრული ტერიტორია—უნგრეთი. უნგრეთის სახელმწიფო—აი რა გახდა ბრძოლის დროშათ. რევოლიუცია დამარცხდა. კოშუტი ძლეულ იქმნა. რატომ? გამოჩნდა რომ უნგრეთში გარდა მადიართა კიდევ არიან სხვა ერები, რომელთა ინტერესები არ თხოულობდა უნგრეთში მადიართა გაბატონებას. ეს ერებია: ხორვატიელები, სერბიელები, რუმინები და სხ., რომელთა არსებობა, მართალია. კარგათ იცოდენ, მარა მათი მადიართა გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინათ, და აი უცებ იღვიძებენ ისინი და აჯანყებულ მადიართ უკანიდან თავს ესხმიან. ჩვენ გვირჩევნია ნემცების ბატონობა შორიდან, მადიართა ბატონობას ახლოდან, ამბობენ ისინი; რევოლიუცია დამარცხდა. მადიარებმა ეს ახსნეს ამ ერთა ველურობით, თავისუფლებისადმი მტრობით. ისინი ღრმათ დარწმუნებული იყვენ, რომ უნგრეთის ავტონომია ბოლოს მოუღებდა ნაციანალურ მტრობას უნგრეთში და ყველა იქ მცხოვრები ერები მადლიერი იქნებიან მადიარების. ეს ხანა ტერიტორიალური პრინციპის კლასიკური ხანაა, მის ცხოველ-მყოფელობაში ყველა გულწრფელად დარწმუნებულია.

1867 წელს მადიართა და ნემეცებს შორის მოხდა შეთანხმება: უნგრეთი გამოცხადდა ავტონომიურ სახელმწიფოთ; მადიართ მიანიჭეს ბატონობა ხორვატიელებზე, სერბიელებზე და უნგრეთის სხვა წვრილ ერებზე, ნემეცებმა დაიტოვეს საბატონოთ პოლონელები, ჩეხელნი, რუსინები, იტალიელნი და სხ. ამ გარემოებას შეებრძოლენ უნგრეთში ხორვატიელები. ავსტრიაში პოლონელები. ახლა ამათაც მოითხოვეს თავისი ქვეყნის ავტონომია, 1869 წელს ეს მოთხოვნილება რამდენიმეთ დააკმაყოფილეს, ვიწრო ავტონომია მიანიჭეს ხორვატიას და გალიციას. ამნაირათ ავსტრიის ათ ერში ორი შეიქნა ბატონი, ორი ნახევრათ ბატონი, დანარჩენი ექვსი დარჩა ყმათ. შემდეგ

ჩეხელებმა მოითხოვეს ჩეხიის ავტონომია, რაც დიდი დავიდა-
რაბის შემდეგ განახორციელეს. ეგონათ ახლა მაინც დამკვიდრ-
დება ნაციონალური მყუდროება და ავსტრია გადაიქცეოდა
ერთ ორგანიულ სახელმწიფოთ, მარა გადის დრო ტერიტო-
რიალური ილიუზიები ქრება. გამოჩდა რომ „უისტორიო"
ერები არ თანხმთებიან სხვების ყმობას და მოითხოვენ თავისათ-
ვის ახალ უფლებებს. აირია მონასტერი. ტერიტორიალურ ავ-
ტონომიათა ხოხოლა აინგრ-დაინგრა. დამორჩილებული ნაციე-
ბი იწყებენ ბრძოლას მათ წინააღმდეგ. ბრძოლა იწყება უნგრე-
თიდან. მპყრობელი ერი, მადიარები, შეადგენენ მცხოვრებთა
უმცირესობას. მართალია, არც ერთი ერი ცალ-ცალკე მას არ
უდრის სიმრავლით, მარა ყველა ერთად აღებული შეიცავენ
ნახევარზე მეტს, მაშასადამე, მადიართა ბატონობა აგებულია არა
—მადიართა დანაწილებაზე.. მათი დაქსაქსვა, მათ შორის ბრძო-
ლის გაღვიძება და ამ გზით უნგრეთში ბატონობა—აი რა შეი-
ქნა მადიართა საშინაო პოლიტიკათ. ამ პოლიტიკას ებრძვიან
მორჩილი ერები და ასე იმართება დაუსრულებელი ნაციონა-
ლური ომიანობა. უკმაყოფილოთა მეთაურია ავტონომიური
ხორვატია, რომლის თვითმართველობა მეტათ ვიწრო ფარგლებ-
შია ჩაყენებული მადიართა მიერ. მთავრობის აქაური ნამესტნი-
კი („ბანი") ყოველ ძალ-ღონეს ხმარობს მადიართა მომხრე
უმრავლესობის ადგილობრივ პალატაში შესადგენათ და ავტო-
ნომიის ფიქციათ გადასაქცევათ. ხორვატიელნი კი მოითხო-
ვენ სრულ გამოცალკევებას უნგრეთიდან, მარა ხორვატიელთ
შინ გაუჩნდა ოპოზიცია და აქაც ნაციონალური შუღლი გა-
ჩაღდა. ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ ხორვატიის მცხო-
ვრებთა რაოდენობა გვარტომობის მიხედვით. აქ ხორვარტიე-
ლებია 1,487,137 (61,6%), სერბიელები 614,443 (25,4%),
ნემეცები 134,121 (5,6%), მადიარები 90,781 (3,8%),
სლავაკები 17,476 (0,7%), რუსინები 4,673 (0,2%), დანარ-
ჩენია 65,673 (2,7%).

როგორც ხედავთ, ხორვატიელები შეადგენენ უმრავლე-

სობას, თუმცა მცირეს, მარა ესეც საკმარისია თავის ხელში ძალა-უფლების ჩასაგდებათ და ავტონომიის თავის სასარგებლოთ გამოსაყენებლათ. და აი ისინიც შეუდგენ გახორვატიელებას დანარჩენი ერების. ეს მიმდინარეობა ისეთი მკაცრი გამოდგა, რომ თვით სერბიელები, რომელთა სამშობლო ენა სრულიათ არ განსხვავდება ხორვატიულისაგან, წინ აღუდგენ ხორვატიულ მთავრობას, თავის თავი გამოაცხადეს ცალკე ერათ და მოითხოვეს თავისთვის ეროვნული უფლებები. მათ შორის ბრძოლა წარმოებს განსაკუთრებით ეკლესიის ნიადაგზე (ხორვატიელნი კათოლიკენია, სერბიელნი მართლ-მადიდებელნი). სერბიელთა მთავარი მოთხოვნილებაა ეკლესიის ავტოკეფალია და მათი ეროვნული დროშის ცნობა. მათ მხარს უჭერენ სხვა წვრილი ოპოზიციური ერები. ხორვატიელნი კი არ ცნობენ სერბიელთა ეროვნებას და არც ერთ მათ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებენ. მადიარებმა ხერხიანათ ისარგებლეს მათი განხეთქილებით და უნგრეთში სერბიელთათვის საეკლესიო ავტონომიის მინიჭებით დიდათ გაალრმავეს ეს განხეთქილება. სერბიელები ითხოვენ ხორვატიელებისაგან „მადიარულ უფლებას“.

როგორც ხედავთ, უნგრეთში ტერიტორიალურ ავტონომიებმა არა თუ არ გადასჭრეს ნაციონალური კითხვა, არამედ ის კიდევ უფრო გაამწვავეს და მთელი მხარე ნაციონალური ბრძოლის მოედნათ გადააქციეს. ყველა ერი ერთმანეთს ებრძვის. ხორვატიელებმა დაიბრიყვეს ხორვატიის ერები, სამაგიეროთ თვით არიან დაბრიყვებულნი მადიარებისაგან უნგრეთში, სადაც ორი მილიონი ხორვატიელი ცხოვრობს, ერთი მეორის დევნა და შევიწროება—აი რა მოუტანა უნგრეთის ერთ ტერიტორიების ამა თუ იმ ერისათვის გადაცემამ. ტერიტორია გახთა იარაღათ ბატონობის და ბრძოლის.

ყველა პარტიას სურს ამ მდგომარეობიდან გამოსვლა; მარა როგორ? ყველა ბურჟუაზიული პარტია დგას ტერიტორიალურ პროინციაზე, ისტორიულ საელმწიფო უფლებაზე; მათი მიზანია ხორვატიის ავტონომია გააფართოვონ, ისე, რომ

შიგ შევიდეს [illegible]ია, სლავონია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ისტრია და კუნძული მური, ამათგან ერთი ავტონომიური სახელმწიფოს დაარსების საფუძვლათ მოყავენ ის, რომ აქ მცხოვრებთა უმრავლესობა სერბიელი ხორვატიელებია, ერთ ენაზე მოლაპარაკენი და ერთ დროს ერთად ერთ პოლიტიკურ ფარგალში მცხოვრებნი. ამ მიმართულებას ებრძვის ერთად ერთი სოციალ-დემოკრატია, ის უარყოფს ტერიტორიალურ პრინციპს და წინ აყენებს კულტურულს. ის თხოულობს არა გამეორებას ძველი შეცდომების, არამედ თვითეული ერის გამოყოფას ერთი მეორისაგან ნაციონალურ საკითხში და მათთვის ნაციონალურ-კულტურული სრული თვით-მართველობის მინიჭებას. ხორვატიელი, სერბიელი, ნემეცი, მადიარი და სხ. და სხ. სადაც უნდა ცხოვრობდეს მთელ ავსტრო-უნგრეთში, თუ კი ისინი ერთ ალაგას საკმაოთ ბლომათაა, შედიან თავთავის ნაციონალურ-კულტურულ ერთეულებში. ყველა დანარჩენ საკითხში რჩებიან ადგილობრივი ტერიტორიალური მართველობის წევრნი და მონაწილენი. რას ნიშნავს ეს, ამაზე დაწვრილებით ქვემოთ.

ასე გატარდა ტერიტორიალური პრინციპი ავსტრიის სხვა კუთხეშიაც: გალიციაში, ჩეხიაში, ფიუმეში, მორავიაში და სხვაგან. გავიცნოთ გალიციის და ჩეხიის ამბები.

გალიციის მცხოვრებთა უმრავლესობა პოლონელებია, უმცირესობა რუსინები (უკრაინელები). პირველნი ჭარბობენ დასავლეთ გალიციაში, მეორენი აღმოსავლეთში. აქ 4,814,174 მცხოვრებში რუსინები ითვლება 2,997,200 (62,5%), 1,618,180 პოლონელია (33,7%), ხოლო ნემეცები 3½%. ქალაქთა უმრავლესობა პოლონელებითაა დასახლებული, რუსინები კი უფრო სოფლის ხალხია. მთელ გალიციაში ითვლება 3,074449 რუსინი, როცა გალიციის ავტონომია გამოცხადდა, რუსინები დიდ სიხარულს მიეცენ, ფიქრობდენ ადგილობრივ მართველობაში პოლონელებთან ერთად ისინიც მიიღებდენ თანაბარ მონაწილეობას და თანხმობით გააკეთებდენ საერთო საქმეს,

მარა ეს მოლოდინი არ გამართლდა. ავტონომიას დაეპატრონენ პოლონელები, ხოლო პოლონელებში შეძლებული კლასები, უმთავრესათ მემამულეები. ამათ ისე ხერხიანათ გამოსპრეს საარჩევნო ოლქები, რომ საარჩევნო კანონის რეფორმამდის გალიციის სეიმში 161 დეპუტატში რუსინი იყო მხოლოდ ათი. ხოლო რეფორმის შემდეგ გალიციის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც რუსინების დიდი უმრავლესობაა, 106 დეპუტატში ითვლება 28 რუსინი. ეს მოიმოქმედეს იმით, რომ ქალაქებს. სადაც პოლონელები მეტია რუსინებზე, მეტი საარჩევნო ოლქები მიანიჭეს, ვინემ სოფლებს. ეს რომ ქალაქის სიყვარულით არ მოსვლიათ იქიდან სჩანს, რომ დასავლეთ გალიციაში პოლონურ ქალაქებს გაცილებით ნაკლები საარჩევნო ოლქი ანაკლებს, ვინემ პოლონურ სოფლებს. ერთი სიტყვით გალიციაში ერთი პოლონელის საარჩევნო ხმა უდრის სამ რუსინის საარჩევნო ხმას.

კულტურული საქმეები გაცილებით უკეთ მოწყობილია პოლონელებში, ვინემ რუსინებში. მაგალითად: წერაკითხვის უცოდინარნია 12 20 წლის ახალგაზდებში 56% რუსინი და 27% პოლონელი, 21—31 წლისაში კი 61% რუსინი და 33% პოლონელი, 51 გიმნაზიას და რეალურ სასწავლებლებში 43 პოლონურ ენაზეა, 4 ნემენცურზე, ხოლო 4 რუსინურზე, სწორეთ იქ, სადაც რუსინები დიდი უმრავლესობაა (დასავლეთ გალიციაში), 25 საშუალო პოლონური სასწავლებელია. რუსინთა გასაპოლონელებლათ, რასაკვირველია ერთი პოლონური საშუალო სასწავლებელი მოდის 30,000 პოლონელზე, ხოლო ერთი რუსინული 820,000 რუსინზე. ამის შედეგია, რომ რუსინები ვერ ეტევიან რუსინულ საშუალო სასწავლებელში და იძულებულნი არიან ისწავლონ პოლონურში. ამიტომ რუსინულ მოწაფეთა 51% დადის პოლონურ სკოლებში. რაც შეეხება რუსინულ ენაზე მაღალ სასწავლებელს, ეს ხომ სრულიათ არ არის.

როგორც ხედავთ აქაც გალიციის ავტონომია გადაიქცა

ბატონობის იარაღათ პოლონელების ხელში. ნაციონალური შუღლი და მტრობა გაღრმავდა. რუსინები ებრძვიან პოლონელთა ასეთ ძალ მომრეობას და მას მხარს უჭერს პოლონელებისაგან მხოლოთ სოციალ-დემოკრატია. ყველა დანარჩენი პოლონური პარტიები ებრძვიან რუსინების ნაციონალურ ლტოლვილებას და ცდილობენ მათ გაპოლონელებას. რუსინთა შორის ძლიერია ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც, როგორც ყველა ქვეყნის ნაციონალისტები, ტერიტორიალურ პრინციპზე დგას. ის თხოულობს რუსინთა პროვინციების გამოყოფას გალიციიდან, უნგრეთიდან და ავსტრიიდან და ერთი ავტონომიური რუსინული ტერიტორიის შექმნას. ამ შემთხვევაში რუსინები გაბატონდებიან ამ ტერიტორიაში მომწყვდეულ ერებზე, პირველ ყოვლისა პოლონელებზე, ვინაიდან, როგორც ვთქვით, რუსინის პროვინციის ქალაქთა დიდი უმრავლესობა პოლონელების ხელშია, ე. ი. რუსინები დაიბრიყვებენ პოლონელთ მაშინ ისე, რთგორც დღეს თვითონ არიან დაბრიყვებულნი პოლონელებისაგან. აი ამ ნაციონალისტურ მოთხოვნილებას არ ემხრობა რუსინთა სოციალ-დემოკრატია და თავის მხრით აყენებს კულტურულ პრინციპს, მსგავსად ხორვატიელ სოციალ-დემოკრატიისა.

არა უკეთეს მდგომარეობაშია ნაციათა განწყობილება ბოჰემიაში (ჩეხიაში). აქ ითვლება 3,930,093 ჩეხი და 2,337,013 ნემეცი; ბატონობა ეკუთვნისთ პირველთ. ნემეცები, როგორც დაჩაგრულნი, თხოულობენ ბოჰემიის გაყოფას ორ ადმინისტრატიულ ოლქათ: ერთში შევა ნემეცების ბოჰემია, მეორეში ჩეხელების, თავ-თავისი ნაციონალური ადმინისტრაციით. გარდა ამისა, ისინი ითხოვენ მართველობის დეცენტრალიზაციას, ლანტაგებში ნაციონალური კურიების შემოღებას და სხ. ჩეხელები უარყოფენ ყველა ამას და მთელ ძალა-უფლებას ხელიდან არ უშვებენ. საბაგიეროთ ავტონომიურ მორავიაში ნემეცები ბატონობენ და ჩეხელებს დიდათ ავიწროებენ. ასევე ჩადიან ნემეცები ავტონომიურ სილეზიაში, ერთის სიტყვით,

თუ ჩეხელები იგებენ ბოჰემიაში ბატონობით, სამაგიეროთ აგებენ მორავიაში და სილეზიაში. მიუხედავათ ამისა არც ერთი ჩეხური პარტია არ ცდილობს ნაციათა დამოკიდებულება თანხმობით მოაწყოს, ბატონობის და ბრძანებლობის პრინციპი დატოვოს და კულტურული პრინციპი შეითვისოს. ერთათ-ერთი სოციალ-დემოკრატია დგას ერთობის და თანხმობის ნიადაგზე. ჩეხელთა ყველა დანარჩენი პარტიები თხოულობენ თავისი ტერიტორიალური ბატონობის კიდევ უფრო გაფართოებას მორავიის და სილეზიის ჩეხიის ავტონომიაში შემოყვანით და ერთი დიდი-ჩეხური ავტონომიის დაარსებით[1]).

ამ მოკლე მიმოხილვიდან ნათლათ ჩანს ტერიტორიალური პრინციპის სრული გაკოტრება. ისტორიული ქვეყნების ავტონომია სამუდამოთ დაამარცხა ცხოვრებამ, ის გადაიქცა ახალ იარაღათ დევნის და შევიწროების. კლასი მდევნელი და შემავიწროებელი მას ებღაუქება, კლასი მდევნელი და შემავიწროებელი მას ებრძვის. ყოველგან, ყოველ მრავალ ერიან ქვეყნებში ავტონომიური ტერიტორიების შექმნამ დახლართა ნაციონალური კვანძი, გაამწვავა ნაციონალური ბრძოლა, შეუძლებლათ გახადა მშვიდი კულტურული მუშაობა.

და აი ეს ცხოვრებისაგან უარყოფილი წყობილება, ეს ჩაგვრისა და ბატონობის საშუალება ჩვენში ფედერალისტების მიერ ახალ სახარებათ ცხადდება. ქართველი ნაციონალისტი ყველა ფერისა ერთ ხმათ ღაღადებს: ავტონომია, ავტონომიაო! ეს ძველი დამყაყებული აზროვნება ახალ სამოსელში ეხვევა, ახალი ნიღაბით ჩნდება.

ან შეიძლება ის, რამაც არ ივარგა დაწინაურებულ ქვეყანაში, ივარგოს ჩვენში?

შეიძლება ის, რაც ბატონობის იარაღია სხვაგან, თანხმობის იარაღათ გადაიქცეს აქ?

გავსინჯოთ.

---

[1]) ეს ცნობები ამოღებულია წიგნიდან: „Формы национального движения", под редакцией Кастелянского. 1910 г. С.-Петербург.

8. ჩვენი ავტონომისტები.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ საქართველოს გამოყოფა ამიერ კავკასიიდან და მისი ავტონომიურ ერთეულათ გამოცხადება ხატავს ძველ ისტორიულ საქართველოს ურთიერთობას და არა ახალს თანამედროვე მდგომარეობას.

და მართლაც ძველათ საქართველო პოლიტიკურათ და ეკონომიურათ გამოყოფილი იყო დანარჩენ კავკასიიდან. მათ შორის მტრობა მეტი იყო, ვინემ მოყვრობა; მიმოსვლა და ერთმანეთთან აღებ-მიცემობა შეიძლებოდა მშვიდობიანობის დროს. ომი კი ანგრევდა ყველა იმ კულტურულ ხიდს, რომელიც ზავის განმავლობაში მათ შორის იდებოდა. მაშინ ის ტერიტორია იყო მძლავრი, რომელსაც კარი მაგრათ ქონდა ჩაკეტილი. აი ამიტომ მეთვრამეტე საუკუნის გასულს ამიერ კავკასია იყოფებოდა ოცამდინ დამოუკიდებელ ტერიტორიალურ ერთეულებათ, რომელთაც განაგებდენ მეფენი, მთავრები, ხანები და მთებში მამასახლისები. ეს ერთი მეორისაგან გაცალკევება და მტრობა ასუსტებდა მათ და მძლავრი მეზობლების დაბალ ღობეთ ხდიდა, ამიტომ ასე ადვილათ მოიკალათა აქ რუსეთმა.

მაშასადამე, ამიერ კავკასიის ნაკრებათ დანაწილება, თვითეული ერისათვის მის მისი ტერიტორიის მიზომვა—ეს ძველი ფეოდალური დროინდელი აზროვნებაა, ეს წინანდელი ურთიერთობის გამოხატულებაა. ასეთი შეხედულების იყვენ ძველი კავკასიელნი და მათ შორის ძველი ქართველებიც.

მეორე მხრით, წინეთ, ფეოდალურ ხანაში, დევნა ნაციის, როგორც განსაკუთრებითი ერის, არ იყო. პირიქით უცხო ნაცია დიდ პატივში ყავდათ. მათ აძლევდენ სხვა და სხვა შეღავათებს და პრივილეგიებს, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მკვიდრთ ვაჭრობისა და ხელოსნობისათვის არ სცალოდათ. მათი მოწინავე წოდება ან ომობდა, ან ლოცულობდა, მხოლოდ გლეხობა მათ მიწის მუშაობით არჩენდა. ვაჭრობას და

ხელოსნობას ჩვენში ეწეოდენ შემოხიზნული ერები: სომხები, ებრაელები და სხ. საქართველოს მეფენი ცდილობდენ მეტი ასეთი უცხოელნი დაებინავებიათ თავის სამფლობელოში და ახალ-ახალი შეღავათებით დაემაგრებიათ. ცხადია მაშინ უცხოელები ადგილობრივ მთავრობის ხელის შემწყობნი და დამხმარე იყვენ. აქ მათ შორის ინტერესთა სრული თანხმობაა და არა წინააღმდეგობა. ანტისომხური ან ანტისემიტიური პოლიტიკა ძველ საქართველოში შეუძლებელი იყო. ამისათვის შემოხიზნული ერებიც აქ პოვებდენ მეორე სამშობლოს და განკერძოებულ ნაციონალურ მიდრეკილებას არ იჩენდენ.

ასეთ პირობაში ტერიტორიალური ერთეული ნიშნავდა ნაციათა თანხმობას და სოლიდარობას. საქართველოს საზღვრების გაფართოვება, შიგნით და გარეთ მყუდროების დამყარება, მძლავრი ნაციონალური მთავრობის შექმნა პირდაპირი ინტერესი იყო შემოხიზნულ ერთა ვაჭრების.

მაშასადამე, კავკასიის ავტონომიურ ერთეულებათ დაკრა და ამ გზით აქ ნაციონალურ თანხმობის ჩამოგდება, ერთიანათ ძველი აზროვნებაა, ძველ ნივთიერ ურთიერთობაზე აგებული და შემუშავებული, ეს ასე იყო წინეთ ისტორიულ წასულში.

და აი ეს დრო გადასული აზროვნება ჩვენმა ნაციონალისტებმა თავის დროშაზე დააწერეს, ისტორიული საქართველოს ავტონომია თავის პროგრამათ გამოაცხადეს.

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს პირველ ყოვლისა დღევანდელი საქართველოს წასულ საქართველოთ წარმოდგენას, ძველი ნივთიერი და სოციალური ურთიერთობის აწმყოში გადმოტანას. ავტონომისტებს ჯერ უნდა დაემტკიცებიათ ამ თილისმის შესაძლებლობა და მერე წამოეყენებიათ ამის შესაფერი ნაციონალური მოთხოვნილება. ნამდვილათ კი ისინი ცნობენ საქართველოს ერთიანათ განახლებას, ახალ ურთიერთობის დამკვიდრებას, ხოლო პოლიტიკურ კალაპოტს ძველებურს მოითხოვენ.

შეესაბამება საქართველოს ავტონომია საქართველოს ეკონომიურ და ნაციონალურ მდგომარეობას?

ავტონომიური ერთეული უნდა იყოს იმავე დროს ეკონომიური ერთეულიც. არის კი საქართველო ეკონომიური ერთეული? ქართველი ერი წარმოადგენს ერთ ეკონომიურ ორგანიზმს?

ეკონომიური განვითარება დაკავშირებულია ტერიტორიასთან და არა ერთან. შეიძლება ერი არ იყოს ეკონომიური ერთეული, ხოლო ტერიტორია კი. ეს იმ შემთხვევაში, თუ ამ ერთეულში მრავალი ცხოვრობს, მაგალითად, ავსტრია ერთი ეკონომიური ერთეულია, მარა ნემეცები კი არ შეადგენენ ერთ ეკონომიურ ერთეულს. შეიძლება საქართველო იყოს ერთი ეკონომიური ერთეული, ხოლო ქართველობა კი არა, ვინაიდან, ამ ერთეულში მრავალი სხვა ერებია, ხოლო მრავალი ქართველობა საქართველოს გარეთ ეწევა ეკონომიურ ულელს. თუ კი ქართველობა ტერიტორიალურ ერთეულს არ წარმოადგენს, ხაიდან შეიძლება ის ეკონომიური ერთეული იყოს? საზოგადოთ დღეს არც ერთი ერი არ არის ერთი ეკონომიური მთელი. და თუ ხშირათ ასე იხსენიებენ ფრანგთ, ინგლისელთ და სხვებს, სახეში აქვთ არა ერთი ერი, არამედ ტერიტორია, სახელმწიფო. ერთი ერი--ერთი სახელმწიფო არ არსებობს.

მაშასადამე, კითხვა შეიძლება დაისვას მხოლოდ ამნაირათ: საქართველო წარმოადგენს თუ არა ერთს ეკონომიურ ორგანიზმს? ამაზე ჩვენ გადაჭრით ვუპასუხებთ: არა, არ წარმოადგენს.

და მართლაც, თანამედროვე მიმოსვლის და კავშირის მიზანია საქონლის გაცვლა-გამოცვლა. თუ ეს პროცესი წარმოებს ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, მაშინ შეიძლება ასეთი ტერიტორია გადაიქცეს ერთ ეკონომიურ მთელათ. მაგალითად, სამრეწველო რაიონი მიილტვის სამრეწველო რაიონისაკენ, რომელთა შორის ჩაღდება აღებ-მიცემობა. მარა თუ

ტერიტორია არ შეიცავს შრომის ასეთ განაწილებას, თუ მისი წარმოება არ არის მრავალფეროვანი, გაცვლა-გამოცვლაც აქ სუსტი იქნება, სამაგიეროთ, მიმოსვლა გაჩაღდება ამ ტერიტორიის გარეთ მდებარე ცენტრებთან და ასე მისი ეკონომიური მთლიანობა დაირღვევა. აი აქედან მომდინარეობს თითეული სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვა დამოუნების საშუალებით გააძლიეროს შინაგანი წარმოება და გახდეს ერთი ეკონომიური მთელი. სახელმწიფო მძლავრი მრეწველობით ვერ დაეტევა, რასაკვირველია, სამრეწველო ერთეულის ჩარჩოში, მისთვის მიუკილებელია სამეურნეო რაიონებიც. ეს ბადებს კოლონიალურ პოლიტიკას, ახალი ქვეყნების დაპყრობას და ამ გზით ეკონომიური ერთეულის გაგანიერებას. მოსწყვიტეთ ინგლისი გინდ საფრანგეთი ახალშენებს და მათი ეკონომიური მთლიანობა ერთ დღეს დაირღვევა.

ერთი სიტყვით, ეკონომიური ორგანიზმია დღევანდელი სახელმწიფო თავისი დამოუნებით, არმიით, დიპლომატიით და სხვ.

საქართველო ამ ასი წლის წინეთ წარმოადგენდა წმინდა სამეურნეო ქვეყანას მთელი თავისი ნატურალური ხელუხლებლობით. თითეული ოჯახი, თითეული სოფელი და კუთხე თვით იკმაყოფილებდა ყველა თავის ეკონომიურ მოთხოვნილებებს. გაცვლა-გამოცვლა სუსტი იყო. ერთათ-ერთი მარილის უქონლობა გამოიყვანდა სოფლელს სოფლიდან და სადმე მეზობლათ გაისტუმრებდა. ამ ნივთიერი კარჩაკეტილობის დარღვევა და ფართე აღებ-მიცემობის დაწყება შეეძლო ვაჭრობის და მრეწველობის აღორძინებას. ხოლო ეს შეიძლება საკუთარი სავაჭრო პოლიტიკის წარმოებით, შინაგანი ბაჟების მოსპობით, საგარეო ბაჟების დაწესებით, მიმოსვლის გაადვილებით, საზოგადო მყუდროების დამკვიდრებით, ერთი სიტყვით, თანამედროვე სახელმწიფოს შექმნით. ამ შემთხვევაში საქართველო იქნებოდა ერთი ეკონომიური მთელი.

ნამდვილათ კი ასეთი განვითარება ვერ მოხდა. ჩვენი ფე-

ოდალური წყობილება დაარღვია გარეშე ძალამ და მით საქართველოს კარები გაუღო რუსეთის ყველა ერს. აღორძინდა აღებ-მიცემობა და მრეწველობა, მარა ეს რუსეთის საერთო ჩარჩოში. ჩვენ გავხდით დიდი სახელმწიფოს მონაწილეთ, დაუკავშირდით რუსეთის სამრეწველო ცენტრებს. იქიდან მოგვაქვს ფართალი, შაქარი და სხვა მრავალი მიუცილებელი საქონელი. უფრო მჭიდროთ დავუკავშირდით ამიერ-კავკასიას. რკინის გზებმა და აღებ-მიცემობამ საქართველოში გაამრავლა არა ქართველნი და საქართველოს გარეთ, კავკასიის სხვა-დასხვა ქალაქებში — ქართველნი. ქართველები გაცილებით მეტ საქონელს უცვლიან არა ქართველთ, ვინემ ქართველთ. ჩვენი მარგანეცი, ღვინო, თუთუნი, პარკი და სხვ. გადის ან უცხოეთში, ან რუსეთში და კავკასიაში. ყოველ შემთხვევაში მყიდველთა დიდი უმრავლესობა არა ქართველია. უცხო კაპიტალი ჩვენში თავისუფლათ დანავარდობს და ახდენს ღრმა ცვლილებებს. როგორც უცხო პოლიტიკურმა ძალამ დაარღვია ჩვენი პოლიტიკური ურთი-ერთობა, ისე უცხო ეკონომიური ძალა არღვევს ჩვენ ძველ ეკონომიურ ურთი-ერთობას.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს ქართველი ერის ეკონომიურათ განუვითარებლობას. არა, ის ვითარდება და კაპიტალისტურ გზაზე დიდ ნაბიჯებს აკეთებს. ჩვენ ვამბობთ მხოლოთ იმას, რომ ეს განვითარება, ქართველი ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ზრდა, წარმოებს უცხო კაპიტალის შემწეობით... ჩვენი ეკონომიური წარმატება უთვალავი ძაფებითაა გადაბმული კავკასიასა და რუსეთთან. უკანასკნელმა ასი წლის ისტორიამ ერთიანათ გაგვათანაბრა სხვა მეზობელ ერებთან, შეგვაბა საერთო უღელში, მოგვცა ერთნაირი სააღებ-მიცემო და სამიმოსვლო კალაპოტი, შეგვიქმნა საერთო სავაჭრო ცენტრები და მოგვიყარა თავი მშვიდობიანი კონკურენციის სარბიელზე.

მეტყვიან: ავტონომიური საქართველო შექმნის საქართველოსაგან ერთ ეკონომიურ ორგანიზმსო, ე. ი. პოლიტიკუ-

რი წყობილება გამოუცვლის ქვეყანას სააღებ-მიცემო კალა-პოტსო. ეს ერთობ პოლიტიკის ზედმეტი შეფასებაა, მისი მნიშვნელობის გაზვიადებაა. ეკონომიური მთლიანობა, როგორც ვთქვით, მუშავდება საუკუნოებით, მფარველობითი სისტემის საშუალებით. ის მოითხოვს მთელ რიგს სახელაწიფო ზომებისას. დღეს მხოლოთ სახელმწიფოა ასეთი ეკონომიური მთელი, რის შესარჩენათ ის იძულებულია მუდამ შეიარაღებული იყოს და მტაცებლობის პოლიტიკა აწარმოვოს.

ავტონომიურ წყობილებას შეეძლო რამოდენიმეთ ხელი შეეწყო საქართველოს ეკონომიურ დამოუკიდებლობისათვის მხოლოთ ერთ შემთხვევაში: ჩვენი ეკონომიური მთლიანობა გარეშე ძალას რომ დაერღვია, ჩვენი დამოუკიდებელი მრეწველობა და აღებ-მიცემობა მას რომ შეეწყიტა, ეს იქნებოდა პროცესის შეჩერება, მისი გზა-კვალის აბნევა; სამაგიეროთ ისტორიულათ შემუშავებული ნაციონალურ-ეკონომიური ძალები ვერ გაქრებოდენ, ამიტომ მათი ხელ-ახალი აღდგენა აღარ გაძნელდებოდა. მაგრამ არც ერთი ასე არ მოხდა, ჩვენ ფეოდალურ წყობილებით გადმოვედით მეცხრამეტე საუკუნეში. რუსეთმა დაარღვია არა მოწინავე ეკონომიური წყობილება, არამედ უკან ჩამორჩენილი. საკუთარი თანამედროვე ეკონომიური ფორმები ოდნავათაც არ შეგვიმუშავებია, მაშასადამე, აქ პროცესის შეწყვეტაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. რა შეწყდებოდა—რაც არ დაწყებულა. ახალი ეკონომიური ძაფები დაიწნა უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში, ხოლო დამწნელი შეიქნა არა მარტო ქართველი, არამედ მრავალი სხვა ჯურის ხალხიც. აქ გაისკვნა ინტერნაციონალური კვანძი. არავითარ ავტონომიას არ ძალუძს ამ ძაფების დახსნა და მათი ნაციონალური საზომის დანაწილება. და რომ ეს შესაძლებელიც იყოს, სასურველიც არ არის, ვინაიდან ეს გამოიწვევდა ჩვენ ეკონომიურ დაუძლურებას და უკან დაქანებას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ავსტრიის არც ერთი ავტონომია ამას მიზნათ არ ისახავს, არც ერთი მათგანი არ თხოუ-

ლობს თავის საკუთარ საბაჟო და საგაჭრო პოლიტიკის წარმოებას და რაც უფრო გასაკვირალია, არც ერთი ბურჟუაზიული პარტია ასეთ მოთხოვნილებას არ აყენებს. რატომ? იმიტომ რომ ასეთი მოთხოვნილება ნიშნავს ეკონომიურ რეაქციას, ხოლო ბურჟუაზიული პარტიები რეაქციის მტერია. მარტო ჩვენი ავტონომისტები ეტრფიან ამ რეაქციონურ ზომას, რაც ამტკიცებს მათ თავად-აზნაურულ სულის კვეთებას, ვინემ ბურჟუაზიულის. მაშასადამე, საქართველოს ავტონომია სრულიად არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიურ ინტერესებს. პირიქით ავტონომია თავისი საკუთარი საგაჭრო პოლიტიკით დაარღვევდა უკვე შემუშავებულ ეკონომიურ ცენტრებს, დაწყვეტდა ეკონომიურ ძაფებს, განდევნიდა უცხო კაპიტალს, უცხო აღებ-მიცემობას და ჩაგვაყენებდა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ვიყავით ამ ორმოცი წლის წინეთ. ავტონომია ნიშნავს ეკონომიურ რეაქციას.

ავტონომიურ საქართველოში ვერ ეტევა მისი ნივთიერი ყოფა-მდგომარეობა, ამიტომ ავტონომია მას შებორკავს და გაფართოვებას არ დაანებებს, ის მას სალტეთ შემოევლება და ბორკილათ დაედება. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ტერიტორიის გაფართოვება, რაიცა გამოიწვევს მეზობელ ერებთან მუდმივ შეტაკებას და უკმაყოფილებას. ავტონომია ნიშნავს შოვინიზმის გაღვივებას და პოლიტიკურ რეაქციას.

ამ ნაირათ, საქართველოს ავტონომიის ლოლიკური დასკვნაა ეკონომიური და პოლიტიკური რეაქცია.

თუ ავტონომიას არ თხოულობს ჩვენი ეკონომიური ინტერესები, შეიძლება მას ნაციონალური ინტერესები თხოულობდეს?

ტერიტორიის ავტონომია უეკველათ სჭრის ნაციონლურ კითხვას მხოლოთ ერთ შემთხვევაში; როცა ეს ტერიტორია წარმოადგენს ერთ ნაციონალურ ერთეულს; ე. ი. როცა მცხოვრებთა 85% მაინც ერთ ერს ეკუთვნიან. ავსტრიის ავტონომიათა გაკოტრება დაბადა სწორეთ ამ პირობის დაუც-

ველობამ. თვითეულ ავტონომიურ ერთეულში მომწყვდეულია მრავალი ერები.

საქართველო წარმოადგენს თუ არა ერთ ნაციონალურ ორგანიზმს? არა, არ წარმოადგენს.

და მართლაც, საკმარისია მცხოვრებთა სტატისტიკური ცნობების გაცნობა, რომ ითქვას: საქართველო ამ მხრით არაფრით არ განირჩევა ავსტრიის პროვინციებიდან.

1897 წლის აღწერით საქართველოს საზღვრებში, (ე. ი. თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებში[1]) ცხოვრობენ 2,009273 სული, ამათში ქართველია 1,335,896 ე. ი. მცხოვრებთა ორი მესამედი ქართველია, ხოლო ერთი მესამედი კი არა ქართველი. ეს არა ქართველები ყოველგან გარდა ქუთაისის გუბერნიისა, შეადგენენ უმრავლესობას. მაგალითად, თფილისის გუბერნიაში ირიცხება 966,808 მცხოვრები, ამათში ქართველია 455237, ბათუმის ოლქში ირიცხება 144584 მცხოვრები, ქართველია 63,011. ზაქათალის ოლქში ირიცხება 84342, ამათში ქართველია 12394, სოხუმისაში ირიცხება 106179 მცხოვრები, ქართველია 25873. ყველა ამ პროვინციაში ითვლება სულ 1.201.895 სული, ამათში ქართველია 556.015 სული, ე. ი. ნახევარზე ნაკლები. ცხადია საქართველოს ეს ნაწილები აღარ წარმოადგენენ დღეს ერთ ნაციონალურ მთელს, პირიქით ამ პროვინციათა ავტონომიაში ქართველობა იქნება დაჩაგრული და დევნილი. და თუ ავტონომისტები მაინც თხოულობენ ავტონომიას, ეს იმიტომ რომ მთელ თავის იმედს ამყარებენ ქუთაისის გუბერნიაზე. მხოლოდ ამ გუბერნიის ქართველებით შეიძლება ავტონომიურ პარლამენტში ქართველთა უმრავლესობა შედგეს და ბატონობა მას დარჩეს—აქ ირიცხება 807,478 მცხოვრები, რომელთა შორის ქართველია 779,881.

---

[1]) ფედერალისტები ითხოვენ ავტონომიას ამ საზღვრებში. (საქართველო № 2) ეგევე მოითხოვეს 1905 წ., თფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობამ და ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ.

აშკარაა, საქართველოში ერთად-ერთი ქუთაისის გუბერნია წარმოადგენს ნაციონალურ ორგანიზმს. ამით აიხსნება ისიც, რომ დღეს ქართველი ერის მეთაურთა და წინამძღოლთა დიდი უმრავლესობა ამ გუბერნიის ქართველებია. ქართველების აღორძინება დასავლეთ საქართველოდან მოდის.

როგორც ხედავთ ავტონომისტების საქართველო ისტორიული საქართველოა, ე. ი., ასეთი იყო ოდესმე ძველი საქართველოს საზღვრები, მაგრამ თუ ისტორიულ საზღვრებს ავიღებთ, რატომ არ შეიძლება საქართველოში ჩამოვატანოთ განჯის, ერევნის და ყარსის პროვინციებიც, ესენიც ხომ ერთხელ საქართველოს მეფეთა საბრძანებელი იყო. და თუ ამას არ ჩადიან ჩვენი ნაციონალისტები, ეს იმიტომ, რომ ასეთ ფართე საზღვრებში ქართველობა ველარ იბატონებდა სხვაზე და თვით შეიქნებოდენ სხვების საბატონოთ, მათ სურთ რაც შეიძლება ფართე ტერიტორია, მარა ეს ისე, რომ ქართველობა ცოტათ მაინც ჰარბობდეს აარა ქართველთ და მით ქართველთა სუვერენიტეტი შესაძლებელი შეიქნეს.

ასეთი აპრელებული ქვეყნის ავტონომია იქნება განმეორება გალიციის გინდ ჩეხიის ავტონომიის, ყველა მათი შედეგებით. ფედერალისტები პირველათ სწორეთ გალიციისებურ ავტონომიას თხოულობდენ თავის ორგანოთი საქართველოში, მარა ასეთ ავტონომიას რა კავშირი აქვს ნაციონალური კითხვის გადაწყვეტასთან. განა გალიციაში ეს კითხვა კიდევ უფრო არ გამწვავდა და დაიხლართა? ავტონომია იქ იარაღია ბატონობის და არა თანასწორობის. ასე იქნება ჩვენშიაც. აქ ქართველი გაბატონებული კლასები ჩაიდენენ იმასვე, რასაც ჩადიან გალიციის პოლონელთა გაბატონებული კლასები. დევნა და შეეიწროება სომხების, ებრაელების, თათრების, ოსების, ლეკების ყველა „ინოროდცების"—აი რა შეიქნება ავტონომიური მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკათ. ამის პასუხათ ამ დევნილთა თანამოძმენი ქართველებს შეაეიწროებენ განჯაში, ერევანში, ბაქოში, კავკაეში—ყოველგან და ასე დაიწყება სა-

ერთო კავკასიური კოლონი ნაციონალური ბრძოლისა და შეხლა-შემოხლისა.

ვისი ინტერესია ეს? ერთად-ერთი გაბატონებული კლასების. ამ ღვრია წყალში სწორეთ ისინი თავისუფლათ ითევზავებენ, სწორეთ მათ სჭირიათ ერთა შუღლის გაღვივება. რომ მით თავის ერის მუშებზე იბატონონ. პროლეტარიატის ინტერესია, პირიქით, ერთა თანხმობა, ნაციათა კულტურის გამძლავრება და ძლიერი ინტერნაციონალური მუშათა არმიის შედგენა. მუშა იმარჯვებს სხვა ერის მუშის დახმარებით, პატრონი იმარჯვებს მუშების ერთიმეორეზე გადაკიდებით.

ფედერალისტები ამბობენ: ჩვენ მივცემთ გარანტიას ჩვენებურ „ინოროდცებს“ ნაციონალურ-განვითარების და მშვიდობიანობისო. ეს ლამაზი სიტყვებია, მხოლოდ განხორციელება კი შეუძლებელია. განა შეიძლება კაპიტალისტურ საზოგადოებაში შევიწროების და განხეთქილების მოშლა? ავტონომიური საზოგადოება ხომ იგივე კაპიტალისტური საზოგადოებაა. მაშასადამე აქ იქნება ყველა ის მოვლენა, რაც თანდაყოლილი აქვს ასეთ წყობილებას. პირველ ყოვლისა ინტერესთა წინააღმდეგობა და კლასთა ბატონობა. ვინ დაუშლის ბატონებულ კლასებს არსებობისთვის ბრძოლაში სურვილისამებრ შეიარაღდენ, თავისი სასარგებლო კანონები გამოსცენ, სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერება ააგონ? განა ასე არ ხდება ყოველგან, ყველა საზოგადოებაში, როგორც ავტონომიურში, ისე დამოუკიდებელში? ვიმეორებ, ავტონომიური ტერიტორია თავის თავად გულისხმობს განხეთქილებას და ბრძოლას, ხოლო ეს ბრძოლა ტრიალებს არა კლასთა განსხვავების, არამედ ერთა განსხვავების მიხედვით. ბრძოლა ძირითადი, ბრძოლა სოციალური შიფუჩჩდება ნაციონალური ბრძოლით. ნაციონალისტები გამძლავრდებიან, სოციალისტები დასუსტდებიან.

ტერიტორიალური პრინციპი არ გულისხმობს ნაციონალურ ბრძოლას მხოლოდ მაშინ, როცა ამ ტერიტორიაზე მო-

სახლეობს ერთი ერის დიდი უმრავლესობა. საქართველო არ არის ასეთი ტერიტორია. შეიძლება ის ასეთი დარჩეს ახლო მომავალში? არის ამგვარი ტენდენცია ჩვენში? ამის გასაგებათ საკმარისია შევადაროთ 1911 წლის სტატისტიკური ცნობები 1897 წლის აღწერას.

ახალი ცნობებით საქართველოს ზემოთ აღნიშნულ საზღვრებში ცხოვრობენ 2,736,850 მცხოვრები, ამათში ქართველია 1,619,548, ქართველ ებს უმატია სამას ათას სულამდე, არა ქართველს კი ოთხას ორმოცდა ათასამდე, ე. ი. 1897 წელს ქართველები შეადგენდენ საქართველოში 60,7%, 1911 წელს კი 51,8%-ს[1]).

ჩვენი ქვეყანა ნაციონალურათ უფრო და უფრო ჭრელდება. ასეთ პირობაში ქართველობის გაბატონება მოითხოვს განსაკუთრებულ ზომებს, რაიცა ნიშნავს მებრძოლ ნაციონალიზმის გამარჯვებას. ეს იქნება მუდმივი საერთაშორისო ბრძოლა პატარა ტერიტორიაზე. ეს ისე აშკარა და ნათელია, რომ ზოგი ავტონომისტი მზათაა საქართველოს საზღვრები შეავიწროვოს და მხოლოდ თანამედროვე საქართველოს ავტონომია მოითხოვოს. მაგ. ბ. ზ. ავალიშვილი საქართველოს საზღვრებიდან რიცხავს ზაქათალის ოლქს, ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებს, ართვინის და სოხუმის ოლქით. დანარჩენი ტერიტორია მჭიდროთ დასახლებულია ქართველებით, ის ეროვნული ტერიტორიაა და მისი ეროვნული ავტონომია შეიძლებაო[2]).

გავსინჯოთ ეს მოსაზრება. ეკონომიური თვალსაზრისით ასეთი პატარა ავტონომიური ერთეული ყოვლად შეუწყნარებელია. თუ კი ფართო ერთეული არ წარმოადგენს ეკომომიურ ორგანიზმს, ვიწრო საიდგან წარმოადგენს? ასეთი პატარა ავტონომიები ევროპაში ნაშთია საშუალო საუკუნოების და მა-

---

[1]) იხ. „Кавказский календарь“ за 1913 г.

[2]) იხ. მისი წერილი კრებულში: „Формы национального движения“.

თი კომპეტენციის თანდათანი შემცირებით მათ ახლა არღვევენ. ასე ხდება მაგალითად, შვეიცარიაში, სადაც კანტონალური მართველობა სამეურნეო მართველობათ გადაიქცა. ყოველივე ის, რაც ჩვენ ზემოთ ვსთქვით ისტორიულ საქართველოს ეკონომიურ მთლიანობაზე, კიდევ უფრო მეტის საბუთით ითქმება ამ ვიწრო საქართველოზე.

მარა ამ წინადადების ავტორნი ხელმძღვანელობენ არა ეკონოეიური მოტივებით, არამედ ნაციონალურის. ისინი ერთი ისტორიულათ შემუშავებული ტერიტორიიდან ხელოვნურათ სჭრიან ნაციონალურ-ტერიტორიალურ ერთეულს, მაგრამ ასეთ ჭრა-კერვას სრულიათ არ იწყნარებს ადამიანთა ურთიერთობა. დღეს ხალხი არ არის დაუწერელი ფურცელი, სადაც ყველა ფანტაზიორს შეუძლია რაც სურს ის დასწეროს. თვითეულ კუთხეს აქვს თავისი მიმზიდველი ცენტრი, რომლის გარეშემო ტრიალებს ადგილობრივ მცხოვრებთა მრავალფეროვანი ცხოვრება. მაგალითად, თფილისისაკენ მიილტვის ბორჩალო, ახალციხე, ახალქალაქი თავისი მრავალნაირ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ასეთ დამოკიდებულებაშია ართვინი ბათუმთან და სოხუმის ოლქი სამეგრელოსთან. ეს დიდი ხნით გაბმული ძაფებია და მათი დაწყვეტა დასცემს ორივე მხარეს. ასეთი მსხვერპლის მიტანა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ აქედან სარგებლობა მეტია, მარა ეკონომიურაათ საზარალო წყობილება, საზარალოა ნაციონალურათაც დუხჭირ ეკონომიურ საძირკველზე ვერასოდეს ვერ აშენდება ნაციონალური კულტურის საღი კედელი. ყოველივე ის, რაც აუძლურებს ჩვენ სამრეწველო და საალებ-მიცემო განვითარებას, აუძლურებს ჩვენს ეროვნებასაც.

გარდა ამისა, ასეთი პატარ-პატარა ტერიტორიები ყველა ერისაგან გამოიჭრება რა რიგ შერეულათ ცხოვრობდენ ისინი. ერთი მწერალი შემდეგ ნაციონალურ ერთეულებს ჭრის რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში:

სომხების ნაციონალური ტერიტორია: მაზრები ეჩმიაძინის,

ალექსანდროპოლის, ახალ-ბაიაზეთის, ახალქალაქის, ბორჩალოს, ყარსის, ყაგიზმანის, შუშის და ზანგეზურის. ამ ფარგალში მცხოვრები სომხები შეადგენენ საერთო რიცხვის 55%-ს.

თათართა ტერიტორია: ბაქოს და განჯის გუბერნია, გარდა შუშის მაზრისა, ითვლება 59,2% თათარი.

ლატიშთა ტერიტორია: კურლიანდიის გუბერნია, ვიტებსკის გუბერნიის სამი მაზრა, ლიფლიანდიის ოთხი მაზრა, ითვლება 68% ლატიშელები.

ესტონელთა ტერიტორია: ლიფლიანდიის და ესტლიანდიის ჩრდილო ნახევარი, ითვლება 90% ესტონელი, და სხ. და სხ.[1]).

არც ერთი ამ ნაციათა პარტია არ თხოულობს ამ ტერიტორიათა ავტონომიას. რატომ? ცხადია რატომ. ასეთი ავტონომია იქნებოდა ეკონომიურათ ამ ნაციათა სიკვდილი. მარტო ჩვენი ავტონომისტები ვერ მიხვედრილან ამ ჭეშმარიტებას, რაც აშკარათ ამტკიცებს მათ თავად-აზნაურულ სულის კვეთებას.

ახლა ვნახოთ, რა სარგებლობას მოგვიტანს ასეთი ავტონომია ნაციონალური თვალსაზრისით. 1897 წელს ამ საზღვრებში ცხოვრობდა 1,593,000 სული, რომელთა შორის ქართველია 1,266,000. ე. ი. 79,4%. 1911 წ. ცნობებით აქ ცხოვრობს 2,067,080 მცხოვრები, ამათში ქართველია 1,549,733 ე. ი. 74,9%. აქაც ქართველთა რიცხვი შედარებით არა ქართველთა კლებულობს, მაშინ როდესაც ქართველების საერთო რიცხვი მატულობს. ნაციათა შერევა აქაც თვალსაჩინოა. ეს ნახევარი მილიონი არა ქართველი მუდამ იქნება საგანი ნაციონალური პოლიტიკისა და დევნისა. და რადგანაც საერთო ტენდენცია ჩვენში უცხოელთა გამრავლებისა ცხადია, მიზეზი ნაციონალური შეხლა-შემოხლისა უფრო და უფრო გაიზრდება. საზოგადოთ ყოველგან ნაციონალური კითხვა არის კითხვა უმცირესობის, ე. ი. ის ეხება უმცირესობის ნაციონალურ შე-

[1]) „Вестник Европы“ 1912 г. № 8 и 9. ნაანგარიშევია 1897 წ აღწერის ცნობებით. წერილი მედემის.

ვიწროებას უმრავლესობის მიერ. სადაც კი ასეთი უმცირესობა არის, არის იქ შევიწროება და მაშასადამე, ნაციონალური კითხვაც. ჩვენი ნახევარ მილიონიანი უმცირესობა წარმოშობს ნაციონალურ კითხვას, ისე როგორც ამას ჩადის ყველა სხვა უმცირესობა ყველა ქვეყანაში.

მეორე მხრით, ვიწრო საზღვრების ავტონომია საზარალოა იმათაც, რომ მის გარეთ რჩება ასი ათასამდის ქართველობა. ამოდენა ხალხის ნაციონალური ერთეულიდან გაგდება დიდად შეაფერხებს როგორც მათ კულტურულ ზდას, ისე თვით ნაციის წინმსვლელობას. ასი ათასი კაცი არაფერია დიდი ერისათვის, ხოლო მილიონ ნახევარიანი ერისათვის ის დიდი რიცხვია და მათი კულტურულათ შემოკავშირება დიდი კითხვაა. და აი, როცა ავტონომიის საზღვარში მყოფნი სხვა ერები განიცდიან ნაციონალური მთავრობის დევნას და შევიწროებას, აშკარაა მათი მონათესავე ერები, ავტონომიის გარეთ მცხოვრებნი, სამაგიეროს მიუზღავენ მათ გვერდით მცხოვრებთ ასი ათას ქართველთ და მათ სასტიკათ დაამარცხებენ. მოხდება ის, რასაც დღეს ვხედავთ ავსტრიაში., ბოჰემიაში ჩეხელები ჩაგრავენ ნემცებს, სამაგიეროთ მორავიაში ნემეცები ჩაგრავენ ჩეხელებს. ჩვენში ასეთი საერთაშორისო ბრძოლა მოკლებული იქნება იქაურ კულტურულ ფორმებს. მოიგონეთ სომეხ-თათართა შეტაკება, მოიგონეთ ფედერალისტთა პროგრამული წერილები, დაწერილი ჩხეიძის დეპუტატათ არჩევის გამო. და თუნდაც ბრძოლამ კულტურულათ იწარმოვოს,— ეს მაინც ბრძოლაა, ეგ მუდმივი უნაყოფო დავიდარაბაა, რაც უნდა დასრულდეს თვით ავტონომიის მოშლით. ჩეხიის ავტონომია არც ერთ ჩეხურ პარტიას არ აკმაყოფილებს, ყველას მისი გაუქმება სურს, განსხვავებაა მხოლოდ იმაში, რომ ბურჟუაზია თხოულობს უფრო ფართო ავტონომიის შემოღებას, ე. ი. უფრო ფართო ნაციონალური ბრძოლის დაწყებას, ხოლო პროლეტარიატი თხოულობს ტერიტორიალური ავტონომიების ერთნაირათ მოშლას.

და აი, ჩვენი ავტონომისტები თავზე გვახვევენ ისეთ წყობილებას, რაც კაი ხანია გაკოტრდა სხვაგან და რის წინააღმდეგ ბრძოლა მეორე დღესვე დაგვჭირდება.

ამგვარათ, საქართველოს ავტონომია სრულებით არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიურ განვითარებას. საქართველოს ავტონომია საქართველოს ეკონომიური და ნაციონალური რეაქციაა. ის არის ქართველი მუშა ხალხის მოთხოვნილება, ის არ ხატავს მისი სულის კვეთებას, ის არის მოთხოვნილება უმთავრესათ მემამულეების, სამღვდელოების, ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის. პირველი ავტონომიით გამაგრდება სოფელში, მეორე ეკლესიაში, მესამე ვაჭრობაში, ხოლო მეოთხე ხელთ ჩაიგდებს ყველა ჯამაგარიან თანამდებობას და გახდება ნაციონალურ ბიუროკრატიათ. ყველა რაღაცას იძენს ავტონომიით, არაფერს არ იძენს მხოლოდ ქალაქის და სოფლის მუშა ხალხი, როგორც დამორჩილებული კლასი, არაფერს იძენს ნაცია, როგორც ერთი კულტურული მთელი. ნაციონალური ბრძოლა დააუძლურებს მუშას არსებობისათვის ბრძოლაში, დააშორებს მას სხვა ერის მუშებს და დასცემს მის კულტურულ განვითარებას. ნაციონალური ბრძოლა გამოიწვევს ბრძოლას ავტონომიის გარეთ დარჩენილ ქართველების წინააღმდეგ, დაასუსტებს მათ ნაციონალურათ და ბოლოს ქართველობას ერთიანათ მოსწყვეტს. კულტურული დაუძლურება ერის უმრავლესობის შიგნით და გარეთ—აი ავტონომიის შედეგი. ქართველი ერის კულტურული ერთობა გადაიქცევა გაბატონებულ კლასთა ერთობათ, ჩვენი მიზანია კი, ქართველი ერის კულტურული ერთობა გადაიქცეს მისი მშრომელი ნაწილის კულტურულ ერთობათ.

მაშასადამე, ნაციონალურ კითხვის გადაწყვეტაში ერთიანათ უარყოფილი უნდა იქნას ტერიტორიალური პრინციპი, ისტორიულ ტერიტორიათა ნაციონალური ავტონომია.

მაშ როგორ შეიძლება კითხვის გადაწყვეტა?

ე. პერსონალური პრინციპი.

ადამიანთა ყოველგვარი თავყრილობა, მათი საზოგადოება გამოწვეულია მათი საერთო ინტერესებით. ერთად ცხოვრება, ერთ უღელში შებმა, ერთი ჭირისა და ლხინის გაზიარება შესაძლებელია მხოლოდ იმათთვის, ვისიც სარგებლობა ამას მოითხოვს. უამისოთ საზოგადოებრივი ერთეული დაირღვეოდა და ადამიანები აქეთ-იქით დაიფანტებოდენ. საზოგადოება ერთი უდიდესი იარაღია არსებობისათვის ბრძოლაში და ამიტომ ყველა მას მაგრათ ჩასჭიდებია. ფორმა ამ თავყრილობის მრავალნაირია: გვარი, ოჯახი, თემი, ნაცია—აი ეს ფორმები. ისინი ვითარდებოდენ სხვა და სხვა ისტორიულ ხანაში, ხდებოდენ წინმსვლელობის იარაღათ.

ცხადია, ნაცია იგივე საზოგადოებრივი კავშირია. რა აერთებს ამ კავშირს? საერთო ინტერესები. რა ნაირია ეს ინტერესები? პირადი, ზნეობრივი, მატერიალური? რასაკვირველია არა. თვითეული ამათგანი კერძო ხასიათისაა, ჩვენ კი ვეძებთ საერთო ხასიათის ინტერესებს. პირადი ინტერესები ნიშნავს ნაციონალური კითხვის პიროვნების კითხვათ გამოცხადებას. ამ შემთხვევაში ამბობენ: მიეცი პირადი თავისუფლება ხალხს და ნაციონალური კითხვა გადაიჭრებაო, ე. ი. კონსტიტუციური ნორმა თავის თავად სპობს ნაციათა განხეთქილებასო. ასეთი მოაზრენი ბევრია მოძრაობის პირველ ხანაში, ბევრია ჩვენშიაც, ეს ასე ვთქვათ, ნიჰილისტური შეხედულებაა ნაციაზე და ამიტომ შესაფერი ნაციონალური პოლიტიკა უარყოფითი ხასიათისაა. ეს ბადებს ოტო ბაუერის სიტყვით გულუბრიყვილო კოსმოპოლიტიზმს, რაც ეწინააღმდეგება ინტერნაციონალიზმს. აქ ნაცია წარმოდგენილია როგორც ხალხი, ე. ი. როგორც პიროვნებათა უბრალო კრებული და არა როგორც ეროვნება, როგორც ერთი განკერძოებული კულტურული მთელი. ხალხი ტერიტორიალური მცნებაა, ეროვნება კულტურული, როცა ვამბობთ რუსეთის ხალხიო,

ამით ვგულისხმობთ არა მარტო რუსის ერს, არამედ ყველა იმ ერებს, რომელნიც ცხოვრობს რუსეთის საზღვრებში. მაშასადასე, ჩვენ სახეში გვაქვს ამ ერთა საერთო ინტერესების გარდა ამის კერძო-კერძო ინტერესებიც, რომელიც ეხება თვითეულ ერს ცალ-ცალკე. წინ დგება ნაციონალური კითხვა.

ნაცია არც ზნეობრივი კავშირია. თვითეულს ჯგუფს ნაციისას თავ-თავისი ზნეობა აქვს. არისტოკრატიის ზნეობა დიდათ განსხვავდება დემოკარტიის ზნეობისაგან, ხოლო ორივე ეს კლასი წევრია ერთი და იმავე ნაციის. მათ ზნეობრივი თვისება ყოფს და არა აერთებს.

ამიტომ ნაციის საერთო ინტერესები ვერ იქნება ვერც მატერიალური ხასიათის. ამ ნიადაგზე ნაციაში მუდმივი ბრძოლა, მუდმივი განხეთქილება და გაწევ-გამოწევაა. კლასთა ბრძოლა ამ საფუძველზეა აგებული და ამ ნივთიერი უსწორმასწორობით იკვებება. ნაცია ეკონომიურათ იყოფა და არა ერთდება; აქ საერთო ინტერესი შეუძლებელია. ავტონომისტ-ტერიტორიალისტები ამ შეუძლებლობას შესაძლებლათ აღიარებენ. მათი აზრით, ნაციის საერთო ინტერესი ეკონომიური ხასიათისაა, რაიცა შეკავშირებულია ტერიტორიასთან. ამისათვის ისინი ადგენენ ერთ-რაზმს, ერთ ჯარს ყველა კლასებისაგან და მოითხოვენ ავტონომიას. მართალია, რომელიმე ტერიტორიალურ ერთეულს, მაგალითად სახელმწიფოს აქვს თავისი საერთო ეკონომიური ინტერესი, რაც იწვევს მფარველობით სისტემას, მარა ამ ერთეულში მყოფ თვითეულ ერს ასეთი განსაკუთრებითი ინტერესი არა აქვს. ეკონომიური განვითარება დაკავშირებულია ტერიტორიასთან და არა ნაციასთან. ნაცია არ შეიძლება იყოს ეკონომიური ორგანიზმი, როგორც ეს ჩვენ ზემოთ გ`ვარკვიეთ, ნაციის წარმოდგენა, როგორც ერთი ეკონომიური კავშირის გამომდინარეობს ტერიტორიალური პრინციპისაგან. ის ნაციონალიზმის მთავარი დებულებაა.

ცხადია—ნაციის საერთო ინტერესი ნიშნავს ისეთ ინტერესს, რომელიც აერთებს ნაციის ყველა ნაწილებს და მათგან

ქმნის ერთ ნაციონალურ მთელს. მოაკელით ერს ეს კავშირი და ის დაიშლება. და აი, ასეთი კავშირია ნაციის ენა, მწერლობა, ხელოვნება, სწავლა-განათლება, მეცნიერება, ე. ი. მთელი სულიერი კულტურა. ამაში დაინტერესებულია კლასი და ჯგუფი. ნაციონალური კულტურა ეხება ნაციის ყველა კლასს. მართალია ამ კულტურაში პროლეტარიატი უფრო დაინტერესებულია ვინემ სხვა კლასები, მარა ეს ეხება ხარისხს სარგებლობისას და არა თვით სარგებლობას. ამ მხრით ნაცია, წააგავს ეკლესიას. როგორც ეკლესია თავს უყრის სხვა-და-სხვა მდგომარეობის მორწმუნეთ და მათგან ქმნის ერთ რელიგიურ მთელს, ისე ნაცია თავს უყრის სხვა-და-სხვა კლასებს და მათგან ქმნის ერთ კულტურულ მთელს[1]). მაშასადამე, ნაციონალური კითხვა, ისე როგორც რელიგიური, შეიძლება გამოიყოს სხვა კითხვებისაგან და ცალკე მოწესრიგდეს. სანამ რელიგიურ კითხვას აკავშირებდენ სხვა კითხვებთან, სანამ სახელმწიფო მას თავის კითხვათ აღიარებდა, ერთს მფარველობდა და მეორეს დევნიდა, მანამდის ამ ნიადაგზე მუდმივი ბრძოლა და შუღლი იყო. მხოლოდ იქ, სადაც რელიგია გამო'მორდა სახელმწიფოს და მორწმუნეთა კერძო საქმეთ გამოცხადდა, იქ ეს ბრძოლა

[1]) სტალინი თავის ზემო დასახელებულ წერილში უარყოფს ნაციის კულტურულ ერთობას იმ მოსაზრებით, რომ კლასთა ბრძოლა და განხეთქილება თანდათან მწვავდებაო. გამოდის რომ, ნაციას აღარაფერი აერთებს, მასში მხოლოდ დამრღვეველი ელემენტები მუშაობენ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა, რატომ ნაცია არ ირღვევა და არ ისპობა. სტალინის ლოგიკით რაც ნაკლებია კლასთა განხეთქილება, მით უფრო მძლავრია ნაციის კულტურული ერთობა, მძლავრია ნაცია. მაშასადამე, ნაცია კაპიტალიზმის წინა საფეხურზე უფრო მძლავრი ყოფილა, ვინემ ახლა, როცა კლასებს ასეთი ხელჩართული დიდებული ომი აქვთ გამართული. ნამდვილათ კი იგი თითონვე ამბობს მეორე ალაგას, რომ ნაცია კაპიტალიზმის ღვიძლი შვილიაო, ე. ი. შვილია იმ ხანის, როცა კლასთა ბრძოლა მძლავრია. გამოდის, რომ კლასთა ბრძოლა ნაციას, როგორც ერთ კულტურულ ორგანიზმს, კი არ ასუსტებს, არამედ ამაგრებს და აკვითარებს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ორივე ეს მოვლენა

მოისპო და მის მაგიერ დაიწყო რელიგიური პროპაგანდა, უპოლიციოთ, უიარაღოთ, თავისუფალი სიტყვით. ნაციონალური ინტერესების გამოყოფა სახელმწიფო ინტერესებისაგან, ნაციონალური კითხვის გამოშორება სხვა კითხვებისაგან და მისი დაინტერესებული მხარის, ანუ ნაციის საქმეთ გამოცხადება ერთად-ერთი საშუალებაა ნაციონალურ ბრძოლის შესასუსტებლათ და ნაციონალური კულტურის თავისუფლათ გასავითარებლათ.

რას ნიშნავს ეს? რელიგიურ ერთეულში შედის ყველა ის, ვინც ამ რელიგიას სცნობს და თავისათ აღიარებს.

ნაციონალურ ერთეულში შედის ყველა ის, ვინც ამ ნაციას ცნობს და თავისათ აღიარებს, ქართველი შედის ქართველთა ერთეულში, სომეხი სომხებისაში, თათრები თათრებისაში და ასე ბოლომდი. ასეთი თავყრილობა არ არის შეკავშირებული განსაზღვრულ ტერიტორიასთან. ქართველი საქართველოში მცხოვრები შედის ასეთ ერთეულში ისე, როგორც ქართველი ბაქოს, პეტერბურგის, კავკავის და სხვა ადგილების. მათ შორის სრული თანასწორობა და ერთობაა.

ნაციის აღიარება, როგორც პიროვნული ანუ პერსონა-

გამოიწვია ერთმა მთავარმა მიზეზმა—საწარმოვო ძალთა განვითარებამ. სტალინი კი ჩაფრენია შედეგს ამ მიზეზისას და ამით სურს ახსნას მეორე შედეგი, რომელთანაც ის პირდაპირ დაკავშირებული არ არის. თანამედროვე ნაცია რომ ობიეკტიურათ ერთი კულტურული მთელია—ეს სადავო აღარ არის; ამ მოვლენის ახსნაში მარქსიზმმა დიდი წვლილი შეიტანა. პოლიტიკური მოღვაწე ვალდებულია იცოდეს რა აერთებს ამ მთელს და რა არღვევს. და სწორეთ ამას ვიძიებთ ჩვენ და მაზე ვაშენებთ მოღვაწეობის გეგმას. სტალინი ყველა ამას ერთი დაკვრით იშორებს. ნაციას არაფერი აერთებს, ის უბრალო მექანიკური თავყრილობაა, რომელიც დღეს თუ ხვალ უნდა დაირღვესო. ამ შემთხვევაში გამოსაკვლევი და მოსაწესრიგებელი არა არის რა. ნაციონალური კითხვაც ხელოვნურათ შექმნილია და მაზე თავის ტეხა დონკიხოტობაა. აი ასეთ შეხედულებას ჩვენ ვუწოდებთ ნიჰილისტურ შეხედულებას, რასაც სტალინი ვერ გაშორებია.

ლური კავშირის, ნიშნავს ნაციონალურ კითხვაში ტერიტორიალური პრინციპის უარის ყოფას და პერსონალურის აღიარებას.

ოტო ბაუერი ამ პრინციპს ასე ახასიათებს:

„პერსონალური პრინციპით ნაცია დგება არა როგორც ტერიტორიალური კორპორაცია, არამედ როგორც წმინდა პიროვნული, პერსონალური, კავშირი. ამ შემთხვევაში ნაცია, აგებული საჯარო უფლებრივ საფუძველზე, იქნებოდა ტერიტორიალური კორპორაცია მხოლოდ იმ მხრით, რომ მისი მოქმედება არ გადაშორებოდა სახელმწიფო საზღვრებს. სახელმწიფო საზღვრების შიგნით ძალა უფლება მიეცემოდა არა ამ ოლქში ჩეხელს, ხოლო მეორე ოლქში ნემეცს, არამედ ყველა ერები, სადაც უნდა ცხოვრობდენ ისინი შეადგენენ კორპორაციებს და დამოუკიდებლათ განაგებენ თავ-თავის ნაციონალურ საქმეებს. ერთ და იმავე ქალაქში იცხოვრებენ ორი და მეტი ნაცია ისე, რომ ერთი-მეორეს ხელს არ შეუშლიან და მშვიდათ განავითარებენ ნაციონალური თვით მართველობის ფორმებს. დაასრსებენ თავის გამანათლებელ დაწესებულებებს სწორეთ ისე, როგორც პროტესტანტები, კათოლიკები და ებრაელები დამოუკიდებლათ განაგებენ ერთ და იმავე ქალაქებში რელიგიურ საქმეებს.“ ასეთი ნაციონალური ერთეული განიყოფება, რასაკვირველია, ტერიტორიალურათ. ერთი ნაციის ხალხი სოფელში, მაზრაში, გუბერნიაში და ბოლოს სახელმწიფოში შეადგენენ თავ-თავის ნაციონალურ ერთეულს, რომლის მიზანია „იზრუნოს ნაციის კულტურულ მოთხოვნილებებზე, ააგოს მისთვის სკოლები. გახსნას ბიბლიოთეკები, თეატრები, მუზეუმები, სახალხო უნივერსიტეტები, მიაწოდოს თანამემამულეთ იურიდიული დახმარება, სადაც ეს საჭიროა. ამ ხარჯების დასაფარავათ მას ეძლევა უფლება დაადვას გადასახადი თავის წევრთ. ყველა ეს იქნებოდა ნაციონალური ავტონომია, აშენებული წმინდა პერსონალურ პრინციპზე. თვითეულ ერს შეეძლება გაუძღვეს

თავისი საშუალებით კულტურულ საჭიროებებს, არც ერთი ნაცია არ იქნება იძულებული ამ საქმისათვის აწარმოოს ბრძოლა უფლებისათვის სახელმწიფოში. პერსონალური პრინციპი გახდება საუკეთესო საშუალებათ ნაციონალური ინტერესის დასაცავათ. რამდენათ ნაციონალური უმცირესობის უფლებათა საზოგადოთ დაცვა შეიძლება—ის დაცული იქნება. პერსონალური პრინციპის მეფობაში ნაციონალური შევიწროება დამყარებული ძალა-უფლებაზე ყოვლად შეუძლებელია. მართალია, ერები თავის მიმზიდველ ძალას არც მაშინ დაკარგავენ, უფრო კულტურიანი ერები მაშინაც მიიზიდავენ თვისაკენ და გათქვეფენ ნაკლებ კულტურიანის რომელიმე ელემენტებს, შერეული ქორწინებით, მჭიდრო ეკონომიური და მეგობრული მიმოსვლით. ნაციონალური უმრავლესობა ამა თუ იმ ოლქში ყოველთვის შთანთქავს და თავის არსებობაში გალესავს ნაციონალური უმცირესობის ზოგ ნაწილს. მარა ყველა ეს მოხდება სოციალური და კულტურული უპირატესობით და არა პრივილეგიებით. მშვიდობიანი შეჯიბრება ძალადობის მაგიერ"![1]).

ამნაირათ, პერსონალური პრინციპი გულისხმობს ნაციის ავტონომიას კულტურის საქმეებში. ეს კულტურული ავტონომია, რომელიც პირდაპირ შეკავშირებულია ნაციასთან, როგორც კულტურულ ერთეულთან. რადგან ასეთი ავტონომიის მთავარი—მიზანია კულტურული მუშაობა. ხოლო ბრძოლა ეკონომიური და პოლიტიკური აქედან გამორიცხულია, ცხადია, აქ დადებითი მუშაობა გამეფდება. კულტურულ ერთეულში, რაც ნაკლები იქნება ბრძოლა და შუღლი, მით უფრო სასარგებლოა მუშა ხალხისათვის. შეძლებული კლასები თავისი ოჯახური საშუალებითაც დაიკმაყოფილებენ თავის კულტურულ მოთხოვნილებებს. აპიტომ კულტურული მუშაობის შეფერხება სრულიად არ აფერხებს მათ გამძლავრებას. მხოლოდ ღარიბ კლასებს არ ძალუძთ პირადი საშუალებით მიიღონ სწავლა-

[1]) **Национальный вопрос и социалдемократия.** გვ. 368—371.

ცოდნა, იურიდიული დახმარება და სხ. ისინი საჭიროებენ კოლექტიურ დახმარებაში, ამიტომ კულტურული მუშაობის შეფერხება მათთვის პირდაპირ საზარალოა. ბრძოლა კულტურულ ავტონომიაში შეიძლება მხოლოდ თვით კულტურული საქმეების შინაარსის და გაფართოების გარეშემო. დემოკრატიის მიზანია მთელი ხალხი იქცეს კულტურის მატარებლათ, რაც თხოულობს კულტურულ მუშაობის დემოკრატიულათ წარმართვას.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის ასპარეზია ტერიტორიალური ერთეული, ხოლო კულტურული მუშაობის ასპარეზია ნაციონალური ერთეული.

სტალინი, როგორც ტერიტორიალისტი, ებრძვის ბაუერის ტეორიას ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის შესახებ. რა ნაირად შეიძლება ნაციის ავტონომია, ნაციის თავის მოყრა, როცა „ეკონომიური განვითარება ტერიტორიას სწყვეტს მის მთელ ჯგუფებს და აბნევს სხვა და სხვა მხარეში“, კითხულობს ის. მას, ალბათ, ერი წარმოდგენილი აქვს როგორც ეკონომიური ერთეული და რაკი ერის ნაწილები შორს ეწევიან ეკონომიურ უღელს, ცხადია დედა ერთან ეკონომიური კავშირი ველარ ექნებათ. ჩვენთვის კი ერი კულტურული ერთეულია და მიტომ, სადაც უნდა იყოს მისი ნაწილი, რანაირათაც უნდა იყოს თავის ერისაგან ეკონომიური საქმიანობით დაშორებული, თუ ის ენის მსრით არ გადაგვარდა, იძულებულია ისაზრდოვოს თვისი ნაციონალური კულტურით, გადაებას დედა ერს კულტურულათ. ეს ასე ხდება დღეს. ხოლო თუ ის გადაგვარდა, მაგალითად გარუსდა, ან გაფრანგდა, მისი თავის ნაციისაკენ ხელოვნური დაბრუნება დონკიხოტობა იქნება და ამას არც ისახავს მიზნათ კულტურული ავტონომია. თვით ოტო ბაუერი ამბობს, რომ გადაგვარებას, სხვა ერში გათქვეფას კულტურული ავტონომია ვერ შეაჩერებს, ვინაიდან ასეთი მოვლენის მიზეზი ავტონომიაზე უფრო ღრმაა და ის შესაფერ პირობებში იმუშავებსო. არა თუ ავ-

ტონომია, თვით დამოკიდებული სახელმწიფო ძალაც ვერ შეაჩერებს ასეთ პროცესს. რამდენი რუსი გაქართველდა, რამდენი ფრანგი გაგერმანელდა და სხვ. ვინ მოსთვლის. კულტურული ავტონომია მხოლოთ ხელს უწყობს ერის ბუნებრივ, ძალ-დაუტანებლივ განვითარებას. გადაგვარება თუ მოხდება, მოხდება ბუნებრივათ, უპოლიციოთ და უდევნელათ, ახლა კი გადაგვარება ხდება ძალით, ნაციის შემავიწროებელი პოლიციური ზომებით. ეს გადაგვარება კი არა გადამახინჯებაა. კულტურული ავტონომია კი სპობს ამ გადამახინჯებას და სრულიად ვერ მოსპობს გადაგვარების ბუნებრივ პროცესს. მაღალი კულტურა დაბალს ყოველთვის მოერევა, რანაირი ავტონომიაც უნდა მისცე უკანასკნელს. ერთად-ერთი საშუალება ამ მორევის წინააღმდეგ არის კულტურულათ ამაღლება, რაიცა ნიშნავს ხალხის დაბალ საფეხურიდან მაღალ საფეხურზე აყვანას და ამას კიდევაც უნდა შეეცადოს ავტონომია. მერე ეს მავნებელია?

განა ჩვენი საქმეა უკლასო ნაციონალური კავშირის შედგენა? კითხულობს სტალინი. ჩვენი საქმე არ არის ასეთი კავშირების შედგენა ეკონომიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე და ამას არც ჩავდივართ. არ ჩადის ამას არც ბაუერი და შპრინგერი. მხოლოთ კულტურული კავშირების შედგენა და შიგ ჩვენი მუშაობა კაი ხანია წარმოებს დი აქამდინ ეს არც ერთ მარქსისტს არ უარუყვია. ასეთი კავშირებია მაგ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატიული წრე, ლიტერატურული წრე და სხვა მრავალი, სტალინის ლოლიკით ყველა ეს სისულელეა. კარგი, ვთქვათ ყველა ეს მოვშალეთ, მარა ნაციონალურ სკოლას რას უშვებით? მისი მოშლაც ხომ არ შეიძლება? ხოლო მისი ცნობა ნიშნავს ნაციონალური კავშირის ცნობას, ვინაიდან სკოლა ერთი ამ კავშირთაგანია. ამ შემთხვევაში სტალინის მთელი ლოლიკური შენობა ირღვევა და მისი ნანგრევებიდან ნათლათ მოსჩანს მრავალნაირი ნაციონალური კულტურული კავშირები, ურომლისო-

თაც ნაციონალური სკოლა ვერ იარსებებს. დედა-ენაზე სწავლა, ცოდნის მიღება მოითხოვს შესაფერ დაწესებულებებს. ერთი ამათგანია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება; გააფართოვეთ ამ საზოგადოების უფლებები, დაავალეთ მას გახსნას არა მარტო დაბალი, არამედ საშუალო და მაღალი სასწავლებლებიც, მუზეუმები, თეატრები, გაუძღვეს ყოველნაირ კულტურულ მოთხოვნილებას და თან მას მიეცით საჯარო უფლებრივი ხასიათი, ე. ი. ის იყოს სახელმწიფოს მიერ ცნობილი საავალდებულო დაწესებულება ქართველებისათვის და თქვენ მიიღებთ ქართველი ერის კულტურულ ავტონომიას.

როგორც ხედავთ, კულტურული ავტონომიის პრინციპი ყოველ ერშია ამუშავებული, მისი მზგავსი დაწესებულება ხშირია, მხოლოთ განსხვავება იმაშია, რომ ეს დაწესებულება კერძო, ნებაყოფლობითი ხასიათისაა და ვიწრო ფარგალშია მოქცეული, ავტონომია კი საჯარო უფლებრივი დაწესებულებაა, ფართე-კომპეტენციით და თან ფარავს მთელ ერს. ხოლო ნაციონალური შეჯგუფება, რასაც სტალინი ასე უფრთხის, ორივე შემთხვევაში არსებობს და თუ პირველ შემთხვევაში ის მას სცნობს, უნდა იცნოს მეორე შემთხვევაშიაც.

სტალინის ყველა შეცდომები მომდინარეობს ერთი მთავარი შეცდომისაგან: ის ურევს ნაციონალურ ერთობას ტერიტორიალურ ერთობაში, მას სწამს მხოლოდ მეორე და როგორც უკიდურესი ტერიტორიალისტი, ნაციის ერთობას, როგორც კულტურულ მთელს, ვერ ხედავს. ამიტომ ტერიტორიალური ავტონომია, მისი აზრით, საუკეთესოთ სჭრის ნაციონალურ კითხვასაც. ამ დებულებას, როგორც ქვევით დავინახავთ, ლოლიკურად მივყევართ ფედერალისტებისაკენ.

სტალინს უკვირს ის, რომ ჩვენ ავსტრიელთაგან ვსესხულობთ ნაციონალური ავტონომიის იდეიას. ის ამბობს: ვის გაუგონია კონსტიტუციური სახელმწიფოში შემუშავებული პროგრამის გადმოღება რუსეთში, სადაც კონსტიტუცია ჯერ კი-

დევ მოსაპოებელია? მას დავიწყებია ის, რომ პროგრამის ბევრი მუხლები, თითქმის უმრავლესობა, გადმოღებულია სწორეთ დასავლეთიდან და ეს ამდენ ხანს მის თანამოაზრეთ არ დაუწუნებიათ. ის აქაც ურევს ტაკტიკას და პროგრამას ერთმანეთში. პროგრამა შეიძლება ერთნაირი გვქონდეს ჩვენ და, მაგალითად, ფრანგებს, ხოლო ტაკტიკა სხვა და სხვა ნაირი. ეს დამოკიდებულია ადგილობრივ კონკრეტიულ პირობებზე. ავსტრიელთ შეუძლიათ თავის მოთხოვნილების განხორციელება მოითხოვონ პარლამენტარული გზით, ჩვენ კი არა. ეს ამტკიცებს ტაკტიკის განსხვავებას, და არა მოთხოვნილების უვარგისობას. განა ის საოლქო ავტონომია, რის შემოღებას საჭიროთ სცნობს ავტორი ამიერ-კავკასიისთვის ავსტრიისაგან არ არის გადმოტანილი? სწორეთ ასეთი ავტონომიები შეიქნა იქ ნაციონალური ბრძოლის მოედნათ და საჭირო გახდა მათი კორეკტივი (შესწორება) კულტურული ავტონომიის დაარსებით. განსხვავება ჩვენსა და სტალინის შორის ის არის, რომ მას გადმოაქვს ავსტრიიდან გაკოტრებული წყობილება, ჩვენ კი სრულიად ახალ წყობილების გეგმა.

როგორც ვსთქვით, არსებული ნაციონალური კავშირები ნებაყოფლობითია და მიტომ მისი შემოსავლის წყაროები ნებაყოფლობაზეა აგებული, კულტურული ავტონომია კი სახელმწიფო დაწესებულებათა ერთი დარგია და მისი შემოსავალი, გადასახადის ვალდებულებაზეა დაყრდნობილი, გარდა ამისა, ნაციას შეუძლია სხვა წყაროებიც გამონახოს, დაიარსოს საკრედიტო დაწესებულება და სხვა ამხანაგობები, რომელთა წმინდა მოგება გადაეცემა ნაციის ბიუჯეტს. ამ ნიადაგზე მოხდება შეჯიბრება მეზობელ ნაციონალურ ერთეულთან, მარა ეს შეჯიბრება ვერასოდეს ვერ მიიღებს პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს, ვინაიდან სახელმწიფო ამაში არ ერევა და ერთ-ერთის დამხმარეთ არ გამოდის. ეს იქნება ისეთი მშვიდობიანი კონკურენცია, როგორიც არის დღეს სხვა და სხვა საკრედიტო და საწარმოო დაწესებულებათა შორის.

ვიმეორებ, ერთი ნაციის კულტურა მეორისას თავის თავად არ ეწინააღმდეგება, წინააღმდეგობა იწყება მაშინ, როცა ერთი კულტურა ცხადდება გაბატონებულათ და სახელმწიფო მას ეხმარება. პერსონალური პრინციპი აწესებს სრულ თანასწორობას ნაციათა შორის—და თვითეულს მათგანს აძლევს საშვალებას განვითარებისათვის, პრივილეგია უქმდება, სახელმწიფო დარაჯობს ყველა კულტურას ერთნაირათ და იცავს მათ შინაგანი და გარეშე მტერისაგან. ნაციის კულტურულ დაეწესებულებას რომ ხულიგანები შემოადგენ დასანგრევათ, მოდის ამ ტერიტორიის პოლიცია და იცავს მას, ხოლო სასამართლო სჯის დამნაშაევთ და ასე ნაციის კულტურული მუშაობა გრძელდება.

იქ, სადაც ტერიტორიალური ერთეული ფარავს ნაციონალურ ერთეულს, ერთი და იგივე თვითმართველი ორგანო გაუძღვება ორივე დარგის საქმეებს. აქ ნაციონალური ერთეულის ცალკე გამოყოფა საჭირო არ არის, მაგალითად, ქართული სოფლის თვით-მართველობა იქნება ამავე დროს ამ სოფლის კულტურული თვითმართველობაც, რომელიც ზრუნავს ადგილობრივ ნაციონალურ მოთხოვნილებებზედაც. ქართულ სოფლებიდან შემდგარი მაზრა, გინდ გუბერნია, ერთი თვითმართველობით უძღვება ორივე დარგის საქმეებს. ქუთაისის გუბერნიის თვითმართველობა, (გარდა სოხუმის ოლქისა) იქნება ტერიტორიალური და ნაციონალური ერთეული, მხოლოდ ამ გუბერნიაში მყოფი უცხო ერები შევლენ თავ-თავის ნაციონალურ ერთეულში, თუ ამას ისინი მოისურვებენ. თფილისის გუბერნია ამ მხრით დიდათ აჭრელდება. აქ ხშირათ ერთი და იგივე სოფელი და კუთხე ტერიტორიალური საქმეებისთვის იქნება წევრი ტერიტორიალური ერთეულის, მარა ეს სიჭრელე არავითარ ტეხნიკურ ან კულტურულ დაბრკოლებას არ გამოიწვევს. ეს სიჭრელე ახლაც არის. სომხის სოფლები სომხურ სკოლას ხსნიან, ქართული სოფლები—ქართულს. მაშასადამე, ადგილობრივი ნაციონალური ერ-

თეულები თავის თავად არსებობენ. საჭიროა მხოლოდ მათი თავის მოყრა და შესაფერი უფლებებით აღჭურვა.

როგორც ხედავთ, ნაციონალური ერთეულის მართვა-გამგეობა მჭიდროთ შეკავშირებულია ტერიტოუიალურ მართვა-გამგეობასთან. ნაცია ცხოვრობს ტერიტორიალურ ერთეულში. და თუ ამ ერთეულის მართველობა წინ ეღობება ნაციის კულტურულ განვითარებას, ებრძვის მას და აუძლურებს მის საქმიანობას, ნაციონალური ერთეული ფიქციათ იქცევა, მისი ძალა-უფლება ქაღალდზე დარჩება. მეორე მხრით ნაციას, გარდა სულიერი კულტურისა, აინტერესებს აგრეთვე მატერიალური კულტურა. მისთვის მიუცილებელია მაგ. რკინის გზები, თავის ტერიტორიის მოხმარა, მართლმსაჯულება, საზოგადო უშიშროება და სხ. და სხ. აქ ერთი ნაციის ინტერესი ეთანხმება მეორე ნაციის ინტერესებს. ყველას ერთნაირად ეხება წესიერი მიმოსვლა, სამართალი, პოლიცია, მიწა-ადგილის განაწილება, ზავი და ომი და სხ. ხოლო ყველა ეს შეკავშირებულია ტერიტორიასთან, ტერიტორიალურ ერთეულთან. განსაზღვრა ამ ერთეულების სივრცის და უფლება-მოვალეობის ნიშნავს ტერიტორიალური კითხვის მოწესრიგებას.

10 ტერიტორიალური ერთეული.

როგორც ზემოთ ვთქვით, ტერიტორია სახელმწიფო ცნებაა, ამიტომ მისი ბატონობა იხატება ტერიტორიალური ორგანოებით, რომელთა საფუძველია იძულებითი პრინციპი. სახელმწიფო თავის მიზანს ახორციელებს იძულებით, ურჩს სჯის, მორჩილს ახალისებს. მართალია ნაციონალური ერთეულიც სარგებლობს იძულებითი უფლებით. მარა ის ამ უფლებას ღებულობს სახელმწიფოსაგან და ახორციელებს მისი ორგანოების საშუალებით. სოფელი, მაზრა, გუბერნია, ოლქი — აი როგორ იყოფა სახელმწიფო და თვითეულ მათგანს ეძლევა შესაფერი მართველობა, საზოგადოთ, სახელმწიფო ეხება ხალხს ადგილობრივი მართველობით. გლეხს ყოველ კვირაში აქვს საქმე სო-

ფლის სამართველოში, ხოლო მაზრის და გუბერნიის სამართველოს იშვიათად მიმართავს. მაშასადამე, ტერიტორიალური ერთეულის მოწესრიგება უდიდესი სახალხო კითხვაა.

ტერიტორიალური კითხვა შეიცავს ორ კითხვას: საერთო სახელმწიფოს და ადგილობრივს. გამორკვეა იმისა თუ, თვითეული ამათგანი რა კომპეტენციით უნდა იყოს აღჭურვილი, ნიშნავს მათი სამოქმედო ასპარეზის განსაზღვრას და შესაფერი მართვა-გამგეობის დაწყებას. რაკი ჩვენ ნაციონალური ინტერესი გამოვაშორეთ ყველა სხვა ინტერესებს და მისი ცალკე მოწესრიგება შესაძლებლათ გამოვაცხადეთ, ცხადია ტერიტორიათა ერთეულების გამოკრაში სახეში მისაღებია პირველ ყოვლისა არა მათი ნაციონალური შემადგენლობა, არამედ მათი ეკონომიური ვითარება. ეს არ ნიშნავს პირველის სრულ უყურადღებობას. არა, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ ტერიტორიალურ კითხვაში უაღრეს როლს თამაშობს ეკონომიური კითხვა, ხოლო ნაციონალური ხელქვეითს. ტერიტორია დღეს არ ფარავს ნაციას, ის დგება და იშლება არა ნაციის, არამედ ეკონომიური საჭიროების მიხედვით.

ერთი ეკონომიური მთელია სახელმწიფო. ამიტომ სახელმწიფო საუკეთესო სარბიელია ეკონომიური განვითარების, კლასების აღორძინების და მათი ბრძოლის. ეკონომიურათ მძლავრი კლასები თვით პატრონობენ სახელმწიფოს და მას ამოძრავებენ თავის სასარგებლოთ. უკმაყოფილო კლასები აქ იყრიან თავს, ადგენენ პოლიტიკურ პარტიებს და ებრძვიან გაბატონებულთ სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. პოლიტიკური ბრძოლა შეუძლებელია სახელმწიფოს გარეშე, მაშასადამე, სახელმწიფოს ბუნებრივი კომპეტენციაა საერთო ეკონომიური და პოლიტიკური კითხვები: კითხვები ბაჟების, არმიის, ფლოტის, საგარეო და საშინაო პოლიტიკის, საალებ-მიცემო და სათამასუქო უფლების, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც სახელმწიფოს ქმნის ერთ სახელმწიფოს ორგანიზმათ. მარა ეკონომიური განვითარება მოითხოვს არა მარ-

ტო ეკონომიურ საშუალებებს, არამედ იურიდიულ და პოლიტიკურ წყობილებასაც. ერთ კუთხეში თუ ქურდები ისჯება მსუბუქათ, ხოლო მეორეში სასტიკათ, პირველი კუთხე ეკონომიურათ მეტად დაზარალდება და დასუსტდება. სახელმწიფო დაინტერესებულია თავის ხელში ქონდეს როგორც ეკონომიური, ისე იურიდიული ძაფები. იუსტიცია და კონსტიტუცია მის უფლებაში შედის.

ამნაირათ, ეკონომიურმა ცენტრალიზაციამ დაბადა უფლების ცენტრალიზაცია. უამისოთ ეკონომიური მთელი დაირღვევა და მით სახელმწიფო დაეცემა. ამით აიხსნება ისიც, რომ ძველი კანტონალური უფლება, მაგ. შვეიცარიაში ისპობა და მის ალაგას იქერს ცენტრის უფლება. ასევე ხდება გერმანიაში.

დეცენტრალიზაცია ნიშნავს ცენტრალურ უფლების გატარებას ადგილობრივ ძალებით და ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ ადგილობრივ კანონმდებლობას. კონსტიტუციური ნორმები, სისხლის სამართლის და სამოქალაქო დებულება ერთია, ხოლო მათი სისრულეში მოყვანა შეიძლება იყოს სხვა და სხვა კუთხეში სხვა და სხვა ნაირათ. ქართველს გაასამართლებენ ქართულათ, სომეხს სომხურათ და სხვ.

დეცენტრალიზაცია საჭიროებს თავის ორგანოს, შესაფერ ტერიტორიალურ თვითმართველობას. მართალია, ეკონომიური ორგანიზმი სახელმწიფოა, მარა ამ ფარგალში შეიძლება იყოს ოლქები ან მხარეები, განსაკუთრებითი ეკონომიური მდგომარეობით და მიმოსვლით. ასეთი მხარე იქნება მეორე ხარისხოვანი ეკონომიური ორგანიზმი და მისთვის თვითმართველობის მინიჭება აუცილებელია. ჩვენში ასეთი ეკონომიური ოლქია ამიერ კავკასია. საერთო რკინის გზა, საერთო ზღვის გზა, ურთი-ერთ შორის დაახლოვება, რუსეთიდან დიდი მთით დაშორება, შინაგანი შრომის გაყოფა და გაცვლა-გამოცვლა, საერთო ტერიტორია და მცხოვრებთა შერევა, საერთო მართვა-გამგეობა და ერთი მეორეში ნაციონალურათ ათქვეფა—ყველა ეს ქმნის ამიერ კავკასიისათვის განსაკუთრებულ

ეკონომიურ ასპარეზს. ეს ქვეყანა თვით ბუნებამ შექმნა ერთ განსაკუთრებითი ნაჭრათ თავისი მთებით, ჰავით, ბუნების სიმდიდრით და ნიადაგის თვისებით. ამ ჰავის, ამ ნიადაგის, ამ ბუნებრივი კულტურის მომველელი და ხელშემწყობია ადგილობრივნი მცხოვრებნი. ეს ტერიტორია ერთიანათ სხვაედება თავისი ბუნებრივი თვისებებით რუსეთის ტერიტორიისაგან და მისი გამოყენება და პატრონობა თხოულობს განსაკუთრებით მართველობას. ეს ისე ნათელია, რომ თვით ბიუროკრატიაც კი ცდილობს აქაური მართვა-გამგეობა განასხვავოს შიდა გუბერნიათა მართვა-გამგეობისაგან.

მიუხედავათ ამისა არიან ჩვენს თანამოაზრეთა შორის ისეთნი, რომელთაც გონიათ ამიერ კავკასიის თვითმართველობა ნაადრევათ, შეუფერებლათ და ამიტომ დასაგმობათ, სამაგიეროთ ისინი აღიარებენ საქართველოს თვითმართველობას. როცა ამას ამბობენ ფედერალისტები, ისინი ლოგიკას მაინც არ ღალატობენ, მათ სურთ საქართველო გადააქციონ სახელმწიფოებრივ ერთეულათ და შიგ გაბატონონ ერთი ერი. ეს ტერიტორიალურ პრინციპიდან გამომდინარეობს. მარა როცა ამასვე იმეორებენ ამ სახელმწიფოებრივის უარის მყოფელნი, ფართო თვითმართველობის და კულტურული ავტონომიის მომხრენი, აქ ლოგიკა დარღვეულია. ამათ პირველ ყოვლისა უნდა დაამტკიცონ ის, რომ საქართველო ეკონომიური მთელია, რომ ის ამიერ კავკასიისაგან გამოყოფილი ეკონომიურათ თავისი ლონით განვითარდება. ამის დამტკიცება კი ყოვლად შეუძლებელია. პირიქით საქართველოს ეკონომიური განვითარება ყოვლად შეუძლებელია ამიერ კავკასიის ჩარჩოების გარეშე. და თუ ეს ასეა, ეს გარემოება გვიკარნახებს ერთ საერთო თვითმართველ ერთეულს და არა ერთი კუთხის გამოყოფას და სხვების ძველებურ მდგომარეობაში ჩატოვებას.

გვეუბნებიან, ამიერ კავკასიის სეიმში იქნება ნაციონალური და საწმუნოებრივი ბრძოლაო. ეს გაუგებრობაა. ნაციონალური საქმეები ჩვენ გამოვყავით სხვა საქმეებისაგან.

ნაციის კულტურული ავტონომია ამ გამოყოფას და მათ ცალკე მოწესრიგებას ნიშნავს. რაც შეეხება სარწმუნოებას, ის უნდა იქნას გამოშორებული სახელმწიფოსაგან და ერთიანად მიშვებული მორწმუნეთა ნებაყოფლობაზე. ხოლო სანამდის ეს მოხდებოდეს, ამ საქმის მოწესრიგებაც უნდა იყოს დაკავშირებული ნაციის თვითმართველობასთან.

მაშასადამე, სეიმის კომპეტენციაში ეს კითხვები არ იქნება და ამიტომ არც ბრძოლა შეიძლება ამ ნიადაგზე. სეიმს დარჩება გადასაჭრელათ ტერიტორიალური კითხვები და ესეც ისეთები, რომელნიც აღემატება თვითეული გუბერნიის, და მაზრის თვითმართველობის ძალლონეს. თუ ჩვენ ტერიტორიალურ თვითმართველობას ვანდობთ ტერიტორიალური კითხვების გადაჭრას, მაშინ საშიშარი არ არის ასეთი ტერიტორიების ნაციონალური შემადგენლობა. აქ გადასაწყვეტი საქმეები ეხება ამა თუ იმ პირთ, არა როგორც ნაციის წევრთ, არამედ როგორც ადგილობრივ მოსახლეთ, როგორც მოქალაქეთ. მიმოსვლა, განათება, სანიტარული ზომები, ტყეების მოვლა, მალარიასთან ბრძოლა და სხ. და სხ. ერთნაირათ ეხება ყველა ადგილობრივ მცხოვრებთ, განურჩევლათ გვარტომობისა. რატომ, მაგალითად, განჯის საგუბერნიო ეროობას შეუძლია ეს აწარმოვოს, ხოლო ამიერ კავკასიის სეიმს არა? ასეთი სეიმის უარის ყოფა ნიშნავს აღიარებას აქაური ერთა მოუმზადებლობას თვითმართველობისათვის, ე. ი. შეთვისებას ბიუროკრატიული აზროვნობის. მაშინ უარი უნდა ითქვას სამაზრო და საგუბერნიო თვითმართველობაზედაც, როგორც ამას ჩადის მთავრობა, ხოლო ვინც ცნობს თათართ, სომეხთ, ქართველთ და სხვა ადგილობრივ მკვიდრთ, მომწიფებულათ, საზოგადოთ, თვითმართველობისათვის, უნდა იცნოს მათი სიმწიფე საოლქო თვითმართველობისათვისაც.

ვიმეორებ, პერსონალური პრინციპით თვითეული ერი თვითონ აწარმოებს თავის ნაციონალურ საქმეებს დამოუკიდებლათ, ხოლო არა ნაციონალური საქმეები რჩება საკეთებ-

ლათ ტერიტორიალურ ერთეულთ. ორივე საქმის ტეხნიკურათ გასაადვილებლათ საჭიროა რაც შეიძლება მეტი ტერიტორიალური ერთეული იყოს იმავე დროს ნაციონალური ერთეულიც. მარა ტეხნიკას ვერ შევსწირავთ ქვეყნის ეკონომიურ ინტერესებს. საჭიროა ნაციონალური ერთეული ეთანხმებოდეს ადგილობრივ ეკონომიურ ურთიერთობას. ტერიტორიათა ჭრაკერვა ნაციონალური თვალსაზრისით ნაციონალისტების საქმეა. როცა ჩვენ გვეუბნებიან, კავკასიის სეიმი უდროვოა, ხოლო რეალურათ ქართველი ხალხისაგან დასახლებული ადგილების თვითმართველობა კი დროიანიაო, აქ ალბათ ნაციონალური მომენტი აქვთ სახეში, ე. ი. დგებიან ნაციონალისტების ნიადაგზე, ხოლო ეკონომიურათ ხომ ეს ყოვლად შეუძლებელია: ცხადია ასეთი ერთეულისაგან უნდა გამოვრიცხოთ თფილისი, ბათუმი, სოხუმი, რამდენიმე მაზრა და ოლქი, რაიცა მოასწავებს ამ ერთეულების ეკონომიურ სიკვდილს.

ამბობენ, ამიერ კავკასიაში ტერიტორიალურ-ნაციონალური მეთოდით ხელმძღვანელობა უფრო ადვილი და ნაყოფიერია, ვინემ ავსტრიაშიო. ეს ერთიანათ საქმის გაუცნობლობაზეა დამყარებული. საქმე იმაშია, რომ ავსტრიაში ერთა შერევა გამოიწვია განსაკუთრებით აღებ-მიცემობამ. ჩვენში ერებია შერეული მოსახლეობით, ისტორიულათ, რასაც ახლა ემატება სააღებ-მიცემო შერევაც. ე. ი. აქ მოქმედობს ორი ფაქტორი, ავსტრიაში ერთი. მართალია, ერთი და იგივე სოფლის ნაციონალურათ შერევა იშვიათია, თუმცა ასეთებიც ბევრია გორის და თფილისის მაზრაში, მარა ერთი ერის სოფლის გვერდზე მეორე ერის სოფლის მდებარეობა ჩვეულებრივი მოვლენაა. აი ასეთი შერევა ავსტრიაში არ არას, აქ ერთ ერს უპირავს განსაზღვრული ტერიტორია, რომელზედაც მდებარეობს მთელი რიგი სოფელთა და მაზრათა. მაგ. ბოჰემიაი ყოფა ჩეხელთა ბოჰემიათ და ნეშეცთა ბოჰემიათ: აქ მხოლოდ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებშია ერთა შერევა. რაც ერის დედა ბოძს—გლეხობას არც ეხება. ამას მხოლოთ

მოსახლეობითი შერევა ეხება და ეს ანაწილებს ნაციონალურ ტერიტორიას. თუ ავსტრიაში კიდევ შეიძლება ნაციონალურ ტერიტორიული მეთოდით ხელმძღვანელობა, სრულიად არ შეიძლება ამით ხელმძღვანელობა ამიერ-კავკასიაში.

მეორე მხრით სტალინსა და მის თანამოაზრეთ ერთად ერთ ამიერ კავკასიის თვითმართველობა მიაჩნიათ შესაძლებლათ და ყველა ადგილობრივ საჭიროებებს დასაკმაყოფილებლათ. მათი აზრით, ეს საუკეთესოთ გადაჭრის ნაციონალურ კითხვებსაც. აი ასეთი შეხედულების წინააღმდეგ საბუთიანათ შეიძლება წამოვაყენოთ ზემოთ მოყვანილი აზროვნება საოლქო სეიმის წინააღმდეგ. და მართლაც, თუ უფლება მიეცით გადაჭრას თათარს სომხური ენის და კულტურის კითხვა, სომეხს თათრულის, ქართველს—სომხურის და სხ. აქედან ბრძოლის და ერთი მეორის დაბრიყვების მეტი არა გამოვა რა. სომხები და თათრები ნაციონალური კულტურის არა ტერიტორიულის ნიადაგზედაც კარგათ ვერ მორიგებულან, ხოლო ქართველ ნაციონალისტთა გალაშქრება სომეხთა წინააღმდეგ, რაიცა ხშირათ იფეთქებს ხოლმე, კიდევ უფრო გაძლიერდება მაშინ, როცა ნიადაგი გაუფართოვდებათ. თუ დღეს ნაციონალური ანტაგონიზმი ჩვენში ისე მძლავრი არ არის, როგორც მაგ., ავსტრიაშია, ეს აიხსნება ორი გარემოებით: პირველათ, ჩვენ ყველანი უუფლებო და დევნილი ვართ, როგორც „ინოროდცები“ და ამ მხრით გათანაბრებული. ჩეხელები გინდ პოლონელები უფლება აღჭურვილი ერებია და ცენტრის ბატონობას ჩვენსავით არ განიცდიან. იქ ებრძვიან არა ცენტრს, არამედ ერთმანეთს. პოლონელი რუსინს, ხოვრატიელი მადიართ, ჩეხელი ნემეცთ და სხ. როგორც კი ჩვენში ცენტრი ადგილობრივ საქმეებში ავსტრიის ცენტრს დაემსგავსება, როგორც კი გვეტყვიან: მოაწყვეთ სურვილისამებრ შინაური საქმეებიო, მაშინვე დღეს მიყუჩებული ნაციონალური ანტაგონიზმი იფეთქებს და ბრძოლაც გაჩაღდება. მეორეც, ავსტრიაში ბურჟუაზიული წყობილებაა, მაშასადამე, მასზე აგებული განხეთქი-

ლება გაცილებით უფრო მძლავრია, ვინემ ჩვენში. ასეთი წყობილების დამყარება ჩვენში მერმისის საქმეა, მაშასადამე ნაციონალური ანტაგონიზმი, როგორც შედეგი ბურჟუაზიის ხრდისა, მომავალში გამძლავრდება და არა დასუსტდება.

ამნაირათ, კავკასიის ავტონომია მოგვცემს ნაციათა დიდ შეჯახ-შემოჯახებას და ავსტრიის ამბების სრულ განმეორებას.

და აი ჩვენ ვამბობთ: გამოვაცალოთ ამ სეიმს ნიადაგი ნაციონალური ბრძოლისა, ნუ მივანდობთ ქართველებს სომხის ნაციონალური კულტურის მოწესრიგებას. რომლის ესს არა გაეგება რა, სომეხს თათრისას და სხვა.

ამით მოისპობა ნაციათა ბრძოლა ნაციონალური კულტურის ნიადაგზე, ე. ი. იმ საგნის გარეშემო, რაც ყველაზე მეტად ეხება მშრომელ ხალხს და მის ყურადღებას იტაცებს. ჩეხიის ნაციონალისტებს გავლენა აქვსთ ჩეხელ მუშებში იმიტომ, რომ ისინი ჩეხურ ენას იცავენ. მოაშორეთ ეს კითხვა მათ და გამოჩნდება, რომ ისინი ენის ბაირაღით იცავენ ჩეხიის ბურჟუაზიას, მის ჯიბეს და გავლენას. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბრძოლა ნაციათა შორის არ მოისპობა, მარა ჩვენი ინტერესია ამ ბრძოლას დაეკარგოს ხალხის მომატყუებელი სარჩული და გადაიქცეს ის აშკარა ბრძოლათ ორი ერის ბურჟუაზიისა ეკონომიურ ნიადაგზე... ამ შემთხვევაში ნაციონალური ბრძოლის კლასიური ხასიათი ნათელი იქნება და მას მიმზიდველობაც დაეკარგება.

სტალინი-კი ყოველივე ამას ხელ-უხლებლათ სტოვებს, ცეცხლზე ძმარს ასხამს და თან გაიძახის: ნაციონალური ბრძოლა სწორეთ ამით შესუსტდებაო! განვიხილოთ მისი საბუთები.

ის ამბობს: დემოკრატიული წყობილება თავისთავათ სპობს ნაციონალურ ბრძოლასო. მართალია ეს? დემოკრატიული წყობილება ივივე ბურჟუაზიული წყობილებაა. გამოდის რომ ბურჟუაზიული წყობილება ასუსტებს ნაციათა ბრძოლას. ეს არის წვრილი ბურჟუაზიული ილიუზია, რითაც მუდამ გატაცებულია წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები. სტალინიც მათ აყოლია, მათი ტრაბახობა სინამდვილეთ მიულია.

დემოკრატიული წყობილება ნიშნავს წვრილი ბურჟუაზიის ბატონობას, ხოლო ნაციონალური ბრძოლა სწორედ წვრილი ბურჟუაზიის სტიქიაა, ეს მისი თანდაყოლილი თვისებაა. ასე რომ, დემოკრატიული წყობილება ნაციონალურ ბრძოლას ოდნავათაც არ შეასუსტებს, თუ კი, რასაკვირველია, ასეთი ბრძოლის ნიადაგი არის.

სტალინი ამბობს: აი დემოკრატიული შვეიცარია და ამერიკა, აქ ხომ არ არის ნაციონალური ბრძოლაო. ეს მართალია, მარა ამის მიზეზია არა მათი წყობილება, არამედ გაცილებით უფრო ღრმა გარემოება. იქ ასეთი ბრძოლა არ იყო მაშინაც, როცა დემოკრატიის ნასახიც არ იყო, როცა ამერიკას ინგლისი ფლობდა თავისი არისტოკრატიული წყობილებით, როცა შვეიცარიაში ოლიგარხია ბატონობდა თავისი შეუზღუდველი ბატონობით. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ცხადია: ორივე ამ ქვეყანაში თავმოყრილია ისეთი ერები, რომელთა დედა ერნი სხვაგან ცხოვრობენ, შეადგენენ დიდ სახელმწიფოებს, ქმნიან იქ თავის ნაციონალურ კულტურას და მერე უზიარებენ მათ მონათესავე ნაწილებს. შვეიცარიაშია სამი ერი: ფრანგნი, გერმანიელნი და იტალიელნი, ფრანგულ ნაციონალურ კულტურას ქმნის არა შვეიცარიის ფრანგები, არა ჟენევის და ლოზანის კანტონები, არამედ საფრანგეთი, რითაც ეს კანტონები სარგებლობენ. ასეთსავე მდგომარეობაშია შვეიცარიის სხვა ერებიც. ამერიკა ინგლისის კულტურის თანამოაზრეა. ხოლო ახლათ იქ გადასახლებულნი თავის დედა ერს უკავშირდებიან. აბა მოაქციეთ შვეიცარიის ფრანგები და ამერიკის ნემეცები ისეთ პირობებში, რომ ისინი იყვენ იძულებულნი თვით შექმნან მარტოთ-მარტო თავის ნაციონალური ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება, სასწავლებლები და სხვა, თუ მაშინვე თავს არ ასწევენ მეზობელ სუსტი ერების დასაჩაგრავათ, მათთვის თავისი კულტურის თავზე მოსახვევათ და ასე ნაციონალური ნიადაგის გასაფართოვებლათ.

გარდა ამისა, შვეიცარია არის კავშირი კანტონებისა, რო-

მელნიც დიდხანს დამოუკიდებელნი იყვენ და მერე ოავის ნებით შეერთდენ. აქ კანტონებში ნაციათა შერევა არ არის. ჩრდილო-ამერიკა-კი შეერთდა შტატებისაგან, ის თვით წარმოადგენს დიდ ბაზარს, სამყოფს ამერიკის ბურჟუაზიისათვის და იძულებული არ არის ევროპას შეეცილოს ევროპის ბაზარზე. ის ამბობს: დაგვაყენეთ ჩვენ შინ, თქვენი ჩვენ არა რა გვინდაო. მონროეს ცნობილი დოკტრინა ამაზეა აგებული.

ახლა მითხარით, რომელი ამ მიზეზთაგანი არსებობს ჩვენში? განა კავკასია გავს რითიმე ამ ქვეყნებს? სტალინს დაუნახავს, რომ იქ ნაციონალური ბრძოლა არ არისო და მიზეზათ სრულიათ ზერელე მოვლენა მიუღია. შაბლონიური აზროვნება ეს არის!

დავეთანხმებით ერთ წუთს სტალინს და ვიკითხოთ: ამერიკული წყობილება ევგება ვერ დავიარსეთ, მაშ ერებმა ჰამოს ერთმანეთი? ავსტრიელნი არ ფიქრობენ ამერიკულ წყობილების შემოღებას ახლო მომავალში. მარა ნაციონალური ბრძოლის შესუსტებას მაინც ცდილობენ. ჩვენი ავტორი კი მათ ანუგეშებს: კულტურული ავტონომია უტოპიაა, შემოიღეთ დემოკრატიული წყობილებაო. მარა ეს რომ უფრო მეტი უტოპია იყოს, ვინემ პირველი, მაშინ? მაშინ სტალინი იტყვის: მით უარესი თქვენთვის, დეე ჰამონ ნაციებმა ერთმანეთიო! კაი ნუგეშია და კაი გადაწყვეტაა კითხვის!

ასეთია სტალინის მთავარი საბუთი. დანარჩენი საბუთები წვრილმანებია და სათქმელია იმისთვის, ვისაც მეტი სათქმელი არა აქვს რა.

ის სწერს: კულტურული ავტონომია მოითხოვს „ბევრათ თუ ცოტათ განვითარებულ ერთ, განვითარებულ კულტურით და ლიტერატურით“. კავკასიაში კი ბევრია ისეთი ერები, რომელთაც არ აქვსთ საკუთარი ლიტერატურა და გვარდებიანო. ასეთებია შეგრელები, აბხაზები, აჭარლები, სვანები, ოსები, ლეკები და სხ. როგორ შეიძლება ამათი ნაციონალურ კავშირებათ გადაქცევაო?

პირველ ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ მეგრელები, აჭარლები და სვანები არასოდეს ცალკე ერები არ ყოფილან და არც დღეს არიან, ისინი იგივე ქართველებია, როგორც ტომით, ისე პოლიტიკურათ. დარჩენ ლეკები, ოსები და აფხაზები. რა ვუყოთ ამათ? სტალინის აზრით ესენი უნდა გადაგვარდენ. ამ შემთხვევაში ის არაფრით არ განირჩევა გადაგვარების მქადაგებლებისაგან, ნაციონალისტებისაგან. სწორეთ ამასვე გაიძახიან ჩვენი ნაციონალისტები: ოსები უნდა გავაქართველოთო, ხოლო რუსები—აფხაზები და ლეკები გავარუსოთო. სტალინი ყველა ამათ კვერს უკრავს. ჩვენ კი ვამბობთ: ვკითხოთ ამ ერთ, სურთ გადაგვარება, თუ თავისი ნაციონალური სკოლის და კულტურის შექმნა? ეს თვით-გამორკვევის პრინციპია. და ეს ედება საფუძვლათ კულტურულ ავტონომიას. სტალინი კი მათ წინდაწინვე უცხადებს: თქვენ უნდა გადაგვარდეთო. ის ამ აზრს ნათლად ხატავს შემდეგი სიტყვებით: „ნაციონალური კითხვის გადაწყვეტა კავკასიაში შეიძლება მოხდეს მხოლოდ ჩამორჩენილ ერთა მაღალი კულტურის საზოგადო კალაპოტში ჩარევით“, რაიცა მიღწეული იქნება კავკასიის საოლქო ავტონომიით. რას ნიშნავს ეს? ნიშნავს იმას, რომ კავკასიაში გაბატონებულ ერათ უნდა გამოცხადდეს ორი ან სამი ერი, ხოლო დანარჩენები მორჩილათ. პირველნი იქნებიან მოწოდებულნი „გაანათლონ“ მეორენი, ე. ი. თავის არსებაში გათქვიფონ. ეს წმინდა ნაციონალისტური პროგრამაა. და ასე ჩვენი ავტორი ერთა თანასწორობის პრინციპიდან ჩამოქვეითდა ერთა უთანასწორობამდის. ეს ლოლიკური შედეგია ტერიტორიალიზმის.

თათართა კულტურული ავტონომია ნიშნავს თათართა მოლების გაბატონებას მათშიო, გაიძახის სტალინი. მერე როგორ გინდათ მოშალოთ ეს მათი ბატონობა? აი ახლა, როცა არავითარი ავტონომია არა აქვთ, მაინც ისინი არ ბატონობენ? ცხადია ამის მიზეზია არა ავტონომია თუ უავტონომიობა, არამედ უფრო ღრმა და სერიოზული მიზეზია მათი სოფლების მოქალაქობრივათ და კაპიტალისტურათ განუვითარებლობა,

ბეგების ლატიფუნდიები, გლეხთა დროებით ვალდებულობა და მრავალი სხვა ასეთი მიზეზი. აი მოშალეთ ეს და მოიშლება მოლების ბატონობაც. გარდა ამისა, კულტურული ავტონომია არ ნიშნავს სრულ თავისუფლებას სასკოლო საკითხში. სკოლის კითხვა სახელმწიფო კითხვაა. ზოგმა ეგების არავითარი სკოლაც არ მოინდომა. ვინ დაანებებს ამას? პირველ ყოვლისა სახელმწიფო დაინტერესებულია იმაში, რომ მისი მოქალაქენი ჰგავდენ მოქალაქეთ და არა ველურებს, ე. ი. თითეულმა მათგანმა გაიაროს სახალხო სკოლა მაინც და შეიძინოს საჭირო ცოდნათა მინიმუმი. აი ამიტომ ყველგან სახელმწიფო სცემს კანონებს შესახებ, როგორც სწავლის ვალდებულებისა, ისე სასწავლო პროგრამის მინიმუმისა. ასე უნდა იყოს ჩვენშიაც; კულტურული ავტონომიის საქმეა სამშობლო ენაზე მოაწყოს ეს სკოლები და მათში სწავლება. სტალინს კი გონია კულტურული ავტონომიის კომპეტენციაში შედის პოლიტიკური და მოქალაქობრივი კითხვები. ამ გაუგებრობისაგან გამომდინარეობს მისი მტკიცება. რომ კულტურული ავტონომია შეაფერხებს ერთა განვითარებას, გაყინავს მათ ძველ მოქალაქობრივ საფეხურზეო და სხ. ყველა ეს შედეგია ცნებათა არევის და გაურკვეველობის.

თუ მართლა ტერიტორიალური პრინციპი სწყვეტს ნაციონალურ კითხვას, ე. ი. შერეული ოლქის ავტონომია არ დაბადებს ერთა ბრძოლას, რატომ სტალინი არ ეთანხმება საქართველოს ავტონომიას? ფედერალისტებიც ხომ სტალინივით გაიძახიან: ჩვენს ავტონომიაში არ იქნება ნაციათა დევნა, აბის გარანტიას ახლავე ვიძლევითო. სტალინს და ფედერალისტებს შორის არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არის. განსხვავება ჩხოლოდ რაოდენობითი: ერთს სურს ვიწრო ტერიტორიის ავტონომია, მეორეს უფრო ფართოესი. და თუ მივიღებთ მხედველობაში სტალინის აზრს — ამერიკულ-შვეიცარიული წყობილება სწყვეტს ნაციონალურ კითხვას, მათ შორის მსგავსება კიდევ მეტია. ფედერალისტებიც ხომ ასეთ წყო-

ბილებას (ფედერაციას) ითხოვენ კავკასიისათვის, რომლის ერთი შტატი საქართველო იქნებაო. ერთი სიტყვით, სტალინი და ფედერალისტები არსებითად ერთსა და იმავეს ამბობენ[1]).

ჩვენ კი მათგან ვსხვავდებით პრინციპიალურათ. ტერიტორიალიზმს არ ვიზიარებთ და ვამბობთ: ნაციონალურათ შერეულ ოლქში, რა გინდ დიდი ან პატარა იყოს ის, ნაციონალური კითხვა უნდა მოწესრიგდეს არა ტერიტორიალურის, არამედ პერსონალურის პრინციპით. ტერიტორიალურ მართველობას ემორჩილება მხოლოდ ტერიტორიალური საქმეები.

ახლა დავუბრუნდეთ ტერიტორიალურ კითხვებს. ამიერკავკასიის ტერიტოლიარული თვითმართველობა გულისხმობს უფრო წვრილ ერთეულებს: სოფლის, მაზრის, ქალაქის, გუბერნიის და სხვ. ეს ივივე საერობო დაწესებულებაა დემოკრატიულათ აგებული და ფართო კომპეტენციით. ამ მხარეს ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევეხებით, ვიტყვით მხოლოდ რომ, ასეთი ერთეულები, რაც უფრო ერთგვარია ნაციონალურათ,

---

[1]) ამას სხვათა შორის, ნათლათ ამტკიცებს ამ დღეებში დაბეჭდილი წერილები ბ. არ. ჯ—შვილისა ეროვნული კითხვის შესახებ („სახალხო გაზ. № 956 -57). ესეც ისეთივე საბუთებით ებრძვის კულტურულ ავტონომიას, როგორითაც სტალინი. სოციალისტებმა თავს უნდა იდვან განმტკიცება, განვითარება ისეთი ერების, რომელნიც ბუნებრივათ ასიმილიციის გზას ადგანან?“ კითხულობს სტალინივით არ. ჯ—შვილი, „ტერიტორია განუყოფელი ნაწილია ეროვნული ორგანიზმისა“, ამ ტერიტორიის ეროვნულ უმცირესობას უნდა მიეცეს გარანტია განვითარებისა და სხვ. და სხვ.—ერთი სიტყვით ჯ—შვილი პირწმინდათ იმეორებს სტალინის საბუთებს. საყურადღებოა სტალინის და ჩვენი ნაციონალისტების მოსაზრება გარანტიების შესახებ. მათი აზრით თუ კანონში შევიტანეთ ასეთი მუხლი ნაც. უმცირესობის სამფარველო—ნაციის შევიწროებაც მოისპობა! ეს რომ ასე იყოს, ავსტრიაში კაი ხანია ის მოისპობოდა, ვინაიდან ძირითადი კანონების მე-19 მუხლი სწორეთ ასეთ გარანტიას იძლევა, რაც ერთობ ქაღალდზე დარჩა. ასეთი თვალის ასახვევი კანონები დიდად ხელსაყრელია ნაციონალისტებისათვის, მარა სტალინს რათ ემართება, რომ ამათ ასე აყოლია? აქ ის დაუბნევია

ბით უფრო ადვილია მართველობის ძალიან დაახლოვება. გარდა ამისა, თითეულ ერთეულს ნება უნდა ქონდეს შეუკავშირდეს მეორე მოსაზღვრე ერთეულს, თუ ერთეულთ საერთო საქმე აქვთ გასაკეთებელი.

მარა ეს შეიცავს ადგილობრივ თვითმართველობის შინაურ განწყობილებას, ჩვენ კი გვაინტერესებს აქ მათი დამოკიდებულება ცენტრთან.

რაში უნდა გამოიხატოს დეცენტრალიზაცია? თანამედროვე სახელმწიფოს მართვა-გამგეობა გამოიხატება სამი გზით: კანონმდებლობით, მართლმსაჯულებით და მართველობით. ცენტრალიზმი ეწოდება ისეთ წყობილებას, როცა ეს სამი ძალა-უფლება შეერთებულია ერთ ცენტრში. კანონმდებლობა ერთ კანონმდებელ დაწესებულებაში, მართლ-მსაჯულება და მართველობა ერთ სამინისტროში, თვითმპყრობელობის ხანაში კანონმდებელი იგივე სამინისტროა. კონსტიტუციურ წყობილებაში სამინისტრო ცხადდება აღმასრულებელ ძალათ,

---

იმას, რომ ნაციონალური კითხვის გამორკვევის დროს სახეში აქვს არა ამ კითხვის გადაწყვეტა, არამედ სრულიად სხვა კითხვის, რომელსაც მასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. ეს კითხვაა ორგანიზაციული. ის ამბობს: „მუშების ინტერნაციონალურათ შეკავშირების პრინციპი,—აი აუცილებელი პირობა ნაციონალური კითხვის გადაწყვეტაში“. ფაფის შეშინებული დოს უბერავდაო, სწორეთ ამაზე ითქმის. რა არის ამ ორ მოვლენას შორის საერთო? განა შეიძლება ქვეყნის პოლიტიკურ წყობილებისაგან გამოიყვანო პარტიის წყობილება? გერმანიის სახელმწიფო წყობილება დეცენტრალისტურია, ს. დ. პარტიის კი ცენტრალისტური, საფრანგეთის სახელმწიფო წყობილება ცენტრალისტურია, პარტიის კი დეცენტრალისტური. ავტორს ალბათ სახეში აქვს მარტო ავსტრია, სადაც სახელმწიფო და პარტიის წყობილება ერთმანეთს გვანან და ასკვნის: აქ დამნაშავე კულტურული ავტონომიის ქადაგებაა! ნამდვილად კი ეს ორივე მოვლენა—პარტიის ნაციონალურათ შედგენა და კულტურული ავტონომიის საჭიროება დაბადა ერთმა და იმავე მიზეზმა—ნაციონალური ბრძოლის გამწვავებამ, რამაც მუშებიც ჩაითრია. ამ ბრძოლის გასანელებლათ და, მაშასადამე, მუშების ისევ სწორ გზაზე გა-

ორივე ეს წყობილება დამყარებულია ცენტრალიზმზე. დეცენ-ტრალიზაცია ნიშნავს, მაშასადამე, ისეთ წყობილებას, როცა ერთი ან ყველა ამ ფუნქციების რამოდენიმე ნაწილი შორდე-ბა ცენტრს და ენიჭება პროვინციალურ დაწესებულებას, რო-ცა კანონმდებლობა ნაწილდება ცენტრს და პროვინციას შო-რის, მყარდება უფლების დეცენტრალიზაცია, როცა მართლ-მსაჯულება და მართველობა ნაწილდება—მყარდება ადმინი-სტრატიული დეცენტრალიზაცია. დიდ ან შერეულ სახელმწი-ფოში უკანასკნელი დეცენტრალიზაციის საჭიროება თავის-თავად ცხადია დავას იწვევს მხოლოდ პირველი. ავსტრიის ს. დ. უფლების დანაწილებას უარს ყოფენ, შპრინგერი სწერს: „უფლების ერთობა არის ფორმალური გამოხატულება და მა-ტერიალური გარანტია ეკონომიური ერთობის. რამდენი ოლ-ქი და ერიც უნდა შედიოდეს ერთ ევროპიულ სახელმწი-ფოში, რა ფართოც უნდა იყოს მისი საზღვრები ამ კითხვებ-ში ამას შეუძლია შექმნას ერთობა, ვინაიდან ევროპის სა-

---

მოსაყვანათ ითხოვენ იქ მოშლას ბრძოლის მთავარი მიზეზის ერთა-თვის კულტურული ავტონომიის მინიჭებით. სტალინი კი უარს ყოფს ამ მოთხოვნილებას, ამით ის ნაციონალურ ბრძოლას ხელს უწყობს, მაშასადამე, პარტიის ნაციონალურ დაყოფასაც. მეორე მხრით, კულ-ტურული ავტონომიისაგან შეუძლებელია ნაციონალური პარტიული ორგანიზაციის გამოყვანა და აი რატომ: პარტიული ორგანიზაცია პოლიტიკური ორგანიზაციაა და მიილტვის პოლიტიკური და ეკონო-მიური კითხვების გადაჭრისკენ, ხოლო ეს ორი კითხვა მჭიდროთ შე-კავშირებულია ტერიტორიალურ ერთეულებთან. კულტურული ავ-ტონომია ეხება მარტო ნაციის სულიერ განძს, მის ფარგალში პო-ლიტიკურ-ეკონომიური ბრძოლა არ შედის. მაშასადამე, თანახმად ჩვენი გეგმისა პარტიული წყობილება უნდა იყოს ასეთი: ის არის ორგანზაცია ტერიტორიალური, რომელიც თავის პოლიტიკურ პრო-პაგანდას და აგიტაციას აწარმოებს ნაციონალურ ენაზე, ამ მიზნით საერთო ორგანიზაციაში დგება ნაციონალური ჯგუფები, ესენი აწ-ვდიან ხალხში თავ-თავის სამშობლო ენაზე ყველა იმას, რასაც დაა-დგენს ორგანიზაცია. ისინი ამ ორგანიზაციის მოსამსახურე ორგანოე-ბია. ეს ასე იყო ჩვენში მუდამ.

ხელმწიფოები და თითქმის მთელი განათლებული ქვეყანა ყოველდღე უახლოვდებიან ერთმანეთს თავისი უფლებრივი და ეკონომიური წყობილებით“.

მაგრამ უფლების ერთობას არ არღვევს ისეთი საკანონმდებლო დეცენტრალიზაცია, რომელიც უფლების კითხვას არ ეხება და სახეში აქვს მხოლოდ ადგილობრივ-ეკონომიური საჭიროება. უფლებრივ ნორმას აწესებს სახელმწიფო, ხოლო ამ ნორმების შეგუება ადგილობრივ პირობებთან ენდობა ადგილობრივ ორგანოს. კავკასიის თვითმართველ ერთეულს ვერ მივანიჭებთ უფლებას დააკანონოს ისეთი ნორმები, რაც შეიძლება დაუპირდაპირებს სახელმწიფო ნორმებს, ან და შეიქნას მიმართული ადგილობრივ მცხოფრებთა რომელიმე ნაწილის წინააღმდეგ. კანონმდებლობის დეცენტრალიზაციას მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ის ერთი მხრით შრომას უმსუბუქებს ცენტრს, ხოლო მეორე მხრით ხელს უწყობს ადგილობრივ ეკონომიურ განვითარებას. ჩვენი სეიმის კომპეტენციაში იქნება მხოლოდ ისეთი კითხვები, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ ტერიტორიის მოხმარასა და დამუშავებასთან. მატერიალური კულტურა, აი რას ემსახურება ასეთი დაწესებულება. გზები, არხები, ბოლაზები, მთა-მადნები, ტყეები, მდინარეები, სასწავლებლების მატერიალური მხარე, ადგილობრივი ბიუჯეტი, შინაგანი კოლონიზაცია (ეს შეთანხმებით პროვინციალურ თვითმართველ ერთეულებთან ისე, რომ ნაციონალური ტერიტორიების ინტერესები არ შეილახოს). სანიტარია, ვეტერინარია და სხ. და სხ. აი მისი ფუნქციები.

როგორც ხედავთ, ადგილობრივ იცემა ისეთი კანონები, რომელნიც ახლა დუმაში გადის სრულიად უბრძოლველად, ხშირათ შეუმჩნეველათაც. და ეს იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი არ არის ფართე პოლიტიკური ხასიათის, გარდა კოლონიზაციური კითხვისა და ესეც თავის-თავად შიდა გუბერნიებში მოკლებულია პოლიტიკურ შინაარსს. ყველა ასეთი კანონი დღეს გამოდის ცენტრში, მარა გამოდის გლახად, ცალმხრი-

ვათ, ადგილობრივ პირობებთან შეუთანხმებლათ და ამიტომ უვარგისათ. საქმის სარგებლობა კი მოითხოვს ასეთი კანონები იცემოდეს ადგილობრივათ და ტარდებოდეს ადგილობრივ ძალებით.

ადმინისტრატიული დეცენტრალიზაცია შეიცავს ცენტრის კანონების, მართლმსაჯულებისა და მართველობის ადგილობრივ ძალებით გატარებას. აქ ცენტრს და ხალხს შორის დგას ამავე ხალხის მიერ არჩეული პირები. ეს საქმე დიდათ საყურადღებოა; ის თავისი მნიშვნელობით კანონმდებლობითი უფლებაზე მაღლა დგას: რათ გინდა კარგი კანონი, თუ მისი ამსრულებელი უვარგისია; ეს დღეს ჰეშმარიტებათაა აღიარებული. ცენტრში იცემა სამოქალაქო და სისხლის-სამართლის კანონები, აგრეთვე მათი მოხმარების წესები. ხალხი ამას გაიგებს მხოლოდ თავის ენაზე; მაშასადამე, სამართალი და ყოველგვარი ადმინისტრატიული მართველობა უნდა წარმოებდეს ნაციონალურ ენაზე. პოლიტიკური და კლასიური ბრძოლა კი წარმოებს თვით ამ კანონების შემუშავებისა და მიღების გარშემო. კანონი გამოხატულებაა კლასთა განწყობილების, ხოლო უკვე გამოცემული კანონის ხალხის გასაგებათ გატარება საბრძოლველი აღარ არის. აქ ადგილი არ აქვს კლასთა განხეთქილებას. ცხადია, სამართლის დეცენტრალიზაცია ეხება არა მის შინაარსს, არამედ მის გარეგან ფორმას ანუ მის განსახორციელებელ საშუალებას. მხოლოდ ამ მხრით შეგვიძლია მოვითხოვოთ ნაციონალური სასამართლო, ე. ი. ყოველი კაცის მის ენაზე გასამართლება. ეს მოითხოვს სასამართლო ორგანოების ადგილობრივ ძალებით შედგენას. კანონს და ხალხს შორის დგას ამ ხალხის შვილნი, მასში დაბადებულნი და აღზრდილნი. მაშინ ხალხის ყურადღებას მიიქცევს არა კანონის გარეგანი მხარე, არა მისი გატარების მეთოდი, არამედ მისი შინაარსი. ის მას ესმის, მის გასაგებათ ხდება და ამით შეძლება ეძლევა იფიქროს შინაარსზე, თავისი აზრი შეადგინოს ამა თუ იმ კანონზე და მოითხოვოს მისი შეცვლა. მოსამართლეთა არჩევა,

ნაფიცი მსაჯულები და სხ. ააღვილებს სამართლის ნაციონალიზაციას. შეიძლება ცენტრმა თქვას: კარგი, გაგასამართლებთ თქვენს ენაზე, დავნიშნავ ქართველთ, ან ქართულათ მოლაპარაკე მოსამართლეებსო. ეს შეიძლება, მარა ამაში დეცენტრალიზაციის ნასახიც არ იქნება. ეს იგივე ცენტრალიზმია და ამიტომ არავითარი გარანტია არ გვექნება ეს წესი მეორე დღეს არ შეიცვალოს.

დეცენტრალიზაცია არის მაშინ, როცა ცენტრს და ხალხს შორის თავისუფალი გზა არ არის, როცა შუაზე არის ისეთი ინსტანცია, რომელიც პირდაპირ დამოკიდებული ცენტრისაგან არ არის. ცენტრი თავისი განსაკუთრებითი წარმომადგენლით თვალყურს ადევნებს კანონის ასრულებას, ხოლო რა საშუალებით, რა პირადი ძალებით სრულდება ეს—ეგ მას არ ეკითხვის. ეს ადგილობრივი აღმასრულებელი ძალის მოვალეობაა. მაშასადამე, მოხელეთა არჩევა, დანიშვნა და გადაყვან-გადმოყვანა ხდება ადგილობრივ.

აი ამ საფუძველზე უნდა იქნას აგებული ადმინისტრატიული დეცენტრალიზაცია, როგორც სამართლის, ისე მართველობის სფერაში. ერთათ ერთ სამხედრო საქმეში შეუძლია სახელმწიფოს ხალხთან პირდაპირ კავშირის დაჭერა, ვინაიდან არმია დღეს სახელმწოფოს ეკონომიური და პოლიტიკური მთლიანობის გარანტიაა და მას გაბატონებული კლასები არ შეეშვებიან. მარა ცენტრის უფლება აქაც უნდა შეიზღუდოს; მცხოვრებნი ადგილობრივ უნდა იხდიდენ სამხედრო ბეგარას და არა შორეულ გუბერნიებში, როგორც ეს დღეს არის. მხოლოდ ომის დროს შეუძლია სახელმწიფოს ჯარების თავისუფლად გადაყვან-გადმოყვანა. ყველა დანარჩენი საშინაო საქმეების გამო ცენტრი მიმართავს ხალხს არა პირდაპირ, არამედ შუაზე მდგომ ინსტანციის საშუალებით.

აღმასრულებელი ძალის ასეთი დეცენტრალიზაცია დიდი გარანტიაა თავისუფლების და დემოკრატიისათვის. ცენტრს აღარ შეეძლება ცირკულიარებით და ხრიკებით ფრთა შეაკვე-

ცოს ხალხის ამა თუ იმ სასარგებლო კანონს, გააუქმოს ერთი კალმის მოსმით კონსტიტუციური გარანტიები, მოახდინოს სახელმწიფოს გადატრიალება და სხ. ყოველ ასეთ შემთხვევაში მას წინ ეღობება ადგილობრივი აღმასრულებელი ძალა, მისგან დამოუკიდებელი და მაშასადამე თავისუფალი.

ყველა ამ პრინციპის დაწვრილებით განსაზღვრულ ფორმაში ჩამოსხმა, მისი კონკრეტიზაცია სახელმწიფო მოღვაწის საქმეა და არა პუბლიცისტის. და ეს ჯერ-ჯერობით არც საჭიროა.

როგორ დამოკიდებულებაში უნდა იყვენ ერთი მხრით ნაციონალური ერთეული და მეორე მხრით ტერიტორიალური ერთეული? ამ კითხვის გადასაჭრელათ ჩვენ თამამათ შეგვიძლია ამიერ-კავკასიისათვის მივიღოთ ცოტა შესწორებით და შემოკლებით ის სქემა, რომელიც ბაუერმა და შპრინგერმა წამოაყენეს ავსტრიისათვის. ამ მხრით ავსტრიისებურ პიროებებში იმყოფება არა მთელი რუსეთი, არამედ მისი განაპირა ქვეყნები. ავსტრიაში, ისე როგორც ამიერ-კავკასიაში, არც ერთი ერი არ წარმოადგენს უმრავლესობას, რომელსაც შეუძლია გეგემონიის შერჩენა და სხვა ერთა მეთაურობა. მთავარი ერები რიცხვით ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან და კულტურითაც თან და თან თანაბრდებიან. ავსტრია წააგავს ჩვენს ქვეყანას, ლატიშთა მხარეს, ჩრდილო-დასავლეთ გუბერნიებს, რამოდენიმეთ პოლონეთსაც, თუ ებრაელებს ცალკე ნაციათ მივიღებთ. თვით რუსეთი, მჭიდროთ დასახლებული ერთი მრავალ-რიცხოვანი ერით, ნაციონალურათ ერთ-ფეროვანია და, მაშასადამე, ავსტრიას არ გავს.

თანახმად ამ სქემისა, ამიერ-კავკასია უნდა დაიყოს ტერიტორიალურ ოლქებათ ისე, რომ თვითეული ოლქი წარმოადგენდეს როგორც ეკონომიურს, ისე ნაციონალურ ერთეულს. ამასთანავე გადამჭრელ როლს თამაშობს ეკონომიური მომენტი. თვითეული ასეთი ოლქი იყოფა მაზრებათ და სოფლებათ. ოლქს აქვს ფართე დემოკრატიული თვითმართველო-

ბა, რომლის თავმჯდომარე არის ოლქის უფროსი და მას ხელთ უპყრია მთელი ადგილობრივი აღმასრულებელი ძალა. ის, ასე ვთქვათ, ოლქის გუბერნატორია, არჩეული ოლქის თვითმართველობისაგან და პირდაპირ მასზე დამოკიდებული. მთავრობა მისი საშუალებით ელაპარაკება ხალხს. ოლქში გაბატონებულია ადგილობრივ მცხოვრებთა ენა, რომელზედაც წარმოებს ყველა საქმე, როგორც სასამართლოში, ისე ფოსტაში და სხვა დაწესებულებებში. იქ, სადაც არ შეიძლება ოლქის გამოკრა ნაციონალური ტერიტორიიდან, დგება ოლქი შერეული ტერიტორიისაგან, სადაც ცხოვრობენ ორი ან მეტი ერი.

მაშასადამე, შეიძლება იყოს ოლქი ნაციონალურ-ტერიტორილური თვითმართველობით და ოლქი მხოლოდ ტერიტორიალური თვითმართველობით. პირველ შემთხვევაში თვითმართველობა უძღვება ოლქის, როგორც ტერიატორილურ, ისე ნაციონალურ საქმეებს; მეორე შემთხვევაში მარტო ტერიტორიალურ საქმეებს, ხოლო ნაციონალურ საქმეებს უძღვება ის ნაციონალური ერთეული, რომელშიაც ამ ოლქის სხვა და სხვა ერი შედის. ასეთ ოლქში ბატონობს აქ მცხოვრებ ერთა ენები. თუ სხვა ერთა რიცხვი მეტად მცირეა, მაშინ მათი ენა სავალდებულოა მათთან დამოკიდებულებაში, დაწესებულებებში კი არა. ამ წესით ქუთაისის გუბერნია იქნება ერთი ნაციონალური და ტერიტორიალური ოლქი, ხოლო განჯის გუბერნია იქნება ერთი ტერიტორიალური და ორი ნაციონალური ოლქი (სომხების და თათრების).

როცა ასე მოეწყობა თითეული ოლქი და შიგ გაიმიჯნება თითეული ერი ნაციონალურ-კულტურულ საქმეებში, შემდეგ თანაბარი საოლქო ერთეულები ერთდებიან და ადგენენ ამიერ-კავკასიის ცენტრს. ყველა ტერიტორიალური და ნაციონალ-ტერიტორიალური ოლქები ადგენენ ამიერ-კავკასიის ერთ ტერიტორაალურ ერთეულს თავისი სეიმით. აგრეთვე ყველა ნაციონალური და ნაციონალურ-ტერიტორია-

ლური ოლქები შეადგენენ ამიერ-კავკასიის რამოდენიმე ნაციონალურ ერთეულთ თავიანთი ცენტრალური საბჭოთი (ქართველების, სომხების, თათრების და სხ.[1]) პირველი ცენტრი ერთია და განაგებს მხოლოდ ტერიტორიალურ საქმეებს, მეორეთა ცენტრი ბევრია და განაგებს მხოლოდ თავთავის ნაციონალურს და კულტურულ საქმეებს.

წარმოიდგინეთ წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობა და მისი ადგილობრივი განყოფილებები, აღჭურვილი ამ ფუნქციებით და უფლებებით, მოწყობილი დემოკრატიულათ და თქვენ მიიღებთ ქართველთა კულტურულ ავტონომიას. ასევე მოეწყობიან სომხები, თათრები და სხვა ერები.

ამ წყობილებით ნაციონალური კითხვა ერთიანათ შორდება ტერიტორიალურ კითხვებს და ის დაინტერესებული ნაციის საქმეთ ცხადდება. ამ ნიადაგზე ბრძოლა ისპობა. და თუ მაინც ნაციონალური ბრძოლა ატყდება, ეს იქნება არა ნაციონალური კულტურის ნიადაგზე, არამედ ეკონომიურის, ე. ი. ეს იქნება ბრძოლა სხვა და სხვა ნაციის შეძლებულთ შორის თავისი ჯიბის გასასქელებლათ. ეს მაშინ ისე აშკარა იქნება, რომ ამ ბრძოლას ყოველნაირი კეთილშობილური ხასიათი დაეკარგება და ერის დანარჩენ ნაწილებს ველარ აიყოლიებს. მეორე მხრით, რადგანაც არც ერთი ნაცია ეკონომიურათ არ იმყოფება სახელმწიფოს განსაკუთრებით მფარველობის ქვეშ, ამიტომ ეკონომიური ბრძოლა კარგავს პოლიტიკურ ხასიათს და იქცევა უბრალო ეკონომიურ შეჯიბრებათ. ერთი სიტყვით დღევანდელ ნაციონალიზმს გამოეცლება უკანასკნელი საბუდარი და ის არქეოლოგიურ ნაშთად გადაიქცევა.

გავათავეთ. ჩვენ მოვუწოდებთ მკითხველთ კარგათ ჩაუკვირდენ აქ აღძრულ თვითეულ კითხვას და თავისი გარკვე-

[1]) ასეთ საბჭოებში თავისი წარმომადგენელნი ეყოლებათ ამიერ-კავკასიის გარეთ მცხოვრებ ქართველებს, სომხებს და სხ.

ული აზრი შეადგინონ. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიტყვით, რომ აქ გამოთქმული ყოველივე წვრილმანი უეჭველათ ასე უნდა გატარდეს ცხოვრებაში. შეიძლება ის სხვანაირათაც მოეწყოს, ეს პრაკტიკის საქმეა. ჩვენ მხოლოთ ვამბობთ, რომ ნაციონალური კითხვა უნდა გამოიყოს ტერიტორიალურისაგან და ეს ორი სფერა ცალ-ცალკე მოწესრიგდეს. აი ეს არის ჩვენი მთავარი დებულება. თუ ეს მიღებული იქნება, მისი განხორციელება დავას არ გამოიწვევს. შეიძლება ავსტრიელთა სქემა ჩვენთვის არ გამოდგეს და ჩვენ ჩვენი სქემა შევიმუშავოთ. ეს კონკრეტიულ პირობებზე და მათ შესწავლაზეა დამოკიდებული. ამ ჟამათ კი მთელი ყურადღება უნდა მიექცეს არა წვრილმანს, არამედ მთავარ დებულებას და ის იქნას მიღებული.

ნაციონალური კითხვა ამიერ-კავკასიაში[1])

1. სახელმძღვანელო დებულება.

ნაციონალური მიმდინარეობის მთავარი მატარებელია ბურჟუაზია და პროლეტრიატი. ჩვენ, რასაკვირველია, გვაინტერესებს პროლეტაოიატის ნაციონალური მიმართულება და კითხვის გადაწყვეტაში უნდა ვხელმძღვალობდეთ მხოლოდ ამ მიმართულებით.

პროლეტარიატის ნაციონალური მოთხოვნილება მჭიდროთ დაკავშირებულია მი სამშობლო ენასთან. ის მისთვის უაღრესათ კულტურული კითხვაა. მას არ ძალუძს გამოიყენოს პოლიტიკური უფლებები და აწარმოვოს განმათავისუფ-

---

[1]) დაწერილია რევოლიუციამდის; წაკითხულ იქმნა სხვა და სხვა კრებაზე, ბოლოს ს,-დ. სიეზდზე, რომელმაც მოიწონა მისი ძირითადი დებულებანი,

ლებელი ბრძოლა გარეშე სამშობლო ენისა; ეს იმდენათ ცხადია, რომ არავითარ განმარტებას არ საჭიროებს. მარა ამ მოთხოვნილების ცნობა არ ნიშნავს მის გატარებას. საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელთა მეოხებით მუშა-ხალხს საშუალება ეძლევა ყოველგან, ყველა დარგში და დაწესებულებაში დაიცვას თავისი უფლება თავის ენაზე და მით თვით იყოს თავის კლასიური ბრძოლის აქტიური მატარებელი. აქედან იბადება ნაციონალური პრობლემა: რანაირი პოლიტიკური შენობა მიანიჭებს პროლეტარიატს ამ საშუალებას? პასუხი ერთათ-ერთია: მისი სამშობლო ენის სახელმწიფო ენათ გადაქცევა, ე. ი. ხალხს და სახელმწიფო დაწესებულებათა შორის ერთად-ერთი მოციქული უნდა იყოს ხალხის ენა.

მაშასადამე, მუშა-ხალხის ნაციონალური მოთხოვნილებაა —სამშობლო ენის ყველა დაწესებულებათა ენათ გადაქცევა. სულ სხვაა ბურჟუაზიის ნაციონალური მოთხოვნილება. მისი პირდაპირი მიზანია სახალხო ენის არა დაწესებულებათა ენათ გადაქცევა, არამედ თვით სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და მისი თავის სასარგებლოდ ამუშავება. პირველ შემთხვევაში მამოძრავებელი ძალაა სამშობლო ენა, მეორე შემთხვევაში კი სახელმწიფოს ცენტრალური დაწესებულება, **მთავრობა**. ბურჟუაზიის ლოზუნგია ნაციონალური მთავრობა, ე, ი. მისი საკუთარი მთავრობა.

მართალია, პროლეტარიატიც მიილტვის სახელმწიფოს დაპატრონებისაკენ, მაგრამ ეს მისი საბოლოო მიზანია, მოძრაობის ბოლონდელი რგოლია, რომლის საშუალებით ხდება არსებული ურთიერთობის ლიკვიდაცია. ბურჟუაზიისათვის კი, პირიქით, ის უახლოესი მიზანია, მისი დღევანდელი პოლიტიკაა, ურომლისოთაც მისი გაღონიერება ფერხდება. აქედან გამომდინარეობს ორნაირი შეხედულება სახელმწიფოზე: პროლეტარიატისათვის ის არის საშუალება თავისი ნაციონალური მიზნის განსახორციელებლათ, ხოლო ბურჟუაზიისათვის ის თვით მიზანია, ნაციონალური ბრძოლის უახლოესი საგა-

ნია, რომლის მიღწევა მას დაუყონებლივ ხდის მმართველ კლასათ. ცხადია, **ნაციონალური მთავრობა ბურჟუაზიას ანიჭებს პოლიტიკურ ბატონობას, ხოლო მუშა-ხალხს—მხოლოდ** საშუალებას ოდესმე მოიპოვოს პოლიტიკური ბატონობა. ეს ორი კლასი ნაციონალურ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს სხვა-და-სხვა დროშით და სხვა-და-სხვა იმედებით. ერთი გამარჯვების ნაყოფს **დაუყონებლივ იგემებს, მეორე კი რჩება ისევ დამორჩილებულ კლასათ** იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს გამარჯვებას ირგუნებს. როგორც კონსტიტუციური წყობილება ბურჟუაზიას ანიჭებს პოლიტიკურ ბატონობას, ხოლო პროლეტარიატს მარტო ბრძოლის ფართო პოლიტიკურ ასპარეზს, ისევე ნაციონალური წყობილება ბურჟუაზიას ანიჭებს ნაციონილურ ბატონობას, ხოლო პროლეტარიატს—ბრძოლის ფართო ნაციონალურ ასპარეზს. აი ამიტომ კონსტიტუციური და ნაციონალური მოძრაობის ბაირალტარი მუდამ ბურჟუაზია იყო, ხოლო ხალხი, დემოკრატია, მას მისდევდა, მის ჯარს ადგენდა. მარა მას შემდეგ, რაც მათ შორის განხეთქილება გაღრმავდა, ბრძოლა გამწვავდა ტ ცალ-ცალკე კლასებათ და პარტიებათ ჩამოყალიბდენ, ბურჟუაზიის პოლიტიკური გეგემონია ირღვევა, მისი ლაშქარი იშლება და საერთო მტრის ცემა ცალ-ცალკე სიარულით ხდება. მარა აქაც მუშა-ხალხს მუდამ ახსოვს, რომ ის ერევა არა პირდაპირ თავის კლასის, არამედ გაბატონებულთა საქმეში, ე. ი. მოსაპოებელი წყობილება არის არა პროლეტარული, არამედ ბურჟუაზიული, რომელიც მას უადვილებს ბრძოლას.

აი, ამ განსხვავებისაგან წარმოსდგება განსხვავება ამ კლასების ნაცირნალური პოლიტიკისა, რაკი ბურჟუაზიის მიზანია ნაციონალური მთავრობა, სახელმწიფო აპარატის დაპატრონება და მისი საშუალებით შინაგანი და გარეშე ბაზრის დაპყრობა, აშკარაა, მისი ინტერესია ეს აპარატი რაც შეიძლება მძლავრი და დიდ სივრცეზე იყოს გაბატონებული. ნაციონალური ცენტრის შექმნა, ერის მთელი ძაფების თავის

ხელში მოგროვება, მთავრობის ყოველნაირი იძულებითი ძალით აღჭურვა, ერთი სიტყვით, მაგარი ცენტრალური მართველობა,—აი რა ფორმაში ასხამს ის თავის ნაციონალურ მოთხოვნილებას. მილიტარიზმი, მარინიზმი და სხვ. და სხვ. ამ მიმდინარეობის ღვიძლი შვილია.

როგორც ხედავთ, ბურჟუაზიის ,ნაციონალური მიზანი და ბრძოლის საშუალება აუცილებლათ აგრესიული ხასიათისაა. შეიძლება ის ისეთ მდგომარეობაში იყოს ჩაყენებული, რომ ამ ხასიათის ფართო გამოჩენა ვერ შესძლოს, მარა რაკი მისი ჩარხი ბრუნავს, რაკი ბაზრის, ე. ი. ტერიტორიის, დაპყრობა დასახულია, ის უცდის პირველ ხელსაყრელ შემთხვევას ამ თავისი ძირითადი მიდრეკილების გამოსაცხადებლათ და აგრესიული დროშის ასაფრიალებლათ. პატარა ბელგია ისეთსავე აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა აფრიკაში, როგორსაც გერმანია ევროპაში. აქ მათ შორის პრინციპიალური გარჩევა არ არის, ვინაიდან ბუნება და ლტოლვილება ბურჟუაზიისა ყოველგან, ყველა პირობაში ერთნაირია, მიუხედავათ ტერიტორიალური მეტ-ნაკლებობისა.

სრულიად სხვაა მუშა-ხალხის ნაციონალური პოლიტიკა. რაკი მისი მიზანია თავისი ენის სახელმწიფო ენათ გადაქცევა, ე. ი. ყოველ დაწესებულებაში თავის ენაზე დაცვა თავისი უფლებებისა, ცხადია, მისი კლასიური ინტერესი არ მოითხოვს არც მაგარ ცენტრალურ მართველობას, არც ბაზრის დასაპყრობად სახელმწიფო ძალის გაძლიერებას. ამიტომ მისი ნაციონალური დროშა არის იმავე დროს დროშა დემოკრატიული. **სამშობლო ენაზე მართველობა უეჭველად მოითხოვს ნაციონალურ მთავრობას; აქ, ამ მოთხოვნილებაში ერთდება ორივე მოპირდაპირე კლასი. მარა როდესაც ერთის ნაციონალური მთავრობა** ნიშნავს ნაციონალურ სახელმწიფოს, მეორის ასეთივე ლოზუნგი არ მოითხოვს უეჭველათ ასეთ ფორმას. შეიძლება ხალხის ენა ბატონობდეს სახელმწიფოში და ეს სახელმწიფო არ იყოს ნაციონალური. მაგალითად, შვეიცარია.

აქედან იბადება პრობლემა: მრავალ-ერიანი ტერიტორიის ერთ სახელმწიფო ერთეულად გადაქცევა ისე, რომ თვითეული ერის სამშობლო ენა გახდეს სახელმწიფო ენათ. ამ პრობლემის განხორციელება სრულიად დააკმაყოფილებს დემოკრატიის ნაციონალურ ინტერესებს, ხოლო ბურჟუაზიისას—არა. უკანასკნელის კლასიური ინტერესია ამ ერთეულის ნაციონალურათ დაპრა და მისი ნაციონალური სახელმწიფოთ გარდაქმნა. ის ამ ლოზუნგს აყენებს ყოველნაირ შემთხვევაში. პროლეტარიატი ემხრობა ამ ლოზუნგს განსაზღვრულ პირობებში—როცა ამ გზით დემოკრატიის ნაციონალური მოთხოვნილება მართლაც განხორციელდება, ე. ი. მისი მიმხრობა დამოკიდებულია კონკრეტიულ პირობებზე. მარა წარმოიდგინეთ ისეთი პირობები, როცა ნაციონალური მთავრობა ნიშნავს **სხვა ერთა დაჩაგვრას**, ე. ი. ამ ერის დემოკრატიის ნაციონალური მოთხოვნილების უარის ყოფას. ამ შემთხვევაში პროლეტარიატი მხარს ვერ დაუჭერს თავისი ბურჟუაზიის ნაციონალურ პლათფორმას და შეეცდება სხვა პლათფორმის წამოყენებას. გალიციის პოლიტიკური ავტონომია დღეს გალიციის პოლონელ ბურჟუაზიის ლოზუნგია, რასაც ვერ მიემხრობა დემოკრატია იმ მოსაზრებით, რომ იქ'მცხოვრები ნაციონალური უმცირესობა—უკრაინელები—დაიჩაგრება. მაშასადამე, გაბატონებული კლასის ნაციონალური იდეოლოგია ყოველნაირ პირობებში ცხადდება ერთი განსაზღვრული პოლიტიკური სამოსელით და თავის არსებაში ატარებს შოვინისტურ და აგრესიულ თვისებებს. დაჩაგრული კლასის ნაციონალური იდეოლოგია ცხადდება სხვა და სხვა პოლიტიკური ფორმებით კონკრეტიულ მდგომარეობის მიხედვით. აქ შაბლონი უარყოფილია, მეტაფიზიკური მეთოდი განდევნილია. ის ნაციონალურიდან იქცევა ინტერნაციონალურათ, ე. ი. ის ერთნაირათ ათანხმებს ყოველ ერთა ნაციონალურ ინტერესებს და მით ხდება საერთაშორისო დემოკრატიის იდეოლოგიათ.

რაკი ასე დაშორებულია ორი თანამედროვე კლასის ნა-

ციონალური მიმართულება ერთმანეთისაგან, თავის-თავათ ცხადია, რა შორს უნდა იდგეს მათგან დროგადასული წოდების, თ.-აზნაურობის ნაციონალური იდეოლოგია. ბურჟუაზიას და პროლეტარიატს შორის კიდევ მოიძებნება საერთო ნაციონალური (და პოლიტიკური) ინტერესები, ხოლო არისტოკრატიის და დემოკრატიის შორის კი ხიდი სავსებით ჩატეხილია.

მაშინ, როდესაც ბურჟუაზია თავის ნაციონალურ იდეას აფუძნებს რეალურ, სამრეწველო ნიადაგზე, თავ.-აზნაურობა ეყრდნობა ისტორიულ საფუძველზე, ე. ი. იმ დროის პრინციპზე, როცა თვით იყო სახელმწიფოს ბატონ-პატრონი. ის თავის დიდების საბუთებს ეძებს წარსულში, ვინაიდან აწმყო მის წინააღმდეგ მუშაობს; ის სულდგმულობს ძველიდან გადმოცემული ტრადიციებით, პრივილეგიებით და მიწათმფლობელობით. ის ერთიანათ წარსულის ღვიძლი შვილია და ამიტომ რა გასაკვირალია მისი ნაციონალური პრინციპები ამ წარსულის იდეებით იყოს გაჟღენთილი! მისი მიზანი არ განსხვავდება ბურჟუაზიის მიზანისაგან — ორივეს ერთნაირათ სწყურია ხელში ჩაიგდოს სახელმწიფო აპარატი, მარა საშუალებებით სხვავდებიან; ერთისათვის ეს აპარატია თანამედროვე, ბურჟუაზიული, ხოლო მეორესათვის ეს არის ისტორიული, თავად-აზნაურული. მათ შორის არსებული პოლიტიკური და ეკონომიური წინააღმდეგობა იღებს ნაციონალურ ფორმას. რეაქციონური ნაციონალიზმი ეპირდაპირება ლიბერალურს. რაც შეეხება დემოკრატიის ნაციონალურ მიმდინარეობას — მასთან სრულიათ არავითარი იდეური კავშირი არ აქვს თავად აზნაურობას. ამ წოდების ინტერესი არ მოითხოვს სამშობლო ენა გახდეს სახელმწიფო ენათ, ვინაიდან ის იოლათ შიდის უცხო ენითაც. არისტოკრატიის დეცენტრალიზაცია ყოველგან სწრაფათ წარმოებს, თუ ამის ხელსაყრელი პირობები დაუდგა. ჩეხიის არისტოკრატია ამ 20—30 წლის წინათ სრულიად გაგერმანელებულიყო, და თუ შემდეგ ცოტა პირი იბრუნა სამშობლო ენისკენ, ამის მიზეზია არა ის თვითონ, არამედ თანამედროვე კლასების ნა-

ციონალური მოძრაობა. ქართველი არისტოკრატია დღეს არ საჭიროებს ქართულ ენას თავისი უფლების დასაცავად, ხოლო თუ მას სახელმწიფო აპარატს მისცემთ დიდათ კმაყოფილი იქნება. მისი წაქანებული მდგომარეობის შესამაგრებლათ მას ეჭირვება არა ენა, არამედ მთავრობა; და თუ ამათ უცხო არ გამოადგება, მაშინ ნატრულობს თავისას.

რით შეიძლება არისტოკრატიის ინტერესების დაცვა? ცხადია, მის საწინააღმდეგო მიმდინარეობასთან ბრძოლაში. მას ანადგურებს თავისუფალი აღებ-მიცემობა, მთელი თანამედროვე სამოქალაქო ურთიერთობა. მაშასადამე, დაბორკვა თავისუფალი აღებ-მიცემობისა, ალაგმვა კონკურენციისა განსაკუთრებით მიწა-ადგილის ყიდვა-გაყიდვის სფეროში—აი, რანაირ ნაციონალურ მთავრობას ეტრფის არისტოკრატია. ჩვენს მწერლობაში ხშირად გამოთქმული აზრი, რომ ავტონომია შეგვარჩენს ადგილ-მამულს და შრომის ბაზარსო, ხატავს არისტოკრატიის სოციალურ შეხედულებას, ვინაიდან ამით თავისუფალი აღებ-მიცემობა ისპობა. მაგრამ ამ რეაქციას ემსახურება ავტონომია თავად-აზნაურული და არა ბურჟუაზიული. და თუ ჩვენს ინტელიგენციას ავტონომია სწორეთ ასეთ საშუალებათ გამოაქვს, ეს მოწმობს მის თავად-აზნაურულ იდეიურ ჩამომაველობას.

ამნაირათ, არსებობს სამნაირი ნაციონალური იდეოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობენ მათი მატარებელი კლასები ნაციონალური კითხვის გადაწყვეტაში. იდეოლოგია არისტოკრატიისა — რეაქციონური,. ბურჟუაზიისა — ლიბერალური, მუშა-ხალხისა — დემოკრატიული. პირველ ორს აერთებს შოვინისტური და აგრესიული თვისებები, ანსხვავებს ეკონომიური და მოქალაქობრივი მოტივები. მესამეს პირველთან არა აქვს-რა საერთო, ხოლო მეორეს ემხრობა იმ შემთხვევაში, როცა მისი ლოზუნგი არ ნიშნავს სხვა ერის დამორჩილებას, სხვისი ენის დევნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაციონალურათ შერეულ ოლქში დემოკრატია გამოდის საკუთარი ნაციონალური პლატფორმით.

აი, ამ დემოკრატიული და ინტერნაციონალური იდეოლოგიით ეხელმძღვანელობთ ჩვენ ამიერ-კავკასიის ნაციონალური კითხვის მოწესრიგებაში.

2. კითხვის დაყენება.

ახლა დამტკიცებულათ უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ ნაციანალური კითხვა მეტ უთანხმოებას იწვევს ადგილობრივ ერთა შორის, ვინემ ცენტრთან დამოკიდებულებაში. ამ უკანასკნელ საკითხში ჩვენი შეთანხმება გაცილებით უფრო ადვილია, ვინემ საშინაო ურთიერთობის სფეროში. საერობო თათბირმა ნათელჰყო ეროვნულ შუღლის გაჩაღება შიგნით, ხოლო გარეთ-ცოტა თუ ბევრი ლმობიერი პოლიტიკის გატარება. კიდევ მეტი, თვითეული მებრძოლი ბანაკი ცდილობდა ცენტრის გულის მონადირებას, ბიუროკრატიის თავისკენ მიმხრობას და მისი საშუალებით მეზობელი ერის დაჩაგვრას. ამით ამიერ-კავკასიის ერთა საერთო ინტერესები სავსებით უარყოფილ იქმნა და ძველი თაობის ნაციონალური მიმდინარეობა დაგმობილი.

და მართლაც, ამ საუკუნის დაწყებამდის ქართველ მოწინავე მოღვაწეთა შორის გაბატონებული იყო ადგილობრივ ერთა ინტერესთა სოლიდარობის იდეია და მათი ცენტრის წინაშე დაპირდაპირების საჭიროება. პირველათ ამ საერთაშორისო მშვიდობიანობის მოციქულათ გამოვიდა გაზეთი „დროება". აი რასა სწერს აქ მისი რედაქტორი ს. მესხი:

„კარგათ ვიცით, რომ ჩვენ, კავკასიაში, ყველას საზოგადო სასიხარულო ან სადარდებელი ბედი გვაქს. გვესმის, რომ ჩვენ, ერთათ მცხოვრებთა, **ერთი ჭაპანი** უნდა ვწიოთ... ვართ მტერი ყველასი, ვინც ხალხს სჩაგრავს, ვინც ადამიანის კაცურ ღირსებას ამცირებს... სომხური გაზეთებისა და ნამდვილ სომხებისაგან დახმარებასა და თანაგრძნობას მოველით, როდესაც ჩვენ ხალხის დამჩაგვრელთ ვიცხავთ" [1]).

[1]) ნაწერები ს. მესხისა, ტ. I., გვ. 232.

მოტივები დაედვა საფუძვლათ „დროების“ დემოკრატიულ მიმართულებას. ამავე კითხვას უფრო ვრცლათ არკვევს გ. წერეთელი. ის სწერს:

„დღეს კავკასიის აქეთა მხარის ნიადაგი სამ მკვიდრს, განათლების მიმდევარ ხალხს უპირავს: ქართველ, სომხის და თათრის ტომებს. ეს სამი ტომი დღეს კავკასიის აქეთა მხარეში მკვიდრი მოსახლენი არიან. **ერთმანეთის დახმარებით აშენდებიან**, ერთმანერთის მტრობით კი დაიქცევიან... წარმოვიდგინოთ, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილიყო სომხობა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იმათ ადგილზე იქნებოდენ ქართველი ვაჭრები, რომელნიც სულ ისე მოიქცეოდენ, როგორც დღეს სომხის ვაჭრები იქცევიან, იმგვარათ აწარმოებდნენ აღებ-მიცემობას... საქმე იმაშია, რომ აღებ-მიცემობის **წესი** ეს არის და ყოველი აღებ-მიმცემი ამ უსამართლო სარგებლით ცხოვრობს. აქ ამისთანა ბოროტებაში სომხობა და სომხის ხალხის **თვისება** კი არ არის დამნაშავე, საზოგადოთ **ვაჭრობის წესს აქვს ამაში** დანაშაული. დღეს რომ ჩვენს ქვეყანაში დიდისა და პატარის ოფლით რჩება, იმ ვაჭრობაში სომეხიც ურევია და ქართველიც, რუსიც და თათარიც. მათ ყველას პირი აქვთ შეკრული, იმათ ფული აქვთ მოგროვებული ხელში და ამ ფულის წყალობით ყველასაგან სარგებლობენ. მაშასადამე, ჩვენი ვაჭრების უსამართლობა ჩვენივე **შინაური** ჩირქია; ჩვენი ვაჭრობის უსინდისობა—ჩვენი ფულის მომგებ შინაური ძმების და მეზობლების ბრალია. მიუცილებლათ უნდა **ვიბრძოლოთ** იმათ წინააღმდეგ, უნდა დავეხმაროთ **მშრომელ ხალხს**, რომ თვითონ მან იკისროს თავისი ნაწარმოების გასაღება და არ გადასცეს ჩარჩების ხელში მანეთის საღირალი ორ შაურათ. ჩვენ უნდა შეეწიოთ მშრომელ ხალხს, ბანკები გავაკეთოთ, საჭირო ფული გავუჩინოთ... ჩვენ, საქართველოს ხალხს და იმათ დაწინაურებულ კაცებს, ბაირაღზე ეს უნდა გვეწეროს: ერთმანეთის დახმარება, ერთმანეთის პატივისცემა, **სამივე ერის გულისათვის ერთათ**

ზრუნვა, ძმური კავშირი და საერთო ძალით ამ შინაური ცუდის გასწორება, რომელიც ასე აჩერებს ჩვენს წინ წასვლას კეთილ მდგომარეობის გზაზე[1]).

აქაც ერთა სოლიდარობა და დემოკრატიზმი ერთმანერთზე გადაჯაჭულია. ამ თაობას ასულდგმულებდა ნაციონალური იდეია, დაფუძნებული სამი ადგილობრივი ერის საერთო ინტერესებზე, ე. ი., აქ ბრძოლის საგანი იყო არა შინაური ურთიერთობა, არამედ ცენტრთან დამოკიდებულება. ქართველი, სომეხი და თათარი ერთათ უნდა წამდგარიყვენ ცენტრის წინაშე და ერთნაირი უფლებები მოეთხოვათ, ხოლო შინაურ უსამართლობას და ხალხის ჩაგვრას შინაურივე ძალით—დემოკრატიის დარაზმვით გამოსწორებას ლამობდენ.

აი, ასეთი იყო „დროების“ დემოკრატიული ჯგუფის ნაციონალური პოზიცია. პირველათ ამ პოზიციას შეებრძოლა „კავკაზის“ რედაქტორი ვ. ველიჩკო და „ივერიის“ რედაქტორი ი. ჭავჭავაძე 1897 წ.; ესენი აჩაღებენ პრესაში ანტისომხურ კამპანიას და მით ნაციონალური კითხვა ახალ ნიადაგზე დგება. წინააღმდეგობა ქართველ თავად-აზნაურობას და სომხის ბურჟუაზიას შორის აქ იწყებს ნაციონალური ფორმის მიღებას და ყალიბდება გასული წლის საერობო თათბირზე. ცენტრის კითხვა უკან დადგა, ადგილობრივი კითხვა წინ წამოდგა. დავის და შეხლა-შემოხლის საგანი შეიქნა ადგილობრივ ერთა ურთიერთშორისი განწყობილება.

როგორც ხედავთ, საერობო მოთათბირენი და მათი ამყოლ-დამყოლნი იდეიურათ აგრძელებენ ჭავჭავაძე-ველიჩკოს ნაციონალურ კამპანიას, ხოლო დემოკრატია—საერთაშორისო მშვიდობიანობის მქადაგებელნი კი ენათესავებიან „დროების“ ნაციონალურ მიმართულებას. ბრძოლის მატარებელნი არიან გაბატონებული კლასები, ყველა ფერის ნაციონალისტთა წინამძღოლობით; სოლიდარობის მატარებელია—დაჩაგრული კლასები, ინტერნაციონალ დემოკრატიის მეთაურობით.

---

[1]) „დროება“ 1879 წ., № 13—16.

მაშასადამე, კითხვას ჩვენ ვაყენებთ სწორეთ ისე, როგორათაც ამ 40 წლის წინეთ აყენებდა „დროება“: „სამივე ერის გულისათვის ერთათ ზრუნვა“, „ერთათ მცხოვრებლებმა ერთი ჭაპანი უნდა ვსწიოთ“, ერთი სიტყვით, საერთო თანხმობით საერთო საქმეები მოვაწყოთ. ჩვენი ნაციონალისტები ამ გზას უარს ჰყოფენ და ნაციონალური ბრძოლით ფიქრობენ კითხვის გადაწყვეტას. მათ არ ისურვეს შეთანხმება ისეთ პატარა რეფორმაშიაც, როგორიცაა ერობა. თათრებთან შეთანხმებით განამარტოვეს სომხობა, ხოლო ახლა წაეკიდენ თათრებსაც. ამ მებრძოლ ნაციონალიზმთან ჩვენ არა გვაქვს-რა საერთო და ვაგრძელებთ ქართულ საუკეთესო პრესის ტრადიციას „ერთათ დგომით ავშენდებით, ცალ-ცალკე დგომით დავიქცევით“.

ვთქვათ, ამიერ-კავკასიას ნება მისცეს მოაწყოს მისი შინაური საქმეები თავის სურვილისამებრ. რანაირი წყობილება მოგვცემს ამ შემთხვევაში ნაკლებ ეროვნულ ბრძოლას და მეტ ეკონომიურ განვითარებას? ეროვნებათა მშვიდობიანი გამიჯვნა უნდა ეთანხმებოდეს ეკონომიურ მსვლელობას. არ არის მისაღები ისეთი წყობილება, რომელიც აღვივებს ერთა შეტაკებას ან ანელებს მოქალაქობრივ წინ - მსვლელობას. პირველ ყოვლისა, კითხვის მოწესრიგებაში უნდა დავეყრდნოთ ერთა თვითგამორკვევას. თათრებმა, სომხებმა და ქართველებმა უნდა გამოსთქვან, რა სურთ. მარა შეიძლება ერთი ერის თვითგამორკვევა არ შეეთანხმება მეორე ერისას, მაშინ? მაშინ ორში ერთი: ან დავის ხმის უმეტესობით გადაწყვეტა, ან კომპრომისულ დებულებაზე მორიგება. მისაღებია პირველი საშუალება? არა, და აბ, რატომ: რაკი ჩვენ ერი, აღვიარეთ ერთ კოლექტიურ ერთეულათ და მივანიჭეთ თვით გამორკვევა, ცხადია, უმრავლესობა-უმცირესობის პრინციპი სავალდებულოა მხოლოდ ამ ერთეულის საზღვრებში, და ქართველი ერი უნდა დაემორჩილოს მის უმრავლესობას. მაგრამ უმრავლესობის მოყვანა ამ ერთეულის გარედმიდან —

სხვა ნაციონალური კოლექტივიდან, ნიშნავს არა დემოკრატობას, არამედ ძალადობას. ეს იქნებოდა მაგ., რუსეთის უმრავლესობით საფრანგეთის საქმეები მოგვეწესრიგებინა, წინააღმდეგ ფრანგთა სურვილისა. ეს თვითგამორკვევის სრული უარის-ყოფაა. დემოკრატიული პრინციპი მოითხოვს ნაციის თვითგამორკვევის საკუთარ გატარებას და მისი საქმეების მის სურვილისამებრ მოწყობას. და თუ ეს მისი სურვილი ეწინააღმდეგება მის გვერდით მცხოვრებ ერის სურვილს, ამ შემთხვევაში გვრჩება: ან ორივე ერში ცალ-ცალკე ერთი პლატფორმის მომხრე უმრავლესობის შეყენება, ან-და ორივე მხრით ერთი-მეორისათვის დათმობა და ერთ, ყველასათვის მისაღებ, დებულებაზე შეჩერება. ორივე შეითხვევაში ერთა შეთანხმება აუცილებელია.

როგორც ხედავთ, დემოკრატიისათვის მისაღებია ისეთი ნაციონალური ურთიერთობა, რომელიც ეთანხმება როგორც ნაციონალური უმრავლესობის, ისე უმცირესობის ინტერესებს, მისაღებია როგორც ერთის, ისე დანარჩენი ერებისათვის. სამ ადგილობრივ ერში ერთიც რომ წინააღმდეგ წავიდეს—ეს საკმარისი საბუთია პოზიციის უვარგისობისა. ჩვენ ვდგევართ შეთანხმების ანუ კომპრომისულ თვალსაზრისზე. ეს ჩვენი ძირითადი დებულებაა, ეს თვითგამორკვევის ლოგიკური დასკვნაა. მაშასადამე, ქართველი ერის ნაციონალური პროგრამა უნდა აშენდეს არა მარტო ქართველის, არამედ, დანარჩენ ორი ერის მოთხოვნილებაზეც, ეს გარემოება მისცემს მას ძალას და განხორციელების საშუალებას.

ამნაირათ, ნაციონალური კითხვა ჩვენში უნდა გვესმოდეს, როგორც კითხვა სხვა-და-სხვა ერთა ურთიერთობის კომპრომისულად გამომუშავებაზე. აქ სავალდებულოა არა ეს თუ ის პოლიტიკური ფორმა, არამედ თვით ნაციონალური მიზანი, რომლის მიღწევისათვის ჩვენ ვეძიებთ ამ ფორმას, ხოლო მიზანია—სამშობლო ენა გახდეს დაწესებულებათა ენათ. კომპრომისია საჭირო არა მიზანში, არამედ საშუალებაში,

ისეთი წყობილების შემოღებაში, რომელიც საუკეთესოთ ასრულებს მთავარ მიზანს. როცა სამივე ერის ხალხს მიეცემა თანაბარი შესაძლებლობა თავისი უფლებები ყოველ დარგში დაიცვას თავის ენაზე, როცა მათი მოქალაქობრივი წინმსვლელობა მოიპოვებს თავისუფალ ნაციონალურ კალაპოტს, მაშინ ეროვნული შეჯახება აშორდება სახელმწიფო უფლების სფერას და გადაიქცევა კერძო ეპიზოდურ მოვლენათ. ასეთი საერთო კალაპოტის შექმნა შეიძლება მხოლოდ სამივე ერის თანხმობით და არა ერთი-მეორის ძალადობით.

კითხვის ასე დაყენება ნიშნავს ნაციონალისტთა ტაქტიკის ძირბუდიანათ უკუგდებას და ინტერნაციონალურ გზაზე მტკიცეთ შედგომას. ამ დროშას ემსახურებოდა „დროების“ დემოკრატიული ჯგუფი, მასვე ვაგძელებთ ჩვენ. ნაციონლისტები-კი აგრძელებენ ველიჩკო-ჭავჭავაძის ნაციონალურ ტაქტიკას.

3. პირველი ნაბიჯი.

რაკი ჩვენ დავდექით ერთა შეთანხმების თვალსაზრისზე, ცხადია, პირველი პრაქტიკული ნაბიჯი უნდა გადაიდგას ამ ნიადაგზე. ადგილობრივი ნაციონალური კალაპოტის გამომუშავება უნდა მოხდეს დაინტერესებულ ერთა საერთო კრებაზე. რასაკვირველია, მას წინ მიუძღვის კერძო-კერძო თათბირები, მარა საბოლოოდ. საკონსტიტუციო აქტები დგება მხოლოდ ერთად, საერთო თანხმობით. ამ გარემოებას მთელი საქმისათვის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს.

და მართლაც, კუთხურ ნაციონალური კრება ძალა-უნებურად ვერ შორდება თავის კუთხის ფარგალს, თავის ნაციის ინტერესებს, და ეპირდაპირება მეორე კუთხეს და ნაციას. აქ თანხმობის გზა დახშულია იმ უბრალო მოსაზრებით. რომ არ არის მეორე მხარე, რომელთანაც შეთანხმება საჭიროა. ასეთი კრებისათვის დაფუძნების უფლების მინიჭება უკვე ნიშნავს მის სუვერენობას, მაშასადამე, ნაციონალურ უმრაველ-

სობას ხელთ უვარდება ბატონობა ნაციონალურ უმცირეს-ობაზე და ნაციათა კონსტიტუციური გამიჯვნა აღარ ხდება. შებრძოლი ნაციონალიზმი ძალაში რჩება და გაბატონებული კლასის ნაციონალური იდეოლოგია სახელმწიფო აქტებში ტარდება.

მეორე მხრივ, რაკი კუთხურ ნაციონალურ კრებულს უზენაესი უფლება მიენიჭება, ცხადია, ის თავის სამოქალაქო ცხოვრებას თვითვე აწესებს და ეკონომიურ ასპარეზს იფარგლავს. ამის შედეგი იქნება ერთ, შედარებით პატარა, სივრცეზე ამიერ-კავკასიაში მრავალ-უფლებიანობა და ეკონომიურათ უკან დაქანება. განა შეუძლია აღმოსავლეთ კავკასიას უშავზღვოთ განვითარება? განა დასავლეთ მხარის მიუცილებელი საჭიროება არ არის ბაქოს ნავთი, კასპიის ზღვა და სპარსეთ-ინდოეთის საზღვრები? მაშასადამე, კუთხური გამოქრა ცალ-ცალკე ერთეულებად გამოიწვევს საწარმოვო ინტერესების შელახვას როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთისას, როგორც თათრების და სომხების, ისე ქართველებისას. ნაციონალურ განხეთქილებას მოემატება მოქალაქობრივი საწარმოვო განხეთქილება.

ვისი ინტერესია ამიერ-კავკასიის ასეთ თვითარს ნაკრებათ დაკრა? პირველ ყოვლისა, იმათი, ვინც ფართე ეკონომიურ ბაზარს არ საჭიროებს და მწარმოებელი ძალის აღორძინებაში დაინტერესებული არ არის. ასეთია თავად-აზნაურობა. როგორც ვთქვით, ამ წოდებას არღვევს კაპიტალისტური პროცესი, ფართო თავისუფალი აღებ-მიცემობა და გზას უთმობს ბურჟუაზიას. ცხადია, მისი ინტერესი მოითხოვს მთელი ამისი დამარღვეველი პროცესის შეჩერებას და შებორკვას, ბაზრის დავიწროებას, თავისუფალი ვაჭრობის, განსაკუთრებით მიწა-ადგილის, ალაგმვას და ასე წყალზე ფეხით გაჩერებას. ეს კი შესაძლებელია პატარა ტერიტორიალურ ერთეულში, რომლის კარების კანონით ჩაკეტვა ადვილია და წარმოების საშუალო დონეზე შეჩერება მოსახერხებელია. საქართველოს უზენაესო-

ბა,—აი ამ წაქანებული წოდების ნაციონალური იდეოლოგია. თათრების ბეგები, როგორც უკეთ შენახული მიწათ-მფლობელნი, ასეთ განსაკუთრებულ ზომებს ჯერ კიდევ არ საჭიროებენ, და ამიტომ მათი ინტელიგენციის ნაციონალური მოთხოვნილება კულტურულ ფარგალს არ შორდება.

ბურჟუაზიის—მსხვილის და საშუალოს--ეკონომიური ინტერესი მოითხოვს ფართო ბაზარს, თავისუფალ აღებ-მიცემობას და, მაშასადამე, ამ მხრივ ის ვერ დაკმაყოფილდება ვიწრო კუთხური ეროვნული ფარგლით. მარა ვინაიდან ის მიილტვის ხელში ჩაიგდოს მთავრობა, თვით გახდეს მართველი კლასი, ამიტომ მას ურჩევნია თავისი ნაციონალური ფარგალი, რაგინდ პატარა იყოს ის, ოღონდ მის საზღვრებში თვით იყოს გაბატონებული. ბაზრის გაფართოვებას იგი ცდილობს მთავრობის ძალით, აგრესიული საგარეო პოლიტიკით. ამ მხრივ თავადაზნაურობა ნაკლებ შოვინისტურია, ვინემ ბურჟუაზია; პირველი ცდილობს თავის დაცვას, არც გარეთ მიდის და არც სხვას უშვებს შიგნით: მეორე კი ცდილობს თავდასხმას, სხვის ტერიტორიაში შეკრას და ასე ბაზრის დაპყრობას. თუ ეს ტერიტორია მას უბრძოლველათ გაუფართოვდება და იმავე დროს მმართველიც იქნება, მაშინ ის სავსებით შორდება თავად-აზნაურობის ნაციონალურ მოთხოვნილებას და ცალკე დგება. ცხადია, ამ ორი ელემენტის კომბინაცია, ე. ი. მთლიანი ამიერკავკასია მთლიან რუსეთში, როგორც ერთი ეკონომიური სარბიელი და ნაციონალური მთავრობა, სავსებით დააკმაყოფილებს ბურჟუაზიას. აი, აქ შეიძლება დემოკრატიის ინტერესის მოთანხმებაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, და მით ამ ორი კლასის მორიგება, კავკასიის კონკრეტულ პირობებში შესაძლებელი გახდება.

ჩვენ ამას ვიტყვით წვრილ ბურჟუაზიაზე, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ დუღილშია და ცალკე კლასათ არ ჩამოყალიბებულა. მათი ინტერესი ტრიალებს ბურჟუაზიასა და მუშა ხალხის ინტერესებს შორის.

ამნაირად, ამიერ-კავკასიის შინაური ურთიერთობის მოწყობა კუთხურ-ნაციონალურად ნიშნავს ყველა ნაციების და კუთხეების ერთმანერთზე თავდასხმას და საერთო ნაციონალური კოლონის გაჩაღებას. ასეთი ნაბიჯი უარჰყოფს შეთანხმების პრინციპს და მის ალაგას აწესებს ბრძოლას. ეს იმავე დროს ეწინააღმდეგება დემოკრატიის ნაციონალურ მოთხოვნილებას და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას.

რასაკვირველია, ჩვენ რომ საქმე გვქონდეს კავკასიის უკვე გაყოფილ ერთეულებთან, ისტორიულად შემუშავებულ პატარა სახელმწიფოებთან, როგორც ეს იყო, მაგ., ასი წლის წინეთ, მაშინ ეს ფაქტი უკვე საკალდებულო იქნებოდა ყველასათვის, და მისი ცნობით და მის საფუძველზე დგომით მოვახდენდით მათს გაერთიანებას. შვეიცარიის ერთობა შეიქნა სწორეთ ასეთი — დამოუკიდებელი ოლქების თანდათანი თავის მოყრით და ცენტრის გაძლიერებით. აქ ხალხი დაიძრა პერიფერიებიდან ცენტრისაკენ. ჩვენში კი ამის მსგავსი რამ არ არსებობს. უკანასკნელმა ას წელში მოახდინა კავკასიის ყველა ნაწილთა გათანაბრება, ერთი ტერიტორიალური ასპარეზის შექმნა და იმავე დროს ნაციონალური ცხოვრების აღორძინება. მოქალაქობრივი ერთობა, ნაციონალური დანაწილება — აი ფაქტი, ყველასათვის საკალდებულო და უტყუარი. ასეთ გარემოებაში საქმე იწყება არა ბოლოდან, არსებული პერიფერიებიდან, არამედ თავიდან, ცენტრიდან. მოქალაქობრივი ერთობა, ერთი მთლიანი ეკონომიური ასპარეზი — აი ერთა სათავე; სამი ერის ჩამოყალიბება. მათი განსხვავებული ნაციონალური ვითარება, — აი მეორე სათავე. ჩვენ ვამბობთ, ამ ორი სათავის კომბინაცია მოგვცემს ერთ ჰარმონიულ საერთაშორისო ურთიერთობას. საჭიროა ამ სამი ერის ერთად თავის მოყრა, **ერთ მოქალაქობრივ ერთეულად ცნობა და მის სამზღვრებში ნაციათა მშვიდობიან დამოკიდებულების განსაზღვრა.**

მეტყვიან: აი, სამივე ერის საერობო თათბირმა განა მოგვცა შეთანხმება? რა გარანტია გვაქვს იმის, რომ მომავალი

თათბირიც არ იქნება საეროპოს განმეორებაო? გარანტია ერთად-ერთია—ხალხის, დემოკრატიის მონაწილეობა. საეროპო თათბირი წინეთაც იყო, მარა ნაციონალური დარაზმვა არ მოუცია, და თუ შარშან ეს მოხდა. ამის მიზეზია თათბირიდან ხალხის სავსებით განდევნა და მისი გაბატონებულ კლასისათვის ჩაბარება. მაშასადამე, ადგილობრივი ნაციონალური ურთიერთობის მთავარი მომწყობი უნდა იყოს სამივე ერის დემოკრატია, რომელთა შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არის. თავისთავათ ცხადია, მებრძოლ ნაციონალიზმის მატარებელ კლასებს არ ძალუძთ ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარება, რამდენიც და როგორათაც უნდა ითათბირონ. ასეთი კრება მოგვცემს მხოლოდ იმას, რაც გააჩნია—ჩხუბს და აურზაურს. რომ სამივე ერის გაბატონებული კლასები ერთი კატეგორიისა და ბუნების იყოს, მათი ასე თუ ისე შეთანხმება კიდევ მოსალოდნელი იქნებოდა. მარა სომხის ბურჟუაზიას და ქართველთათარ არისტოკრატიას შორის არავითარი შემაერთებელი ხიდი არ არის. მათ შორის ერთათ-ერთი მოციქული ბრძოლაა და, მაშასადამე, შეთანხმებაც შეუძლებელია. დემოკრატია, დემოკრატიული წესით არჩეული—ორგანო—მიუცილებელი ელემენტია კითხვის გადაჭრისათვის.

შეიძლება თქვათ: თუ საქმე დემოკრატიაშია, რაღა საჭიროა ყველა ერის საერთო დემოკრატიული ორგანო, განა არა სჯობს ცალ-ცალკე თავის მოყრა თავ-თავის ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანოებშიო? არა, არა სჯობს, და აი, რატომ: საქმეა არა მარტო დემოკრატიაში, არამედ კონსტიტუციაშიაც, ე. ი. იმაში, თუ ვინ ვისგან იღებს უფლებას. როცა თვითეული ერი იღებს ამ უფლებას ყველა ერის თანხმობითა და აქტით, ის აღარ შეიძლება გახდეს საგნათ ნაციათა ბრძოლისა და წინააღმდეგობისა. ის ერთი-მეორის პასუხის-მგებლობითა და გარანტიით ტარდება. ხოლო როცა თვითეული ერი სხვების დაუკითხავათ და ნება-დაურთველათ თვით იფუძნებს თავის უფლებას, აღარაევითარი გარანტია არ არის, რომ მის წინააღმდეგ

არ გაილაშქრებენ მოსამზღვრე ერნი. სამი ასეთი უზენაესი ძალის ცნობა ერთ ტერიტორიაზე, მიუხედავათ მისი პოლიტიკური შემადგენლობისა, თავის-თავათ იძლევა შესაძლებლობას ერთი-მეორის დაპირდაპირებისას და შეხლა-შემოხლისას. უზენაესობა არის უფლება ბრძანებისა, ხოლო როცა ასეთი უფლებით აღჭურავთ თვითეულ ერს მის-მის ტერიტორიაში, რა საბუთია იმის, რომ მისი ბრძანება ძირიანათ არ დაარღვევს ნაციონალური უმცირესობის ინტერესებს? ჩვეულებრივათ, ერთი და იგივე ადამიანი არის მოქალაქე და ქვეშევრდომი, ე. ი. ის მატარებელია უზენაესი უფლებებისა და მისი მორჩილიც. მარა ეს კონსტიტუციური ნორმა როდი კმარა ნაციონალური ურთიერთობის მოსაწესრიგებლათ. მაგ., ბაქოს ქართველობა უფრო დაემორჩილება ქართველ ერის ბრძანებას, ვინემ ბაქოს თათრებისას. საქართველოს პარლამენტის უზენაესობას არ მიიღებენ აქ მცხოვრები სომხები და თათრები, ხოლო მათ თანამემამულეთა კანონიერათ გამოთქმულ ბრძანებას კი დაემორჩილებიან, თუნდაც მას არ ეთანხმებოდენ. პირველ შემთხვევაში ჩაღდება ნაციონალური ბრძოლა, ხოლო მეორეში კი არა. ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარე თავისივე ნაციაა და არა უცხო, აქ გაჩაღდება ბრძოლა დემოკრატიულ ნიადაგზე, რომ უმცირესობამ უმრავლესობა მიიმხროს და გამოცემული კანონი შეაცვლევინოს.

ამგვარათ, ამიერ-კავკასიის ერთა ინტერესები მოითხოვს ადგილობრივ ერთა დამოკიდებულების გამომუშავება ეკუთვნოდეს მათ საერთო ცენტრს, რომელიც ნაციათა შეთანხმებით აუგენს ძირითად აქტებს შინაურ ურთიერთობისას. საქმის ნაყოფიერათ დაგვირგვინების აუცილებელი პირობებია დემოკრატიული უმრავლესობა და ნაციონალური კომპრომისი. ქართველ, სომეხ და თათართა გლეხობას და მუშა-ხალხს არა აქვთ-რა ერთმანერთ შორის სადავო და გასაყოფი, ამიტომ მათი წარმომადგენელთა უმრავლესობა თავისთავათ ატარებს ნაციონალურ შეთანხმების, მეზობლურათ ცხოვრებისა

და კლასიურათ დარაზმეის საჭიროებას. მხოლოდ წინასწარი შეთანხმება განსაზღვრულ ურთიერთობის ნიადგზე მოგვცემს საშუალებას როგორც ყველას, ისე თვითეულ ერს თავთავისი ნაციონალური ძირითადი მოთხოვნილებანი განვახორციელოთ. ის „საზოგადო სასიხარულო ან სადარდელი ბედი", რომელიც, ს. მესხის სიტყვით, კავკასიელთ გვაქვს, გვაიძულებს „ერთი ჯაპანი ვსწიოთ" და ერთ ადგილობრივ დროშის ქვეშ დაედგეთ.

4. პლატფორმა.

რაკი ჩვენ ადგილობრივ ერთა შეთანხმება ნაციონალური საქმეების მოსაწესრიგებლათ აუცილებელ პირობათ ვსცანით, ცხადია, შეთანხმება უნდა მოხდეს ერთ განსაზღვრულ პლათფორმაზე. ყველა ერის დემოკრატიამ უნდა გამოიმუშაოს **ერთი** პროგრამა, წამოაყენოს საერთო მოთხოვნილება და მის გარშემო დაირაზმოს.

როგორი უნდა იყოს ამ პლატფორმის ძირითადი დებულებანი?

უზენაესი ტერიტორიალური ერთეული ვერ მოემწყვდევა მარტო ეთნოგრაფიულ საზღვრებში. მისი განვითარება და წარმატება მოითხოვს, პირველ ყოვლისა, გეოგრაფიულ საზღვრებს, ე. ი. ხელსაყრელ საალებ-მიცემო პირობებს. სახელმწიფო შენდება მისი ეკონომიური მოთხოვნილებისამებრ, და თუ ეს მოთხოვნილება ეფარდება მის ეთნოგრაფიულ შემადგენლობას, მაშინ დგემა ნაციონალური სახელმწიფო. მაშასადამე, შეიძლება საალებ-მიცემო ასპარეზი და ნაციონალური (ენის) ასპარეზი ერთი-მეორეს არ ფარავდეს. ისტორიულათ, სახელმწიფოს შენობა დაიწყო ნაციონალური ტერიტორიიდან და ფართოვდებოდა შიგნიდან გარეთ. სანამ წარმოებაში ბატონობდა ძველი საშუალო საუკუნური წესი, სანამ ასეთ სახელმწიფოს მცხოვრებნი ნატურალური მეურნეობით თავს ირჩენდენ და შორეულ ბაზარს და მიმოსვლას არ საჭიროებდენ, მანამდის გეოგრაფიული საზღვრები აუცილებ-

ლობას არ წარმოადგენდა. მხოლოდ შემდეგ კაპიტალისტური პროცესის განვითარებით და მსოფლიო ბაზრის აღორძინებით ყველა სასიცოცხლო ერი იძულებული გახდა შესაფერი ეკონომიური არე შეექმნა და სახელმწიფო სააღებ-მიცემო საფუძველზე აეგო. მსოფლიო ომი ამ ღელვის უკანასკნელი ქარიშხალია.

წარსულში კავკასიის სამეფონი და სახანონი სავსებით ეგუებოდენ მაშინდელ ეკონომიურ წყობილებას და კარჩაკეტილათ არსებობა ეადვილებოდათ. უკანასკნელი ასი წლის ადმინისტრატიულ გაერთიანებამ და კაპიტალასტური პროცესის გაშლამ დაანგრია ძველი ეკონომიური საფუძველი და ეტნოგრაფიული მიჯნები და გამოკვეთა ეროი მთლიანი სააღებ-მიცემო ასპარეზი შესაფერი გეოგრაფიული საზღვრებით. ახლა ის ერთი მთლიანი ტერიტორიალური ერთეულია და მისი ხელახლა ძველ კარჩაკეტილ ნივთიერ ურთიერთობაში ჩაყერა უტოპიაა, უტოპია რეაქციონური. ამ მხრით მოქალაქობრივი დამოკიდებულება გაადვილებულია. მარა, მეორე მხრით, რამდენათ ეს ერთეული არა ფარავს ნაციონალურ ერთეულს, რამდენათ ეთნოგრაფიული საზღვრები აღარ ეთანხმება გეოგრაფიულს, იმდენათ დამოკიდებულება გართულებული და გაძნელებულია.

ამ პროცესის დადებითი მხარის შენახვა და უარყოფითის შესუსტება — აი რა თვალსაზრისზე უნდა იქმნას აგებული დემოკრატიის ნაციონალური პლატფორმა.

დადებითია სააღებ მიცემო ერთეული, უარყოფითია ერთა შინაგანი კონკურენცია.

შესაძლებელია კი ამ უკანასკნელის შესუსტება ან ეთანხმება კი ასეთი სურვილი ცხოვრების სინამდვილეს? უეჭველია, რომ ეთანხმება. საქმე იმაშია, რომ ეკონომიურ გაერთიანებასთან ერთათ სწარმოებს ნაციონალური დანაწილება, ერთა მთლიან კულტურულ ორგანიზმებათ გადაქცევა. მაშასადამე, ამ ნაციონალურ მიმდინარეობას უნდა მიეცეს შესაფერი მატერიალური გამოხატულება, განსაზღვრული იურიდიული სახე-

ობა. ამ გარემოებას ანგარიშს უწევენ ნაციონალისტებიც, მარა მათ-მიერ წამოყენებული მალამო ნასესხებია გაბატონებული კლასების იდეიურ საგზალიდან: ესენი ნაციონალური წინააღმდეგობის მოსპობას ცდილობენ არა თანასწორობით, არამედ მონოპოლიით, ე. ი. თავისი ნაციის პრივილეგიებით აღ. ჭურვით, ბუნება ბატონობისა ვერ ურიგდება თანასწორობას, და ამიტომ გაბატონებული კლასების ნაციონალური პლათფორმა ყოველთვის და ყოველგან პრივილეგიაზეა აგებული. ამის ნაცნობი მაგალითია ქართველი ფედერალისტებისა და ნაციონალ-დემოკრატების ნაციონალური პროგრამა. დემოკრატია, სცნობს-რა ამიერ-კავკასიის ნაციონალურ დიფერენციაციას, უარჰყოფს ნაციონალისტების პროგრამას, როგორც აგებულს მონოპოლურ უფლებაზე, და აყენებს სწორუფლებიანობას. ჩვენ მივილტვით ნაციონალური კონკურენცია მოვსპოთ არა მონოპოლიის შემოღებით, არა ერთი კონკურენტის გაბატონებით, არამედ სოლიდაროპით. ყველას თანასწორ კალაპოტში ჩაყენებით.

ამნაირათ, ამიერ კავკასიის პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა აშენდეს ორნაირათ: თანახმათ საალებ-მიცემო ინტერესებისა და ერთა თანასწორობისა, ე. ი. ეკონომიურათ და ნაციონალურათ. ეკონომიური მთლიანობა მოითხოვს უფლების მთლიანობას. რაკი ჩვენ ამიერ-კავკასია ასეთ მთელათ მივიღეთ, აშკარაა, მისი საჯარო უფლების საზღვრებში უნდა მოეწყოს ნაციონალური ორგანიზაცია. როგორც ვიცით, დემოკრატიის ნაციონალური მიზანია სამშობლო ენის სახელმწიფო ენათ გადაქცევა, ხოლო ბურჟუაზიის - ნაციონალური მთავრობა. თუ კი ამ ორივე მიზნის მიღწევა შეიძლება ჩვენში გარეშე ნაციონალური სახელმწიფოისა — ამიერ-კავკასიის ერთეულის ფარგალში, ორივე კლასი დაკმაყოფილებული იქნება და ნაციონალური განხეთქილება პოლიტიკურ ნიადაგზე მოისპობა. ეს ორი მიზანი ერთი-მეორის მიუცილებელი პირობაა. ნაციონალური ენის გაბატონება შეუძლებელია გარეშე ნაციონალური მართველობისა, ხოლო ნაციონალუ-

რი მართველობა-კი თავის-თავათ გულისხმობს ნაციონალურ ენას. რომ არც ერთი ეს არ მოითხოვს უეჭველათ ნაციონალურ სახელმწიფოს, ამის მაგალითი ბევრია (შვეიცარია და სხვა). მაშასადამე, ამიერ-კავკასიაშიაც შესაძლებელია ერთ და იმავე დროს იყოს სამი ერის ცენტრალური მართველობა და ამასთანავე თვითეული ერის მართველობა **ცალ-ცალკე**.

მართველობა, საჯარო უფლების ორგანიზაცია შეუძლებელია **გარეშე ტერიტორიისა**. ნაციონალური მართველობის დაწესება თხოულობს ნაციონალურ ტერიტორიას. ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის **მთელი ნაციის** უთუოდ ერთ მთელ ტერიტორიაზე ბინადრობა: საკმარისია ნაციის ერთ ნაწილს ჰქონდეს ფეხი მოკიდებული საკუთარ მიწა-წყალზე, რომ იქიდან იჩქეფოს ნაციონალურმა ცხოვრებამ და აპოხიეროს გაბნეული, სხვა ერებში შერეული ნაწილები. თუ ერს ასეთი ბინა არა აქვს, თუ ის არ ღებულობს მუდამ ამ წყაროდან ფიზიკურ და ნაციონალურ ძალას, მას თავისი ენა ეკარგვის და სხვა ერებში ითქვიფება. ერის ასიმილიაცია (გადაგვარება) მხოლოდ ასეთ პირობაში შეიძლება. კავკასიის ერები ასეთ მდგომარეობაში არ იმყოფებიან. თვითეულ მათგანს აქვს ტერიტორიალური ფუძე, სადაც ის მჭიდროთ მოსახლეობს. ამ მხრივ ყველაზე უფრო კარგ პირობებშია ქართველები და ლეკები, შემდეგ მოდის თათრები, ხოლო ყველაზე უარეს მდგომარეობაშია სომხები. ვაღიაპარაკოთ ციფრები.

ყველა ლეკების 75% ცხოვრობს დაღესტნის ოლქში, სადაც შეადგენენ ადგილობრივ მცხოვრებთა 79%: ოლქის ლეკური ხასიათი და მოსახლეობა ცხადია.

ქართველთა 98% ცხოვრობს ქუთაისის და თფილისის გუბერნიებში, სადაც ყველა მცხოვრებთა 63%-ს შეიცავს. ამაში ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებთა 82%, ხოლო თფილისისაში — 44%. მარა თუ ჩვენ ამ გუბერნიებს გამოვაკლებთ იმ მაზრებს, სადაც ქართველნი მცირე რიცხვს შეადგენენ, მივიღებთ ნაციონალურ ტერიტორიას, სადაც ქართველთა

რიცხვი 90%-მდე აკა. უნდა გამოვაკლოთ თფილისის გუბერნიაში ახალ-ქალაქის, ახალციხის და ბორჩალოს მაზრები და ზაქათალის ოლქი, სადაც 137,279 მცხოვრებში ქართველია 27,930; ქუთაისის გუბერნიაში მოაკლდება ართვინის ოლქი და სოხუმის ოლქის გუდაუთის და გუმისტანის ნაწილები, სადაც 96,787 მცხოვრებში ქართველობაა 19,185 [1]). ასეთი მიკლებ-მოკლებით ჩვენ მივიღებთ ქართულ ეროვნულ ტერიტორიას, სადაც ნაციონალური უმცირესობა უმთავრესათ ქალაქებში იქნება თავ მოყრილი და, გარდა თფილისისა, გადაიქცევა უმნიშვნელო პროცენტათ.

თათრები ქართველებზე უფრო გაბნეულია, მარა ბაქოს და განჯის გუბერნიებში მაინც შეიცავენ უმრავლესობას 60,80%. და 58,83%. მარა თუ აქაც გამოვრიცხავთ სომხებით დასახლებულ ადგილებს შუშის, ზანგეზურის, ყაზახის და განჯის მაზრებიდან, თათართა ტერიტორიალური ერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება და მათი პროცენტი დიდათ აიწევს.

სომხობა მჭიდროთ დასახლებულია მხოლოთ ალექსანდროპოლის მაზრაში, სადაც შეადგენენ 88,60%. მაშასადამე, ეს მაზრა უნდა 'მეიქმნეს სომეხთა ბინადრობის შემომკრებ ცენტრათ. თუ მას მივაწერთ ახალ-ბაიაზეთისა და ეჩმიაძინის მაზრებს, სადაც დიდი უმრავლესობა სომხობაა, თათართა სოფლების გამოკლებით, და ნახევარს ერევნის მაზრისას, მივიღებთ სომხეთის შუაგულს, რომელიც დაედება საფუძვლათ ნაციონალურ მართველობას.

ამ წესით შეიძლება ნაციონალურათ გაიმიჯნოს საქართველოს სამი მეოთხედი, ხოლო თათარ-სომეხთა პროვინციების ნახევარი. მივიღებთ სამ ნაციონალურ ტერიტორიას მეტ-ნაკლები სივრცით. აი, აქ დაწესდება წმინდა ნაციონალური მართველობა და ნაციონალური ენა გადაიქცევა დაწესებულებათა ენათ. სიძნელე იწყება მხოლოთ ამ ტერიტორიების გა-

[1]) ცნობები ეკუთვნის 1911 წ. პოლიციის სტატისტიკას, რასაც მხოლოთ შედარებითი ღირებულებას ეკუთვნებ.

რეთ, მათ შორის მდებარე ჭრელ ტერიტორიებზე. ნაციონალური შეჯახებ-შემოჯახების ასპარეზი აქ რჩება და ეროვნულ მართველობის დაწესება შეუძლებელი ხდება. რა გზას უნდა დავადგეთ ამ შერეულ მოსახლეობის მოსაწესრიგებლათ?

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მოსახლეობა შერეულია, თუ ფართო ტერიტორიას ავიღებთ, მაგალითათ, ისეთ მაზრებს, როგორიცაა შუშის, ზანგეზურის და სხვა. მარა დღეევანდელი ადმინისტრატიული **საზღვრები სავალდებულო არ არის** არც ნაციონალურ და არც ინტერნაციონალურ ტერიტორიებისათვის. შერეული მაზრის ნაციონალურათ გაყოფა ორ გინდ სამ ერთეულათ აუცილებელია. ასეთი ერთეული მიეწერება მის მოსაზღვრე ნაციონალურ ერთეულს; თუ უკანასკნელი მას არ საზღვრავს, ის რჩება თვითმართველ ტერიტორიათ, ისეთივე უფლებით თავის საზღვრებში, როგორათაც იქნება აღჭურვილი სხვა ნაციონალური ერთეულები. მაგალ., შუშის მაზრა გაიყოფა ორათ, თათრულ და სომხურ ნაწილებათ; პირველს საზღვრავს თათართა პროვინცია და მის ფარგალში შევა, ხოლო მეორე, როგორც დაშორებული სომხეთის საზღვრიდან, შეადგენს ცალკე თვითმართველობას. თუ ჩვენ ასეთ პატარა ნაციონალურ კანტონებს შევქმნით შერეულ მაზრებში, დაგვრჩება მცირე ტერიტორიები, იმდენათ ჭრელი, რომ მათი ნაციონალურათ დაყოფა მართველობის და ეკონომიურის თვალსაზრისით შეუძლებელი ხდება. ასეთი კანტონები გაიყოფა ორათ—ტერიტორიალური საქმეები გადაწყდება საერთო ძალღონით, ხოლო კულტურული—თვითეული ერის მიერ ცალ-ცალკე, ე. ი. აქ წესდება ორ გვარი მართველობა: ინტერნაციონალური და ნაციონალური, რომელთა შორის იყოფა შრომა. პირველის ოფიციალური ენა იქნება ადგილობრივ ერთა ენა, ხოლო მეორის—სამშობლო ენა. პატარა განმარტოვებული ნაციონალური კანტონები და შერეული კანტონების ნაციონალური საბჭო კულტურულ-ნაციონალურ საქმეებში შეუერთდება მთავარ ნაციონალურ კანტონს (კულტურული ავტონომია).

როგორც ხედავთ, ჩვენ ვთხოულობთ კანტონალურ წყობილებას, რომელთ ცხრა მეათედი თუ ცოტა ნაკლები იქნება ნაციონალური, ხოლო დანაჩენნი — ინტერნაციონალური. აქ იტყვიან: განა პატარა კანტონებს შეეძლებათ განვითარდენო? რატომ არა! განა სივრცე დაუშლის? მთელი შვეიცარია მეტათ პატარა კანტონებისაგან შესდგება და ამ საბუთით ის არავის დაუწუნებია! პატარა კანტონს არ ძალუძს დამოუკიდებლათ იცხოვროს, ე. ი. იყოს სახელმწიფოთ ან ქონდეს სახელმწიფოებრივი უფლებები. და ამას არც ვთხოულობთ. კონსტიტუცია ანიჭებს სრულ გარანტიას თავისუფლათ განვითარებისას როგორც მთელს, ისე მის ნაწილებსაც. ნაციონალური მართველობა და სამშობლო ენის გაბატონება — ეს ორი თანამედროვე კლასების ნაციონალური მოთხოვნილება სავსებით იქნება გატარებული კანტონალური წყობილებით. არ იქნება მხოლოთ ნაციონალური სახელმწიფო.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვთხოულობთ თვითეული ეროვნული ტერიტორია უეჭველათ ერთ თვითმართველ კანტონს წარმოადგენდეს. შესაძლებელია ის რამდენიმე კანტონათაც გაიყოს, როგორც ეს შვეიცარაშია. ეს დამოკიდებული იქნება მართველობის და, საზოგადოთ, პრაკტიკულ მოთხოვნილებათა საჭირრებაზე. თავი და თავია თვით მიზანი, სამშობლო ენის მართველობის ენათ გადაქცევა, რომლის მიღწევა ამიერ-კავკასიაში მხოლოდ კანტონალური წყობილებით შეიძლება. ხოლო დანარჩენი წვრილმალებია. შეიძლება დეცენტრალიზაცია გატარდეს თვითეული ერის ფარგალშიაც, მაგ., საქართველო გაიყოს რამოდენიმე კანტონათ; ამის წინააღმდეგი არა გვაქვს-რა. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს დეცენტრალიზაცია ეხება არა უფლებრივ ნორმას, არა სამოქალაქო ურთიერთობას, — ეს ცენტრის კომპეტენციაა, — არამედ ადგილობრივ ეკონომიურ, ტერიტორიალურ და კულტურულ საქმეებს.

მკითხველი ადვილათ მიხვდება, რომ ჩვენი გეგმა წააგავს შვეიცარიის მართველობის სისტემას, გარდა ფედერაციისა. ფე-

დერაცია ნიშნავს დამოუკიდებელ ერთეულთა ნებაყოფლობით შეერთებას; ამ გზით შედგა შეეიცარიის ფედერაცია. ჩვენში-კი ასეთი დამოუკიდებელი ერთეულნი არ არსებობენ, მაშასადამე, საგანი ფედერაციისა არ მოიძებნება. აქ ცენტრი კი არ იქნება კანტონებიდან, პირ-იქით, თვით კანტონები იქნება ცენტრიდან, ე. ი: მთელი წყობილება მყარდება ანტიფედერატიული გზით. ფედერატიული ცენტრი თავის უფლებებს იღებს მისი შემადგენელი ნაწილებიდან: ამ უკანასკნელთ ხელთ უპყრიათ უზენაესობა, სუვერენობა, და მას თავის ნებით უზიარებენ ფედერაციას. ყველა არსებული ფედერაცია ამ გზით წარმოიშვა და მომავალშიაც ამ გზას არ ასცდება.

ჩვენში ამის მზგავსი არა არის-რა და მხოლოდ ფანტაზიორთ მოუვათ თავში სახელმწიფო წყობილება ააგონ უსაძირკვლოთ, ცარიელ ადგილზე. ასეთები, როგორც იცით, ჩვენში ბლომად მოიპოვებიან.

ამნაირათ, ნაციონალური კითხვის მოწესრიგება ამიერ-კავკასიაში უნდა მოხდეს თვით დაინტერესებულ ერთა წინასწარი შეთანხმებით. მთელი მხარე დაიყოფა კანტონებათ, მეტნაკლები სივრცით, ხოლო ერთნაირი კომპეტენციით. შერეულ კანტონში ხდება მართველობის გაყოფა: ტერიტორიალური საქმეები რჩება საერთო მართველობას, ხოლო კულტურული ბარდება ნაციონალურ საბჭოს. ერთი ერიანი ნაციონალური კანტონები, რომელთა შორის სხვა ერის კანტონი ძევს, ერთდებიან ნაციონალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მას უერთდება აგრეთვე შერეული კანტონის თანამემამულეთა ნაციონალური საბჭო. ნაციონალური ტერიტორია შეიძლება წარმოადგენდეს ერთ გინდ რამოდენიმე კანტონს; ამ კითხვის გადაწყვეტა ეკუთვნის ამ ტერიტორიის მცხოვრებ ერს. მისი თვითგამორკვევა ამ სფეროში საკალდებულოა მთელისათვის.—ასეთია მოკლეთ ამიერ-კავკასიის ნაციონალური პლათფორმა.

ეროვნული საკითხი ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციების მე-VI ყრილობაზე.

(ნოე ჟორდანიას თეზისები)

1. ეროვნულ საკითხის გადაჭრა ამიერ-კავკასიაში შესაძლებელია მხოლოდ ამიერ-კავკასიის საზომით, ე. ი. ამიერ-კავკასიის ყველა ერებმა უნდა გამოიმუშავონ ერთი საერთო ნაციონალური პროგრამა. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი თანამედროვე ბურჟუაზიულ ფარგლებში მინიმუმამდე შევამციროთ ეროვნებათა შორის არსებული უკმაყოფილება და შეღლი, რომელიც ხელს უწყობს პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნების დაბნელებას და ასაზრდოებს ყოველგვარ ნაციონალურ მიმართულებას.

2. ამიერ-კავკასიაში მოსახლეობს სამი უმთავრესი ერი: ქართველები, სომხები და თათრები. თვითეულ ამ ერს ამიერ-კავკასიაში უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია, ე. ი. მჭიდროთ დასახლებულია განსაზღვრულ სივრცეზე. ამ ფაქტის გამო, რეალურ მოსახლეობის პრინციპის ძალით, მთელი ამიერ-კავკასია ეროვნების მხრივ წარმოადგენს სამ ეროვნულ ოლქს: ქართულს, სომხურს და თათრულს.

3. ისტორიული გადასახლ-გადმოსახლება და თანამედროვე გაცვლა-გამოცვლა იწვევს ეროვნულ საზღვრების შეცვლას და აგრეთვე ხელს უწყობს ეროვნული ოაზისების წარმოშობას. ეროვნულ ოლქების ასეთი შეცვლა და ეროვნული ოაზისები ამიერ-კავკასიაში ფაქტია. გამოვდივართ-რა მოყვანილი დებულებებიდან, ჩვენ უნდა ვალიაროთ, რომ ეროვნული საკითხი ამიერ-კავკასიაში უნდა გადაიჭრას ტერიტორიალურ და კულტურულ პრინციპების მიხედვით: თვითეულ ეროვნულ ოლქს, რომელიც მჭიდროთ არის დასახლებული განსაზღვრული ერით, კულტურულათ უნდა შეუკავშირდეს ეროვნული ოაზისები.

4. თვითეულ ნაციონალურ ერთეულს ეძლევა თვითმართველობის უფლება, ე, ი. ადგილობრივ ორგანოების შექმნის უფლება, რომლებსაც სახელმწიფო აკისრებს სახელმწიფო მართველობის განსაზღვრულ საქმეების განხორციელებას და რომლებსაც მართვა-გამგეობის უფლება აქვთ სახელიწიფოს დავალებით. სახელმწიფო მართველობის ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან განახორციელონ სახელმწიფოსაგან დაკისრებული საჯარო უფლებრივი ფუნქციები: მაგრამ თვითმართველ ერთეულს აქვს თავისი განსაკუთრებული კულტურული, სამეურნეო და უფლებრივი ინტერესები, და ამ სფეროში იგი ადგილობრივ ორგმნიზაციების საშუალებით ანხორციელებს მართვა-გამგეობის ფუნქციებს, მაგრამ არა საკუთარ დამოუკიდებელ მართველობის უფლებით, როგორც ეს ხდება სახელმწიფოებში, არამედ სახელმწიფოს დავალებით.

5. აქედან აუცილებლათ გამომდინარეობს თვითმართველობის კომპეტენციის გამორკვევა, სახელმწიფო ცენტრის თვითმართველობასთან დამოკიდებულების განსაზღვრა იურიდიულ ნორმების საშუალებით. სახელმწიფოს-მიერ გადაცემულ კომპეტენციის საზღვრებში თვითმართველობა კანონმდებლობს და მოქმედებს სრულიად დამოუკიდებლათ, სახელმწიფოს-კი ეკუთვნის მხოლოდ თვალყურის დევნების უფლება, რომ არ დაირღვეს ამ კომპეტენციის საზღვრები.

რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს ეკუთვნის:

1) მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის უფლება სამოქალაქო, სავაჭრო, სათამასუქო, საკრედიტო და სისხლის-სამართლის სფეროში.

2) ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის უფლება;

3) ზემოდასახელებულ ზოგად რესპუბლიკანურ საკითხების შესახებ კანონების ახსნა-განმარტების უფლება;

4) ძირითად, მუშათა და აგრარულ კანონმდებლობის უფლება;

5) საერთო გადასახლების სისტემის, საზომისა და წონის დაწესების უფლება:

6) ფულის მოჭრისა და ქაღალდის ფულის გამოცემის უფლება;

7) ომის გამოცხადებისა და ზავის შეკვრის უფლება:

8) საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება;

9) მილიციისა და ფლოტის მოწყობა და მათი გამგებლობა:

10) ზოგად სახელმწიფო და სტრატეგიული მნიშვნელობის რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი და ამ დარგების საერთო წესების დამყარება;

11) გადასახადების საერთო სისტემით აკრებილი ფინანსები საესებით შედის რესპუბლიკის ხაზინაში:

12) იმ ხარჯების დაფარვა, რომელიც გამოწვეულია თვითმართველობის ორგანოების-მიერ სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეების შესრულებით.

თვითმართველობა განაგებს:

1) ყველა ადგილობრივ ეროვნულ-კულტურულ საქმეებს;

2) ეროვნულ სკოლას იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოყოფილია ეკლესიისაგან. პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება სავალდებულოა;

3) სახალხო ჯანმთრთელობა და საბეითალო საქმე;

4) ადგილობრივი მნიშვნელობის ყველანაირი მიმოსვლის საშუალებანი;

5) ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი;

6) ადგილობრივი სასოფლო-მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა:

7) ადგილობრივი მუშათა და აგრარული კანონმდებლობა, როგორც ძირითად რესპუბლიკანურ უფლების ამ სფეროში განვითარება;

8) სასამართლო, თვით უმაღლეს საკასაციო ინსტანციამდე;

9) ადმინისტრატიულ და სამეურნეო ერთეულების ორგანიზაცია;

10) სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო. საეკლესიო საკაბინეთო და კერძო მემამულეთა (დაწესებულ ნორმების ზევით) მიწების ექსპლოატაცია თვითმართველობის საზღვრებში;

11) იმ წარმოებათა მუნიციპალიზაცია, რომელთაც თვითმართველობისათვის საერთო სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ;

12) ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაყმაყოფილებლათ თვითმართველობის მცხოვრებლებზე ხარჯის გაწერისა და საშუალებათა გამოძებნა;

13) საკანონმდებლო თანასნობის უფლება იმ საკითხებში, რომლებიც შეადგენს ცენტრის კომპენტენციას;

14) უმცირესობის ეროვნულ-კულტურული თვითმართველობის უფლება უზრუნველყოფილი უნდა იქმნეს, — ამ უმცირესობისათვის საჯარო-უფლებრივ ხასიათის კულტურულ-დაწესებულებათა მოწყობის უფლების მინიჭებით და ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმართველობასთან კულტურულ კავშირის დაწესებით;

15) შერეულ თვითმართველობებში თვითეულ ეროვნებას სრული თვითმართველობა ეძლევა ეროვნულ-კულტურულ საქმეებში და ამ სფეროში იგი უკავშირდება თავის ეროვნულ თვითმართველობას;

16) თვითმართველობა სარგებლობს იურიდიული პირის ყოველი უფლებით;

17) ამიერ-კავკასიის საერთო საკითხებს არჩევს ამიერ-კავკასიის საბჭო, რომელსაც ირჩევენ ამიერ-კავკასიის ყველა თვითმართველობათა წარმომადგენლები ოთხფორმულიანი საარჩევნო წესით;

18) თვითმართველობათა საზღვრები ამა თუ იმ ეროვნების რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით უნდა გადაწყდეს; ეროვნული საზღვრების შესაცვლელათ უნდა მოხდეს

რეფერენდუმი იმ ადგილებში, რომელთა საზღვრების გამორკვევაც იწვევს დავას;

19) შერეული ქალაქების უმრავლესობამ უნდა უზრუნველჰყოს ამ ქალაქებში თვითეულ ეროვნების კულტურულ-ეროვნული ცხოვრება;

20) ტერიტორიალური თვითმართველობა, დასახლებული, მაგ., ქართველებით, იწოდება **„საქართველოს თვითმართველობათ“**.

21) თვითეულ თვითმართველ ერის კონსტიტუცია, როგორც ნაწილი რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის საერთო კონსტიტუციისა, ვერ შეიცვლება ჩვეულებრივი კანონმდებლობითი წესით.

რეზოლიუცია ეროვნული საკითხის შესახებ, მიღებული ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების მე-VI ყრილობაზე.

მუშათა კლასისა და გლეხების ინტერესები მოითხოვს ისეთი უფლებრივი ნორმების შექმნას, რომლებიც უზრუნველჰყოფს მათს თავისუფალ კულტურულ განვითარებას. ეს ნორმები უნდა აშენდეს ხალხის უფლება-მოსილებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ყველა დარგებში ხალხის თვითმართველობის გატარების მტკიცე საფუძველზე. სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაცია წარმოადგენს ძირითად მოთხოვნილებას რუსეთის მთელი დემოკრატიისას, რამაც რუსეთის ისტორიაში პირველათ შეჰქმნა ეროვნული საკითხის სახელმწიფო საზომით გადაჭრის პოლიტიკური შესაძლებლობა.

ასეთი საერთო პოლიტიკური წყობილების ფარგლებში

ეროვნული კულტურის განვითარება შესაძლებელია უზრუნველ-ყოფილ იქმნას რუსეთში მოსახლე თვითეულ ეროვნებისათვის ფართო შინაურ თვითმართველობის მინიჭებით.

ტერიტორიალური თვითმართველობის საზღვრები მყარდება ამა თუ იმ ეროვნების რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით; ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქმნას მილებული ყოფა-ცხოვრება და სამეურნეო მდგომარეობა.

ეროვნული საზღვრების შესაცვლელათ უნდა მოხდეს რეფერენდუმი იმ ადგილებში, რომელთა საზღვრების გამორკვევაც იწვევს უთანხმოებას.

უმცირესობის ეროვნულ-კულტურული თვითმართველობის უფლება უზრუნველ-ყოფილი უნდა იქმნეს,—ამ უმცირესობისათვის საჯარო-უფლებრივ ხასიათის კულტურულ დაწესებულებათა მოწყობის უფლების მინიჭებით; ეს უმცირესობა ამასთანავე კავშირს აბამს თავის ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმართველობასთან კულტურული საქმეების ერთად საწარმოებლათ.

შერეულ თვითმართველობაში თვითეულ ეროვნებას ეძლევა სრული თვითმართველობა ეროვნულ-კულტურულ საქმეებში, და ამ სფეროში იგი უკავშირდება თავის ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმართველობას.

ამ ტერიტორიათა თვითმართველობა სახელმწიფოს-მიერ გადაცემულ კომპეტენციის საზღვრებში კანონმდებლობს და მოქმედობს სრულიად დამოუკიდებლათ.

მათს უფლებაში შედის:

1) ცენტრალურ პარლამენტისა და მართველობის-მიერ გამოცემულ კანონებისა და განკარგულებათა ცხოვრებაში გატარება;

2) ყველა ადგილობრივი ეროვნულ-კულტურული საქმეები;

3) ეროვნული სკოლები (იმ პირობით, რომ სკოლა ჩამოშორებული უნდა იყოს ეკლესიისაგან და დაწესებული იყოს სახელმწიფოს მიერ საავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება).

4) სახალხო ჯანმთელობა და საბეითალო საქმე:

5) ადგილობრივი მნიშვნელობის ყველანაირი მიმოსვლის საშუალებანი;

6) ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი:

7) ადგილობრივ სასოფლო მეურნიობისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითაბეისათვის ხელის შეწყობა;

8) ადგილობრივი მუშათა და აგრარული კანონმდებლობა, როგორც შედეგი ძირითად რესპუბლიკანურ უფლების განვითარებისა ამ სფეროში;

9) სასამართლო, თვით-უმაღლეს საკასაციო ინსტანციამდე:

10) ადმინისტრატიულ და სამეურნეო ერთეულების ორგანიზაცია;

11) სახაზანო, საუფლისწულო, სამონასტრო, საკაბინეთო, საეკლესიო და კერძო მემამულეთა (დაწესებულ ნორმებს ზევით) მიწების ექსპლოტაცია თვითმართველობის საზღვრებში;

12) იმ წარმოებათა მუნიციპალიზაცია, რომლებსაც თვითმართველობისათვის საერთო სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ;

13) ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ თვითმართველობის მცხოვრებლებზე ხარჯის გაწერის წესისა და საშუალებათა გამოძებნა.

14) საკანონმდებლო თაოსნობის უფლება იმ სფეროში, რომელიც შეადგენს ცენტრის კომპეტენციას;

15) ამიერ-კავკასიის საერთო საკითხების გარჩევა ყველა თვითმართველობათა წარმომადგენლებისაგან შემდგარ ამიერ-კავკასიის საბჭოს მიერ;

16) თვითეულ თვითმართველ ერთეულის კონსტიტუცია, როგორც ნაწილი რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის სა-

ერთო კონსტიტუციისა, ვერ შეიცვლება ჩვეულებრივ კანონმდებლობითი წესით.

ყრილობა მოითხოვს კონსტიტუციაში შეტანილ იქმნას ძირათადი კანონი, რომელიც აუქმებს ცალკე ეროვნებათა პრივილეგიებს, რანაირიც უნდა იყვენ ისინი, და ეროვნულ უმცირესობის უფლებათა ყოველგვარ შეზღუდვას.

პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს რუსეთის ყველა ეროვნებათა მუშების გაერთიანებას პოლიტიკურ, პროფესიულ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში: მხოლოთ ასეთი ერთგვარ ორგანიზაციებში გაერთიანება მისცემს პროლეტარიატს საშუალებას აწარმოვოს ძლევა-მოსილი ბრძოლა საერთაშორისო კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

სარჩევი.

		გვერდი.
	წინასიტყვაობა . .	III—V
1.	ეკონომიური წარმატება და ეროვნობა.	1— 55
2.	ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი	55— 80
3.	სადაო კითხვები . .	80—111
4.	კიდევ სადაო კითხვები.—ისტორია	112—157
5.	ნაციონალური კითხვა ჩვენში .	158—159
	1. საჭიროა ფართო პროგრამა ნაციონალურ კითხვაზე? .	159—163
	2. ნაციონალური კითხვის საგანი .	163—166
	3. ნაციონალური კითხვის წამოყენება	166—170
	4. ორი პრინციპი	170—175
	5. კულტურული ერთობა	175—182
	6. ტერიტორია .	182—190
	7. ტერიტორიალური პრინციპი პრაქტიკაში . .	190—197
	8. ჩვენი ავტონომისტები	198—212
	9. პერსონალური პრინციპი	213—224
	10. ტერიტორიალური ერთეული .	224—245
6.	ნაციონალური კითხვა ამიერ-კავკასიაში	
	1. სახელმძღვანელო დებულება	245—252
	2. კითხვის დაყენება	252—257
	3. პირველი ნაბიჯი	257—263
	4. პლატფორმა .	263—270
7.	ეროროვნული საკითხები ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციების მე-VI ყრილობაზე (ნოე ჟორდანიას თეზისები) . .	271—275
8.	რეზოლიუცია ეროვნული საკითხის შესახებ, მიღებული ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების მე-VI ყრილობაზე	275—278